ვასილ ხიზანიშვილი

ეთიკური ეკონომიკა

(სახელმძღვანელო)

გამომცემლობა „ლოი“

თბილისი-2016

უაკ (UDC) 330.826

ხ - 531

ვასილ ხიზანიშვილი, „ეთიკური ეკონომიკა“, გამომცემლობა „ლოი“, თბილისი, 2016 წელი, გვ. 404.

ნაშრომში თანმიმდევრულად არის განხილული „ეთიკური ეკონომიკის“, როგორც საქართველოში სრულიად ახალი, ინტერდისციპლინარული საგნის არსებითი მხარეები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის. ის ასევე სათანადო დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ სხვა მკითხველსაც.

რედაქტორი:

ელგუჯა მეძვაბიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

რეცენზენტები:

ლოიდ ძარჩავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

გიორგი სიბაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

სახელმძღვანელო გამოიცა KAAD-ის დაფინანსებით.

ISBN 978-9941-9268-6-0

© ვ. ხიზანიშვილი, 2016

შინაარსი

შესავალი 6

ნაწილი I ეკონომიკის ეთიკა 11

თავი 1. რა არის ეკონომიკის ეთიკა? 12
§1.1. ეკონომიკისა და ეთიკის ურთიერთდამოკიდებულება 12
§1.2. ეკონომიკის ეთიკის შესახებ 21
§1.3. ბაზრის საკითხები ეთიკურ კონტექსტში 28
§1.4. ეკონომიკური ანთროპოლოგიის ეთიკური და პოლიტიკური ასპექტები 33

თავი 2. ზნეობრივ ფასეულობათა ეთიკური გააზრება 41
§2.1. სამართლიანობა 41
§2.2. თანასწორობა 48
§2.3. თავისუფლება 55
§2.4. პასუხისმგებლობა 64

თავი 3. საბაზრო ეკონომიკა VS სოციალური საბაზრო ეკონომიკა 70
§3.1. საბაზრო ეკონომიკა 70
§3.2. სოციალური საბაზრო ეკონომიკა 82

თავი 4. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა 95

თავი 5. გლობალიზაცია, მისი ფორმები, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები და ეთიკური მოცემულობა 114
§5.1. რა არის გლობალიზაცია? 114
§5.2. ეკონომიკური გლობალიზაცია 120
§5.3. ფინანსური გლობალიზაცია 128

§5.4. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების
რეტროსპექცია 134

თავი 6. რელიგია და ეკონომიკა 148
§6.1. რელიგიის სოციალურ-ეკონომიკური გააზრება..148
§6.2. რელიგიის ცალკეული სახეები ეკონომიკურ
პრიზმაში 158

თავი 7. კულტურა და ეკონომიკა 176

ნაწილი II. ბიზნესის ეთიკა 194

თავი 1. რა არის ბიზნესის ეთიკა? 195
§1.1. ბიზნესის ეთიკა და მისი მნიშვნელობა 195
§1.2. ბიზნესის ეთიკის განვითარების ეტაპები . . . 201

თავი 2. ბიზნესის ეთიკის დონეები 215
§2.1. მიკრო დონე 215
§2.2. მეზო დონე 226
§2.3. მაკრო დონე 237

თავი 3. ბიზნესის ეთიკის თეორიები 246
§3.1. ნორმატიული ეთიკური თეორია 246
§3.2. დესკრიპციული ეთიკური თეორია 268

თავი 4. გლობალიზაცია და ბიზნესის ეთიკა . . . 294
§4.1. გლობალიზაცია ბიზნესის ეთიკის
კონტექსტში 294
§4.2. გლობალიზაციის გავლენა
ბიზნეს-ურთიერთობებზე 300
§4.3. ბიზნესის ეთიკის ანალიზური მიდგომა
კომპანიათა გადაწყვეტილებების
პრობლემატიკაში 307

თავი 5. მენეჯმენტის საკითხები ბიზნესის ეთიკაში 312

§5.1. ბიზნესეთიკის მენეჯმენტი 312
§5.2. ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზება 317
§5.3. რისკებისა და შანსების მენეჯმენტი საწარმოს
მდგრადი განვითარების კონტექსტში 323

თავი 6. კორპორაციის პასუხისმგებლობის სახეები 330
§6.1. კორპორაციული სოციალური
პასუხისმგებლობა 330
§6.2. კორპორაციული მოქალაქეობა 344

თავი 7. სტეიკჰოლდერები 357
§7.1. ფირმის სტეიკჰოლდერის თეორია 357
§7.2. აქციონერები და მენეჯერები 364
§7.3. კომპანიის თანამშრომლები 370
§7.4. მიმწოდებლები და კონკურენტები 375
§7.5. მომხმარებლები 380
§7.6. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები... 384
§7.7. ხელისუფლება 390

ბოლოთქმა 397

შესავალი

ეთიკური ეკონომიკა არის ეკონომიკისა და ეთიკის თეორიათა, ეთიკურ და ეკონომიკურ შეხედულებათა გაერთიანება და პოლიტიკური ეკონომიის შევსება.[1] ეთიკური ეკონომიკის და პოლიტიკური ეკონომიის საფუძველია რაციონალურ ქმედებათა ფორმალურ–ეკონომიკური თეორია.

პოლიტიკური ეკონომია პოლიტიკური ნორმებით იკვლევს და განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძვლებს, ეთიკური ეკონომიკის საგანს წარმოადგენს ეთიკური და კულტურული ნორმები.

სახალხო მეურნეობის მოძღვრება, როგორც ეკონომიკის ყოვლისმომცველი თეორია, მიკრო და მაკრო ეკონომიკური თეორიების პოზიტიური ეკონომიკის გვერდით მოიცავს პოლიტიკურ ეკონომიას და ეთიკურ ეკონომიკას.[2]

ეკონომიკური თეორია აანალიზებს სოციალურ ინსტიტუციებსა და მოქმედებათა წესრიგს, რომელიც კერძო ინტერესებზეა დაფუძნებული. ეთიკური თეორია კი აყალიბებს ინსტიტუციებსა და ნორმებს, რომელიც ადამიანის საუკეთესო უნარების განვითარების შესაძლებლობას წარმოშობს.

ეთიკური ეკონომიკა ასევე არის ეკონომიკის კულტურის სფეროს ეთიკური წანამძღვრების თეორია, ეთიკური წესებისა და ქცევების თეორია, რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის ბაზრის კოორდინაციას და ფასთა სისტემას გულისხმობს.

---

1. Koslowski, P. , Prinzipien der Ethischen Ökonomie: Grundlegung der.
2. Wirtschaftsethik und der auf die Ökonomie bezogenen Ethik: Tübingen: Mohr, 1988, S. 2 Matthienssen, Ch., Ökonomie und Ethik (Moral des Marktes oder Kritik der reinen ökonomischen Vernunft) , Freiburg 1990, S. 9

პოლიტიკური ეკონომია და ახალი ტერმინი „ეთიკური ეკონომიკა“ ასახავს წმინდა ეკონომიკის, ბაზრისა და ფასთა სისტემის პოლიტიკურ და ეთიკურ წანამძღვრებს. ბაზრის კოორდინაცია და მართვა მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა განსაზღვრულია ინსტიტუციონალური პირობები. ბაზრის კოორდინაციის ინსტიტუციონალურ წანამძღვრებს განეკუთვნება ის წანამძღვრები, რომლებსაც იკვლევს პოლიტიკური ეკონომია და ეთიკური ეკონომიკა. ეთიკური ეკონომიკა აფართოვებს ეთიკის ანალიტიკურ ძალას, ეკონომიკურ თეორიასთან მიმართებაში.

ეთიკური ეკონომიკა ასევე იკვლევს ქმედებათა მოტივაციის მორალურობის საკითხს, კერძო და საზოგადო ინტერესთა მიმართებაში რომელიმე მათგანის უპირატესობის განსაზღვრის თვალსაზრისით გამოიყოფა ეთიკური ეკონომიკის კიდევ ერთი სფერო, რომელიც იკვლევს ეკონომიკისა და ეთიკის ურთიერთმიმართებას საქონელმცოდნეობაში. საგნები ცალკეულ საქონლად გადაიქცევა განსაზღვრული ღირებულების ხარისხითა და ამ ღირებულების ხარისხთა აღქმის მეშვეობით. ეს უკანასკნელი არ არის დამოუკიდებელი მომხმარებლისაგან. ეკონომიკური და ესთეტიკურ-ეთიკური საქონელმცოდნეობის არსის წვდომაში ეთიკური ეკონომიკა ერთდროულად გვიჩვენებს ეკონომიკის კულტურის თეორიას, კულტურის ეკონომიკას და ეკონომიკის კულტურის ფილოსოფიას.

ეთიკური ეკონომიკის სამივე სფერო – ეკონომიკის ეთიკური წანამძღვრების თეორია, ეთიკის ეკონომიკური თეორია და საქონლის ეთიკურ-ეკონომიკური თეორია აერთიანებს ფართო ადამიანურ ქმედებათა თეორიას და პრაქტიკას.

ეთიკური ეკონომიკა უბრუნდება უძველეს ფილოსოფიურ ტრადიციას, არისტოტელეს პრაქტიკულ ფილოსოფიას, როგორც ეთიკის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ერთიანობას. პრაქტიკული ფილოსოფიის ამ

ერთიანობამ მოგვიანებით ადგილი დაუთმო მორალის ფილოსოფიაზე პრაგმატიკისა და სოციალური ეთიკის გავლენას (კანტი) და ნაციონალური ეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების წარმოშობას (ადამ სმიტი)*. ეთიკის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ამ ტრიადის ადგილას ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი დისციპლინა.

მისი, როგორც ინტერდისციპლინალური საგნის წარმოშობის საფუძვლად სახელდება სამი მიზეზი: 1) ეკონომიკური საქმიანობის მზარდი კულტურული და ეკოლოგიური გვერდითი ქმედებების (ექსტერნალიების) გაცნობიერებისა და მათზე ეთიკური პასუხისმგებლობის მოთხოვნილება; 2) საგნობრივ დისციპლინებში ადამიანის ხელახლა აღმოჩენა და ეკონომიკურ კადრებში სამართალაღსრულების მზარდი მოლოდინი; 3) კულტურულ სფეროთა შემდგომი დაშლა-დარღვევა და განსაკუთრებით ეკონომიკური სამყაროს გაუცხოება.

ადმიანის ძალაუფლება ბუნებაზე თავის სოციალურ სამოქმედო სივრცეში პერმანენტურად იზრდება. ასევე იზრდება შესაძლო ექსტერნალიების მოცულობაც. ადამიანის მზარდი ძალაუფლება მოითხოვს არა მხოლოდ გარემოს ანალიტიკურ ცოდნას, არამედ ინდივიდის ძირითადი და გვერდითი ქმედებების მიმართ მზარდ მგრძნობელობას. იგი აგრეთვე მოითხოვს პრაქტიკულ-ეთიკური ქცევის ცოდნას რაც ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას გაითვალისწინება. ექსტერნალიების მომრავლება ნიშნავს გამოღვიძებულ ეკოლოგიურ ცნობიერებას და მოითხოვს დებატებს ენერგიით სარგებლობის შესახებ. ადამიანის ძალაუფლების ზრდა პროპორციულად ზრდის მის პასუხისმგებლობას სოციალური და ბუნებრივი გარე-

*შდრ. Zur Verhältnis von Ökonomie und Ethik bei Kant und Adam Smith (Koshlowski 1982 a) S. 185-237

სამყაროს მიმართ. ეს არის ეთიკური ეკონომიკის აქტუალურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

ეთიკურ ეკონომიკაზე მოთხოვნილებას წარმოშობს მეცნიერებაში „ადამიანის ხელახლა აღმოჩენის“ ფენომენი. ეთიკა მეცნიერებაში „პრაქტიკული გონების პრიმატს“ ქმედითს ხდის. ეთიკას ახსოვს და ითვალისწინებს, რომ მეცნიერება პრაქტიკაა და სამეცნიერო პრაქტიკამ უნდა დასვას კითხვა მისი პარადიგმის შესაბამისობის შესახებ ადამიანის თვითგამორკვევასთან. ეკონომიკა სწავლებაა ადამიანის შეგნებული ქცევების თაობაზე. შესაბამისად, ძლიერდება მეცნიერული გაგების „რეანტროფომორფიზაციის“ პროცესი და მეცნიერებაში სუბიექტზე გაძლიერებული დაკვირვება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეშვეობით. „რეანტროფომორფიზმი“ აღიარებულია თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში. პოსტინდუსტრიული ეკონომიკური მეცნიერება მოითხოვს დაკვირვებას ადამიანურ ფაქტორზე ანტროპოლოგიური და ანტროფომორფული თვალსაზრისით.

ეთიკური ეკონომიკისადმი გაძლიერებული ინტერესის მესამე მიზეზია თანამედროვე საზოგადოების შიგნით სოციალურ განსხვავებათა მოშლის მზარდი ტენდენცია და მისგან წარმოშობილი საფრთხეები. ეთიკური ეკონომიკა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე,თუ როგორ მოიქცეს სუბიექტი თავის პოლიტიკურ, კულტურულ, რელიგიურ და ესთეტიკურ განზომილებებში. ბაზრის ფუნქციონირებისა და კონკურენციის ეფექტიანობის ხარისხი მით უფრო მაღალია,რაც უფრო გაუპიროვნებელი და ანონიმურია ისინი. რაც უფრო დიდია ბაზარი, მით უფრო მაღალია ეკონომიკური რაციონალიზმი და ეფექტიანია შრომის დანაწილება. ეთიკური ეკონომიკა და ეკონომიკის კულტურის ფილოსოფია წარმოადგენს ამგვარი ანონიმურობის დაძლევისა და ახალი კულტურული ერთობის შექმნის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ეთიკური ეკონომიკა გამოხატავს ეთიკურ ქმედებათა ასპექტების ინტეგრაციის მცდელობას ეკონომიკურ მეცნიერებათა მოდელში. მისი საგანია ეკონომიკურ ქმედებათა ეთიკურ ხასიათსა და homo oeconomicus შორის უფსკრულის ამოვსება. ეთიკისა და ეკონომიკის თანამედროვე დუალიზმი წარმოადგენს ახლანდელი პოსტმოდერნული ეპოქის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ეთიკისა და ეკონომიკის განუყრელმა ერთიანობამ ეთიკური ეკონომიკის სახით შექმნა ახალი დისციპლინა.

ეთიკური ეკომონიკა არ არის ოქსიმორონი, ურთიერთგამომრიცხავი სიტყვების შეხამება. არავითარი ხის რკინა, ორი გაუმთლიანებელი, შეუკავშირებელი თეორიის შემადგენელი ნაწილი. იგი არის ადმიანში უძლიერესი და საუკეთესო განსხავებული იმპულსების ურთიერთდამოკიდებულების აღიარება განსაზღვრული წესებისა და ინსტიტუცეიების ჩარჩოებში.3 ეთიკური ეკონომიკა პროდუქტიულობის, ეკონომიკური და სამართლიანობის ეთიკურ კრიტერიუმთა თეორიების სინთეზია. ეთიკური ეკონომიკა ეკონომიკისაგან იღებს რაციონალურ ქმედებათა მიკროეკონომიკას და ზოგადი ეთიკიდან – სამართლიანობის თეორიას. მიკრო დონეზე წინა პლანზე დგას საკითხი „სამართლიანი“ ეკონომიკური სისტემის გამოყენების შესახებ ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ პოლიტიკაში. ეთიკური ეკონომიკა იკვლევს საერთო ეკონომიკურ ქმედებებს, მათი მორალური შედეგების მხედველობაში მიღებით. მისი მიზანია დასაბუთებულ ნორმათა პოვნა „კარგი“ ეკონომიკისათვის. ეთიკური ეკონომიკა დაკავებულია საკითხით თუ რომელი ნორმები და იდეალები შეიძლება იქნეს მიჩნეული. მნიშვნელოვნად თანამედროვე ეკონომიკისა და სამეურნეო საზოგადოების პირობებში.

3 იხ. წყარო 1, გვ 27.

ნაწილი I ეკონომიკის ეთიკა

თავი 1. რა არის ეკონომიკის ეთიკა?

§1.1. ეკონომიკისა და ეთიკის ურთიერთდამოკიდებულება

ეკონომიკურ ურთიერთობათა ძირითადი ეთიკური პრობლემები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.1 ეკონომიკისა და ეთიკის საკითხები დიდი ხნიდან იღებს დასაბამს.

ჯერ კიდევ ბიბლიურ – სემიტურ სივრცეში, კერძოდ ძველი აღთქმის წიგნებში მოიპოვება მრავალი წერილობითი საბუთი, რომელიც სამეურნეო ცხოვრების ეთიკური თვალსაზრისით მოწყობას გულისხმობს. კერძოდ: იძულებითი შრომა ფარაონთა ეგვიპტის აგრარული-გეგმიურ სისტემაში ქრისტეშობამდე 1500 წლით ადრე. მონათა მეურნეობა ჩინეთში ჩვ.წ.აღ. მე-10 საუკუნეში. მონების შრომაზე იყო დაფუძნებული მეურნეობის ფუნქციონირება ათენ-ატიკაშიც ქრისტეს იქით მე-4 საუკუნეში, ანდა პროვინციების ექსპლუატაცია რომის იმპერიაში ჩვ.წ. აღ. მე-2 საუკუნიდან.

წარსული საზოგადოებრივი ეთოსის განსხვავებულ კულტურებში სხვადასხვა ფორმით ყოველთვის არსებობდა ეკონომიკურ-ეთიკური ხასიათის ელემენტები,რაც განსაკუთრებით საცნობია ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა ნააზრევში. მაგალითად, უძველესი პირდაპირი კავშირი ეკონომიკურ და ეთიკურ დაკვირვებებს შორის არსებობს პლატონთან. მისი აზრით მატერიალური მოგებისაკენ ლტოლვა ზიანს აყენებს სულიერ განვითარებას და ასევე საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი სამართლიანობისათვის. ეთიკა, პოლიტიკა

და ეკონომია როგორც პრაქტიკული ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილები არისტოტელესთან განუყოფელია და დანახულია მთლიანობაში. აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ მათ ჯერ კიდევ არ უწყოდნენ ეკონომიკა როგორც ცალკე მეცნიერება და რომ ისინი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ საყოველთაო ეთიკური თეორიის განვითარებით. იმ ხანად ეკონომიკური დაკვირვების ობიექტი უპირატესად იყო „Oikos“,ანტიკური შინამეურნეობა. ეკონომიკური საკითხები არისტოტელესთან მოიპოვება სისტემურ ფორმაში. მისი წარმოდგენები ეფუძნება სოკრატესა და პლატონის შეხედულებებს, რომლის აზრითაც ადამიანთა კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრებასა და პირად პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ქმედებანი, სადაც დაცულია ლეგალური და სამართლიანი განაწილების პრინციპები. ახალი ეთიკური იმპულსი იყო იესოს გზავნილი ღვთის სამეფოს შესახებ. ახალ აღთქმაში არის ეკონომიკურ-ეთიკური მნიშვნელობის საკითხები, კერძოდ ისეთი, როგორიცაა სოციალური პასუხისმგებლობა, საკუთრების უფლება და შრომის აუცილებლობა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მასშიც არ მოიპოვება ცალსახად სამეურნეო - ზნეობრივი ხასიათის სისტემა, თუმცა არსებულმა ეთიკურმა პოზიციებმა ქრისტიანობის აღიარებასთან ერთად მე-4 საუკუნიდან დიდი მნიშვნელობა შეიძინეს საზოგადოებრივი მოწყობის თვალსაზრისით.

დასავლური ფილოსოფია შუა საუკუნეებში ვიდრე ჩვენ დრომდე ქრისტიანული რწმენითა და მისივე ეთიკური შინაარსით იყო განსაზღვრული. ეთიკურ-ეკონომიკური საკითხები თავდაპირველად განიხილებოდა ეკლესიის მამათა, ხოლო მოგვიანებით დიდი თეოლოგების, უწინარესად კი თომა აქვინელის მიერ. სქოლასტიკის პერიოდში მოხდა ანტიკური ფილოსოფიური წყაროების სამზეოზე ხელახლა გამოტანა და ხანგრძლივი გათიშულობის შემდეგ მათი გამოყენებით

ქრისტიანული თეოლოგიის ეთიკური სისტემატიზაცია. მიუხედავად ამისა, ამ დროისათვის ერთიანი ეკონომიკური თეორია ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული.

ევროპაში შუა საუკუნეებამდე არსებობდა აგრარულ-ფეოდალური სისტემა, საიდანაც იწყება ახალი ეკონომიკური მოვლენები, რისი თანამდევიცაა ინტელექტუალური პროგრესი, რამაც ხელი შეუწყო სისტემური ეკონომიკური თეორიის განვითარებას. ამ მოვლენებს განეკუთვნება ქალაქებისა და შესაბამისად გილდიათა წარმოშობა, მანუფაქტურული შრომის კონფლიქტში შესვლა ფეოდალურ სისტემასთან. საშუალო კლასის ინტერესთა სფეროს ცენტრში ფოკუსირდება სამოქალაქო თავისუფლების (პიროვნების თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება და შეთანხმების თავისუფლება) არსებობა, რის საფუძველზეც ხდება პოლიტიკური თავისუფლების მიღწევა და გათავისუფლება არსებული ფეოდალური სისტემისაგან.

იმ დროის არსებული პროგრესი პირდაპირ კავშირშია სუბიექტთან. არსებულ სიტუაციათა გაცნობიერება მას აიძულებს ახალი ქცევის წესების შექმნისა და დამკვიდრებისაკენ, რამაც განსაზღვრა კიდეც კაცობრიობის მომავლის მოწყობისა და პროგრესის ფორმირება. ამ განვითარების შედეგები კონკრეტიზირდება განმანათლებლობის ეპოქაში. ეს არის იმ პროცესის შედეგი რასაც მაქს ვებერი უწოდებს „რაციონალიზაციის“ ცნებას. იგი ასახავს თავდაპირველი უნივერსალური საოჯახო ორგანიზებული კავშირებითი ფორმიდან სამი დამოუკიდებელი მეცნიერების, პოლიტიკის, ეკონომიკისა და რელიგიის განვითარების გზას. ამ პროცესს განეკუთვნება და მასთანაა დაკავშირებული ეკონომიკისა და ეთიკის გაყოფა და მათი დამოუკიდებელ მეცნიერებებად განვითარებაც.2

ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებშივე გახდა ნათელი,რომ ცალკე აღებულ,გამოცალკევებულ ეკონომიკას არ ძალუძს ყველა სისტემურ-იმანენტურ საკითხთა

და პრობლემათა დამუშავება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ეკონომიკურ-ეთიკური ისტორიული განვითარების დინამიკაში ჩვენ მიერ ნაჩვენები არასრული მონახაზი დაგვეხმარება ეკონომიკისა და ეთიკის, და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების უკეთ დანახვასა და გაგებაში.

არსებობს წმინდა კონცეპტუალური განსხვავებული მნიშვნელობა მორალისა და ეთიკის ცნებებს შორის. მორალის ქვეშ (ეკვივალენტი: „ეთოსი“, „ზნეობა“). მეცნიერებაში მოიაზრება ნორმათა (წესების), მაქსიმებისა და პრინციპების კომპლექსი, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ან უნდა იხელმძღვანელონ აქტიორებმა. მორალი მოიცავს შემოსაზღვრულ კულტურათა წრის ფასეულობებისა და ნორმათა სტრუქტურას, რასაც გარკვეულ პირობებში ძალუძს გადახრა სამართლებრივი წესებიდან.

ეთიკა (ბერძნ. ethike < ēthos – ზნე) ფილოსოფიური მეცნიერებაა ზნეობის, მორალის შესახებ. იგი მჭიდრო კავშირშია ეთოსთან. ფილოსოფიური გააზრებით ეთოსი აღნიშნავს ეთიკურად დადგენილ ნორმათა შესრულების შინაგან ვალდებულებას, ხოლო ეთიკა მის მეცნიერულ რეფლექსიას. რადგან ეთიკა სწავლობს ადამიანთა პრაქტიკული ქცევის ნორმებსა და წესებს, ის თეორიული ფილოსოფიისაგან (გნოსეოლოგია, ონტოლოგია) განსხვავებით, მიიჩნევა პრაქტიკულ ფილოსოფიად. ეთიკას, როგორც პრაქტიკულ ფილოსოფიას, როგორც სწორად მოქცევის მოძღვრებას ძალუძს არა მხოლოდ ნორმათა (წესების) დაფუძნება, არამედ ასევე კონკრეტული ცხოვრებისა და ქმედებათა სამყაროში კარგად დაფუძნებულ და დამკვიდრებულ ნორმათა მიმართულების მიცემაც (კომუტატორი).

„ეთიკა“ და „მორალი“ მსგავსია „თეორიის“ და „პრაქტიკის“. ეთიკური აზროვნება აღნიშნავს შესაძლო ქმედებათა ნორმების (სტანდარტების) რე-

ფლექსიას ანუ ასახვას, ხოლო მორალური ქმედებანი მოიცავს ამ ნორმათა შესრულებას. ეთიკის ამოცანას წარმოადგენს ადამიანური თანაცხოვრებისათვის მორალური ნორმების ფორმირება. მორალური ნორმები კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაიაზრება შეზღუდული კულტურული სივრცის ფასეულობათა სტრუქტურად, რომელიც სამართალთან არის კონფლიქტში.3 ეთიკის მიზანია ადამიანური პრაქტიკის წვდომა, მიზანია არა შემეცნება, არამედ მოქმედება.

ასეთივე განსხვავებულობა არსებობს ეკონომიასა და ეკონომიკას შორის. Oiko-nomia ძველბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს მთელი სახლის (Oikos) სათანადო მართვას (Nomos). ეკონომია ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა საზოგადოების არსებობისათვის საჭირო ეკონომიკური საშუალებების შენარჩუნებისა და წარმატებული სამეურნეო თანაცხოვრებისათვის აუცილებელ ცენტრალურ მომენტს. თავად ეკონომიკური წარმატება გაიგებოდა როგორც მართებული ცხოვრების გამოხატულება.4 ეკონომია იყო მოძღვრება „მთელი სახლის“ როგორც წარჩინებულთა ისე მდაბიოთა კულტურების ძირითადი სოციალური სტრუქტურის შესახებ.5

ეკონომიკის ქვეშ კი (ეკვივალენტი: „ეკონომიკური მეცნიერება“) მოიაზრება ეკონომიკურ ქმედებათა თეორია. ეკონომიკა სვამს ორ მთავარ საკითხს: 1) როგორ შეიძლება მწირი რესურსების ეკონომიური გამოყენებით მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღწევა; 2) როგორ მიიღწევა ინდივიდუალურ ქმედებათა საუკეთესო კოორდინაცია, რომელიც კერძო ინტერესებს ემყარება. ორივე საკითხის დაყენებას აქვს ერთი ეთიკური განზომილება და მიუთითებს ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებაზე. შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივი კოორდინაცია ეთიკის გარეშე, ან საზოგადოებრივ კოორდინაციაში რამდენად საჭიროა ეთიკურ წესთა კოდექსის შემოტანა, რათა შემდგომ ამით ეკონომიკამ თავისი სრული პოტენციალის რე-

ალიზება შეძლოს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუ-ძლებელია ეთიკური ეკონომიკის საფუძვლიანი შესწავ-ლის გარეშე. კაპიტალისტური ეკონომიკა ხასიათდება სამი სტრუქტურული თავისებურებებით: 1) კერძო სა-კუთრება (მათ შორის წარმოების საშუალებებზე); 2) მოგებისა და სარგებლიანობის მაქსიმიზაცია, როგორც ეკონომიკის მიზანი; 3) ეკონომიკური აქტიურობის კოორდინაცია ბაზრებითა და ფასთა სისტემით.6

ეკონომიკასთან მიმართებაში ეთიკა შესაძლებელია დანახული იქნას როგორც ეკონომიკური რაციონალიტე-ტის ჰუმანური კორექტივი. თავისუფალ და სამართ-ლებრივ სახელმწიფოში ცენტრალური ეთიკური პოს-ტულატებია სხვათა მიერ ადამიანის პიროვნულობის როგორც სუბიექტის, მისი თავისუფლების, ყველა ადა-მიანის თანასწორობისა და ურთიერთტოლერანტობის აღიარება.

მორალური ფასეულობები წარმოადგენენ არაფორმ-ალურ ინსტიტუტებს. ეს არის რაღაც არახელშესახ-ები, თითქოსდა შეუმჩნეველი აქტივი, რაც არსებითად ზემოქმედებს ტრანსაქციული ხარჯების მოცულობაზე. მორალურ ფაქტორებს ძალუძთ შეამცირონ ან გაზარდ-ონ ეს ხარჯები. უკანასკნელ პერიოდში მორალური ფასეულობები ხდება ეკონომიკური ცხოვრების უფრო და უფრო მეტად საჭირო შემადგენელი ნაწილი. მორ-ალური ფასეულობები ეფექტიანად მუშაობს დასავ-ლეთის ეკონომიკაში, ამაღლებს რა მათი საწარმოების კონკურენტუნარიანობას გლობალიზაციის პირობებ-ში.7

ეკონომიკა და ეთიკა იმყოფებიან მჭიდრო ურთიერ-თობაში. ესა თუ ის ეკონომიკური პრინციპი გაცილე-ბით ნათელი ხდება მაშინ, როცა მისი სარგებლიანობა და უპირატესობა ემყარება ეთიკურ იდეებსა და თე-ორიებს, ვიდრე მაშინ, როცა ადგილი აქვს „შიშველ“ ეკონომიზაციას წმინდად ფინანსურ და სამეცნიერო ვადებსა და მიზნებში. მხოლოდ ეთიკურ ფასეულობებ-

სა და ქცევებზე დაფუძნებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას შეუძლია ჰარმონიული ფუნქციონირება, ე.ი. ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო საკითხს წარმოადგენს ჰუმანური ფასეულობები, ხოლო ეთიკა ცდილობს ამ ფასეულობათა ავ-კარგიანობაში გარკვევას, რაც უშუალოდ უკავშირდება არჩევანისა და გადაწყვეტილებების მართლზომიერებასა და ქმედების სისწორეს. ორთოდოქსული ეკონომიკის მიზანს წარმოადგენს მცირე მატერიალური და დროითი დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება. ეთიკური ეკონომიკის თეზა კი ასე ჟღერს: „ეთიკურად გაუმართლებელი მიზნის რეალიზაციის ეფექტურობა არ არის ეფექტურობის ის სახეობა, რაც შეიძლება ფასობდეს“. ეთიკური ეკონომიკის საფუძველია ჰუმანურ ფასეულობებსა და ქცევის ნორმებზე დამყარებული სამეურნეო ურთიერთობები, ხოლო მიზანი,– ორთოდოქსული ეკონომიკისაგან განსხვავებით არა ხარჯების უკიდურესი შემცირებით მოგების უსაზღვროდ გაზრდა, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში მყარი და უსაფრთხო ეკო-სოციალური გარემოს არსებობა.

ეკონომიკა არის როგორც მეცნიერების, ისე ცალკე აღებული ეთიკის საგანი. იგი მეცნიერების საგანია იმდენად,რამდენადაც ის იკვლევს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა (მიზეზები და შედეგები და მათი ეფექტიანობა) და განაწილების მექანიზმს, ცდილობს მასში გარკვევას.

ეკონომიკა არის ეთიკის ინტერესის სფეროც, რამდენადაც ის სწავლობს საზოგადოებრივი სიკეთის წარმოებისა და განაწილების ზნეობრივ მხარეს როგორც ინდივიდებში,ჯგუფებსა თუ საზოგადოებაში, ისე მთლიანად ქვეყანაში ეთნო-კულტურულ-რელიგიურ სიბრტყეზე.8

ეკონომიკა და ეთიკა თავიანთი შესწავლის საგნის თვალსაზრისით ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ეკონომიკა, როგორც დამოუკიდებელი მეც-

ნიერება ეყრდნობა ადამიანის ძლიერ პიროვნულ იმ-პულსებს (მოტივაციებს),ეთიკის სამიზნეს კი ადამიანის საუკეთესო უნარები წარმოადგენს. ორივე მეცნიერება ეხება ერთსა და იმავე საგანს – შემოქმედ ადამიანს და გონისმიერი ქმნადობის კოორდინაციას. ეკონომიკა და ეთიკა აგრეთვე ითვალისწინებენ სხვა მეცნიერებათა შეხედულებებსაც და ერთიანდებიან რაციონალურ ქმე-დებათა ფართო თეორიის სახით.

ეთიკური საკითხები ეკონომიკაში მჭიდროდაა დაკავ-შირებული კოოპერაციის პრობლემასთან. ტრადიციულ ეკონომიკაში მოიაზრება ობიექტური მოთხოვნილების და რაციონალური კალკულაციის სფერო. ამჟამად კი ეკონომიკურ კვლევებში ჩნდება ეთიკური იმპერატივის შემოტანის აუცილებლობა, და შესაბამისად, იზრდება ინტერესი ეთიკის მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ ეთიკა წარმოადგენს ადამიანის ეკონომიკური პროდუქ-ტიულობის განმსაზღვრელ ფაქტორს, თანამედროვე ეკონომიკა წინა პლანზე წამოწევს კაცობრიობის არ-სებობის ეთიკურ ასპექტებს. პერსპექტივაში ადამიანთა თანამშრომლობა, სოცილურ ურთიერთობათა ერთო-ბლივი შენება და საერთოდ, ეთიკური ფასეულობები ეკონომიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება. ეთიკური ეკონომიკა არ არის უტო-პია. ის არის აქ, ჩვენი ყოფიერების ყველა სფეროში. ის ეპოქალური ეკონომიკური და სოციალური ძვრები, რომელიც იშვა კაპიტალისტური ეკონომიკის წიაღში, უფრო მეტად ჰუმანური ეკონომიკის ფორმირების პრო-ცესზე მიანიშნებს. კაპიტალისტური ეკონომიკისაგან განსხვავებით, რომელიც დაფუძნებულია შრომისა და კაპიტალის დაპირისპირებაზე,პოსტმოდერნული ეკონო-მიკა აუცილებლად იქნება ეთიკური ფასეულობების ეკონომიკა, სადაც შესაძლებელი იქნება ეთიკურად მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთოებების აგება და განვითარება.

ლიტერატურა:

1. Kreikebaum, H., Grundlagen der Unternehmensethik: Stuttgart: Schäffer-Poeschel, 1996, S. 31-32

2. Heeg, A., Ethische Verantwortung In der globalisierten ökonomie: (Kritische Rekonstruktion Der Unternehmensethikansätze von Horst Steinmann, Peter Ulrich, Karl Homann und Josef Wieland): Frankfurt am Main, 2002, S. 28

3. http: //www.capurro.de

4. http://www.via-regia.org

5. Koslowski, P. (mit einem Kommentar von James M. Buchanan): Tübingen: C. B. Mohr (Paul Siebeck), S. 29

6. http://www.via-regia.org

7. http://www.academy-go.ru

8. http://www.garlikov.com

§ 1. 2. ეკონომიკის ეთიკის შესახებ

ამერიკული ბიზნეს-ეთიკის კვალდაკვალ 80-იანი წლების დასაწყისში გერმანულენოვან სივრცეში ჩნდება ახალი მეცნიერული მიმართულება – ეკონომიკის ეთიკა, რომელიც არის ძირითადი ეკონომიკური პრობლემების სოციალურ-ეთიკური საკითხების ანალიზი. ეკონომიკის ეთიკა ეკონომიკისა და ეთიკის კომბინაციაა1. მისი საგანია ეთიკური პრინციპების გამოყენება ეკონომიკურ ქმედებათა სფეროში2. ამგვარ სიტუაციაში ეკონომიკის ეთიკა ეძიებს ეკონომიკურ ქმედებათა თანამედროვე, დასაბუთებულ ფასეულობათა ორიენტირებს, როგორც ცალკეულ ადამიანთა პერსონალურ ცხოვრებაში, ისე ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პოლიტიკაში საზოგადოდ.

ეკონომიკის ეთიკა არის გამოყენებითი ეთიკა. მის ამოცანას წარმოადგენს, პირველ რიგში, იმის გამორკვევა, თუ როგორ უნდა დაექვემდებაროს მორალურ განსჯას როგორც ეკონომიკური აზრი და ქმედება, ისე ეკონომიკის ინსტიტუციონალური წესრიგი; ასევე საუბარია ქმედებათა პროცესში მორალურად რელევანტურ კონკრეტულ რჩევებზე ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სიტუაციებში3. ეკონომიკის ეთიკის ამოცანა ასევე არის არა მხოლოდ ზნეობრივი ქცევების იდეალურ წარმოდგენათა მიზნების აღწერა და დასაბუთება „უვნებელი მსოფლიოსათვის", არამედ წინასწარ მითითება შესაძლო ბუნდოვან და პრობლემატურ, მაგრამ უშუალოდ დაკვირვებად ნორმებზეც4.

ეკონომიკის ეთიკა, როგორც ფილოსოფიის ეთიკის, ისე ეკონომიკურ მეცნიერებათა ნაწილი, დაკავებულია შემდეგი საკითხებით: რამდენად მჭიდროა ეთიკასა და ეკონომიკას, შესაბამისად, ეთიკურ-პრაქტიკულ გონებასა და ეკონომიკურ რაციონალურობას შორის კავშირი დღეს? 5

მიმდინარე მსოფლიო ფინანსურ–ეკონომიკური კატაკლიზმების ფონზე, რომელიც ეკონომიკური ეგოიზმისა და მორალური ფასეულობების გაუთვალისწინე-

ბლობის შედეგია, სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ეკონომიკისა და ეთიკის ურთიერთდამოკიდებულების ასპექტი. ცალსახად მისაღებია ის თეზა, რომ ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ეთიკური ნორმებისა და პრინციპების გამოყენების აუცილებლობა ეკონომიკურ მოქმედებათა სფეროში, ანუ ის სოციალური ღირებულებები, რომლებიც ეფუძნებიან საყოველთად მიღებულ კაცობრიობის ცენტრალურ ფასეულობებს: ჰუმანურობას, სოლიდარობას და პასუხისმგებლობას6.

დღეს ეთიკა და ეკონომიკა, ერთი შეხედვით, იმყოფებიან უმნიშვნელოდ დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებაში. სინამდვილეში მათ შორის არსებობს სერიოზული ღრმა უფსკრული, რომელსაც დიდი ხნით ადრე დაწყებული ეთიკური ეროზია გააჩნია, და საბაზრო ეკონომიკის სწორედ ეს ეთიკური ეროზია იწვევს ეკონომიკის ცენტრალიზაციას, კულტურისა და მატერიალური ფასეულობების წმინდა კომერციალიზაციას, ადამიანური ფაქტორის გავლენის შემცირებას წარმოების პროცესში, ბუნებრივი გარემოს მტაცებლურ ექსპლოატაციას.7

გადავხედავთ რა წარსულს, აღმოვაჩენთ, რომ ეთიკასა და ეკონომიკას შორის დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა იდეათა აქტიური გაცვლა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მეცნიერება ეხება ადამიანთა ქმედებებს და წარმოადგენს ადამიანურ ქმედებათა თეორიას.8

გაცილებით გლობალური ხასიათისაა ეთიკურად ორიენტირებული ეკონომიკის მოთხოვნები და დიმენსიები,რადგან დღეს ჩვენ სულ უფრო მეტად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი „industrial war of life" დაკავშირებულია ბუნებრივი გარემოს პროგრესირებად განადგურებასთან. ამიტომ, შეძლებისდაგვარად საჭიროა ფიქრი და განსჯა ეთიკური პერსპექტივის თვლასაზრისით. ასევე გასათვალისწინებელია ქრონიკულ მასობრივ უმუშევრობასთან და შესაბამისად,ჩვენი საზოგადოების სიღარიბის შემდგომ გაგრძელებასთან მწვავე სოციალური საკითხები. სახეზეა სოციალური დეზინტეგრაცია, საღი აზრისა და სოლიდარობის არარსებობა. თითქმის

უსაზღვრო ინდივიდუალიზმის ან ჯგუფური ეგოიზმის ჩრდილოვანი მხარეები, კორუფციული აფიორები და „ამიგოეკონომიკა" ასახავს „ორგანიზებული უპასუხისმგებლობის" პრობლემებს, რომლებიც ეკოლოგიური, სოციალური, რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური კრიზისის სიმპტომებთან ერთად ქმნის არსებული მდგომარეობიდან გამოუვალობისა და პერსპექტივის უქონლობის სურათს.9

ამ ფონზე შესაძლებელია ფილოსოფოს მანფრედ რიდრელის სიტყვების ციტირება – „ეთიკა, როგორც კრიზისის რეფლექსია"10, რომელიც კავშირშია ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა არსებით დიმენსიასთან: მომავალი თაობებისათვის ბუნებრივი გარემოს მოფრთხილებასთან, თანამედროვეთათვის ღირსეული საყოფაცხოვრებო შესაძლებლობების ფორმირებასთან, სამართლიანი და მშვიდოებიანი ინტერნაციონალური მსოფლიოს შექმნასთან,ბაზრების გლობალიზაციასთან და „ტრანსფორმაციული ეკონომიკებისათვის" თანმდევ რყევებთან და ე.წ. „მესამე სამყაროსთან".11 მაშასადამე, ეთიკით დეტერმინირებული ეკონომიკური მოდელი წარმოადგენს კაცობრიობის ეპოქალურ მოთხოვნასა და საჭიროებას, რაც გულისხმობს რაციონალურ, მეცნიერულ ბაზისზე დაფუძნებული ეკონომიკის ზნეობრივ ფასეულობებზე ორიენტირებას.

მრავალი ეთიკურ-ეკონომიკური პოზიცია დამოკიდებულია ეთიკასა და ეკონომიკას შორის არსებულ ურთიერთობათა მდგომარეობაზე. ეკონომიკის დიდაქტიკოსი პროფ. ბოდო შტაიმანი შეეცადა მათ შორის დამოკიდებულება ჩამოეყალიბებინა მოკლე თეზისების სახით:

- ეკონომიკა – რაციონალურობა, ფასეულობათა თავისუფლება, ობიექტურობა, მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა;
- ეთიკა – არა რაციონალურობა, არამედ ზეეკონომიკური მორალი; არა ფასეულობათა თავისუფლება, არამედ ფასეულობათა სიმტკიცე; და არა მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა, არამედ ადამიანთა სამართლიანობა და ჰუმანურობა12.

როგორ არის დაკავშირებული მორალი და რაციონალურობა? რაციონალურია თუ არა ყოველთვის მორალური? შეიძლება თუ არა ეკონომიკური რაციონალურობის კონცეფციის იმგვარი განვითარება, რომ შენარჩუნდეს დისტინქცია მორალურ ქმედებასა და მაქსიმალურ სარგებლიანობას შორის? ეკონომიკასა და ეთიკას შორის არსებული დამოკიდებულების მართებულად გააზრებისათვის საჭიროა ამ უმთავრესი ფილოსოფიური საკითხების სიღრმისეული წვდომა და ანალიზი.13

ეკონომიკური რაციონალურობისა და ეთიკურ-პრაქტიკული გონების ურთიერთობის პრობლემას უკავშირდება რაციონალობის პრინციპისა და მორალის ასპექტები. რაციონალობის პრინციპი წარმოადგენს ეკონომიკის ქცევათა წანამძღვარს რაციონალური ქცევისა და ინდივიდუალურ ინტერესთა მაქსიმიზაციის homo oeconomicus-ის მოდელში14. რაციონალურობის პრინციპის შინაარსი ეკონომიკასთან მიმართებაში, შესაძლებელია, შემდეგნაირად იქნეს ფორმულირებული: ინდივიდები იძულებითი წესით უკიდურესად ზრდიან შესაძლო სარგებლის ოდენობას და ამ სახით რეაგირებენ მოსალოდნელ რესტრიქციებზე, რომლებიც მათ თავისუფალ მოქმედებებს ზღუდავს. მაშასადამე, მაქსიმიზაციის რაციონალიზმი მდგომარეობს ინდივიდსათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებაში. ამგვარად, ეკონომიკაში რაციონალური ქცევა სარგებლის მაქსიმიზაციის იდენტური ცნებაა.15 რაც შეეხება მორალს, ის წარმოადგენს ნორმების, მაქსიმებისა და პრინციპების კომპლექს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ან უნდა იხელმძღვანელონ აქტიორებმა. იგი გულისხმობს შესაძლო ქმედებათა ნორმების (სტანდარტების) შესრულებას. ყველა ინდივიდისათვის მორალი ნიშნავს არა რეგლამენტირებას, მსხვერპლს ან რაიმეზე უარის თქმას, არამედ მოქმედებათა შესაძლებლობების გაფართოებას, გაზრდილ უსაფრთხოებას, ჰუმანურობის გარანტიას, თავისუფლებისა და ბიოლოგიური გადარჩენის შანსების გაზრდას.

რაციონალურობისა და მორალის საკითხებთან მიმა-

რთებაში წინა პლანზე იწევს რაციონალური არჩევანის თეორია (რათ), რომელიც უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს ქმედებათა ორი პოლუსის შეპირისპირებაში. რათ შესაძლებელია ინტერპრეტირდეს ფართო კონტექსტით. ის განიმარტება გადაწყვეტილების მიღების იმგვარ თეორიად, რომელშიც რაციონალურად მიიჩნევა მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების ალტერნატივებს შორის უპირატესი არჩევანი.16

რაციონალური არჩევანის მოდელი არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ ეთიკაზეც. რათ-ის თავისებურ გამოყენებად მორალის ნორმებთან მიმართებაში გახდა ჯ. როულსის „სამართლიანობის თეორია" 17, რომელიც ადგენს ქმედებათა ორიენტაციას – „სამართლიანობა" უტილიტარული „სარგებლის" ნაცვლად. სამართლიანობის ცნება იმ აზრით, რომელსაც მას როულსი ანიჭებს, ზემოთ აღნიშნული თეორიის ცენტრში იძლევა სუბიექტის მოქმედებათა განსაზღვრელი „პატიოსანი თამაშის" წესების დაყენების შესაძლებლობას.

რაციონალური არჩევანის თეორის ძირითადი სირთულე მდგომარეობს იმ მიზანმიმართული მოქმედების ახსნაში, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური სინთეზის, ანუ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის ქმედებათა გაცნობიერებულ პასუხისმგებლობასა და სოციო-ეკონომიკურ წესრიგს შორის კონვერგენციის შეუძლებლობასთან.18

რათ იძულებულია გამოვიდეს ან ინდივიდის საკუთარი „სიამოვნების" მაქსიმიზირების კონცეფციიდან და ახსნას „უხილავი ხელით" სოციალური წესრიგის ფორმირების მექანიზმი, ან თავის საფუძვლად მიიღოს სოციალური ნორმები და ინსტიტუტები იმ წანამძღვრით, რომ დადგენილი წესის ფარგლებიდან გამოსული ნებისმიერი ქმედება არარაციონალურია. 19

რობერტ რაისის მიხედვით ეკონომიკის ეთიკის, როგორც მეცნიერების უმთავრეს თემას, თავად ეკონომიკური აზრი წარმოადგენს. „ეკონომიკური რაციონალურობის იქით არ არსებობს არავითარი გონისმიერი

ეკონომიკის ეთიკა და ეკონომიკური რაციონალურობა – პრაქტიკული ეთიკური გონების მიღმა”20.

მაშასადამე, ეკონომიკის ეთიკის გააზრება ორგვარია. პირველი, – ეკონომიკის ეთიკა გაგებული როგორც „ბიზნესეთიკა” წარმოადგენს ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის ქმედებათა მორალურ სფეროს, სადაც მორალური ვალდებულებები განსაზღვრავს აქტიორთა ზნეობრივად დასაშვებ ქმედებათა ზღვარს. მეორე, – ეკონომიკის ეთიკა არის „სოციალური ეთიკის” სივრცის ნაწილი, რომლის ამოცანას ჰუმანური თვალსაზრისით, სასურველი ეკონომიკური წესრიგისა და ეკონომიკური მოდელის მონახაზი წარმოადგენს. ეკონომიკის ეთიკას ძალუძს ორივე ამ მხარესთან მიმართებაში წამოჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების რომელი ზნეობრივი ვალდებულებებია შესაფერისი იმისათვის, რათა ეკონომიკის სასურველი მდგომარეობა იქნას უზრუნველყოფილი. აქ პრობლემაა არა ცნობილი და აღიარებული, დასაშვები ზნეობრივი ნორმების „შიშველი” გამოყენება კონკრეტულ გარემოებებში, და არა მხოლოდ სახელმწიფო მოქმედებათათვის საჭირო საორიენტაციო მასშტაბების დადგენა, არამედ საერთო ეკონომიკური კეთილდღეობისათვის სასურველი მდგომარეობიდან ცალკეულ ქმედებათა ზნეობრივი ნორმირება.21

ლიტერატურა:

1. On the economic life of the moral dimension - from the traditional view of economic ethics of justice and interests., http://eng.hi138.com/?160542

2. Karl Homann., Wirtschaftsethik. In: Lexikon der Wirtschaftsethik, hrg. v. Georger Enderle/Karl Homann/Martin Haneker/Walter Kerber/Horst Steinmann. Herder, Freiburg/Basel/Wien, 1993, S. 1287

3. Hans G. Nutzinger (Hrsg.), Wortschaft und Ethik., Wiesbaden, 1991, S. 21.

4. Reis, N.: Die Kirche und ihre Sozialverkündingung. In: Branahl, M., Reis, N.: Kirche und Wirtschaft. Beitrage zur Aus-

gestaltung der Gesellschaft., Köln, 1991, S. 243.

5. Moralität und ökonomische Rationalität – Integrative Wirtschaftsethik als Vernunftethik des Wirtschaftens, http://www.grin.com/e-book/66951/moralitaetund - oekonomische - rationalitaet-integr...

6. იხ.წყარო 2, გვ.1287

7. Kruber, K.-P. ., Der „systemathische Ort" für die Ethik in der Marktwirtschaft – ein Problem für die ökonomische Bildung., Bergisch – Gladbach, 1996, S. 39

8. Wirtschaftschaftschhik – Wikipedia., de. wikipedia. org/wiki/Wirtschaftsethik

9. Ulrich, P., Maak, T., Ethik in Wirtschaft und Gesellschaft – Eine systematische Einführung für Lehrkäfte., Aarau , 1996, S. 9.

10. Riedel, M. Norm und Werturteil., Stuttgart, 1979 S. 8.

11. Prof. Dr. habil. Bernd O. Weitz, Ethik und Wirtschaft?! - Ein Beitrag aus wirtschaftsdidaktischer Sicht-., Köln, Beitrag #1, 2005, S. 17.

12. Deutsche Gesellschaft für Ökonomische Bildung - Tagungsband., Bergisch Gladbach, Bodo Steinmann: Ethsche Orientierung in der Ökonomie., S. 22.

13. Daniel M. Hausman and Michael S. Mcpherson, Economic analysis and moral philosophy, Cambridge University Press, 1996, P. 25-26

14. Ökonomische Rationalität: Grundfrage eine interdisziplinären Wirtschaftsethik? Von Elke Mack., Berlin, 1994, S. 31

15. იქვე გვ. 34

16. Gaefgen G. Theorie der wistschaftlichen Entscheidung, Tübingen, 1975., S. 42.

17. Rawls J. Theory of justice. Cambridge: Cambridge University Press, 1971

18. Ulrich, P. Integrative Wirtschaftsethik, 2. Auflage, Verlag Haupt, 1998, S. 285

19. Швери Р., Теория Рационального Выбора: Аналитический Обзор, www. socjournal.ru/article/149

20. იხ. წყარო 4 გვ. 23

21. Wirtschaftswissenschaft und Ethik: Herausgegeben von Helmut Hesse., Berlin, 1988, S. 241-242.

§1.3. ბაზრის საკითხები ეთიკურ კონტექსტში

არსებობს მოსაზრება, რომ ბაზრის კოორდინაცია და ფასთა სისტემის წონასწორობის პროცესი ეთიკას არ საჭიროებს, არამედ იგი წარიმართება ეკონომიკური ოპტიმუმებით ანუ ხელსაყრელი პირობების ერთობლიობით. საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკის ეთიკის შესაძლებლობა უარყოფილ იქნა იმ არგუმენტით, რომ სუბიექტებისათვის ეკონომიკური მოთხოვნებისა და მაქსიმებისათვის საჭირო გადაწყვეტილებათა მიღების სამოქმედო სივრცე, მხოლოდ მის ან მათ მიერ მონოპოლიზირებულ ან ოლიგოპოლიზირებულ ბაზრებზე არსებობს, მაგრამ არა სრული კონკურენციის პირობებში. ნამდვილ კონკურენტულ ბაზარზე მოქმედ პირს ანუ მოთამაშეს არ გააჩნია მოქმედების თავისუფლება ეთიკური განსჯისათვის, მაგრამ ის ასევე არ საჭიროებს ეთიკის მოთხოვნილებას, რადგან კონკურენციული წნეხი მას აიძულებს ეკონომიკურად გამართლებულ ქცევას, რაც საყოველთაო წონასწორობის, ასევე ეთიკურად სწორად მოქმედების იდენტურია. სწორი ქმედება მდგომარეობს მხოლოდ მოთამაშის გადაწყვეტილებათა ცვალებადობის შეთანაზომებაში მოცემულ საბაზრო პირობებთან, მასის ოპტიმიზაციის მოცემულ საბაზრო ფასთან და წარმოების გაფართოებაში საბაზრო ფასისა და ზღვრული ხარჯების თანატოლობამდე.

ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული განსაზღვრება მექანიკისა და წონასწორობის თეორიების ანალოგიურობის თაობაზე, საიდანაც გამომდინარეობს მოსაზრება კონკურენტულ ბაზარზე კონკურენციის ავტომატურობის შესახებ და მასზე დაფუძნებული რწმენა, რომ კონკურენცია ეკონომიკის ეთიკას ხდის ზედმეტს, გამოიხატება ორ ვარიანტში: 1) ეკონომიკის ეთიკას მიიჩნევს ზედმეტად, მაგრამ არა საზიანოდ; 2) ეკონომიკის ეთიკას მიიჩნევს როგორც ზედმეტად, ისე

საზიანოდ. შესაბამისად საზიანოდ ეკონომიკური ეფექ-ტიანობისათვის.

რწმენა კონკურენციული მექანიზმის შესახებ, თითქოს ის ისე „კარგად“ ფუნქციონირებს, რომ ეკონომიკის ეთიკა ხდება ზედმეტი, არის სციენტისტური* ილუზია, სუგესცია,** რომელიც გამომდინარეობს „საყოველთაო წონასწორობის“ მექანიკური ანალოგიიდან. სინამდ-ვილეში, ბაზარზე მოქმედი სუბიექტები არც მობილის ელემენტებია, რომლებიც განსაკუთრებული ბიძგის შემდეგ კვლავ წონასწორობის საწყის მდგომარეობას უბრუნდებიან, არც საბაზრო ძალთა ძაფზე მიმაგრე-ბული მარიონეტები. ისინი უფრო მეტად რაციონალუ-რად მოქმედი სულიერი არსებებია, რომლებშიც მიზნი-სკენ სწრაფვა და კონტროლი მის განხორციელებაზე იმყოფებიან ეთიკური ეკონომიკის იმპერატივებისა და კულტურულ ფასეულობათა გვერდით.

ბაზრისა და თავისუფალი გაცვლის განსაკუთრებუ-ლი მორალურობა არ შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ ბაზარი ეთიკას არ საჭიროებს. ეკონომიკის კულ-ტურული სფეროს ეს საოცარი სისტემური გარდაქმნა და ეკონომიკურ მოქმედებათა გარდასახვა მათემატი-კური მაქსიმიზაციის ამოცანის შიშველ ამოხსნაში, რომელთანაც მოცემულია პარამეტრების მნიშვნელობა, არის სწორედ მცდარი გადასვლა სხვა სახეობაში, რო-გორც ეთიკის ინვერსია ეკონომიკის მოქმედების სფერ-ოში შიშველი ეკონომიზაციისათვის.

რაც კონკურენტულ ბაზარს განასხვავებს კოორდი-ნაციის სხვა ფორმებისაგან არის ის, რომ იგი უშვებს ინდივიდუალური მიზნის განხორციელებას და ითვალ-ისწინებს ეკონომიკურ და ეთიკურ ღირებულებათა დიალექტიკას და რომ მისი ფუნქციონირება ინდივიდუ-ალურ ქმედებებში არ განისაზღვრება შიშველი ეკონო-

* სციენტისტური [ლათ. scientia=ცოდნა, მეცნიერება; იხ. de.wikipedia.org/wiki/Szientimus] სციენტიზმზე დაფუძნებული, მეც-ნიერული., www.enziklo.de/Begriff/szientistisch.

** სუგესცია [ლათ. sugescio=დამატება, შევსება] გავლენა., www.ziele-finden.com/was-ist-suggesthion.html

მიზაციით, მოგების მაქსიმიზაციით.3

დღეს უკვე საკმაოდ ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ერთი ბაზრის უხილავი ხელი სრულიად არასაკმარისია ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციისათვის. უფრო და უფრო ხშირად განიხილება საკითხი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის სფეროში აუცილებელია ეთიკურ საწყისთან დაბრუნება. ეთიკური ნორმების გარეშე ეკონომიკურ ცხოვრებაში საკმაოდ იზრდება ტრანსაქციური ხარჯები ხელშეკრულებათა შესრულებისას, რომელთა აუცილებლობაზე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში მკაფიოდ მიუთითებს ცნობილი თანამედროვე ამერიკელი სწავლული ფ. ფუკოიამა. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ნდობის ხარისხზე კონკურენციის პირობებში. მისი აზრით, სწორედ დღეს ეკონომიკური სუბიექტების უზარმაზარი რაოდენობა იძულებულია ააგოს ე.წ. „ნდობის ქსელი“, რაც ასე საჭიროა წარმატებული კონკურენციული ბრძოლისათვის. მეორე მხრივ, ზოგიერთი ეკონომისტი ეკონომიკაში ეთიკურ საწყისებთან დაბრუნების აუცილებლობას ხსნის იმით, რომ მსოფლიოში დადგა პოსტმოდერნი და რომ ამ ფაზას უნდა შეესაბამებოდეს თავისი ტიპის ეკონომიკა. ასე მაგალითად, ცნობილი დასავლელი სწავლულ-ეკონომისტი პ. კოზლოვსკი თვლის, რომ პოსტმოდერნის ეკონომიკური მეცნიერება არის ეთიკური ეკონომიკა.

უხილავი ხელის მოდელი მხოლოდ სამი შეზღუდული პირობების ქვეშ არის მოქმედი: 1) უხილავი ხელი ხელმძღვანელობს წმინდა ეგოისტური მოტივებით ოპტიმუმების მიუხედავად, როდესაც მიმწოდებელთა და მომხმარელთა რიცხვი ძალიან დიდია, 2) როცა ყველა ადაპტაცია ხდება ხარჯებისა და დროითი დანაკარგების გარეშე, 3) როცა ხელშეკრულებითი შეთანხმებები ხარჯების გარეშე ე.ი. ტრანსაქციული ხარჯების გარეშე ნარჩუნდება და ხორციელდება. მხოლოდ მაშინ, როცა ეს პირობები შესრულებულია, ეგოისტური მისწრაფებანი ბაზრის უხილავი ხელით გადაიქცევა სოციალურად ხელსაყრელ საბაზრო შედეგში. მხოლოდ

ამ პირობებით ხდება ეთიკა და ეთიკური ურთიერთობები ზედმეტი ბაზარზე, რადგან საზოგადოებრივი კოორდინაცია და საერთო სიკეთე ასევე იწარმოება ეთიკის მოთხოვნილების გარეშე.

სრული კონკურენციის პირობები და ხარჯებისაგან თავისუფალი ხელშეკრულებითი ვალდებულებების დაცვა მაინც რჩება იდეალურ პირობად, სიტუაციად, რომელიც საბაზრო ეკონომიკის სინამდვილეში მიუღწევადია. ბაზარი არ არის იდეალური მექანიზმი, რომელიც საყოველთაო წონასწორობის ნეოკლასიკურ თეორიას დაეყრდნობა, არამედ ის არის მოქმედი და გონიერი ინდივიდების ინტერაქციული ურთიერთობები. ამ გაცვლით ურთიერთობებში ეკონომიკის ეთიკა რჩება საჭირო, ეთიკა როგორც სიკეთის სურვილი და მოქმედების წესი.

ეთიკის ეკონომიკური მნიშვნელობა ბაზარზე აისახება პარტნიორთა ნდობის საკითხში. მაგ.: ხელშეკრულების გასვლისას ხარჯების დაწევის თაობაზე; ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაში; მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის არსებულ არათანაბარ ცოდნაში; ბაზარზე არსებული მიმწოდებლების და მოთხოვნის პოზიციას შორის არსებულ ცალსახოვნებაში. ეთიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ვლინდება კანონის დაცვაში, ნდობაში, სანდოობაში, ერთგულებასა და რწმენაში (ეთიკური ურთიერთობები) ერთის მხრივ და ტრანსაქციული ხარჯების შემცირებაში (ეკონომიკური ურთიერთობები) მეორეს მხრივ.

აქ ჩნდება ეთიკური ეკონომიკის დილემა, დილემა ეკონომიკისა და ეთიკის დამოკიდებულებაში. ეკონომიკაში ადამიანთა უპიროვნობა და მრავალრიცხოვნება სასარგებლოა, ხოლო ეთიკაში – ხელის შემშლელი. საზოგადოება რაც უფრო დიდია და უპიროვნო, მით უფრო ძლიერია სტიმული ცალკეულთათვის სხვათა ხარჯზე და მრავალრიცხოვნობის ანონიმურობაში კანონის დარღვევის და პირიქით, მით უფრო დიდია საბაზრო კონკურენციის და ფასის მართვის ეფექტიანობა და

შესაბამისად, მეურნეობის ეფექტიანობაც.

ეკონომიკისა და ეთიკის ურთიერთდამოკიდებულების კონცეპტუალურ საკითხს წარმოადგენს ეთიკურ ფასეულობათა არსებობის სირთულე, ზოგადად თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში, კონკრეტულად კი ეკონომიკის საკვანძო წერტილში – ბაზარზე.4

იქიდან გამომდინარე, რომ ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდაპირისპირებულობაში საბაზრო ეკონომიკა განიხილება და მიიჩნევა ეგოიზმის, მოგებისაკენ ლტოლვის, კონკურენციის, უმუშევრობის, გარესამყაროს განადგურების და ა.შ. ადგილად, საიდანაც ეთიკა გამოდევნილია, ამიტომ ეთიკური ეკონომიკის ჭრილში უმთავრესი საკითხი ხდება ის, თუ რომელი მორალური ნორმები და ფასეულობები შეიძლება იქნეს მიჩნეული მნიშვნელოვნად საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საჭიროა, რომ თავდაპირველად გადაიჭრას ეთიკური საკითხები ეკონომიკური განვითარების საერთო მიზნისათვის წამყვანი ეკონომიკური ფასეულობების შეთანაზომებით ისეთ კატეგორიებთან, რომლებიც წარმოადგენენ ეთიკურ კრიტერიუმებს, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა, თავისუფლება და პასუხისმგებლობა.

ლიტერატურა:

1. http://www.mce.biophys.msu.ru
2. http://www.economicus.ru
3. Koslowski, P., Prinzipien der Ethischen Ökonomie, Tübingen, 1988, S. 214-215
4. Homann, K., Blome-Drees, F., Wirtschafts – und Unternehmensethik, Götingen, 1992, S. 50

§1.4. ეკონომიკური ანთროპოლოგიის ეთიკური და პოლიტიკური ასპექტები

დასავლეთში დიდი ხნის წინ დაწყებული ეკონომიკის ეთიკასთან და პოლიტიკასთან დამოკიდებულების დებატები კონცენტრირდება ეკონომიკური ანთროპოლოგიის ხედვასთან და ცალკეული პიროვნების მოქმედების მოტივაციასთან. ეკონომიკურ აქტიორთა თვით-ინტერესის ანუ ეგოიზმის იდეის საყოველთაო კრიტიკა მიანიშნებს, რომ ადამიანი არის და უნდა იყოს არა სარგებლიანობის ეგოისტური მაქსიმიზატორი, არამედ იგი ეკუთვნის საზოგადოებას და სოციალურ კულტურებს, საიდანაც საერთო სიკეთისადმი დამოკიდებულება არ შეიძლება გამოირიცხებოდეს ეკონომიკურ მოქმედებათა მოტივაციების გააზრებისაგან.1 უფრო მეტიც, ეკონომიკურ ქცევათა იდეალური სიტუაციების ნეოკლასიკური დაშვებები და ვარაუდები ძალზედ დაცილებულია ამგვარი მოქმედებების პირობათაგან, ეკონომიკური ცხოვრების კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში.

ეკონომიკური ქცევების ფართო ეთიკური საფუძვლების არგუმენტები ადასტურებს, რომ ეკონომიკური ანთროპოლოგია ხასიათდება ეგოიზმსა და ალტრუიზმს შორის არსებული დაძაბულობით. ე.წ. კომუნიტარიანული თეორიის ავტორები ამტკიცებენ, რომ კეთილგონივრული ეკონომიკური ქმედება გულისხმობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობასა და მათზე ზრუნავს.2 მაშასადამე, ეგოიზმი არასოდეს არის მოტივაცია მხოლოდ ეკონომიკისათვის. ეკონომიკური ქცევების შესახებ ამგვარი სოციალური ხედვის საპირწონედ, მეცნიერ-ეკონომისტთა ნაწილი, პროფ. გარი ბეკერის მსგავსად იცავენ ალტრუიზმს, როგორც მაქსიმიზაციის ინდივიდუალური სარგებლიანობის მოწინავე ფორმას. ბეკერი ავითარებს ე.წ. „საბრალო ბავშვის თეორემას“ და აცხადებს, რომ ადამიანები ალტრუისტულად მო-

ქმედებენ იმისთვის, რათა სრულყონ და გააუმჯობე-სონ საკუთარი ეგოიზმი, მსგავსად ბავშვისა, რომელიც იქცევა კარგად იმისათვის, რომ მიიღოს დიდი ჯილდო მშობლებისაგან.3 ამ თვალსაზრისით, კოოპერაციისა და სიმპათიის სტრატეგიები არის მხოლოდ თვით-ინ-ტერესის მოწინავე ფორმები, მაღიარებელი სიმართლის თქმის, პირობის შესრულების და კონტრაქტის დაცვის მნიშვნელობისა მომავალი კოლაბორაციისათვის და ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლისათვის. ეს არგუმენ-ტი სრულად იქნა განვითარებული პროფ. აქსელროდის მიერ, რომელიც თავის წიგნში „კოოპერაციის ევოლუ-ცია“ ამტკიცებდა, რომ კოოპერაციული ქცევა შეი-ძლება დაეფუძნოს სარგებლიანობის ინდივიდუალურ მაქსიმიზაციას, რადგან კოოპერაციული სტრატეგიები გრძელვადიან პერსპექტივაში ინდივიდებისათვის უფრო მეტად იქნება სარგებლობის მომტანი, ვიდრე ოპორტუნ-ისტული სტრატეგიები. 4

როდესაც ჯონ როულსი საწყის წერტილს იღებს თვითინტერესიდან და რაციონალურ თეორიას ათა-ვსებს უნივერსალური ნორმების კანტისეული კონ-სტრუქციის ფარგლებში, თავის ცნობილ წიგნში „სამართლიანობის თეორია“, „უმეცრების საფარველის“ განხილვისას ის, შეიძლება ითქვას, აყალიბებს ეკონო-მიკის რაციონალურ საფუძველს ეთიკასა და პოლი-ტიკას შორის.5„უმეცრების საფარველში“ ის გულისხ-მობს იმგვარ მდგომარეობას, როდესაც ინდივიდებს არ აქვთ განსაზღვრული საკუთარი პერსონალური პოზ-იციები მომავალ საზოგადოებაში და მაშასადამე გაც-ილებით უფრო რაციონალურია სამართლიანობის იმ ერთგვარი ძირითადი პირობების არჩევა, რომლებიც მისაღები იქნება ყველასათვის მომავალ საზოგა-დოებაში. ამ კონსტრუქციაში როულსი არ უარყოფს პიროვნების რაციონალურ არჩევანს, ისევე როგორც არ მიიჩნევს მას რაციონალური მოქმედების ერთადერთ საფუძვლად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კან-ტიანურ კონსტრუქტივიზმს არ ძალუძს გამორიცხოს სამართლიანობისათვის ზრუნვა პოლიტიკურ საზოგა-

დოებასა და საერთო სიკეთეში, მაშინ როდესაც როულსი ამტკიცებს, რომ პიროვნებები ვალდებულნი არიან „უმეცრების საფარქვეშ“ აირჩიონ სამართლიანობის პრინციპები მომავალი საზოგადოებისათვის, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველასათვის.6 გარდა ამისა, საზოგადოების ეს კონცეპტი უშვებს თვით ადამიანის ფართო კონცეფციას, ვიდრე კონცეფცია, რომელიც ნეოკლასიკური ეკონომიკის მიერაა შემოთავაზებული. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოლიტიკური რაციონალურობა ნიშნავს სოციალურ ურთიერთობასა და ვალდებულებას ერთიან პოლიტიკურ საზოგადოებასა თუ სივრცეში. ამ კონტექსტით ბეკერისა და აქსელროდის კონცეპტები ანგარიშს არ უწევს იმას, რასაც ალტრუიზმი სინამდვილეში წარმოადგენს. ისინი ალტრუიზმს განიხილავენ განვითარებული ეგოიზმის თვალსაზრისით.

ლევინასი ცდილობს განავრცოს ჯ. როულსის სამართლიანობის ეთიკური საფუძვლები პოლიტიკურ საზოგადოებაში. იგი გვთავაზობს ერთი ადამიანის მეორე ადამიანთან შეხვედრის ფენომენოლოგიას, როგორც ადამიანური მოტივაციის საფუძველს7, და რაშიც ვლინდება ზნეობის უმაღლესი კატეგორიების, პასუხისმგებლობისა და თავგანწირვის უსაზღვრო მოთხოვნილება. პიროვნებათა შორის ამგვარი დამოკიდებულება არის სოციალური ურთიერთობების საფუძველი, რომელიც არ უნდა განისაზღვროს, როგორც „ალტერ ეგო“-ს დამოკიდებულება, არამედ მისგან ფუნდამენტურად განსხვავებული რამ. ლევინასის ხედვით, ფუნდამენტური პატივისცემა სხვების მიმართ არის ეთიკური ურთიერთობების საფუძველი და ეს დამოკიდებულება წინ უძღვის ეკონომიკურ ურთიერთობათა ეგოისტურ გაცვლით ურთიერთობებს.

იმისათვის, რომ ადგილი მიეჩინოს ეკონომიკას ეთიკასა და პოლიტიკას შორის, ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ეკონომიკური ანთროპოლოგის ჩვენეული ხედვა. „ეკონომიკური ადამიანის“ ტრადიციული ხედვა სცილდება ჯონ როულსის კანტიანური კონსტრუქტივ-

იზმის ჩარჩოებს,რომელიც წარმოდგენილია ეგოისტური- და იზოლირებული ლიბერალი ინდივიდის საზოგადოებრივი კრიტიკით, ინდივიდის, რომელიც ეძიებს საერთო სიკეთეს სხვა ადამიანებთა შორის საზოგადოებაში. პოლიტიკური პერსპექტივა მხარდაჭერილია ლევინასის ეთიკური ანთროპოლოგიით, რომელიც ეკონომიკურ მოქმედებას განიხილავს მეორეხარისხოვნად ფუნდამენტურ ჰუმანურ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, როგორც ჰუმანურ მოქმედებათა ფარული განზრახვების გამომჟღავნებას. ეს განზრახვები ნიშნავს, რომ ეკონომიკური მოქმედება დანერგილია ფართო სოციალურ სტრუქტურაში და შეუძლებელია ეკონომიკური რაციონალურობის ეთიკური და პოლიტიკური რაციონალურობისაგან განცალკევება.

პოლიტიკური სამართლიანობის ეს პერსპექტივა საზოგადოებაში და ეთიკური საზრუნავი ადამიანისთვის, როგორც პიროვნების არსებობის ყველაზე უფრო ფუნდამენტური პირობა, უნდა ასახავდეს იდეას, რომელიც ეკონომიკას წარმოაჩენს, როგორც პოლიტიკასა და ეთიკაზე დამოკიდებულს. ეკონომიკის ონტოლოგია შეუძლებელია გაგებულ იქნას, როგორც სრული და ყოვლისმომცველი, მიუხედავად ამისა, ეკონომიკური რაციონალურობა არის მეორეხარისხოვანი პოლიტიკურ და ეთიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება უნდა ხასიათდებოდეს გარე რესტრიქციებით პოლიტიკური სამართლიანობის წესებში და ეთიკური პრინციპებით, რომლებიც დაეფუძნება ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ეკონომიკური საფუძველი წარმოდგენილია უნივერსალური მორალური წესების, ეთიკური იდეების, სამართლიანობის ძიებით პოლიტიკურ ერთობასა და კეთილდღეობაში.

ლევინასის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის პასუხისმგებლობა აპირობებს ეკონომიკური მოქმედების ლეგიტიმურობას. გარდა ამისა, პოლიტიკური ერთობის იდეალთაგან მიმოხილული პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ფარული

ურთიერთობა სხვასთან, არამედ დროსა და სივრცეში ის ასევე უნდა იყოს განვრცობილი, როგორც საზოგადოების ერთი მთლიანობა. ეს გახლავთ გერმანელი ფილოსოფოსის ჰანს იონასის არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს, რომ პასუხისმგებლობა შეეხება არა მხოლოდ ახლანდელ ადამიანურ მოქმედებას, ჰუმანურ აქტივობებს, არამედ ის გლობალურად, ყოვლისმომცველად უნდა იქნეს განვრცობილი დროსა და სივრცეში და მოიცავდეს კაცობრიობის მომავალსაც8.

ეთიკისა და პოლიტიკის ამგვარი ინტეგრაცია ეკონომიკურ რაციონალურობაში არ არის ფასის გარეშე, რადგან ძირითადი ეკონომიკური აზრი განიხილება როგორც რელატიური ეთიკურ პრინციპებთან.9 ეფექტიანობის, უტილიტარობის, წარმოების, მოთხოვნის, მოხმარების, საქონლისა და საკუთრების დაგროვების ცნებები მიიჩნევა არა მხოლოდ შინაგან, არამედ ძალაში მყოფ ფასეულობებად იქამდე, ვიდრე ისინი არ არღვევენ ძირითად ეთიკურ პრინციპებს და ვიდრე შესწევთ უნარი წვლილი შეიტანონ პოლიტიკური ერთობის საერთო სიკეთეში. ეკონომიკურ მოქმედებათა ეთიკური და პოლიტიკური ლიმიტაციები გვთავაზობს წესებისა და უფლებების სისტემას, როგორც ეკონომიკური მოქმედების სოციალური რეგულაციის საფუძველს.

ჩვენ შეგვიძლია მხარდაჭერაც კი ვპოვოთ ეკონომიკურ მოქმედებათა ამგვარი კრიტიკული შეზღუდვების მხრივ ინსტიტუციონალისტური კონცეფციის ფარგლებში, რაც ეჭქვეშ აყენებს ნეოკლასიკური ეკონომიკური აზრის რამოდენიმე ცენტრალურ პრინციპს.10 კერძოდ, ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ბიჰევიერისტული პარადიგმა სვამს კითხვას ეკონომიკური რაციონალურობის ნეოკლასიკური კონცეპტის სანდოობის შესახებ. ორგანიზაციის თეორიის ეს მიდგომები ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ადამიანის იდეალი, როგორც რაციონალური, ეგოისტი მაქსიმიზატორი აქტიორი, არ შეესაბამება კორპორაციული მოქმედებისა თუ ფირმის იდეის რეალობას. სიმონი და მერჩი 1958 წელს აცხადებდნენ, რომ მოგების მაქსიმიზაციის კონცეპტით შეუძლებელია

აიხსნას თუ როგორ იმოქმედებენ ინდივიდები ყოველ-
დღიურ ეკონომიკურ ყოფაში. მათი აზრით ეკონომი-
კური აქტიორები არიან არა რაციონალურნი საკუთარ
ქმედებებში, არამედ მათი მოქმედება დამოკიდებულია
ბევრ სხვადასხვა პირთა ინტერესებზე, უპირატესობებსა
და საკუთრების უფლებებზე. ფირმა არ წარმოადგენს
წარმოების რაციონალურ იერარქიულ მანქანას, არამედ
ის განხილული უნდა იქნეს, როგორც ინტერაქციულ
ინდივიდთა ღია პოლიტიკური სისტემა კომპლექსურ
გარემოში. 11

ეკონომიკური მოქმედების ამ ხედვას უსათუოდ როდი
შემოაქვს ეთიკასა და პოლიტიკაში ეკონომიკის საფუძ-
ვლების ნორმატიული თეორია, არამედ ის გულისხმობს,
რომ ეკონომიკური სისტემები შეუძლებელია განხი-
ლულ იქნას, როგორც რაციონალურობის ეფექტიანო-
ბის დახურული სისტემები. ორგანიზაცია გაცილებით
უფრო რთული ინსტიტუციაა, რადგან ის წარმოადგენს
სოციალურ სისტემას ორმხრივად ურთიერთდამოკიდე-
ბულ აქტიორებთან მიმართებაში რომლებიც მოქმედე-
ბენ ორგანიზაციის მიზნების თანახმად მოტივაციის
სტრუქტურის საფუძველზე.

ორგანიზაციების, როგორც „პოლიტიკური კოალი-
ციების“ მხედველობაში მიღებით მერჩმა და კიერტმა
1962 წელს განავითარეს ეკონომიკური ბაზრების და
ფირმების, როგორც „შავი ყუთების“ ნეოკლასიკური
კონცეფციის კრიტიკა, განსაზღვრული სრულყოფილი
ეკონომიკური რაციონალურობით,12 რომელთა აზრით
ფირმაში არსებულ არასრულყოფილ ცოდნასა და აშკა-
რა სირთულეებზე აქცენტირება, ორგანიზაციებს სრუ-
ლად ამყოფებს წინააღმდეგობაში რაციონალურ სისტე-
მებთან, როგორც ადაპტურ რაციონალურ სისტემებთან,
სადაც იდეალური ეკონომიკური რაციონალურობა გა-
ნიხილება განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებსა და
გადაწყვეტილების მიღების მასშტაბებზე დამოკიდებუ-
ლად.

ორგანიზაციული თეორიის ეს ხედვა მოგვიანებით
აღწერილი იქნა ჰერბერტ სიმონის მიერ „პროცედუ-

რული რაციონალურობის“ სახით, რომელიც ფაქტიური გადაწყვეტილების მიღებას მიიჩნევდა „დასაზღვრულ რაციონალურობაზე“ დამოკიდებულად, იმ აზრით რომ ალტერნატივები არის შეზღუდული,აბსოლუტური ცოდნა ზოგადად და პიროვნების მომავალ პრეფერენციებზე კონკრეტულად – შეუძლებელი13. ჯეიმს მერჩი ამტკიცებს, რომ ნეოკლასიკური „შედეგის ლოგიკა“ უნდა შეიცვალოს „მიზანშეწონილობის ლოგიკით“, როგორც ეკონომიკური მოქმედების წინაპირობა. დასაზღვრული რაციონალურობა ნიშნავს, რომ შეუძლებელია ფუნქციონირება ეკონომიკის ეგზოგენური და ინდიგენური ასპექტების მკაცრი სეპარაციისას. შიდა ეკონომიკური რაციონალურობა გავლენას განიცდის გარე სოციალური ფასეულობებითა და პირობებით.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ორგანიზაციის თეორიის ევოლუცია მხარს უჭერს ეკონომიკური რაციონალურობის გარე ეთიკურ და პოლიტიკურ შეზღუდვათა იდეას. როცა სიმონი ამტკიცებს,რომ ნეოკლასიკური ეკონომიკური რაციონალურობის სუბსტანცია იცვლება „ორგანიზაციებში პროცედურული რაციონალურობით“,როგორც „ადაპტური,პოლიტიკური კოალიციები“, ეს აჩვენებს თუ როგორ არ შეუძლია ეთიკასა და სხვა ფასეულობებს ვიდრე ეკონომიკურ ფასეულობებს, ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღების გავლენის თავიდან აცილება. ამგვარად, ორგანიზაციული თეორია და ინსტიტუციონალისტური პარადიგმა ეკონომიკაში დესკრიფციული არგუმენტების შეთავაზებით ხელს უწყობს ეთიკასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო ურთიერთობის არსებობას.14 ამ აზრით, ეკონომიკური სტაბილურობა და კონკურენტული წონასწორობა დამოკიდებულია ინსტიტუციებსა და ინსტიტუციონალურ ზომებზე. ეს ზომები არ შეიძლება გამორიცხავდეს ეთიკურ ფასეულობებსა და პოლიტიკურ საფუძვლებს,რომლებიც პოლიტიკური კოალიციის ფორმით ხდებიან დასაზღვრული და პროცედუალური რაციონალურობის ნაწილი ფირმებში.

ლიტერატურა:

1. Fràncois-Regis Mahieu,Ethique economique, fondements anthropologiques, Paris, 2001, p. 299

2. Amartya Etizioni, The Moral Dimension. Towards a New Economics, New York: Collier Macmillan, 1988.

3. იხ.წყარო 1. p.164

4. Axelrod, R. The Evolution of Cooperation, New York: Basic Books, 1984.

5. John Rawls, A Theory of Justice, Cambridge, MA: Oxford University Press, 1971.

6. Michael Sandel, Liberalism and the Limits of Justice, Cambridge, MA: Oxford University Press, 1982.

7. Emmanuel Lévinas, Totalite et infini, Essai sur lexteriorite, martinus nijhoff publishers: The Hague, The Netherlands. 1961

8. Hans Jonas, Das Prinzip Verantwortung, Frankfurt am Main: Insel Verlag. 1979

9. იხ.წყარო 1, p. 168

10. Walter W. Powell and Paul J. DiMaggio, The New Institutionalism in Organizational Analisis, Chicago, IL: The University of Chicago Press. 1991

11. March, J.G. and Simon, H.A., Organizations. New York: Wiley. 1958, p.118

12. Cyert, R.B. and March, J.G., A Behavioral Theory of the Firm. Prentice-Hall International Series in Management and Behavioral Sciences in Business Series. Englewood Gliffs, NS: prentice-Hall. New Jersey, 1963, p. 124.

13. Herbert Simon, Organizations and Markets, Journal of Public Administration Research and Theory Published by: Oxford UniversityPress: J-PART, Vol.5. No.3 (Jul, 1995), pp.159, 273-294.

14. Powell and DiMaggio, The New Institutionalism in Organizational Analysis, University of Chicago Press, 1991.

თავი 2. ზნეობრივ ფასეულობათა ეთიკური გააზრება

§ 2.1. სამართლიანობა

სამართლიანობა არის ძირითადი ზნეობრივი ფასეულობა. იგი წარმოადგენს უნივერსალურ პრინციპთა კრებულს.1 სამართლიანობა არის არა ზუსტი მათემატიკური საზომი, არამედ მოქმედებათა მიზნის მიმართულების მიმცემი.2 სამართლიანობის ცნების დიფერენცირება ზოგადად შესაძლებელია ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი რელიგიური, მორალური და ფსიქოლოგიური ნიშნის მიხედვით.3 ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს მორალურ ჭრილში სამართლიანობის ცნების სოციალურ-ეკონომიკური კუთხით გარკვევა.

ეკონომიკური სამართლიანობა განმარტავს ყოველი ეკონომიკური სისტემის ცენტრალურ იდეას და ბუნებას.4 ეკონომიკური სამართლიანობა ეხება როგორც ცალკე აღებულ ინდივიდს, ასევე საზოგადოებრივ წესრიგს. იგი მოიცავს მორალურ პრინციპებს, რომლითაც ხდება ხელმძღვანელობა ეკონომიკური ინსტიტუტების შემუშავებაში. ეს ინსტიტუტები განსაზღვრავენ ეკონომიკურ ურთიერთობათა შინაარსს ხელშეკრულების დადების, საქონლისა და მომსახურების გაცვლის და სხვა ინტერაქციულ ურთიერთობათა პირობებში. ყველა სისტემის მსგავსად, ეკონომიკური სამართლიანობა მოიცავს input, output და მათ შორის არსებულ უკუკავშირს მათივე ჰარმონიისა და წონასწორობის აღდგენისათვის.

ეკონომიკური სამართლიანობის სისტემაში, როგორც ეს განსაზღვრულია ლ. კელსის და მ. ადლერის მიერ, არსებობს სამი ძირითადი და ურთიერთდამოკიდებული პრინციპი: მონაწილეობის პრინციპი, განაწილების პრინციპი და ჰარმონიის პრინციპი.5

მონაწილეობის პრინციპი აღწერს „input“ რაობას

საარსებო წყაროს შექმნისათვის ეკონომიკურ პროცესში. კერძო საკუთრებასთან მიმართებაში ის მოითხოვს თანაბარ შესაძლებლობებს საწარმოო აქტივების ხელმისაწვდომ მიღებაში. იგი ასევე მოითხოვს შესაძლებლობათა თანასწორობას მწარმოებლურ შრომაში მონაწილეობისათვის. მონაწილეობის პრინციპი არ უზრუნველყოფს თანაბარი შედეგების არსებობას, მაგრამ ითხოვს, რომ ყოველი ადამიანი იყოს გარანტირებული თანაბარი უფლებით სოციალური ინსტიტუციებისაგან, რათა თვითვეულმა მათგანმა შეძლოს ნაყოფიერი წვლილის შეტანა ეკონომიკაში, როგორც საკუთარი შრომით (როგორც მუშაკმა), ისე საკუთარი საწარმოო კაპიტალით (როგორც მესაკუთრემ). ამგვარად, მონაწილეობის პრინციპი უარყოფს ნებისმიერ მონოპოლიებს, განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და სხვა საზოგადოებრივ ბარიერებს.

განაწილების პრინციპი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის output უფლებებს რაც შესაბამისობაში მოდის თვითეული ადამიანის შრომასა და კაპიტალდაბანდებასთან (inputs). კერძო საკუთრების განაწილებითი ფუნქციის წყალობით თავისუფალი და ღია ბაზრის სივრცეში განაწილებითი სამართლიანობა ავტომატურად არის დაკავშირებული მონაწილეობის პრინციპთან. განაწილების პრინციპი შეიცავს საკუთრებისა და ხელშეკრულების ხელშეუხებლობას. ეს შეეხება თავისუფალ და ღია ბაზარს (და არა ხელისუფლებას), როგორც შედარებით უფრო ობიექტურ და დემოკრატიულ საშუალებას სამართლიანი ფასის, სამართლიანი ხელფასისა და სამართლიანი მოგების განსაზღვრისათვის. არც თუ იშვიათად ხდება სამართლიანი განაწილების პრინციპის ქველმოქმედების პრინციპთან გაიგივება. ქველმოქმედების ცნება გულისხმობს „თვითეულს საკუთარი საჭიროების მიხედვით“, მაშინ როცა განაწილების სამართლიანობა ეფუძნება იდეას – „თითოეულს მისი წვლილის მიხედვით“. ამ პრინციპების აღრევა იწვევს უსასრულო კონფლიქტებს, რაც აიძულებს ხელისუფლებას ჩაერიოს საზოგადოებრივი წესრიგის

მხარდაჭერის მიზნით. განაწილების სამართლიანობა თანხმობაშია მონაწილეობის სამართლიანობასთან და ეს თანხმობა ქრება მაშინ,როცა არ არსებობს შეძენისა და სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობები მიღებულ შემოსავლებზე.

ჰარმონიის პრინციპი მოიცავს უკუკავშირებს, ანუ წონასწორობის პრინციპებს,იგი ცდილობს გამოავლინოს input ან output პრინციპების დამახინჯებები და შეტანილი იქნეს ნებისმიერი შესწორებები სამართლიანი და გაწონასწორებული ეკონომიკური წესრიგის აღდგენისათვის. ეს პრინციპი ირღვევა მონაწილეობის პროცესში უსამართლო და უმართებულო წინააღმდეგობების შექმნით, მათ შორის მონოპოლიებით, ან მათი საკუთრების გამოყენებით სხვათა საზიანოდ ან ექსპლუატაციისათვის. ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში „ეკონომიკური ჰარმონია“ განსაზღვრულია როგორც „სოციალური ადაპტაციის კანონები, რომელშიც ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი ინტერესები თავისუფალი თამაშის მოცემულობაში დაიყვანება სხვა ადამიანთა ან მთლიანად საზოგადოების მაქსიმალური სარგებლის შედეგებამდე“. ეს პრინციპი გვთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს მონოპოლიათა კონტროლისათვის, სოციალურ ინსტიტუციათა საზღვრებში კონტროლისა და ბალანსის დაცვას და შენარჩუნებას, და დისტრიბუციის ხელახალ სინქრონიზაციას მონაწილეობის პრინციპით.

ეკონომიკური სამართლიანობის პირველი ორი პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის მარადიული სამართლიანობის ძიებიდან, რაც ავტომატურად ითხოვს წონასწორობის დაცვას input და output შორის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კელსი და ადლერი მიუთითებენ მესამე ანუ ჰარმონიის პრინციპზე როგორც „შეზღუდვის (ე.ი. ლიმიტაციის) პრინციპზე“, როგორც ადამიანურ ტენდენციათა, მიდრეკილებათა და ლტოლვათა შეზღუდვაზე სიხარბესა და მონოპოლიის მიმართ, რაც იწვევს სხვათა იზოლაციას და ექსპლუატაციას. დაბოლოს, ჰარმონიის ცნება დღევან-

დელ მაღალტექნოლოგიურ მსოფლიოში, პოტენციური სინერგიის გათვალისწინებით წარმოადგენს უფრო მეტად მიზანშეწონილს და ყოვლისმომცველს, ვიდრე ტერმინი შეზღუდვა (ანუ ლიმიტაცია) ეკონომიკური სამართლიანობის მესამე კომპონენტში.

რომელიმე ამ პრინციპის შესუსტების ან არარსებობის შემთხვევაში ეკონომიკური სამართლიანობის სისტემა განიცდის კრახს.

დღეს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს „სოციალური სამართლიანობის“ ცნება. იგი ჩამოყალიბდა ეკონომიკურ ურთიერთობებზე სოციალური ფაქტორების გაძლიერებული ზემოქმედების შედეგად. საბაზრო ეკონომიკაში სამართლიანობა წარმოადგენს ეკონომიკური სტაბილურობისა და ეფექტიანი განვითარების უმთავრეს პირობას. სამართლიანობის ცნების შინაარსის შემადგენელ ელემენტს მიეკუთვნებიან ფასეულობები და ქმედებები. ზნეობრივი ფასეულობებით ხდება სამართლიანობის გამოხატვა, ხოლო ეკონომიკური ქმედებები ახდენენ მის რეალიზებას, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ სამართლიანობის განხორციელების სოციალურ-კულტურულ საშუალებას, რაც ასახვას პოულობს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში.6

ეკონომიკის სფეროში სოციალური სამართლიანობა არის ეკონომიკურ ურთიერთობათა შესაბამისობა იმ წარმოდგენებთან, მოთხოვნებთან და ინტერესებთან, რომლებიც დომინირებენ განსაზღვრულ საზოგადოებაში სასიცოცხლოდ აუცილებელი სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობებთან მიმართებაში.

შემოსავლების უთანაბრობა დამახასიათებელია ყველა ეკონომიკური სისტემისათვის, რაც იწვევდა და იწვევს სოციალურ ძვრებს – პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებს. საბაზრო ეკონომიკაში სოციალური სამართლიანობა უმთავრესად რელიზირდება შემოსავლების გადანაწილებით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნით. ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური

სამართლიანობის მოთხოვნის მორიგების პრობლემა წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ისე ცალკეული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხს.7

სოციალური სამართლიანობის კვლევა, როგორც ეკონომიკის ეფექტიანობის ფაქტორის, არის ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური პრობლემა. მის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ სამეურნეო სუბიექტების მიერ ადგილი აქვს სამართლებრივი ნორმებისა და ეკონომიკური ქცევების ეთიკურ წესთა დარღვევებს. ამ პირობებში სახელმწიფო რეგულირების სისტემა საჭიროებს მძლავრ, ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას, რაც ორიენტირებული იქნება სოციალური სამართლიანობის დონის ამაღლებაზე ეკონომიკაში.

ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არის დაცული სოციალური სამართლიანობის პრინციპები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ეკონომიკის ჩათვლით. თანამედროვე ეტაპზე სოციალური პოლიტიკის მთავარი ორიენტირი უნდა იყოს ეკონომიკური აქტიურობის ყოველმხრივი სტიმულირება, რომელიც უპასუხებს როგორც ეფექტიანობის მოთხოვნას, ისე საზოგადოების სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამისათვის კი აუცილებელია, ნაციონალური მეურნეობის სოციალურად ორიენტირებული და ეკონომიკურად ეფეტიანი ინსტიტუტების შექმნა.

ეკონომიკურ ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანის არსებობის ფორმა ძირითადი ელემენტების სახით, ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში. სოციალური სამართლიანობის პრობლემის გადაჭრის მიდგომები ატარებს თეორიულ ხასიათს და ეკონომიკურ ურთიერთობებში საკმაოდ რთულად გამოიყენება. ინსტიტუციონალური მიდგომა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტიან საშუ-

ალებას ამ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის არსიც მდგომარეობს ინსტიტუციონალური გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც ხელს შეუწყობს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას ეკონომიკურ ურთიერთობებში. არსებული პრობლემა არაერთგვაროვანია და გარკვეულწილად მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას, რისთვისაც უნდა შემუშავდეს სოციალური სამართლიანობის საკუთარი პრინციპები და კრიტერიუმები. ფორმულირებული პრინციპები და კრიტერიუმები უნდა იქნეს ინსტიტუციონალიზირებული მათ შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებსა და არაფორმალურ კონვენციონალურ ნორმებში შეტანით, რომლებიც დაარეგულირებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს და ამისათვის საჭირო გახდება ინსტიტუციონალური მექანიზმის შექმნა მათ სარეალიზაციოდ. სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის ამგვარი მიდგომით მიღებული ეფექტი აისახება როგორც ცალკე აღებულ ეკონომიკურ სუბიექტებზე, ისე მთელ ეკონომიკაზე.8

ეკონომიკური სამართლიანობის თეორიას გააჩნია მრავალი ასპექტი, ისეთი როგორიცაა სამართლიანობის მომენტი და მისი უზრუნველყოფისათვის საჭირო ეკონომიკური ღონისძიებები; საარსებო მოთხოვნილებებისა და სურვილების მხარე და მისი მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის საჭირო ეკონომიკური მექანიზმები; იდეალური შესაძლებლობების სოციალური კონცეფცია და მისი განხორციელების ეკონომიკური ბერკეტები.

სამართლიანობა ეს არის ზნეობრივი ფორმა რომელიც მოელის პასუხს კითხვებზე „რა“ და „რატომ“. ეკონომიკური სამართლიანობის თვალსაზრისით კითხვა „რა“ მიმართულია ეკონომიკურ საქონელზე, ხოლო „რატომ“ გულისხმობს ეკონომიკური საქონლის რეციპიენტის დადგენის კრიტერიუმებს. ეკონომიკური სამართლიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საკამათო საკითხს მორალური ფილოსოფიის მთელ რიგ წყებათა შორის.9

ეკონომიკური სამართლიანობა ეფუძნება გაცვლისა და განაწილების სამართლიან ასპექტებს,რომლის მიღწევაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ მათი დამატებითი განწესებით და ინტეგრაციით. მისი აქტუალიზაციისათვის აუცილებელია თავსებადი საბაზრო ინსტრუმენტების მდგრადობის კიდევ უფრო გამტკიცება.

თანამედროვე საბაზრო მეურნეობის სოციალური სამართლიანობის პრობლემა უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ეკონომიკაში. სოციალური სამართლიანობის პრობლემის დამუშავება საბაზრო საზოგადოებაში იძენს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ასევე სოციალურ-პოლიტიკურ აქტუალურობას. ამგვარი ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების მთელი კომპლექსის შესწავლის პირობებში, რაც საფუძვლად უდევს სოციალურ სამართლიანობას, მოიცავს და არეგულირებს საბაზრო პროცესის პრაქტიკულად ყველა სუბიექტის ეკონომიკურ ქცევებს.10

ლიტერატურა:

1. http://www.cesj.org
2. Nutzinger, H. G., (Herausgeber), Wirtschaftsethische Perspektiven III, (Unternehmensethik, Verteilungproblleme, methodische Ansätze. Berlin Duncker&Humblot, 1997, S. 52
3. http://www.m-economy.ru
4. http://www.amazon.com
5. http://www.cesj.org
6. http://www.m-economy.ru
7. http://www.new-economika.ru
8. http://www.institutions.com
9. http://www.kaththeo.luni-muenchen.de
10. http://www.mirrabot.com

§ 2.2. თანასწორობა

თანასწორობა სოციალური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. თანასწორობის იდეა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს როგორც თანაბარი ღირსების მქონე აბსტრაქტული იდეალის გავრცელების მცდელობა საზოგადოებრივი თანაცხოვრების სხვადასხვა სფეროში.1

საზოგადოდ, თანასწორობის იდეა და საზრისი მდგომარეობს ფასეულობათა თანასწორობაში შემდეგი კითხვით: „რატომ თანასწორობა?“. თანასწორობა თამაშობს მთავარ როლს სამართლიანობის თეორიაში და წარმოადგენს მისი კონცეფციის ფუნდამენტურ მიზანს.2 თანასწორობის პრინციპს გააჩნია ცენტრალური მნიშვნელობა სამართლიანობის თეორიისათვის. ის გაიგება არა როგორც უბრალოდ ალოკაციის* ან დისტრიბუციის პრინციპი, არამედ როგორც ადამიანებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება.3

სოციალური თანასწორობა არის პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება,რომელიც აღნიშნავს ადამიანთა თანაბარ ხელმისაწვდომობას სოციალური თავისუფლების, უფლებისა და კეთილდღეობის (სიკეთის) მიმართ.4 სოციალური თანასწორობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეკონომიკური სისტემის უცხო დანამატი. მეტიც, არსებითად ის არის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინტეგრალური კომპონენტი.

თანასწორობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: 1) კეთილდღეობის თანასწორობა; 2) შესაძლებლობათა თანასწორობა; 3) რესურსების თანასწორობა;

---

* ალოკაცია [ფრანგ. ალლოცატიონ] ასიგნება, გაცემა (ფულისა)., ფრანგულ ქართული ლექსიკონი ტმ. I, თბ. 1963 წელი, გვ. 52

შესაძლებლობათა და რესურსების თანასწორობა განსაზღვრავს და განაპირობებს კეთილდღეობის თანასწორობას. მატერიალური და არამატერიალური აქტივების თანასწორობა საბაზრო ეკონომიკაში სასტარტო პირობების გათანაბრების პერსპექტივით შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის არის უმთავრესი წინაპირობა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში უტოპიად მიჩნეული თანასწორობის განხორციელებისათვის.

ეკონომიკურ თანასწორობას გააჩნია ორი ფუნდამენტური კითხვა: 1) თანასწორობა რისი? და 2) თანასწორობა ვის შორის? პირველის პასუხი მდგომარეობს შედეგის თანასწორობაში, უპირატესობის დაშვების გათანაბრებასა და სასტარტო პირობების ეგალიზებაში თანაბარი პერსპექტივისათვის. მეორე კითხვაზე კი პასუხს სცემს თავად კეთილდღეობის თეორიის მთელი ისტორია, რაც წარმოადგენს ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ კერძო და საზოგადო სიკეთის მორიგების მცდელობას.5

თანასწორობის საკითხის უკეთ გარკვევაში გვეხმარება უთანასწორობის პრობლემის ანალიზი. უთანასწორობა, რაშიც ყველა მისი მკვლევარი თანხმდება, განისაზღვრება იმით, რომ ერთი სოციალური ჯგუფი საზოგადოებაში იძენს განსაკუთრებულ პოზიციას,რაც მას საშუალებას აძლევს თავისი თავის სასარგებლოდ მოახდინოს საზოგადოებრივი სიმდიდრის დიდი ნაწილის არაპროპორციულად გადანაწილება.6

უთანასწორობის პრობლემის განხილვისას შესაძლოა გამოვყოთ რამოდენიმე არგუმენტი მისი შემცირებისა და შესაბამისად საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების სასარგებლოდ.

ეკონომიკური კეთილდღეობის პოზიციიდან უთანასწორობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სოციალურ თანასწორობასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას შორის არსებული შესაძლო ურთიერთ-

კავშირი. საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის განსაზღვრულ ვარაუდებთან სრული თანასწორობის პირობებში ის აღწევს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს. ამიტომ, შემოსავლების გადანაწილებით გამოწვეული უთანასწორობის ნებისმიერი შემცირება იწვევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას. განსხვავებული მოსაზრების მიხედვით კეთილდღეობის ამაღლებამ შესაძლებელია მოითხოვოს შემოსავლების უთანასწორობაც.

მეორე არგუმენტი საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების სასარგებლოდ ატარებს მაკრო ეკონომიკურ ხასიათს – ეს არის სოციალური უთანასწორობის დონესა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის არსებული გარკვეული ურთიერთკავშირი. არსებითად, ეს არგუმენტი წინააღმდეგობრივია და გამოიყენება გადანაწილების პროცესის, როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ. ერთის მხრივ, რაც უფრო ნაკლებად ინტენსიურ ხასიათს ატარებენ გადანაწილების პროცესები, მით უფრო ძლიერია ინდივიდების სტიმულირება მწარმოებლური შრომის მიმართ, რაც ვლინდება მათ მიერ რეალური შემოსავლების მიღების შესაძლებლობებში. ამ აზრით, უთანასწორობა – ეს არის ფასი, რომელიც იძულებით გადაიხდება საზოგადოების მიერ ეფექტიანი ეკონომიკური სისტემისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდისათვის. თუმცა, უთანასწორობის საკმაოდ მაღალი დონე ქვეყანაში იწვევს პირიქით – ეკონომიკური ზრდის შემცირებას (ეკონომიკური განვითარება დასაწყისში იწვევს უთანასწორობის გადიდებას, ხოლო შემდეგ მის შემცირებას, ანუ უთანასწორობის ზრდასთან ერთად, ხდება ეკონომიკური ზრდის ტემპის მომატება მხოლოდ გარკვეულ დონემდე, საიდანაც უთანასწორობის შემდგომი ზრდის კვალდაკვალ ეკონომიკური ზრდის ტემპები მცირდება). ამიტომ მიზანშეწონილია, რომ თანასწორობის რეგულირება წარმოებდეს გადანაწილების პოლიტიკის გა-

ტარებით და არ მოხდეს მისი საკმაოდ მაღალი დონის დაშვება.

ვიდრე გავაანალიზებთ ეკონომიკურ ზრდასა და უთანასწორობას შორის დამოკიდებულებას, აუცილებელია განვმარტოთ, თუ რა ფორმით იზომება თავად უთანასწორობა. მის ინდიკატორად გამოიყენება საერთო შემოსავლის განაწილება ინდივიდებს შორის ეკონომიკაში. თვალსაჩინო წარმოდგენას ეკონომიკაში უთანასწორობის თაობაზე იძლევა ლორენცოს მრუდი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების თუ რა წილი მოდის მოსახლეობის შესაბამის ნაწილზე.7

მესამე მიზეზი დაკავშირებულია უთანასწორობის უფრო მეტად მკაფიო გამოვლინებასთან – სიღარიბის პრობლემასთან. სოციალური სამართლიანობის პრინციპებისა და საყოველთაოდ მიღებული ნორმების თანახმად დემოკრატიულ სახელმწიფოში სიღარიბის მოცულობის შემცირება წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს, რომლის რეალიზაციაც ხორციელდება შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკის დახმარებით. შემოსავლების გადანაწილების მექანიზმები სხვადასხვაგვარია და ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული სოციალური უთანასწორობის დონეზე, მის სტრუქტურაზე, მიზეზებზე, უთანასწორობის შემცირების მიზნის სპეციფიკასა და პოლიტიკის ამოცანებზე. ამიტომ, შემოსავლების გადანაწილების რთული ამოცანის გარკვევამდე,მიზანშეწონილია უთანასწორობის სპეციფიკის,მისი თავისებურებებისა და შეფასების კრიტერიუმების დადგენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების პრობლემები უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ უთანასწორობასთან. უთანასწორობის მაღალი დონე როგორც წესი ასოცირდება სიღარიბის მაღალ დონესთან, ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპებთან და პოლიტიკურ არასტაბი-

ლურობასთან, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის პროცესებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ განხორციელდეს ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და სიღარიბის შემცირებისაკენ, აუცილებელია დეტალური წარმოდგენის ქონა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ უთანასწორობის მოცულობაზე, უთანასწორობის პროფილსა და დეტერმინანტებზე, ისევე როგორც უთანასწორობაში არსებულ დროებით ცვლილებებზე.8

ეკონომიკური უთანასწორობა, ანუ „განსხვავება სიმდიდრესა და შემოსავლებში“ მოიცავს ეკონომიკური აქტივებისა და შემოსავლების ყველა სხვაობას განაწილების სფეროში. იგი ერთნაირად ეხება როგორც ცალკეულ ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფებს საზოგადოების შიგნით, ისე ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. ეკონომიკური უთანასწორობის ასპექტი ძირითადად დაკავშირებულია საბოლოო შედეგების თანასწორობასთან და მიეკუთვნება შესაძლებლობათა თანასწორობის იდეას. საზოგადოებაში არსებობს ეკონომიკური უთანასწორობის მრავალი მიზეზი. ეს მიზეზები ხშირადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური უთანასწორობის უმთავრესი მიზეზთაგანია შრომის ფასის განსაზღვრა ბაზარზე. ასევე, პრეფერენციათა განსხვავებულობა საზოგადოებაში ხშირად უწყობს ხელს ეკონომიკური უთანასწორობის წარმოქმნას.9

გაძლიერებული სოციალური და ეკონომიკური დიფერენციაცია უარყოფითად ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის სახალხო მეურნეობრივ პოტენციალზე, კერძოდ კი მრეწველობის, პირველ რიგში მის მაღალტექნოლოგიურ და მთლიანად მეცნიერებადტევადი დარგების განვითარებაზე. მზარდი და გაძლიერებული უთანასწორობა, ეს არის თანამედროვე მსოფლიო ტენდენცია გლობალიზაციის პირობებში.

ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისათვის მსოფლიოში განიხილება შესაძლო მიმართულებები, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე მათგანი. ესენია: შრომის ანაზღაურების დონის ზრდა მუშაკის კვალიფიკაციის ხარისხის (დონის) გათვალისწინებით, რაც ნიშნავს განათლების ფაქტორის წინ წამოწევას მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების ზრდისათვის და შესაბამისად, დიფერენციალით წარმოქმნილი უთანასწორობის შემცირებას შემოსავლებში; საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ცვლილება, ანუ მისი პროგრესული ფორმის შემოღება, სადაც მდიდრები იხდიან გადასახადის მეტ ოდენობას ვიდრე ღარიბები, რაც იწვევს შემოსავლების ჯამის შემცირებას; მინიმალური სახელფასო ზღვარის დაწესება, რაც პირდაპირ აისახება ღარიბთა შემოსავლების ზრდაზე.10

მთლიანობაში, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, მშრომელთა აქტიურობის გაძლიერება, პროფკავშირული მოძრაობების ორგანიზაცია, გადასახადების გადახდაზე კონტროლის დაწესება, სახელმწიფოს დოზირებული ჩარევა ბაზარზე და ა.შ. შეიძლება მივიჩნიოთ იმ ფაქტორებად, რომლებიც ამცირებენ ეკონომიკური უთანასწორობის რისკს საზოგადოებაში.

სოციალური უთანასწორობა წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრების ფენომენს, რომელიც მუდმივად და უშუალოდ კვლავწარმოებადია ცხოვრების სოციალურ სფეროში. ხოლო ეკონომიკური უთანასწორობის ცნება განისაზღვრება როგორც ინდივიდებს შორის არსებული უთანასწორობა მატერიალური სიკეთის კვლავწარმოების პროცესში, გაცვლაში, განაწილებასა და მოხმარებაში მათი როლისა და მონაწილეობის მიხედვით.11

სოციალური უთანასწორობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ უთანასწორობასთან, რაც ხასიათდება საზოგადოების დეფიციტური რესურსების

– ფულის, ძალაუფლების, განათლებისა და პრესტიჟის არათანაბარი განაწილებით მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის, რომელიც ნათლად გვიჩვენებს მკვეთრ დიფერენციაციას სოციალურ სტრატიფიკაციასთან მიმართებაში.12

ლიტერატურა:

1. http://www.terme.ru
2. http://www.plato.standorf.edu
3. Kipnis, K., Meyers, D.T., Economic justice: private rights and public responsibilities, Totowa, 1988, P. 104
4. http://www.filpedia.ru
5. http://www.economuch.com
6. http://www.globalaffairs.ru
7. http://www.finansy-ru
8. http://www.eerc.ru
9. http://www.en.wikipedia.org
10. http:/www.en.wikipedia.org
11. http://www.coe.int.ru
12. http://www.refport.ru

§ 2.3. თავისუფლება

სოციალურ ეთიკაში თავისუფლება არის სამართლიანობის ფორმა. თავისუფლება წარმოადგენს საზოგადოების, სოციალური დეტერმინაციის ფუნდამენტურ პრინციპს, ბაზარს, სახელმწიფოსა და კონსენსუსს შორის. იგი ეფუძნება სამართლიანობასა და კანონიერებას.1

თავისუფლების ფენომენი გულისხმობს სასიცოცხლო მიზნების არჩევანს და მათი მიღწევის საშუალებას. ხოლო თანამედროვე ეკონომიკა თავისი ქცევის საგნად აცხადებს სწორედ მიზნებისა და საშუალებების ურთიერთშეჯერებას, რაც დაკავშირებულია ეკონომიკურ თავისუფლებასთან. ეკონომიკური თავისუფლება – ეს არის „ადამიანის უფლება შეეძლოს საკუთარი სიმდიდრის, შემოსავლების, დროისა და ძალ-ღონის თავისუფლად განკარგვა“. ეკონომიკური თავისუფლება გამოდის როგორც ინდივიდის უმთავრესი მიზნის მიღწევის საშუალება. მას გააჩნია როგორც დამხმარე მნიშვნელობა, ისე – დამოუკიდებელი ფასეულობა.2

ეკონომიკური თავისუფლება არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ და პოლიტიკურ დებატებში. როგორც ზოგადად თავისუფლებასთან, არსებობს ასევე სხვადასხვა დეფინციები,მაგრამ არა ეკონომიკური თავისუფლების საყოველთაოდ მიღებული კონცეპტი. ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი მიდგომა იწყება ლიბერთარიანული ტრადიციიდან, რომელიც ხაზს უსვამს თავისუფალი ბაზრისა და კერძო საკუთრების უაღრესად დიდ მნიშვნელობას. ამჟამად ეს ტერმინი უმეტესად დაკავშირებულია თავისუფალ ბაზართან და განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების წარმოების, გაცვლისა და მოხმარების თავისუფლებას ყოველგვარი არაეთიკური ქცევის წესების გარეშე. ის ეფუძნება კანონის წესებს, საკუთრების უფლებას და

კონტრაქტის თავისუფლებას და ხასიათდება ბაზრის შიდა და გარე ფაქტორებით, საკუთრების უფლების დაცვით, ეკონომიკური ინიციატივის თავისუფლებით.

ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება დამკვიდრდა როგორც თანამედროვე ცივილიზაციის ძირითადი საფუძველი და აღიარებული იქნა როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მას ალტერნატივა არ გააჩნია: მის გარეშე შეუძლებელია სამეურნეო ინიციატივათა მექანიზმების, კონკურენციის ფუნქციონირება, მეწარმეობის განვითარება და საერთოდ – საბაზრო ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობა.

ეკონომიკური თავისუფლების, ანუ თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც ჯერ კიდევ შეზღუდულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ბუნდოვანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა და არ არსებობს გამართული ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების სისტემა. ნაცვლად ამისა, სახეზეა „ნახევრად საბაზრო“, ოლიგარქიული, კრიმინალური, კორუმპირებული ეკონომიკა, რაც წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების განვითარების საფრთხესა და დაბრკოლებას. არა და სწორედ ეკონომიკური განვითარების ახალი წესრიგი ქმნის კონკურენტული ბაზრის პირობებში წარმოების სტაბილური ზრდის, ეფექტური ინვესტიციებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესაძლებლობებს.

ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების განუყოფელი ნაწილია თავისუფალი კონკურენცია, რომლის სინონიმია არჩევანის თავისუფლება, მეწარმეობის თავისუფლება, ბაზარზე შესვლის თავისუფლება, რომელიც სპეციალური საკანონმდებლო მექანიზმებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

არჩევანის შესაძლებლობების ზრდა მიმდინარეობს

არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების სფეროში, არამედ ის ეხება სხვა სფეროებსაც - ისეთებს, როგორიცაა: საკუთრება და მეწარმეობა, პროფესიის არჩევა და სამუშაო ადგილი, საოჯახო დანაზოგები და ინვესტირება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებზე დაყრდნობით ყურადღების კონცენტრირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური თავისუფლების სხვადასხვა კომპონენტის დინამიკის და მათ შემზღუდველ ფაქტორებზე საზოგადოებრივი რეფორმების პირობებში, ეკონომიკური თავისუფლების კონკრეტული ასპექტების შედარებით ანალიზში სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემებში და ა.შ.

კონკურენტულ პირობებში მეწარმეები დამოუკიდებლად მიიკვლევენ გზას მომხმარებლისაკენ, რათა უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის მიზნები: მოგების მაქსიმიზაცია, გაყიდვების მოცულობის გადიდება, ბაზარზე წილის გაზრდა. სწორედ ეს უწყობს ხელს ეკონომიკის პროგრესს: მაღლდება წარმოების ეფექტურობა,ეკონომიკის ყველაზე უფრო რეზულტატიან სექტორებზე იქმნება ხელსაყრელი პირობები რესურსების კონცენტრაციისათვის. ამავე დროს,ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტისათვის დამახასიათებელია მონოპოლიებისაკენ სწრაფვა, კონკურენტების გამოდევნა ბაზრიდან, საკუთარი საქმიანობის სფეროს გაფართოება. მეწარმეები ესწრაფვიან კონტროლი დააწესონ ფასებსა და იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ბაზარზე საწარმოს საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ კონკურენცია წარმოებდეს ცივილიზებულ ჩარჩოებში, აღიკვეთოს საზოგადოებისათვის საშიში მონოპოლიზმი, გამოირიცხოს კონკურენციული ბრძოლის არაკეთილსინდისიერი მეთოდები და განისაზღვოს ის სფეროები, სადაც აუცილებელია სახელმწიფო რეგულირება.

ეკონომიკური თავისუფლების საფუძველი და ქვაკუთხედია პიროვნული არჩევანი, კერძო საკუთრების

უსაფრთხოება, თავისუფალი კონკურენცია და გაცვლა, ღია ბაზრები.3 ცნობილი ეკონომისტები მ. ფრიდმანი და ფ. ჰაიეკი აღნიშნავდნენ და განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს თავისუფალი გაცვლისა და ბაზრის კოორდინაციის უდიდეს მნიშვნელობას ეკონომიკური პროგრესისათვის. გაცვლისა და მწარმოებლური საქმიანობის გარეშე, რისი კოორდინირებაც ხდება ბაზრის მეშვეობით, შეუძლებელი იქნებოდა ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებზე გასვლა. თუმცა, პოტენციურად ხელსაყრელი გაცვლა ყოველთვის როდია მისაღები. დომინანტია ეთიკურ-სამართლებრივი მოთხოვნები: მისი უნაკლო რეალიზაცია სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია ფულის წარმომავლობაზე, კანონზე და საკუთრების უფლების უსაფრთხოებაზე.

გლობალური ეკონომიკური კრიზისი მრავალი ქვეყნის ხელისუფლებას აიძულებს შეზღუდოს ეკონომიკური თავისუფლება, თუმცა ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასე გაგრძელება დიდხანს შეუძლებელია. ხოლო იმ ქვეყნებმა, რომლებმაც სხვადასხვა დროს განიცადეს ფინანსური კრიზისი, საწყის ეტაპზევე იწყეს ეკონომიკური თავისუფლების მიმართულებით მოძრაობა და მდგრადი ლიბერალური პოლიტიკის გატარება.

ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ამომწურავი დეფინიცია უნდა მოიცავდეს საქონლისა და მომსახურების წარმოების, დისტრიბუციისა თუ მოხმარების სრულ თავისუფლებასა და უფლებათა ერთობლიობას. ეკონომიკური თავისუფლების უმაღლესი ფორმა უნდა ითვალისწინებდეს საკუთრების ფლობის აბსოლუტურ უფლებას; შრომის, კაპიტალისა და საქონლის მოძრაობის თავისუფლების სრულად რეალიზებას.

ეკონომიკური თავისუფლების პრიზმაში იკვეთება ისეთი ფენომენოლოგიური საკითხები, როგორიცაა: ოჯახის საშუალო – სულობრივი შემოსავლების დინა-

მიკა, რაც წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მაჩვენებელს; ოჯახის დანახარჯების დინამიკა კვების პროდუქტებზე, რაც აჩვენებს სიღარიბის დონეს; ეკონომიკური თავისუფლება, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობა და ეკონომიკური თავისუფლების რეალიზაციის საშუალებები: ფულადი დანაზოგები და დაგროვების მიზნები, რაც მიუთითებს პიროვნებათა ეკონომიკური და სამოქალაქო ცნობიერების სიმწიფეზე.4

საზოგადოებაში ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ხარისხი გვევლინება თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან პირობად, რაც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა კონტრაგენტის ინოვაციური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია.5

ეკონომიკური თავისუფლება არის ადამიანის თავისუფლების ის ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების მატერიალურ დამოუკიდებლობასთან სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზებულ ჯგუფებთან მიმართებაში. პიროვნება ეკონომიკურად თავისუფალია, თუ კი მას ძალუძს სრულად აკონტროლოს საკუთარი შრომა და საკუთრება. ეკონომიკური თავისუფლება დაკავშირებულია პოლიტიკურ თავისუფლებასთან და შესაძლებელია, რომ იგი არის მისი აუცილებელი წინაპირობაც, მაგრამ ის ასევე ძვირფასია თავისთავად.6

მ. ფრიდმანი ავითარებდა არგუმენტს, რომ ეკონომიკური თავისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უკიდურესად მნიშვნელოვანი კომპონენტია ზოგადად თავისუფლების, აგრეთვე არის აუცილებელი პირობაც პოლიტიკური თავისუფლებისთვის. მისი განმარტებით, ეკონომიკური მოქმედებების ცენტრალიზებულ კონტროლს ყოველთვის ახლავს თან პოლიტიკური რეპრესიები. ეკონომიკური აქტიურობისას ცენტრალიზებული კონტროლის გაუქმებით ეკონომიკური ძალაუფლება გამოცალკევდება პოლიტიკური ძალაუ-

ფლებისაგან. ავსტრიული სკოლის ეკონომისტი ლ. ფ. მისეს ამტკიცებდა, რომ „ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული: მოსაზრება, რომ პოლიტიკური თავისუფლება შესაძლებელია დაცული იქნეს ეკონომიკური თავისუფლების არყოფნის შემთხვევაში და პირუკუ, არის ილუზია“.7

არსებობს ეკონომიკური თავისუფლების ათი განსხვავებული ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მისი შეფასების და რანჟირების მეთოდს. ეკონომიკური თავისუფლების რამდენიმე ასპექტი გარეგანი ბუნებისაა, ეკონომიკური თვალსაჩინოების ზომისა და ხარისხის დადგენისას კაპიტალდაბანდებასა თუ ვაჭრობასთან მიმართებაში. მისი უმეტესი ასპექტები კი შინაგანი ბუნებისაა, რომლებიც აფასებენ პიროვნების თავისუფლებას მისივე შრომისა თუ ფინანსებით სარგებლობის სფეროში ხელისუფლების ჩარევის ან შეზღუდვის კუთხით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებია: 1) ბიზნესის თავისუფლება; 2) ვაჭრობის თავისუფლება; 3) ფისკალური თავისუფლება; 4) მთავრობის ზომა ანუ მოქმედების მასშტაბი; 5) მონეტარული თავისუფლება; 6) ინვესტიციის თავისუფლება; 7) ფინანსური თავისუფლება; 8) საკუთრების უფლება; 9) კორუფციისაგან თავისუფლება; 10) შრომის თავისუფლება. ეკონომიკური თავისუფლების ათივე კომპონენტი თანაბრად წონვადია. ისინი განიცდიან ურთიერთგავლენას და იმყოფებიან ინტერაქციულ დამოკიდებულებაში, თუმცა ამ ინტერაქციის ზუსტი მექანიზმები არ არის მარტივად განსაზღვრებადი. სირთულეს წარმოადგენს ასევე მათ შორის ზღვარის დადებაც. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიზანია ასახოს ეკონომიკური გარემო ყველა ქვეყანაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

თავისუფლების ნებისმიერი ფორმის ფუნდამენტი შეიძლება იყოს მოქალაქეთა ეკონომიკური თავისუ-

ფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი განისაზღვრება ათი პარამეტრით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს საკუთრების უფლების დაცვა და დაბრკოლებათა არ არსებობა კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ეს პარამეტრები არის თავისუფლების ინდიკატორი, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უმეტეს მოქალაქეთათვის ეკონომიკური თავისუფლება ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) შემოსავლების იმგვარი დონის ფლობა, რომელიც იძლევა არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური არსებობის შესაძლებლობას, როგორიცაა: სწავლის შესაძლებლობა, ფიზიკური და სულიერი თვითრეალიზაცია; 2) უძრავი ქონებისა და ფასიანი ქაღალდების ფლობა, რაც იძლევა შემოსავლების ზრდისა და დადგენილი მოხმარების ნორმების დაცვის საშუალებას; 3) სამუშაო ადგილის არჩევანის შესაძლებლობა სპეციალობისა და ინტერესთა შესაბამისად, რაც იძლევა ნორმალური შემოსავლის გარანტიას; 4) სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან იქნება გარანტირებული და მხარდაჭერილი; 5) სახელმწიფოს მხრიდან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების გარანტია კონკურენციის განვითარებისათვის.

საბოლოო ანგარიშით მოქალაქეთა ეკონომიკური თავისუფლება აღნიშნავს ეკონომიკურ თავისუფლებას სახელმწიფოსაგან. მოქალაქეთა ეკონომიკური თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე განათლებაში, კულტურასა და მეცნიერებაში. მოქალაქეთა განვითარებული ინტელექტუალური შესაძლებლობები ხელს უწყობს ძალის ღირებულების ზრდას, რაც თავის მხრივ ამცირებს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მეურვეობისაგან. ეკონომიკური თავისუფლების მიღწევისათვის საჭირო სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება, მთლიანი

შიდა პროდუქტის წილის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტ-
ში, როგორც ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში. უნდა
შემუშავდეს საწარმოთა საინვესტიციო, საინოვაციო
და წარმოების რეფინანსირების ამაღლების მექანიზმე-
ბი. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზრებზე პროდუქციის
კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის აუცილებელია
სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, მით უმეტეს, რომ პერ-
სპექტიული კაპიტალტევადი დარგები (ბიოტექნოლო-
გია, ინფორმატიკა, ენერგეტიკა და ა.შ.) შეუძლებელია
ვითარდებოდეს სახელმწიფო ინვესტიციების გარეშე.
საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამგვარი სოციალურ-
ეკონომიკური განვითარება პასუხობს მოქალაქეთა ინ-
ტერესებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს მიმართულება
უნდა გახდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის
საფუძველი.8

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური
თავისუფლება არის სამეურნეო სუბიექტებისათვის სა-
კუთრების ფორმის, საკუთარი უნარების, ცოდნის, შესა-
ძლებლობების, პროფესიის, შემოსავლების განაწილების
ხერხების, მატერიალური სიკეთის მოხმარების არჩე-
ვანის შესაძლებლობა. ეკონომიკური თავისუფლება
რეალიზდება სახელმწიფოს საკანონმდებლო ნორმათა
ბაზის საფუძველზე და განუყოფელია მოქალაქეთა
სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობისაგან.9

ლიტერატურა:

1. Koslowski, P., (Ed), Individual Liberty and Demoncratic decision-making: the ethics, economics, and politics of democracy, Tübingen: Mohr, 1987, P. 98
2. http:/www.VuzLit.net.ru
3. http://www.cato.org
4. http:/www.prof.msu.ru
5. http:/www.economics.wideworld.ru
6. Friedman, M., Capitalism and Freedom, esp. Chapter 1

„The Relation Between Economic Freedom and Political Freedom, Chicago: University of Chicago Press, 1962, P. 17
7. http://www.books.google.com
8. http://www.prof.msu.ru
9. http://www.bank24.ru

§ 2.4. პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა, როგორც სოციალური მოვლენა ჩაისახა ადამიანთა საზოგადოების გაჩენასთან ერთად,1 ხოლო მისი როგორც სოციალურ-ფილოსოფიური კატეგორიის მნიშვნელობის განსაზღვრა მოხდა შედარებით გვიან. ხ. იონასი ამას ხსნის იმით, რომ პასუხისმგბლობის ზომა თანაფარდობაშია ხელისუფლებისა და ცოდნის ზომასთან, ხოლო ისინი ინდუსტრიამდელ ეპოქაში შეზღუდული იყო.2

პასუხისმგებლობას გააჩნია ორგვარი ბუნება: სამართლებრივი და სოციალურ-ეთიკური. მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში პასუხისმგებლობა განიხილებოდა უშუალოდ როგორც დანაშაულის სფეროს პრობლემა. მე-20 საუკუნის შუაში, როცა სამეურნეო საქმიანობის შედეგი ხდება არა მხოლოდ რეალიზებული მატერიალური კეთილდღეობა, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის საკითხიც, მან განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. გასულ საუკუნეშივე პასუხისმგებლობის, როგორც ადამიანის მოქმედების ფუძემდებლური პრინციპი დაიყვანებოდა იმგვარ გაგებამდე,რომ „იყო პასუხისმგებელი“ შეუძლია არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ სოციალურ ჯგუფს, ერთობას, კლასს. წარმოიქმნა ახალი კატეგორია - „სოციალური პასუხისმგებლობა“, რომელიც ხორციელდება როგორც სოციალური კონტროლის ფორმით, ისე სუბიექტების მიერ გაცნობიერებული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი როლით. სოციალური პასუხისმგებლობა მიეწერება არა ცალკე აღებულ ინდივიდს, არამედ ინდივიდს, როგორც სოციალური ერთობის წარმომადგენელს.

დღეს სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ეკონომიკური საქმიანობის შედეგი თანამედროვე

საბაზრო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის ჩარჩოებში, როცა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა საბოლოო ჯამში მიიღწევა ადამიანური კაპიტალით, გამოხატული მის ინტელექტუალურ ფორმაში.3

არსებობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ორი ძირითადი მიდგომა. მოცემული მიდგომები ერთმანეთისაგან განირჩევიან რაციონალურობის ტიპების მიხედვით. მ. ფრიდმანისა და პ. ჰეინეს პირველი მიდგომა ეფუძნება ფორმალურ (ინსტრუმენტალურ) რაციონალურობას. მეორე მიდგომის წარმომადგენლები არიან მკვლევარები, რომლებიც ეყრდნობიან სუბსტანციურ რაციონალურობას, მაგ. ფ. ჰაიტი და ა. რიხი, რომლებიც აღიარებენ, რომ ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას გააჩნია რთული ბუნება და არ დაიყვანება შიშველ ეკონომიკურ ინტერესამდე.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ეთიკური ნორმა, საფუძვლად უდევს სამეურნეო საქმიანობის პროცესს. იგი ამავე დროს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პირობას და მის ინდიკატორს.

საერთაშორისო პრაქტიკაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ცალსახა განსაზღვრება არ არსებობს. მასში იგულისხმება ერთის მხრივ ქველმოქმედება, მეცენატეობა, სპონსორობა, ფილანთროპია, მეორეს მხრივ, სოციალურ-მარკეტინგული პროგრამები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ეს არის ბიზნესის ნებაყოფლობით გაღებული წვლილი საზოგადოების სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროთა განვითარების საქმეში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მისი ეს მოცემული განსაზღვრება უფრო მეტად იდეალურია და სინამდვილეში შეუძლებელია მისი სრულად განხორციელება იმიტომ, რომ თუნდაც ერთი გადაწყვეტილების ნებისმიერი შედეგის წინას-

წარ გათვლა უბრალოდ შეუძლებელია. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის არა წესი, არამედ ეთიკური პრინციპი, რომელიც უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას გააჩნია მრავალდონიანი თვისება. მისი საბაზო დონე გულისხმობს გადასახადების და ხელფასის დროულ და სრულ დაფარვას, შეძლებისდაგვარად სამუშაო შტატების გაფართოებას. მეორე დონე გულისხმობს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფილაქტიკურ მკურნალობას, ბინათმშენებლობას, სოციალური სფეროს განვითარებას, ე.ი. პერსონალისათვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფას როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროს. სოციალური პასუხისმგებლობის ამგვარ ტიპს პირობითად ეწოდება „კორპორაციული პასუხისმგებლობა“. მესამე უმაღლესი დონე გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

განზოგადებული სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის გავლენა საზოგადოებაზე, ეს არის იმ სუბიექტთა პასუხისმგებლობა ვინც იღებს ბიზნეს-გადაწყვეტილებებს მათ წინაშე, ვისზედაც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებენ აღნიშნული გადაწყვეტილებები. იგი არის ბიზნესის სუბიექტების პასუხისმგებლობა იმ ნორმებისა და წესების დაცვაზე, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრულია ბუნდოვნად, ან საერთოდ არაა განსაზღვრული (მაგ. ეთიკის, ეკოლოგიის, გულმოწყალების, კაცთმოყვარეობის, სიბრალულისა და ა.შ. სფეროში), რაც გავლენას ახდენს ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და საერთოდ საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე.4

თანამედროვე მსოფლიოში სოციალური პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქველმოქმედებით. ის შედგება წარმოებაში მაღალი ხარისხის საქონლისა და მომსახურების, გადასახადების სრული

გადახდის, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის, პარტნიორებთან და კონკურენტებთან კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის წარმოების, როგორც საკუთარი პერსონალის, ისე ადგილობრივი საზოგადოების და (გაერთიანებების) სოციალურ დაცვასა და განვითარებაზე ზრუნვის, გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და ა.შ კომპონენტებისაგან. შედეგად სახეზეა ბიზნესსა და საზოგადოებას შორის არსებული პრინციპულად ახალი ურთიერთობების ფორმირება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა აქტიურად და წარმატებით ხორციელდება მთელს მსოფლიოში. კომპანიები არა უბრალოდ წყვეტენ საზოგადოების პრობლემებს, აბანდებენ რა სახსრებს განათლების, მედიცინის, მეცნიერების, წარმოების განვითარებაში, გვერდში უდგანან სოციალურად დაუცველ ფენებს და ზრუნავენ ბუნების დაცვის ღონისძიებათა გატარებაზე, არამედ ამგვარი საქმიანობიდან ისინი იღებენ გარკვეულ სარგებელსაც. დასავლეთის ქვეყნებში იგი ფუნქციონირებს როგორც მყარი სოციალური ინსტიტუტი. ის არის რაციონალური და ეფექტური და სწორედ ამით განსხვავდება ტრადიციული ქველმოქმედებისაგან.5

ამერიკელი მკვლევარების თვალსაზრისით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს მასში, რომ კომპანიის სტრატეგიული საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს ოთხი ძირითადი მიმართულებით: 1) ნებისმიერი ინიციატივების მხარდაჭერა მტკიცე პოზიტიური ურთიერთობების ფორმირებისათვის; 2) პროფესიული განათლების განვითარებასა და სრულყოფაში მონაწილეობა მსოფლიო ბაზრისა და ნაციონალური ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად; 3) ბიზნესის მონაწილეობა კულტურისა და ხელოვნების დარგებში შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისათვის; 4) საწარმოს ნებაყოფლობითი მონაწილეობა გარემოს დაცვის ღონისძიებებში.6

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობის როგორც ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ფორმირება და განვითარება ხდება უფრო და უფრო აქტუალური და მწვავედ მოთხოვნადი პრობლემა. ეს განპირობებულია იმით, რომ მსოფლიო თანამეგობრობის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, რომლებიც მეტ-ნაკლები ხარისხით განიცდიან ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების გავლენას, ასევე საზოგადოებრივი განწყობების მოლოდინებისა და ფასეულობათა სისტემების ცვლილებებს, იზრდება ბიზნესის როლი და მნიშვნელობა მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ფენების სოციალური მხარდაჭერის, თანამედროვე სოციალურ სტანდარტებამდე მათი ცხოვრების დონის ამაღლების და სხვა საჭირბოროტო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტით შესაძლებელია სავარაუდო ან უკვე მომწიფებული წინააღმდეგობის თავიდან აცილება არა მხოლოდ ბიზნესსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაში, არამედ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორისაც. ხოლო ეს, თავის მხრივ იწვევს საზოგადოების ლოიალური განწყობის შექმნას როგორც ბიზნესის, ისე ხელისუფლების მიმართ, ისევე როგორც საზოგადოების მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას და ეროვნული მეურნეობის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, რაც ფრიად აქტუალურს ხდის იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის და გადაუჭრელი საკითხების კომპლექსურ კვლევას, რომელიც ეხება სოციალურ-ეკონომიკურ პასუხისმგებლობას.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფოს, სამოქალაქო ინსტიტუტებს და კერძო კომპანიებს შორის მთელს მსოფლიოში მოხდა საკმაოდ არსებითი ცვლილებები. დერეგულირების, პრივატიზაციის, გლობალიზაციის პროცესების შედეგად წინა პლანზე

წამოიწია საზოგადოებრივი ურთიერთქმედებების პრინციპულად ახალმა ფორმებმა. ქვეყნების მთავრობები თანდათანობით ხვდებიან, რომ მკაცრი რეგულირება და მძარცველური გადასახადები ხელს არ უწყობენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას, უფრო კი პირიქით. ამიტომ, იძულებითი ურთიერთობის ფორმებს ეტაპობრივად ანაცვლებს ნებაყოფლობითი თვითრეგულირების ფორმები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კერძო სექტორი უსისტემო ქველმოქმედებიდან გადადის საზოგადოებრიობასა (public relations, PR) და მთავრობას (government relations, GR) შორის არსებულ ურთიერთქმედებათა სტრატეგიულ ფორმებზე. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს სოციალური პასუხისმგებლობის კორპორაციული პროგრამები (Corporate Social Responsibility).7

ლიტერატურა:

1. http://www.5ka.ru
2. http://www.lib.ua-ru
3. http://www.dibase.ru
4. http://www.ru.wikipedia.org
5. http://www.lib.ua-ru
6. http://www.buiss.ru
7. http://www.prompolit.ru

თავი 3. საბაზრო ეკონომიკა VS სოციალური საბაზრო ეკონომიკა

§ 3.1. საბაზრო ეკონომიკა

საბაზრო ეკონომიკური სისტემა არის ეკონომიკური წესრიგის იმგვარი ფორმა, როდესაც ბაზრის პარტნიორებს შორის დაფუძნებული თავისუფალი გაცვლითი ურთიერთობები განსაზღვრავს ეკონომიკის უწყვეტ სასიცოცხლო ციკლს. თავისუფალი საბაზრო გაცვლითი ურთიერთობების ძირითადი პრინციპი კი მდგომარეობს საბაზრო ეკონომიკაში არა სახელმწიფოს მიერ ცხოვრების ყველა მიმართულებით ზრუნვისა და მისი ამ ფუნქციის უმთავრეს ამოცანად ქცევაში, არამედ – მხოლოდ შეზღუდულ კომპეტენციებში. მას (ე.ი. სახელმწიფოს) არ ევალება არც საქონელ-წარმოების ორგანიზება და არც წარმოებული პროდუქციის განაწილება. რა, რა მოცულობის, სად, და ვის მიერ იქნება ესა თუ ის პროდუქცია ნაწარმოები და სად შეიძლება შემოსავლის მიღება ეს მხოლოდ და მხოლოდ ბაზრის მონაწილეთა გადასაწყეტია. სახელმწიფოს ამოცანა „საზოგადოებრივი სიკეთის" უზრუნველყოფის თაობაზე მკვეთრად შეზღუდულია, გარდა იმ სეგმენტისა, რომელიც შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და საბაზრო პროცესების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივ მხარდაჭერას საჭიროებს. ბაზრები მხოლოდ იქ ჩნდებიან, სადაც კერძო საკუთრებისა და მისი თავისუფლად განკარგვის უფლებები არის დაცული.

საბაზრო ეკონომიკის ეთიკურად რელევანტური ასპექტები

ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, ეს არის მეცნიერება შეზღუდული რესურსების რაციონალური მართვის

შესახებ, რის რეალიზებასაც ის ცდილობს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – <<ვალდებულებისა>> და <<შესაძლებლობის>> გათვალისწინებით. ამიტომ მიუხედავად საბაზრო ეკონომიკის სრული გახსნილობისა და გამართული ფუნქციონირებისა, ნებისმიერი ფორმაციის საზოგადოებისათვის, იქნება ის ცხოვრების თუნდაც ყველაზე მაღალ სტადიაზე მყოფი, მის განკარგულებაში არსებული შეზღუდული რესურსები გამორიცხავს ყველა ინდივიდუალურ თუ კოლექტიური მიზნის მიღწევისა და სურვილთა დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამიტომ საჭიროა, რომ მოხდეს პრიორიტეტების გამოკვეთა მწირი რესურსების ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთან შეთანხმებით. ტრანსფორმაციისა და სუბსტიტუციის (ე.წ. trade – offs)* პრობლემები თავს იჩენს ყველგან და ყოველთვის. ე.ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეურნე პროცესების ყველა დონეზე რესურსების გამოყენებას, განაწილებასა და რეალიზაციას თან სდევს წყება კონფლიქტებისა, რომლებსაც როგორც ეკონომიკური ისე ეთიკური დიმენსიები გააჩნიათ. მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ მოდელში წარმოდგენილ შეხედულებათა სისტემებში, თითქოს ოდესმე საბოლოოდ გახდებოდა შესაძლებელი დაძლეულიყო რესურსების უკმარისობის პრობლემა, მუდამ აჩენდა უტოპიური სახელმწიფოს იდეას. გარკვეულ პოსტულატებზე დამყარებული ეთიკური კრიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს ეკონომიკის უმთავრეს პრობლემებს, რაც რესურსების სიმწირით გამოწვეულ ქმედებათა რესტრიქციებში

---

* ეკონომიკაში, trade-off ჩვეულებრივ გამოიხატება როგორც (ხელსაყრელ) შემთხვევათა ხარჯი (ურთიერთდათმობები, მაგ., გარემოს დაბინძურებისა და წარმოების შემცირებას შორის). რომელიც არის უპირატესობის მქონე ალტერნატივა, როდესაც მიიღება ეკონომიკური გადაწყვეტილება. [წყარო: study.com/academy/lesson/trade-offs-in-economics-definition-examples.html[Definition of Trade-Offs in Economics]

მდგომარეობს, რასაკვირველია არარეალისტურია.

საბაზრო ეკონომიკის სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის სწორედ იმ მოდელს, რომელიც არეგულირებს რესურსების სიმწირისგან წარმოქმნილ გამოყენებითი სახის პრობლემებს. მისი ამოსავალი პრინციპია სამეურნეო სუბიექტების სრული ავტონომია და აჩვენებს მათ ერთმანეთისაგან ნაწილობრივ ძლიერ ურთიერთგადამკვეთ და ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს. მათი ნორმატიული მოწყობისათვის არსებობს მრავალი შეხედულება. ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღება სხვადასხვა დონეზე, მივყავართ შესაბამის მოსაზრებებთან, რომლებც საჭიროებს გარკვეულ ეთიკურ შეფასებებს. ამგვარ მოსაზრებათაგან შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი მიდგომა ეკონომიურობის, გაცვლისა და განაწილების შესახებ.

1. ეკონომიურობის (ეკონომიკური ეფექტიანობის) მიდგომა: რესურსების შეზღუდული რაოდენობის არსებობა მსოფლიოში თითოეულ ეკონომიკურ აქტიორს აიძულებს განსაკუთრებით ამოწურვადი რესურსების მომჭირნეობით და კეთილსინდისიერად გამოყენებისაკენ, რაც პირდაპირ ეთანადება გლობალურ ეთიკურ მოთხოვნებს.

ცხადია, ეკონომიურობის მიდგომის იგნორი, ავტომატურად იწვევს საწარმოებელი პროდუქციის ზენორმით დანახარჯებს სწორედ მაშინ, როცა ადგილი აქვს მათ განკარგულებაში მყოფი ეკონომიკური პოტენციალის გამოუყენებლობას, როცა არ ხდება სამეურნეო სიახლეთა გაშლა-განვითარება და ეკონომიკურ ინდივიდების ბიზნესში პრაქტიცირება; მოკლედ რომ ვთქვათ: როდესაც ყველა შესაძლო ირაციონალური ქმედებით უმოწყალოდ იკარგება საზოგადოების კეთილდღეობის რეალური შესაძლებლობები. ეკონომიურობის მიდგომა, რომელიც ყველაზე ახლო დგას ეკონომიკის კეთილდღეობის საბოლოო მიზანთან, განსხვავებულ წესთა სისტემაში აქტიურს ხდის ალოკაციურ და

დისტრიბუციულ ფაქტორებს და სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯერებით უპირველესად ცდილობს მათი ზემოქმედების ხარისიხს დადგენას საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

ეკონომიურობის მიდგომის უგულებელყოფა გამოხატულებას პოულობს ორი მიმართულებით. ესენია: დებატები ეკონომიკური სისტემების და გარესამყაროს დაცვის პრობლემების შესახებ.

ე.წ. სოციალიზმი-კაპიტალიზმის დებატებში ცენტრალურ-გეგმიური ეკონომიკის გამართლება ეფუძნება იმ არგუმენტს,რომ ის „ბაზრების ქაოსის" ჩანაცვლებას ყველა ეკონომიკური მოვლენისა თუ პროცესის გეგმიური მართვის მეშვეობით ახორციელებს. დრომ აჩვენა ამ შეხედულების უმართებულობა. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის მომხრეთა პოზიციას, მათი მოსაზრებები ემყარება მათ მიერ პრეფერირებულ წყობის იმგვარ აღქმას, როდესაც ეს უკანასკნელი ქმნის არა მხოლოდ საზოგადო კეთილდღეობას, არამედ საკმაოდ დიდი ზომით ასევე ითვალისწინებს რენტაბელურობის, ეკონომიკური ეფექტიანობის პოსტულატს.

ეკონომიკური ეფექტიანობის მიდგომიდან საბაზრო ეკონომიკის საპირისპიროდ საწარმოები ცენტრალური აზრი (შეხედულება), რომელიც შეიძლება განვიხილოთ ეთიკურ კონტექსტში,არის ის,რომ მის მიერ ხდება სიცოცხლის ყოფითი საფუძვლების რღვევა-განადგურება და მაშასადამე, გარესამყაროს მწირი რესურსების, არსებული ბუნებრივი სიმდიდრის გაქრობა. ისმება კითხვა, თუ რა ალტერნატივები არსებობს აღნიშნულ პრობლემათა რეგულაციისათვის. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები: „ეკო-დიქტატურა" ანუ ლეგალური ლიმიტირებისა და აკრძალვის მკაცრი სისტემა. ნებისმიერი სახის დიქტატურის „ზრუნვის საგანს" მათი დანაპირების არ შესრულება წარმოადგენს. აკრძალვების დაწესება და სამართლებრივი შეზღუდვები აწარმოებენ მაღალ, ნაწილობრივ კი გაცილებით

მაღალ პროჰიბიციონისტურ კონტროლის ხარჯებს. ყოველდრიურ პრაქტიკაში ისინი ჩნდებიან როგორც ნაკლებად ეფექტურნი და ხშირად სასურველის საპირისპირო შედეგის მომცემნი. საბაზრო ეკნომიკის გარემოს დაცვის პოლიტიკა კი პირიქით, საფასო მექანიზმის ფუნქციონირების მართვის ეფექტითა და გარემოს დაცვის მიზნის შესაბამისი საკუთრების უფლებიდან გამომდინარე გარკვეული სარგებლის მიღებაზეა ორიენტირებული. სახელმწიფომ შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი ეკონომიკური ეფექტიანობის მიდგომის სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის. კერძოდ, ბუნებირვი რესურსების სარგებლობისათვის სახელმწიფოს მიერ საგადამხდელო ვალდებულებების დატვირთვით შესაძლოა მოხდეს ეკონომიკური სუბიექტების იძულება, რომ მათ ეკონომიკურ ხარჯთაღრიცხვაში იქნას შეტანილი სრული სახალხომეურნეობრივი (და არა მხოლოდ კერძო სამეურნეო) ხარჯები. ეს კი სტიმულს მისცემს იმ პროცესებს, რითაც შესაძლებელი გახდება გარემოს მაქსიმალური ადაპტაცია ნაკლებად საფრთხის შემცველი წარმოებისა და მოხმარების აქტების მოძრაობაში მოყვანის მიმართულებით.

2. სამართლიანი გაცვლის მიდგომა: ინდივიდუალურ გაცვლით პროცესებზე დაფუძნებული ეკონომიკა საჭიროებს გაცვლითი ურთიერთობების მორალს (გაცვლის მორალი); გაცვლითი ქცევები უნდა ეფუძნებოდეს პატიოსნებისა და სამართლიანობის პოსტულატებს. სამართლიანი გაცვლის მიზნის დაზუსტება რა თქმა უნდა ყოველთვის აწყდება გარკვეული სახის სირთულეს. მაგალითად, შუა საუკუნების თეოლოგები შეუძლებლად თვლიდნენ ჭეშმარიტი ქრისტიანის მიერ ვაჭრის პროფესიის დაუფლებას, რადგან საქონელგაცვლის მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს, მათი აზრით ეს უკავშირდებოდა ისეთ მანკიერ თვისებას,როგორიც არის სიხარბე, ისევე როგორც – ერთგულების,

პატიოსნებისა და სათნოების გაუჩინარება–გამოძევებას ადამიანებიდან და ადამიანთა შორის ურთიერთობებიდან.

მაშინდელ კრიტიკოსებს და მათ დღევანდელ მიმდევრებს როგორც ჩანს გამორჩათ ის, რომ ყოველი გაცვლითი ურთიერთობა ორმხრივი ბუნების მატარებელია და რომ გაცვლაში მონაწილე სუბიექტების, მათ შორის კი გამორჩეულად ვაჭართა ფენის პირად ინტერესს სრულებით არ წარმოადგენს მათივე საბაზრო პარტნიორების მოტყუება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ სურთ დიდი ხნით იმყოფებოდნენ ბაზარზე, ამგვარ ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი მოთხოვნა–მიწოდების პროცესში ცდილობს ოქროს შუალედის პოვნას, რომელიც ორივე მხარისათვის იქნება ხელსაყრელი. ეს კი მიღწევადია მხოლოდ თავისუფალი ტრანსაქციის პირობებში, როდესაც ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არსებულ ბიზნესურთიერთობებში არ ხდება გარეშე ძალის ჩარევა და ადგილი აქვს მათი კეთილდღეობისა და მაქსიმალური სარგებლის მიღების პოზიციათა გაუმჯობესებას, მოგების, როგორც საბოლოო მიზნის რეაბილიტაციის პროცესში.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქონელ-გაცვლა ანუ ვაჭრობა მოგებაზე ორიენტირებულ ორმხრივ მოლოდინებს წარმოადგენს, ის სრულებით არ გამორიცხავს შეცდომებს მონაწილე მხარეებს შორის ან მცდარ ქმედებებს სავაჭრო პარტნიორების მხრიდან. სწორედ აქ ჩნდება ხელშეკრულებითი ვაჭრობის სამართლისა და პასუხისმგებლობის სამართლის საჭიროება.

საბაზრო ეკონომიკაში თავისუფალი გაცვლითი პროცესების დროს უხეშ ჩარევას ყოველთვის აქვს ადგილი განსხვავებულ დროსა და სივრცეში. ასეთი ჩარევები ბაზარზე შეიძლება ხდებოდეს როგორც ყველა სახის კერძო კონკურენციული შეზღუდვით დაწყებული (მაგ. კარტელები), ისე მრავალი სახელმწიფო შეზღუდვით

დამთავრებული და არა მხოლოდ იქ, სადაც სახელმწიფო გვევლინება როგორც საკანონმდებლო ინსტანცია, არმაედ ასევე იქ, სადაც ის ჩნდება საბაზრო პარტნიორის სახით. ღინისძიებები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ზღუდავენ ან სულაც სრულიად აუქმებენ თავისუფალი საქონელგაცვლის პროცესს არის (საბაჟო) გადასახადები და ყველა სახის სახლმწიფო ინტერვენცია, ფასის რეგულირება, ე.წ. მევახშეობის აკრძალვა, შეზღუდვებთან დაკავშირებული მოკლე თუ გრძელვადიანი წერითი განკარგულებები, კონტრაქტაციის შეზღუდვები, მონოპოლიათა არსებობისა თუ განსაზღვრულ საქონელზე ან საქონლის გარკვეულ ჯგუფებზე მოხმარების აკრძალვის დაკანონება. ამგვარი სახის ჩარევები თითქმის გამონაკლისის გარეშე მოტივირებულია საყოველთაო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოსაზრებით და ემყარება გარკვეული ჯგუფების მოჩვენებით, ვითომდა დასაბუთებულ მოთხოვნებს. როგორც წესი ეკონომისტებისათვის სირთულეს არ წარმოადგენს დაუსაბუთებელი და ხშირად საფუძველს მოკლებული საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მოწოდებისაკენ მიმართული სისუსტეთა შემჩნევა. ამიტომ, ხელშეკრულებით-თეორიულ საფუძველზე ორიენტირებულმა ეთიკამ სწორედ აქ უნდა დასვას კითხვა ინდივიდუალური ავტონომიის შეზღუდვების გამართლებასთან მიმართებაში. უტილიტარისტული პოზიციების წარმომადგენლების, მათ მიერ პრეფერირებული საზოგადოებრივი სარგებლობიანობის იდეის დახმარებით უნდა შეეცადონ მოახდინონ მისი ეთიკური შეფასება.

3. სამართლიანი განაწილების მიდგომა: საბაზრო ეკონომიკაში შემოსავლების განაწილება პირველ რიგში განისაზღვრება მყიდველისათვის სარგებლის მიღებითა და ბაზარზე არსებული საქონლის რელატიური სიმწირით. შესყიდვის ფასის გადახდა ყოველთვის ასევე მოიცავს შემოსავლების განაწილებასაც (ანარიცხების გზით). მასთან კავშირში, მომსახურების ის

სეგმენტი, სადაც დიდად ფასობს და გათვალისწინებულია მოთხოვნის კატეგორია და მისი პირობები, იმყოფება გაცილებით უკეთეს ბიზნეს-გარემოში, ვიდრე ის – სადაც მას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. კონკურენცია და ტექნიკური პროგრესი ერთი მხრივ და პრეფერენციათა ცვლილებები მეორე მხრივ ასევე ხელს უწყობენ ინდივიდუალური შემოსავლების სხვადასხვა სახით განვითარებას.

შემოსავლების უთანაბრო განაწილება ისტორიული რაკურსით ხშირად ზემოდგომი სამართლიანობის მასშტაბებით არის გაკრიტიკებული. ასე მაგალითად, ეგალიტარისტები მოითხოვენ ყველასთვის შემოსავლების გათანაბრებას მაქსიმალურად ზედა ზღვარის დაწესების პირობებში; ხელშეკრულების თეორეტიკოსები, როგორიცაა ჯ. როულსი, ფიქრობენ რომ შემოსავლებს შორის განსხვავება მხოლოდ იქ შეიძლება არსებობდეს, სადაც მას ღარიბთათვის სარგებელი მოაქვს. მერიტოკრატიული პოზიციების მხარდამჭერები იცავენ ქალაქისა თუ ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოების, შესაბამისი მატერიალურ საზღაურის გაცემის პრინციპს; მილისტური პოზიცია (ჯ. სტ. მილი) აჩვენებს წესებს შორის დიფერენცირებისა და პრეფერენცირების არსებობის შეუძლებლობას წარმოებისა და განაწილების სფეროებში, რადგან ფასთა სისტემა გვევლინება სასაქონლოს და საშუამავლო ბაზრებს შორის ერთმანეთთან ორგანულად დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს რგოლად, სადაც (სხვა თანაბარ პირობებში) ნებისმიერი ჩარევა განაწილების სფეროში უკუზემოქმედებას ახდენს წარმოების სფეროზე და პირიქით. სამართლიანი განაწილების მარქსისტული მიდგომა კი ეფუძნება შემდეგ დევიზს - „თითოეულს მისი უნარის მიხედვით, თითოეულს მისი საჭიროების მიხედვით" საზოგადოების ძალზედ მაღალი საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში.

რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის დროს შემოსავ-

ლების სამართლიანი განაწილების საკითხს, აქ საყურადღებოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეკონომიკური მასშტაბების უწყვეტი ზრდის პროცესში ერთი მხრივ სახეზეა არსებული საწარმოო სტრუქტურების ტოტალური რღვევა რასაც თან ახლავს სამუშაო ადგილებისა და შესაბამისად შემოსავლების პერნანენტული შემცირება, მაგრამ ამავე დროს, მეორე მხარეს ის ახდენს ინოვაციურ ნაკადთა სტიმულირებას, რომელიც ხსნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს არა მხოლოდ მომხმარებელთათვის,არამედ მწარმოებლებისთვისაც, დამოუკიდებლად მოქმედ სუბიექტთა ჩათვლით. მაშასადამე,ეკონომიკური პროგრესი ასევე პოზიტიურად ზემოქმედებს როგორც საზოგადოების ღარიბი ფენის, ისე ნაკლებად წარმატებული ნაწილის შემოსავლებსა და მოხმარებაზე. საბოლოოდ, წარმატებული საბაზრო ეკონომიკის პროცესში მონაწილეთათვის ეკონომიკურ სარგებელთა ჯამი საგრძნობლად აღემატება მისგან განცდილი ზარალის მოცულობას, რომელსაც ისინი ჰუმანური და მატერიალური კაპიტალის დანაკარგებით „შემოქმედებითი განადგურების პროცესში" (J. Schumpeter)1 განიცდიან. ეკონომიკური ზრდა-განვითარების სასურველ წინაპირობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს „საზოგადოებრივი განიარაღების ხელშეკრულება" (J. M. Buchanan)2, რომელიც ეფექტიანობის რეჟიმში ხელს უწყობს საყოველთაო ცხოვრების სტანდარტის (მათ შორის ღარიბთა და დაბალშემოსავლიანი ფენის) სწრაფ და გარანტირებულ ამაღლებას.3

როგორც ეს დასაწყისში იქნა აღნიშნული, საბაზრო ეკონომიკა, რომელიც <<თავისუფლებას>>, როგორც უმაღლეს ღირებულებას ეფუძნება, მორალურობის თვალსაზრისით ქმნის გარკვეული სახის სირთულეებს, რადგან ის ღიად პროვოცირებს კონკურენტულ წნეხსა და იძულებაზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს საყოველთაოდ მისაღები ერთიანი კონვენციის განხორციელების პროცესს. აღნიშნული სირთულის დასაძლევლად

მისაღებია საბაზრო ეკონომიკის ახალი კრიტერიუმი სოლიდარობის სახით. თუკი ჩვენ საბაზრო ეკონომიკასთან მიმართებაში დავეყრდნობით ყველა ადამიანის სოლიდარობის ლაიტიდეას, მაშინ აღნიშნული თვალსაზრისის საფუძველზე შევძლებთ ეკონომიკის საბაზრო მოწყობის შემდეგი თეზის წარმოდგენას:

საბაზრო ეკონომიკური წესრიგი ეფუძნება ზნეობრივ კრიტერიუმებს,რადგან ის ყველა ადამიანის სოლიდარობის განხორციელებისათვის აქამდე ცნობილ ყველა ინსტრუმენტს შორის საუკეთესოა, და რომელიც ბაზრის ავტომატურობის მაჩვენებელი <<უხილავი ხელის>> ნაცვლად <<საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე>> დამყარებულ ჩარჩო-წესრიგს, როგორც კულტურის უაღრესად არაბუნებრივ პროდუქტს ემყარება.

ამის თქმის საფუძველს იძლევა შემდეგი: საბაზრო ეკონომიკისა და ეთიკის პრობლემა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფორმირებიდან დღემდე მუდმივი განხილვის თემაა, რამაც გლობალიზაციის პირობებში ახალი ძალით იჩინა თავი. აღნიშნული სირთულის დასაძლევად დროული და ამავე დროს მიზანშეწონილია ამ ურთიერთკავშირის საკვანძო პრობლემის – კონკურენციასა და მორალთან მიმართებაში ქცევის ნორმატიული ასპექტების წინ წამოწევა,რათა შესაძლებელი გახდეს მსგავსი ანტაგონიზმის რაციონალური გადაწყვეტა.

კონკურენცია მოითხოვს დისციპლინას, რითაც ის ზრუნავს პრობლემების ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური გზით გადაწყვეტის სწრაფ გავრცელებაზე,რის მიღმაც კონკურენცია ქმნის და ანადგურებს დროებით აღმოცენებულ ძალაუფლების პოზიციებს (Franz Böhm)4, რადგან ხანგრძლივი დროით მათი არსებობა საბაზრო ეკონომიკაში შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე ჩვენ გვაქვს შემდეგი პრობლემური ვითარება: თავისუფალი კონკურენცია თავისდაუნებურად აჩენს ჰუმანურობისა და სოლიდარობის

ეგზისტენციალურ საჭიროებას, ანუ ერთ მხარეს არის მორალი, რომლის არსებობაც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქმედებათა აღსრულებაში შეუძლებელი ჩანს, მაგრამ მეორე მხრივ, ის ზრუნავს ფართო მასების კეთილდღეობაზე, რომლესაც აქ არავინ უარყოფს, რადგან მორალი იძლევა მრავალი ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას. ისმება კითხვა: შევძლებთ თუ არა კონკურენციისა და მორალის თანაარსებობას? ან უფრო ზუსტი ფორმულირება რომ მივცეთ: არის კი შესაძლებელი კონკურენცია მორალური ინტენციების, ყველა ადამიანის სოლიდარობის სამსახურში რომ ჩავაყენოთ? დიახ შესაძლებელია, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალური სისტემის ფარგლებში.** ამგვარი ჩარჩო-წესრიგის*** დაფუძნება და განვითარება კი დავალებულია ევოლუციური სასწავლო პროცესებისა და სამართლის <<ხილული ხელისგან>>.

** ამით ისმება საკითხი, თუ როგორ არის შესაძლებელი ბაზრის რაციონალურობისა და ეთიკის შესაბამისობაში მოყვანა. პროფ. ჰომანს სათანადო არგუმენტების მოშველიებით დილემა – სიტუაციიდან გამოაქვს დასკვნა, რომ საბაზრო ეკონომიკაში მორალის სისტემურ ადგილს... ჩარჩო წესრიგი წარმოადგენს. (Homann, 1994, 112).

*** ჩარჩო-წესრიგი ეს არის სახელმწიფოსა და მონაწილე აქტიორების მიერ მოცემული და აღიარებული კონკურენციის თამაშის წესები. ის მოიცავს სამართლებრივ წესრიგს (განსაკუთრებით კონკურენციულ სამართალს), საგადასახადო სისტემას, გადასახადებსა და სუბსიდიებს (მაგ., საგადასახადო შეღავათები გარემოსთვის უვნებელი ტექნოლოგიებისათვის), ისევე როგორც ბაზრის კერძო მონაწილეთა, პირველ რიგში საწარმოთა კოლექტიურ თვითდაკავშირებას. (Handbuch der Wirtschaftsethik, Band 3: Ethik wirtschaftlichen Handelns., im Auftr. der Görres-Gesellschaft von Wilhelm Korff..., Gütersloher Verlagshaus. Gütersloh., 1999, S. 239).

ლიტერატურა:

1. <<Prozeβ der schöpferischen Zerstörung>>, J. Schumpeter, Kapitalismus, Sozialismus und Demokratie. Einleitung von E. Salin, München, 1972

2. J. M. Buchanan, Die Grenzen der Freiheit. Zwischen Anarchie und Leviathan, Tübingen 1984.

3. Lexikon der Wirtschaftsethik, hrsg. von Georges Enderle..., Freiburg; Basel; Wien: Verlag Herder Freiburg im Breisgau, 1993 S. 656-60

4. F. Böhm, Demokratie und ökonomische Macht, in ders. (Hrsg), Kartelle und Monopole im modernen Recht, Karlsruhe, 1961

§ 3.2. სოციალური საბაზრო ეკონომიკა

სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ფორმა, რომელიც იშვა გერმანიაში და რომლის ამოსავალ პრობლემას მე-19-ე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე „სოციალური საკითხი" წარმოადგენს. მისი წარმოშობა მჭიდრო კავშირშია ინდუსტრიალიზაციის პროცესში დაწყებულ და ორი მსოფლიო ომით გამოწვეულ მასობრივი უმუშევრობისა და მატერიალური ხელმოკლეობის, ავადმყოფობის, საოჯახო კავშირებისა და მათი უსაფრთხოების რღვევის, ლოთობის თუ სხვა სოციალურ მოვლენებთან, რასაც თან ერთვის კონიუნქტურული კრიზისი და დასაქმებულთა დამოკიდებულება მონოპოლიებსა თუ კარტელებზე.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ინტერესდება ქვეყნის სოციალური პრობლემატიკით და უკვე 1884 წელს მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება საპენსიო, სამედიცინო და შრომისუუნარობის (ინვალიდობის) რეფორმა. მეორე მსოფლიო ომით მიღებული ნგრევისა და სოციალური უარყოფის შემდეგ მრავალი სხვა სოციალურ – პოლიტიკური ღონისძიებები იქნა გატარებული და შეტანილი სოციალური დაზღვევის ერთიან სისტემაში, მათ შორის ისეთები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები ბავშვიანი ოჯახებისათვის, ბინათმშენებლობისა თუ პროფესიული გადამზადების ხელშეწყობის ღონისძიებები, ასევე, არსებული კარტელების და ახალი კარტელური წარმონაქმნების აკრძალვა, სუბვენციები ეკონომიკის ისეთ სუსტ დარგებზე, როგორიც არის ნახშირწარმოება და სოფლის მეურნეობა, კონიუქტურის მართვა, სტრუქტურული პოლიტიკა, ინდუსტრიული პოლიტიკა, ისევე როგორც დასაქმებულის მონაწილეობა გადამწყვეტი ხმის უფლებით სამუშაო

ადგილზე (Betriebsverfassungsgesetz 1972) და სამეთვალყურეო საბჭოში (Mitbestimmungsgesetz 1976). ყველა ამ ღონისძიებას საერთო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმის წიაღში გაჩენილი სისუსტეებისა თუ კრიზისების დაძლევის მიზნით.

მოკლე ისტორიული ექსკურსი თვალნათლივ აჩვენებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუმცა დღეს უკვე ღიად საუბრობენ, რომ <<სახელმწიფოს ეკონომიკური მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური წესრიგის სახის ფორმირებაზე,და არა ეკონომიკური პროცესების მართვაზე>>.1 როგორც ცნობილია მეოცე საუკუნის ბოლოს გერმანიაში ფასწარმოქმნის დიდი წილი მოდიოდა არა ბაზარზე, არამედ ადმინისტირებაზე. სწორედ ამ და მსგავს მოსაზრებათა გაუთვალისწინებლობის შედეგი და მტკივნეული გამოძახილი იყო მაგალითად, ხანგრძლივ კრიზისში მყოფი სოციალური დაზღვევის სისტემის არსებობა. შეზღუდვები ეკონომიკური წესრიგის ტიპის ფორმირებაზე, ეკონომიკის ჩარჩო-წესრიგისა, თუ ეკონომიკურ ქმედებათა ჩარჩო-პირობებზე არის სოციალური საბაზრო ეკონომიკის საკვანძო ელემენტი, და ეჭვგარეშეა, რომ ოიკენისეული ეს პრინციპი ყოველთვის არ იქნა დაცული გერმანიის ისტორიაში.

დღევანდელი მდგომარეობა კი ასეთია: გერმანიაში საბანკო გაერთიანებათა მიერ წარმოებული გამოკითხვების თანახმად, 2001 წლიდან საბაზრო ეკონომიკის მიმართ მოწონების პროცენტი მნიშვნელოვნად იკლებს. 2001 წლის შემოდგომის მოწონების პროცენტი იყო 76%; 2005 წლის შემოდგომას კი – 59%.2 2010 წლის ბოლოს მოწონების პროცენტი კვლავ შემცირდა და IWKöln-ის მონაცემებით 50%-ზე ნაკლები შეადგინა.3 მის მიმართ არსებული საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულება ახდენს აუცილებელი და გადაუდებელი ეკონომიკური რეფორმის პროცესის ბლოკირებას, რადგან მრავალი ადამიანი ბაზრის უკმარ ეთიკურ

ხარისხში შინაგანად ღრმად არის დარწმუნებული. ამ დამოკიდებულების ეთიკური გამართლების ტიპი საერთოა როგორც საბაზრო, ისე სოციალური საბაზრო ეკონომიკისათვის. რომ აღარაფერი ვთქვათ პირველზე, თავად მეორე მხოლოდ ეთიკურად არის ეჭვშეუვალი და სასურველი. ეს არგუმენტი აჩენს დიდ ბუნდოვანებას იმ გარემოებასთან მიმართებაში, რომ საბაზრო ეკონომიკა ეთიკურად შესაძლოა გამართლებული იქნას და აქედან გამომდინარე ის საჭიროებს მორალურ კორექტივს. რაც შეეხება სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, იგი იყენებს სოციალური გადანაწილების ეფექტურ ბერკეტს იმ იარების მოსაშუშებლად, რომელსაც ბაზარი და კონკურენცია აჩენს. ე.ი. სოციალურ პოლიტიკას გარკვეული შესწორებები შეაქვს ბაზრის ფუნქციონირებაში.

ეკონომიკის სოციალური ასპექტის ეს ინტერპრეტაცია პრემოდერნულია. ის გამომდინარეობს საზოგადოების ნულოვანი შედეგის თამაშისა და არავითარი ეკონომიკური ზრდის პრინციპიდან. ეს პრინციპი კი მოდერნულ, პლურალისტულ ეკონომიკური ზრდის საზოგადოების თვალსაზრისთან არ არის თავსებადი. კიდევ მეტი, ამ ხედვას საბოლო ანგარიშით მივყავართ რედისტრიბუციის უფრო და უფრომეტად გაფართოების მოთხოვნამდე, „სოციალური სამართლიანობის" აღდგენის მიზნით.

კიდევ უფრო სათანადო არგუმენტაციის სტრატეგია შეიძლება ქვემოთ იქნას განხილული, თუმცა ამისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ეთიკის ფუძემდებლური მოსაზრებები საბაზრო ეკონომიკაში იქნას მოტანილი.

ადამ სმიტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუძმედებლად – უეჭველად არა ისტორიულ, არამედ სრულიად სისტემატური პერსპექტივით, რადგან სწორედ მან პირველმა შემოგვთავაზა ადამიანურ მოქმედებათა ორ დონეს შორის მკა-

ფიო გამიჯვნის ანალიზი: სახელდობრ, მოქმედებებსა და მოქმედებათა პირობებს შორის. თამაშის თეორიაში ეს გამოიხატება როგორც განსხვავება თამაშის მსვლელობასა და თამაშის წესებს შორის. ამასთან, თამაშის მსვლელობა მოიცავს ყველა იმ პარამეტრს, რომლის გაკონტროლებაც აქტიორს შეუძლია. ხოლო, თამაშის წესები მოიცავს იმ ფაქტორებს,რომლებიც არსებითად განსაზღვავს აქტიორის ქცევებს, რომლებიც მოქმედ პირს თავად მოქმედებათა შესრულებისას არ გააჩნია და რომლებსაც ის არ აკონტროლებს. ქვემოთ მოტანილ ნახატში ნაჩვენებია ის მნიშვნელოვანი პარამეტრები, რომლებიც განირჩევიან მოქმედებისა და მოქმედებათა პირობების მიხედვით საწარმოს მაგალითზე. (იხ. ნახ. 1)4

მოქმედებები	მოქმედებათა პირობები
- მიზნები, მოტივები, ინტერესები	- ბუნებრივი პირობები (მაგ. ბუნების კანონი)
- საშუალებები	- კულტურული, საზოგადოებრივი პირობები (მაგ. საყოველთაო განათლების დონე, კონვენციები)
- ყიდვები, გაყიდვები	- ჩარჩო წესრიგი (წყობის საფუძვლები)
- საფასო პოლიტიკა	-კონსტიტუცია
- საპროდუქტო პოლიტიკა	- კანონები
- სარეკლამო ღონისძიებები	- ეკონომიკური წესრიგი
- პირობები (დადგენილი ნორმები)	- კონკურენციული წესრიგი
- ხელფასები და სარგოები	- სასმართლო სისტემა (იუსტიციის აპარატი)
- სამუშაო ატმოსფერო	- მმართველობითი მდგომარეობა
- და ა.შ.	- ტრანსაქციის თვისებები
	- საბაზრო პირობები
	- კონიუქტურული (ეკონომიკური) მდგომარეობა
	- და ა.შ.

ნახ. 1. „მოქმედებათა" რეკონსტრუქცია (საწარმოსთვის)

ამ განსხვავების დახმარებით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური სისტემის ყოველი ნორმატიული დასაბუთების ძირითადი პრობლემის გადაჭრა, სახელდობრ, თუ როგორ აიგება ურთიერთობა კონკურენციასა და მორალს შორის. ვინაიდან იმგვარი კონკურენციის პირობებში, როდესაც კონკურენციის მორალური ხარისხი დაბალია, მორალურად მოტივირებული ცალკეული აქტიორის მოქმედებას აუცილებლად თან სდევს ხარჯების ზრდა, ამიტომ თითოეულ აქტიორს შეუძლია მორალურად მოქცევა მხოლოდ მაშინ და იმ პირობებში, როდესაც მისი კონკურენტები მსგავსი მორალური სტანდარტებით ხელმძღვანელობენ. რაც იმას ნიშნავს, რომ მორალმა უნდა მოახდინოს საერთო, ასევე კონკურენტებისათვისაც სავალდებულო წესების ინკორპორირება, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი მათი როგორც ექსპლუატაციისათვის რეზისტენტულის პრაქტიკირება.

სმიტის მიერ მოტანილ სურათში კონკურენცია და მორალი შესაძლებელია ერთდროულად იქნეს რეალიზებული, იმ დროს როდესაც მორალი კონკურენტულად ნეიტრალური და შესაბამისად ექსპლუატაციისათვის რეზისტენტული ინკორპორირდება მოქმედებათა პირობებსა თუ თამაშის წესებში, ეს მაშინ როდესაც მოქმედების პროცესში კონკურენციას აქვს განხორციელების შესაძლებლობა. ამ გზით მორალურ მოქმედებათა ექსპლუატაციურობის პრობლემა გადაჭრილია: ასევე კონკურენტებიც იგივე მორალური სტანდარტებითა და თამაშის წესებით იხელმძღვანელებენ. მორალი ხდება ექსპლუატაციისათვის რეზისტენტული, და პრობლემაც არსებითად დაძლეულია.

აქვე უნდა შევეხოთ სოლიდარობის საკითხსაც. ყველა ადამიანის სოლიდარობა – როგორც ძირითადი (და გადამწყვეტი) მორალური იდეალი – თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში არა ცალკეული აქტიორის ზნეკეთილი მოქმედებებით და მისი მორალური, სოლ-

იდარული მოტივებით არის გარანტირებული, არამედ სათანადო ჩარჩო-წესრიგით; რომლის ამოცანაა არა ის, რომ შეზღუდოს ან უგულველყოს თითოეული ამ აქტიორის თვითინტერესი, არამედ პირიქით, თითოეული მათგანის თვითინტერესი წარმართოს იმ მიმართულებით, საიდანაც ის ასევე სარგებელს მოუტანს სხვა ადამიანსაც. მაშასადამე, ხდება მისი თვითინტერესის არა მოთვინიერება, არამედ გათავისუფლება და გაძლიერება შესაბამისი ჩარჩო-წესრიგის პირობებში.

საბაზრო ეკონომიკის ეს პროგრამა არის ეთიკური. ამ პროგრამაში მორალი დამოკიდებულია (მეტად) არა მორალურ მოტივებზე, არა აქტიორთა კეთილ ნებაზე, არამედ სათანადო ჩარჩო-წესრიგზე. სწორედ რომ თავად აქტიორები მიჰყვებიან და ემორჩილებიან ჩარჩო-წესრიგის თვით-ინტერესს. რის შემდეგაც მორალური უთანხმოება (არსებობის შემთხვევაში) უნდა აიხსნას არა ეგოიზმისა და სიხარბის მოტივით, არამედ არასრული და ნაკლოვანი ჩარჩო-წესრიგით. იქ სადაც ძარცვაგლეჯა, კორუპცია თუ ხელშეკრულების დარღვევა არ ისჯება, სადაც საკუთრების უფლება არ არის დაცული, პირველ რიგში საჭიროა მოხდეს სამართლებრივი სახელმწიფო ფორმირება და სამართლის ეფექტური განხორციელება. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ მორალი არა ცალკეული ინდივიდის მიწოდებაზე რეალიზდება, არამედ ჩარჩო-წესრიგის ცვლილებების გზით, ე.ი. მხოლოდ ეკონომიკური ლოგიკით და არავითარ შემთხვევაში მის საპირისპიროთ. ანუ იმპერატიულ ფორმულირებას თუ მივცემთ: მორალი, რომელიც ეკონომიკური ლოგიკის წინააღმდეგ დგას არაეფექტურია.

ბაზარი და კონკურენცია, კერძო საკუთრება და მოგებისაკენ ლტოლვა ყველა მონაწილისათვის აქ, პოზიტიური სისტემის ფუნქციონირების საზღვრებში პოულობს საკუთარ ეთიკურ გამართლებას. სათანადო ჩარჩო-წესრიგის წინაპირობით ის უეფექტურესი საშუ-

ალებაა ყველა ადამიანის თავისუფლებისა და სოლიდარობის რეალიზებისათვის, რაც კი აქამდე კაცობრიობისათვის ცნობილია. მრავალი ადამიანის მორალური იმპულსის საპირისპიროდ, რასაც საბაზრო ეკონომიკა კონკურენციით, კერძო საკუთრებითა და მოგებისაკენ ლტოლვით უარყოფს ან სულ მცირე ზღუდავს, ამგვარი მიდგომა გვთავაზობს სრულიად საპირისპირო მიმართულებას: საბაზრო ეკონომიკა ეთიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს სრულყოფილი. ეთიკა ითხოვს არა ნაკლებ, არამედ მეტ და უკეთეს ბაზარს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონტექსტში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობა. კონკრეტულად კი ის, თუ როგორ არის მისი „სოციალური" ასპექტი სოციალურ საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული, საიდანაც შემდეგ კონკრეტული ამოცანები და პოლიტიკური რეკომენდაციები იწარმოება. დასავლურ ლიტერატურაში სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებით არსებობს განსხვავებული ხედვები, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს ოთხი:

1. სოციალური პოლიტიკა ბაზრის საშუალებით: კლასიკური ლიბერალური მიდგომა სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებაში წარმოადგენს ლიბერალიზმის ნაწილს პოლიტიკაში და ფართოდ გამოყენება აშშ-ის საბაზრო ეკონომიკაში. ამ მიდგომის თანახმად, საუკეთესო სოციალური პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკაა. ამგვარ პოლიტიკაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდით მიღებული შემოსავლები სიკეთის მომტანია საზოგადოების <<ღარიბი>> ფენისთვისაც. სოციალური სახელმწიფოს კრიზისის გამომწვევ მიზეზად კი სოციალური დაცვის ღონისძიებების <<სიჭარბე>> მიიჩნევა. ამიტომ უნდა მოხდეს სოციალური სახელმწიფო ფორმის გაუქმება. <<დანაშაული>> მოდის <<ღარიბთა>> ფენაზე, რომ-

ლებიც ექსპლოატაციას უწევენ სისტემას.

2. სოციალური პოლიტიკა ბაზრის საპირისპიროდ: ეს არის ეთიკურ მოსაზრებებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის კლასიკური მიდგომა, რომელიც დასაბამს უძველეს სოციალ-დემოკრატიის წიაღში იღებს. მისი მიხედვით სოციალური პოლიტიკის ეს ფორმა ყველა ადამიანისათვის, განსაკუთრებით ღარიბი ფენისთვის ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა. „გადანაწილების" ინსტრუმენტი სასარგებლოა „ღარიბთათვის"; <<დამნაშავენი>> არიან <<მდიდრები>>, როგორც საბაზრო ეკონომიკის სიკეთით მოსარგებლენი. სოციალური სახელმწიფოს ყოველი <<რეფორმა>> მიმართული სოციალური უზრუნველყოფის შემცირებისა თუ გაუქმების მიზნით მიიჩნევა „ასოციალურად".

3. სოციალური პოლიტიკა ბაზრის წინ (ბაზრამდე): ეს გახლავთ ჯ. მ. ბუხანანის (1975/1984) კონცეფცია რომელიც გვთავაზობს სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური აზრის კონსტრუქციულ განმარტებას. საკითხის არსი მდგომარეობს შემდეგში: რატომ უნდა იქნას არაეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკური წესრიგის საზოგადოების კონსტიტუციურ-ხელშეკრულებით შეთანხმებაში მოწონებული, რომელშიც თვითონ მას მცირე შანსი ექნება. აქ ბუხანანი მნიშვნელობას ანიჭებს იმ არგუმენტს, რომ პერსპექტივაში სოციალური თანამშრომლობის შემოსავლებში (მათი) მონაწილეობის გარანტიით <<ღარიბებს>> მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მოიწონონ საბაზრო ეკონომიკური წესრიგი, თუკი მათ მიერ წინდაწინ მონაწილეობის გარანტიის საფუძველზე სოციალური თანამშრომლობის შემოსავლებში მოხდება მათი მოწონების ერთგვარად <<შესყიდვა>>, რითაც გამოირიცხება გადანაწილების კატეგორია. შესაბამისად, სოციალური პოლიტიკაც გაცვლის პარადიგმის სახით მოიაზრება. გარე ეთიკურ <<ღირებულებებსა>> და მსგავს ფასეულობებს შეიძლება

უარი ეთქვას. <<დამნაშავე>> არავინ არის. პრობლემა იდენტიფიცირებულია, როგორც ორივე მხარის პრობლემა.

4. სოციალური პოლიტიკა ბაზრისათვის: ეს კონცეფცია ჰ. ვ. ზინის მიერ იქნა განვითარებული. სოციალური უზრუნველყოფა გაგებულია როგორც ინვესტიცია, რომელსაც ასევე მოაქვს შემოსავალი. სოციალური სახელმწიფო დახურული როგორც დიდი დაზღვევა, რომელიც უმნიშვნელოვანესი საწარმოო ფაქტორია, როდესაც სწორედ იკვეთება მისი სტიმულები. სოციალური პოლიტიკის ამოცანაა დაეხმაროს ბაზარს და (კვლავ) გახადოს ის ფუნქციური. დასახული მიზნის მიღწევა მდგომარეობს ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებაში, რათა მათ საუკეთესო განათლების მიღებით, კვალიფიკაციის ამაღლებითა და სხვ. შეძლონ ბაზრის მნიშვნელოვან და სრულფასოვან მონაწილეებად წარმოჩენა. ე.ი. სხვაგვარად რომ ვთქვათ მიზანშეწონილია ინვესტიციების განხორციელება მატერიალურ და ჰუმანურ კაპიტალში სოციალური უზრუნველყოფის გარეშე. აქ სოციალური პოლიტიკა არსებითად გაიგება როგორც საწარმოო ინვესტიცია, და არა როგორც მოხმარება, როგორც ეს 1 და 2 ტიპების შემთხვევაშია.5

როგორც ეკონომიკური ისე ეთიკური პერსპექტივით მხედველობაში მისაღებია არა მხოლოდ ხარჯთწარმომქმნელი ზარალის ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ეკონომიკური გაჭირვება, ავადმყოფობა, ასაკი, უმუშევრობა და სხვ., არამედ წინა პლანზე პირველ რიგში წინ უნდა წამოიწიოს ზარალის არმომტანმა შემთხვევებმა. მხოლოდ მაშინ, თუკი გაჩნდება სარისკო მოქმედებათა წარმოშობის საფრთხე ზარალის არმომტან შემთხვევებში, სადაზღვეო სისტემაში შესაძლეებლი იქნება ხარჯების <<აფეთქების>> თავიდან აცილება ან სულ მცირე მისი ლოკალიზება. ამისათვის აქ საჭიროა რისკების უკიდირესად შემცირება და მის ხარჯზე

შემოსავლების მკვეთრი ზრდა, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში როგორც მოსალოდნელია აღნიშნულ სისტემას ემუქრება სრული გაკოტრება და განადგურება. დამატებითი შემოსავლებით კი შესაძლებლი იქნება ასევე ზარალის მომტანი შემთხვევების დროს წარმოქმნილი ხარჯების გადაფარვა. შედეგად აღმოჩნდება სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ახლანდელთან შედარებით არა მხოლოდ გაცილებით პრაქტიკული იქნება, არამედ უკეთესი სოციალური მომსახურების საფუძველზე ის შეიძლება ეთიკურად სასურველიც კი იყოს. მაგრამ ამასთან, კვლავინდებურად წინაპირობაა ცალკეული წესების (რეგულაციების) სტიმულთავსებადი ფორმით კონსტრუირება და არა პირიქით. ანგლოსაქსურ ლიტერატურასა და პოლიტიკაში საუბარია <<აქტივირებულ სოციალურ სახელმწიფოზე>> რომელიც <<დახმარება თვითდახმარებისათვის>> პრინციპში მდგომარეობს. სხვათაშორის ეს ფორმულირება არა კონსერვატიულ, არამედ სოციალდემოკრატიულ მიმართულებაში განვითარდა ბილ კლინტონისა და ტონი ბლერის დროს, უკანასკნელთან – პირველ რიგში ანტონი გიდენსის მიერ6.

ზემოთ მოტანილი ოთხი ტიპიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე4-ე ტიპის ქვეშ სკიცირებული პოზიცია, რომელიც მე-3-ე ტიპის მთავარი იდეის გაფართოება-განზოგადებას ასახავს: სწორედ მასში არის სოციალური პოლიტიკა პროდუქტიული და შემოსავლის მომტანი. მე-2-ე ტიპის პრობლემა, რომელიც კიდევ უფრო გაფართოებულია, განსაკუთრებით ვლინდება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში: ეროვნულ სახელმწიფოს მეტად აღარ ძალუძს <<მდიდრების>> (რომელთაგან ის რედისტრიბუციის მასის მოლოდინშია) თავის საგადასახადო სფეროში დამაგრება – შენარჩუნება. საშუალო და გრძელვადიანი მაღალმობილურობის მქონე კაპიტალისათვის გლობალური კონკურენცია იმყოფება კულმინაციურ ფაზაში, სადაც

ქვეყნებს დაბალი ხელფასით, გადასახადებითა და სოციალური ანარიცხებით უდავოდ გააჩნიათ უპირატესობა. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური სახელმწიფო ინტერნაციონალურ კონკურენციაში განიცდის ექსპლოატაციას. შესაბამისად, გერმანიის მსგავსი მაღალი სახელფასო დონის ქვეყნისათვის შესაძლებელია <<მდიდრების>> დამაგრება-შენარჩუნება, თუკი ისინიც და არა მხოლოდ <<ღარიბები>> სოციალური უზრუნველყოფის სისტემიდან ასევე მიიღებენ სარგებელს. მდგრადობის მიღწევა სოციალური პოლიტიკით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ეს უკანასკნელი გადანაწილების ფორმით არ არის ჩაფიქრებული, სადაც ყოველთვის ერთ-ერთი ჯგუფი კი არ იკარგება, არამედ როცა მას მდიდრებსთვის და ღარიბთათვის ერთნაირად მოაქვს სარგებელი.

კონცეპტუალურად თუ განვიხილავთ, სოციალური საბაზრო ეკონომიკა სულაც არ არის მოთვინიერებული, უეშვო მტაცებლის მსგავსი საბაზრო ეკონომიკა. თუკი სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღქმული იქნება როგორც მოთვინიერებული საბაზრო ეკონომიკა, მუდამ შეიქმნება იმგვარი მტკიცებადი სიტუაცია, როცა ნაცნობ <<მორალურ>> კორექტივებს დაისაჭიროებს საბაზრო ეკონომიკა. პირიქით, სოციალურმა პოლიტიკამ სათანადო სტიმულირებით უნდა უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკის სრულად მოძრაობაში მოყვანა. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ამგვარი გააზრებით მიღწევადი ხდება ზოგიერთი საკითხი: პირველი, - კომპანიები მორალური მიზეზით მეტად აღარ იქნებიან <<მსხვერპლის>> სახით წარმოჩენილნი. მათგან არ მოითხოვება მსხვერპლი კონკურენციულ სრბოლაში. კომპანიები ინვესტირებენ ყველა არსებულ რესურს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკურ სიბრტყეზე ეს არის: სოციალური პოლიტიკა ნიშნავს არა განაწილებას, არმედ გაცვლას ურთიერინტერესთა საფუძველზე, სადაც ორივე მხარეს, როგორც <<მდ-

იდრებს>> ისე <<ღარიბებს>> ექნებათ სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

მეორე, - სოციალური პოლიტიკა აღქმული უნდა იქნეს როგორც ინვესტიცია, და არა მხოლოდ – ტვირთი ხარჯების სახით (ხარჯების ტვირთი). თანამედროვე დისკუსიებში უმთავრესად ფოკუსირება ხდება ხარჯების ირგვლივ, რაც ხარჯების მაქსიმალური შემცირებით <<სოციალური მხარის>> მინიმაზაციისა და მისი, როგორც გამოსავლის ერთადერთ გზად წარმოჩენაში მდგომარეობს.

მესამე – ყველა უიდეო არგუმენტს მიღმა, როგორიცაა ცარიელი ხაზინა, - მინიშნება ხდება <<Return on Investment>>-ზე, როგორც სოციალური დაცვითი საზღვრების კრიტერიუმზე. ინვესტიცია უმნიშვნელო შემოსავლის პერსპექტივით რაღაც მცდარი სტიმულების გამო არ უნდა ხორციელდებოდეს. ცხადია რომ უნდა მოხდეს ამ ძირითადი აზრის შემდგომი სპეციფიკაცია და რაოდენობრივი თვალსაზრისით მისი განვრცობა. მაგრამ პრინციპულად მნიშვნელოვანია საინვესტიციო შესაძლებლობათა უმრავლესობის რეალიზება, რომლესაც ყველა მონაწილისათვის მოაქვს საუკეთესო შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ საუბრები სოციალური სახელმწიფოს საფუძვლიან გარდაქმნებზე ზოგიერთი თვალსაზრისით მსგავსი პერსპექტივის ჩათვლით, ძალზედ ბუნდოვანია.

პრობლემატიკის გაანალიზებისას ამ კონტექსტში იქმნება შთაბეჭდილება, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც გასულ ათწლეულში შესაძლებელია წარმატებულიც კი იყო, უკვე დღეს საკმაოდ სავალალოდ გამოიყურება გრძელვადიან პერსპექტივაში: ის გულისხმობს შემდეგს: ბაზარი ამ სახით რომ ყოფილიყო მორალურად პრობლემატური, თვალსაჩინო და გარდაუვალი იქნებოდა გაღატაკების პროცესი და შესაბამისად, ეთიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით აუცილებები გახდებოდა მისი კორექტირება.

თუ გვსურს <<სოციალური საბაზრო ეკონომიკის>> კონცეფციის შენარჩუნება, უნდა მოხდეს მისი <<სოციალური მხარის>> ახლად გააზრება, რისთვისაც აქ წარმოდგენილ მოსაზრებებს გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლიათ.

ლიტერატურა:

1. W. Eucken, Grundzüge der Wirtschaftspolitik, 4 Auflage, Tübingen, 1952/1968, S. 336
2. Die Zukunft der Sozialen Marktwirtschaft. Umfrage im Auftrag des Bundesverbandes deutscher Banken, November 2005
3. Nach Daten das IW Köln, 2010
4. K. Homman, Chr. Lütge, Einführung in die Wirtschaftsefhik, LIT Verlag Dr. W. Hopf Berlin 2013, S. 20
5. Chr. Lütge, Wirtschaftsethik ohne Illusionen, Mohr Siebeck, Tübingen 2012, S. 42/43
6. A. Giddens, Der dritte Weg: Die Erneuerung der sozialen Demokratie, Frankfurt / M.: Suhrkamp. 1998/1999

თავი 4. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ყოველი მოძრაობების, მიმართულებებისა თუ მოსალოდნელი კრიზისების ფონზე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური კონსტელაცია ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში განიხილება პოსტ-კაპიტალისტურ, პოსტ-სოციალისტურ ეკონომიკად, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა.1

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ანუ „ჰუმანური ეკონომიკა“ წარმოადგენს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხედვას,2 რომლის ცნებას როგორც ახალი ეკონომიკური მიმართულების კონცეფციას 1989 წელს საფუძველი ჩაუყარა ავსტრიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა მოგვიანებით კი ვიცე-კანცლერმა იოზეფ რიგლერმა, როცა მან მოითხოვა, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა შევსებულიყო ეკოლოგიური პასუხისმგებლობის კომპონენტით.3

ეკო-სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში არსებობს სამი სტრატეგიული საკვანძო პუნქტი: საბაზრო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები, რომლებიც ქმნიან „სტრატეგიულ სამკუთხედს“:

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა



სადაც საბაზრო ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს: ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას; ინოვაციებისათვის და მეწარმეობისათვის სტიმულების შექმნას; ინვესტიციების გაფართოებას;

ნორმატიული და ბიუროკრატიული ბარიერების შემ-ცირებას კეთილსინდისიერი კონკურენციის განხორ-ციელებისათვის გლობალურ მასშტაბში; ასევე საგა-დასახადო სისტემის მოდიფიცირებას „ღირებულების მწარმოებელი ეკონომიკის“ სასარგებლოდ. სოციალ-ური ასპექტი – „სამართლიანი ურთიერთობის განხორ-ციელებას სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ სოციალურ მომსახურებას შორის; კერძო ინსტიტუტების უფრო მეტად განვითარებასა და მხარდაჭერას, რათა მათ უკეთ შეეძლოთ ახალი სოციალური პრობლემებისათვის თავის გართმევა სო-ციალურ სოლიდარობას გლობალურ დონეზე. ხოლო ეკოლოგიური ასპექტი გულისხმობს გარემოს დაცვასა და მის მდგრად განვითარებას, გარემოს დაბინძურე-ბისა და ბუნებრივი რესურსების განადგურების ტენ-დენციის უწყვეტი შემცირების გზით; ეკოლოგიურ სიმართლეს ფასებთან და ხარჯებთან მიმართებაში; რეალურ ეკოლოგიურ გადასახადებსა და ეკოლოგიაზე ორიენტირებულ კანონებს; მკაცრ და ზუსტ დეკლარა-ციას საკვებ პროდუქტებზე (პროდუქტის წარმოშობის, წარმოების, ვარგისიანობის, გენური ინჟინერიის, ჰორ-მონების გამოყენებისა და ა.შ. საკითხებს).4

ამ სამკუთხედის სამივე მხარეს შორის წონას-წორობის დაცვა და მისი შენარჩუნება წარმოადგენს პრიორიტეტულ ამოცანას. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს არა იდეალურ ჰარმონიას, არა-მედ მუდმივ ჭიდილს სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური ძალების განსხვავებულ ინტერესთა შო-რის რაციონალური ბალანსისათვის. შესაბამისად, იგი მოითხოვს მკვეთრი პოლიტიკის გატარებას ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. საჭიროა ძლიე-რი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა, სამართლიანი თამაშის წესების შექმნა და უზრუნველყოფა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის პირობებში,სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტებ-

ის შექმნა და ტრანსპარენტულობის განხორციელება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.5

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ფოკუსირდება გლობალური სამართლიანობის, რესურსებისა და ენერგიის პოლიტიკის, და ფისკალური პოლიტიკის ირგვლივ.

მთელს მსოფლიოში 1.4 მლრდ. ადამიანი ცხოვრობს აბსოლიტურ სიღარიბეში და ყოველდღიურად იღებს 1.25 $ ნაკლებს. 2.5 მლრდ. ადამიანს აქვს 2 $ ნაკლები შემოსავალი. აფრიკაში, საჰარის სამხრეთით უღარიბესი ადამიანების რიცხვი 1981 წლიდან თითქმის გაორმაგდა. სამხრეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, კარიბის აუზში, ასევე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შეინიშნება სიღარიბის მაჩვენებლის კლება, თუმცა მრავალი ჯერ კიდევ განიცდის გაჭირვებას. ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა უფრო ძლიერ დააზარალა განვითარებადი ვიდრე განვითარებული ქვეყნები, რადგან მათ კრიზისების მართვისათვის საკმაოდ შეზღუდული რესურსები გააჩნიათ. ეს სიტუაცია ღრმავდება საკვებზე ფასების ზრდითა და კლიმატის ცვლილებით, რითაც მილიონობით ადამიანი აღმოჩნდა სიღატაკეში.

უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი რესურსების მოხმარება. 1980 წელს თითქმის 40 მლრდ. ტონა რესურსი იქნა ამოღებული გლობალური ეკო-სისტემიდან. მთელს მსოფლიოში დღეს ყოველწლიური 60 მლრდ. ტონის მოხმარება 50%-ით გაიზარდა. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე ტენდენცია შენარჩუნდა, რესურსების მოხმარება 2030 წლისთვის გაიზრდება 100 მლრდ. ტონამდე. როგორც განახლებადი რესურსების (მაგ., სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები და ტყის მასივები,და წყალი), ისე არა განახლებადი რესურსების (მაგ., მეტალი და წიაღისეული საწვავ-სათბობი, ნავთობ-პროდუქტები) დეფიციტი გამწვავდება გლობალური მასშტაბით.

ეკოლოგიური პრობლემები, დაკავშირებული ენერგიისა და რესურსების მოხმარებასთან დრამატულად გაიზრდება.

ეროვნული-ფისკალური სისტემა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ეკო-სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური პოლიტიკა მუშავდება და ხორციელდება ეროვნული სახელმწიფოს შიგნით, არსებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრისათვის აუცილებელია ფისკალური პოლიტიკის ან გარკვეული მისი ასპექტების საერთაშორისო კოორდინაცია. ეკო-სოციალური პოზიციიდან გამომდინარე, დღევანდელი ეროვნული სისტემები საჭიროებს გადაუდებელ რეფორმებს. ისინი მტრულად არიან განწყობილნი დასაქმების, განაწილებისა და ეკოლოგიური საკითხების მიმართ. თანამედროვე პირობებში არსებობს ძალიან მცირე საგადასახადო სტიმულები, ენერგიისა და რესურსების ეკონომიისათვის და დაბინძურებისა და ნარჩენების შესამცირებლად. ფისკალური ინსტრუმენტები იქნება ძლიერი სტიმული მათი გამოყენების ეფექტიანობის ზრდისათვის.6

გლობალიზაცია ხსნის და აჩქარებს მსოფლიო საკომუნიკაციო პროცესებს. სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე საინფორმაციო ნაკადები მკვეთრად გაიზარდა, რაც კონკურენტებს შესაძლებლობას აძლევთ უწინდელზე გაცილებით სწრაფად მოახდინონ მოწინავე ტექნიკისა და პროდუქტების ადაპტირება და იმიტირება. 1990-იან წლებამდე შედარებით ადვილი იყო რომელიმე ქვეყნის იზოლირება გარე ზეგავლენისაგან, რათა გამორიცხულიყო მოსახლეობის უმრავლესობისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ასევე ეროვნული საწარმოების დაცვა უცხოური კონკურენტებისაგან საბაჟო ბარიერებისა და დისკრიმინაციის სხვა საშუალებათაგან მაინც. იმ დროისათვის თითქმის არ არსებობდა საჯარო განხილვები სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა უარყოფითი

ეკოლოგიური შედეგების თაობაზე.

დღეს დემოკრატიული მთავრობები, რომლებიც ერთგულებენ შეხედულებათა პლურალიზმს და ინფორმაციის თავისუფლებას, არც სურვილი აქვთ და არც შეუძლიათ შეამცირონ საკუთარ მოსახლეობაზე უცხოური ზეგავლენა. ტოტალიტარული და ავტორიტარული მთავრობებიც კი უძლურნი არიან წინ აღუდგნენ ინფორმაციის გლობალურ ნაკადებს საკუთარ ქვეყნებში მხოლოდ მკაცრი რეპრესიების საშუალებით. ინტერნეტი და საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები, განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვადასხვა რეგიონალური გაერთიანებები ხელს უწყობენ საერთაშორისო ინტერაქციის გაძლიერებასა და განმტკიცებას.

თავისუფალი ინფორმაციის ამ სამყაროში, ეკონომიკური კონკურენცია ქვეყნებს შორის გახდა კიდევ უფრო მძაფრი, რამაც მოიტანა ინტენსიური ძიებანი უფრო ეფექტიანი ეკონომიკური სისტემისათვის. თითქმის ათწლეულის განმავლობაში ეს კონკურენცია სამი თემით გამოირჩეოდა:

1. როგორ ამაღლდეს ხალხის კეთილდღეობისა და განათლების დონე, და მისი მიღწევის შემდეგ როგორ მოხდეს მისი შენარჩუნება?

2. როგორაა შესაძლებელი ეკონომიკური ზრდისა და ცოდნის გაუმჯობესების იმგვარად განაწილება, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის იყოს შესაძლებელი მასში მონაწილეობის მიღება?

3. როგორ შეიძლება რომ სოციალური უსაფრთხოების მისაღები ფორმა იქნას ყველასათვის უზრუნველყოფილი?

ამ კონტექსტში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ყველაზე უფრო ეფექტური მოდელისათვის ეკოლოგიურ მდგრადობას გააჩნია უპირატესი საფუძველი.

თანამედროვეობის უმთავრესი საკითხია თუ საბაზრო ეკონომიკის რომელი ტიპის არის უფრო ეფექტური

ეკონომიკური წარმატების, სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის კუთხით?7 დღეს უმეტეს ქვეყნებში მიმდინარეობს მსჯელობა ნეო-ლიბერალურ და ნეო-კონსერვატულ საბაზრო ეკონომიკების ირგვლივ. ამ ორ ალტერნატივას შორის ძევს სოციალური და ეკონომიკური საბაზრო ეკონომიკა, ღია და ფლექსიბლური სისტემა, რომელშიც თითოეული ქვეყნის სპეციფიურ გარემოებათა გათვალსიწინებით შესაძლებელია კორექტივების შეტანა. სწორედ ამიტომ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ სისტემათა სკალაზე არის არა ფიქსირებული წერტილი, არამედ – ამპლიტუდა, რომელსაც ძალუძს განსაკუთრებული საჭიროებებისა და გარემოებების მიხედვით მოძრაობა (მაგ., როცა უმუშევრობის დონე იზრდება, სახელმწიფო ან მისი დასაქმების სააგენტო უნდა გააქტიურდეს).8 თავისუფალ ბაზრებს თვითონ არ ძალუძთ, ან არ არიან დაინტერესებულნი გარემოს დაცვაში, ამიტომ ხელისუფლების მოქმედება წარმოადგენს აუცილებლობას. უმაღლესი სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების შექმნა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში მიიჩნევა როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი მსოფლიო მშვიდობისათვის მომავალში.9

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა განიხილება ორდოლიბერალურ კონცეფციად. 10 იგი წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემდგომ ლოგიკურ განვითარებას 21-ე საუკუნის მოთხოვნების მიხედვით. ის არის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების სინთეზი. ეკო-სოციალური ეკონომიკური წესრიგის ფუნდამენტია ეფექტური, ინოვაციური საბაზრო ეკონომიკა სოციალური სამართლიანობითა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით, რომლებიც სოციალური კონსენსუსისა და ეკოლოგიური მდგრადობის აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ. ამავე დროს ისინი ერთად გვევლინებიან ეკონომიკურ ქმედებათა

აუცილებელ კრიტერიუმებად.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღნიშნავს უკეთესი სამყაროს კაპიტალისტურ ხედვას, სადაც ადამიანები თანხმობაში არიან ბუნებასთან და ეკონომიკასთან, რომელშიც არსებობს პოსტციკლური მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც მტკიცედ ფართოვდება და მეტად აღარ ცნობს საფონდო ბაზრების ჩამოშლასა თუ საბირჟო კრახებს. იგი მიისწრაფვის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ- სოციალური ჰარმონიის პირობებში კაცობრიობის მშვიდობიანი და უსაფრთხო თანაცხოვრებისაკენ.11

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია მიმართულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დაბალანსებისაკენ, ესწრაფვის სოციალურ სამართლიანობას, ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ გამოყენებასა და დაცვას. იგი წარმოადგენს ჰოლისტიკურ მოდელს, დაფუძნებულს ძლიერ და ინოვაციურ საბაზრო ეკონომიკაზე. მისთვის უალტერნატივოდ პრიორიტეტულია ეკონომიკურ ქმედებათა სასიცხოცხლოდ აუცილებელი კრიტერიუმები: სოციალური სამართლიანობა და გარემოს დაცვა. შესაბამისად, მეტი სოლიდარობა და მეტი პასუხისმგებლობა ბუნებრივი საყოფაცხოვრებო გარემოსათვის (იოზეფ რიგლერი).12

ჰაერი, წყალი, მიწის სავარგულები, ცხოველები, წარმოადგენს კაპიტალისტური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა დღემდის არ მომხდარა მათი ფულადღირებულებითი ფორმით შეფასება. ბუღალტრულ ანგარიშებებში და ზოგადად ბუღალტერიაში არ არსებობს ბუნებრივი კაპიტალის, ისეთის როგორიცაა ჰაერი ან წყალი, – სრულად შეფასება. იმ შემთხვევაში თუ შეიცვლება მიდგომა და მოხდება ბუნებრივი კაპიტალის ფულად ფორმაში გადაყვანა, დავინახავთ, რომ ბუნება ყოველწლიურად იძლევა 36 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების სიკეთეს, რაც გამოიხატება მდინარეების გაწმენდაში, მცენარეების მიერ CO_2-ის შთანთქმით და

სხვა ფორმებით. დღეს მთელი მსოფლიო ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტის სახით ყოველწლიურად ქმნის 39 ტრლნ. დოლარს. მთელი ჩვენი პლანეტის ღირებულება უხეში გაანგარიშებით 500 ტრლნ. აშშ დოლარია, რომლის დაახლოებით 1/3 ბუნებრივი კაპიტალისა ადამიანებმა სამწუხაროდ უკვე გავანადგურეთ, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი ფლორა-ფაუნის სახეობათა განადგურებაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსპობაში, ან ჰაერის დაბინძურებაში. ჩვენს პლანეტაზე თითოეული ადამიანისათვის ყოველწლიურად ხელმისაწვდომია და მის განკარგულებაში პოტენციურად იმყოფება 70 000 $ ეკვივალენტი ბუნებრივი კაპიტალი. აქედან ნათელია ის, თუ რამხელა სიმდიდრე გვაქვს ბუნებისაგან ნაბოძები, მაგრამ დღემდე ჩვენ მას ვიყენებთ უმოწყალოდ და ყოველგვარი ხანგრძლივი კეთილდღეობის გენერაციისათვის. უახლოეს 50 წელიწადში ყველა ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მას, თუ რამდენად მოუფრთხილდებიან ისინი საკუთარ ბუნებრივ სიმდიდრეს, მკვეთრად შეამცირებენ თუ არა იმავე ბუნებრივი რესურსების მოხმარებას.13

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოციალური ასპექტი გამაგრებულია ჰუმანური კაპიტალით. იგი წარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორს საწარმოო ციკლის პროდუქტიულობის, რესურსების უზარმაზარი მოხმარების შემცირებისა და მისი რაციონალურად გამოყენების, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის პირობებში. საჭიროა კაპიტალისტური სისტემის ბუნებასთან ინტეგრირება, რათა მან შეძლოს არსებობა ბუნებისათვის ზიანის მიუყენებლად. ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება და მათი უტილიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პუნქტებს. აქედან არა თუ აღარ ჩნდება კითხვა „გვსურს თუ არა ჩვენ ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, არამედ ჩვენ აღარ გვაქვს სხვა არჩევანი. „ჩვენ ვიმყოფებით ეკო-კაპიტალიზმის საუკუნის დასაწყისში. თითოეული ჩვენთაგანი

იძულებულია საკუთარი ქცევებით ხელი შეუწყოს გარემოს შენარჩუნებას. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ, რათა ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება პოზიტიური მიმართულებით წარიმართოს, და ეს უკვე ხდება, იმიტომ რომ ეს აუცილებელია, შესაძლებელი და განხორციელებადი“ (ერნსტ ფონ ვაიცზეკერი).

ეკო-კაპიტალიზმის ქვაკუთხედია რესურსების პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება, რომლის ეფექტიან გამოყენებას გააჩნია სამი მთავარი უპირატესობა: იგი ღირებულების შექმნისას ანელებს რესურსების გამოლევას; ამცირებს დაბინძურების მასშტაბებს; და უზრუნველყოფს რაციონალური შრომის საფუძვლების გლობალურ გავრცელებას.

ჩვენი ეკონომიკური და სოციალური სისტემა თავისი ამჟამინდელი ფორმით დამოკიდებულია რაოდენობრივ ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება და რესურსების დეფიციტის გადიდება სვამს კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოთ კეთილდღეობა ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე ხანგრძლივი დროით. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამა აქცენტს აკეთებს არა უბრალოდ რაოდენობრივ, არამედ უფრო მეტად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რაც ნიშნავს როგორც ხარისხობრივ ზრდას, ისე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. მისი მოწოდება „ცხოვრების უკეთესი ხარისხი ყველასათვის – დღეს და ხვალ“ აღნიშნავს: ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, საზოგადოებრივ სოლიდარობას, განათლებას, ეკონომიკას, დასაქმებასა და ბუნებრივ გარემოს ერთი მხრივ, და ადამიანის სუბიექტურ კეთილდღეობას, – მეორე მხრივ.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება და მთელი ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების საფუძველს, მაგრამ მათმა ექსპლუატაციამ შეიძინა იმგვარი მასშტაბები, რომ შემდგომი ეკონომიკური და

სოციალური განვითარება თანამედროვე პირობებში საფრთხის ქვეშაა. გამოცდილების თანახმად, ეკონომიკური ზრდა იწვევს რესურსების მოხმარების ზრდას. მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა მიღწეული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის სახით (ე.ი. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა პროდუქციის ერთეულზე) წარსულში, როგორც ჩანს ძნელად სარწმუნოს ხდის იმ მოსაზრებას, რომ რესურსების გამოყენების აბსოლიტური შემცირება შესაძლებელია მიღწეულ იქნას რაოდენობრივი ეკონომიკური ზრდის პარალელურად. ამიტომ, ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის ამოსავალი წერტილი არის იმგვარი ეკონომიკური ზრდის გააზრება,რომელიც ნაცვლად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, მიმართულია ხარისხობრივი გაუმჯობესებისაკენ. ხარისხობრივმა ზრდამ უნდა შეცვალოს რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელ ათწლეულებში განვიცდით. ეს კი მოითხოვს მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის – ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული საფუძვლების პრეზერვაციას. ამგვარად, ბუნებრივი რესურსების ფრთხილი, რაციონალური მოხმარება წარმოადგენს აუცილებელ პირობას კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

მომავალს გააჩნია თავისი შუქ-ჩრდილები, რაც გამოიხატება კლიმატის მკვეთრ ცვლილებაში, რესურსების უყაირათოდ ფლანგვაში, ბიომრავალფეროვნების შემცირებაში, დესერთიფიკაციასა და ა.შ., რაც უშუალოდ გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ეკოლოგიური კოლაფსი, ჩვენ პრინციპულად უნდა შევცვალოთ ჩვენი მიდგომა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან მიმართებაში. უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს რესურსებისა და ენერგიის გამოყენების მკვეთრი შემცირება ერთ სულ მოსახლეზე მაღალი მოხმარების

ქვეყნებში. ეს არის ერთადერთი გზა მათი მოხმარების სამართლიანი, გლობალური განაწილების მისაღწევად. ამავე დროს, სოციალური პრობლემები, როგორიცაა სიღარიბე, ხდება კიდევ უფრო მკვეთრი და ქონებრივი დიფერენციაცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის იზრდება მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, რესურსებისათვის ბრძოლა ძლიერდება და ჩვენ ასევე ჯერ კიდევ ვიტანჯებით ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შედეგებით, რაც გამოწვეულია ზღვარგადასული დერეგულირებითა და იაფი ფულით. ერთადერთი გონივრული გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან არის ეკო-სოციალური ცვლილებების ეფექტი, რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს მოსახლეობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებებისა და მოთხოვნების მორიგების გზით. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს აუცილებელ ჩარჩო-მოთხოვნებს, რომლის გათვალისწინებითაც ეკონომიკას შეუძლია მყარად ფუნქციონირება.

ნეო-ლიბერალური ეკონომიკა დიდი ხანია რაც განიცდის სისუსტეებს: სამუშაო ადგილების არქონა, განათლების მიღების ცუდი შესაძლებლობები, ტერორიზმი, ქსენოფობია, კორუფცია არის სწორედ ცვლილებების ნიშანი. ასევეა ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემებიც. ისეთი რესურსები, როგორიცაა ნავთობი და გაზი დიდ ტვირთად აწვება საზოგადოებას. ყოველი წვეთი ნავთობი, რომელიც იწვის ანადგურებს ბუნებრივ კაპიტალს, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ნიადაგზე, ჰაერზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, რომლის ხარჯებსაც ანაზღაურებს კვლავ თავად გადასახადის გადამხდელი, ანუ ჩვენ ყველანი. შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე შესაძლოა გაიზარდოს, და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაც იყოს შთამბეჭდავი, მაგრამ მიუხედავად ამისა მრავალი ადამიანი უწინდებურად დარჩეს ღარიბი, მშიერი, მინიმალური საყოფაცხოვრებო

პირობების, ჯანმრთელობის დაცვისა და სულაც სასმელი წყლის გარეშე. გარდა ამისა, შემოსავლებს შორის განსხვავებას ზრდის კლასებს, რასებს, საზოგადოებებსა და გენდერს შორის დისკრიმინაცია.14

მაგრამ, გვსურს კი ასე გაგრძელება? ეკო-კაპიტალიზმი გვთავაზობს ახალ საგადასახადო და სუბსიდიის რადიკალურ სისტემას, ეკო-სოციალური ფისკალური რეფორმები აუცილებელია ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის განსამტკიცებლად. ისინი უნდა იქნეს განხორციელებული რამაც ხელი უნდა შეუწყოს დასაქმების, რესურსებისა და ენერგიის ეფექტიანი გამოყენების პრობლემების გადაწყვეტას, რის წინაპირობასაც საგადასახადო სისტემის გამარტივება წარმოადგენს. ფისკალური რეფორმის ძირითადი იდეა მდგომარეობს საგადასახადო ტვირთის ნეიტრალური შემოსავლებიდან და სოციალურად მისაღები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომიდან, ეკოლოგიურად მავნე საქმიანობაზე გადანაცვლებაში. აუცილებელია კონპროდუქტიული სუბსიდიებისა და საგადასახადო შედავათების შემცირება ენერგიისა და რესურსების მოხმარებისათვის, ისევე როგორც გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადების გაზრდა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შრომითი გადასახადების (საშემოსავლო გადასახადისა და სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხების) დაწევა დაბალ და საშუალო შემოსავლიან მოქალაქეთათვის. ამგვარი შემცირებებით შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ დასაქმების პრობლების მნიშვნელოვნად გამოსწორება და ეკონომიკური უპირატესობის მიღწევა, არამედ – უპირატესობის მოპოვებაც ბაზარზე.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი შეიძლება გავიაზროთ როგორც კაპიტალისა და შრომის სინთეზის გაგრძელება, სადაც გარემოს დაცვის საკითხი ხდება ბაზრის ინსტრუმენტების ნაწილი.

იმისათვის, რომ სწრაფად იქნას მიღწეული მდგრა-

დობის მიზანი, ასევე ეკონომიკური და ტექნოლოგიური ეფექტიანობა, საჭიროა სწორი სიგნალების გაგზავნა ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა გამოყენებული იქნას ეკოლოგიურ-სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემდეგი ინსტრუმენტები: 1. სამართლიანი ფასის გადახდა ბუნებისათვის; 2. საგადასახადო სისტემის ეკო-სოციალური რეფორმა; 3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის დეკლარაცია; 4. მდგრადობის ხელშემწყობი სუბსიდიები; 5. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული განათლება და ინფორმაცია. 6. ეკო-სოციალური პროდუქტი, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ნაცვლად. 7. გარემოს დაცვა, როგორც საერთაშორისო ვალდებულება; და ა.შ.

გარემოს დაბინძურება და რესურსების გამოყენება უნდა აისახოს წარმოების პროცესისა და პროდუქციის ფასის კალკულაციის დროს. კანონები და წესები უნდა იქცეს გარანტად იმისა, რომ ეს თანაბრად შეეხება ყველა საწარმოს პატიოსანი კონკურენციის უზრუნველყოფისათვის.15

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული. მას კორექტივები შეაქვს იქ, სადაც ბაზრის ძალებს არ ძალუძთ მყარი შედეგების ჩვენება. იგი მიმართულია ეკონომიკის, სოციალური საკითხებისა და ეკოლოგიას შორის არსებულ სამართლიან წონასწორობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ის აყალიბებს ალტერნატიულ საბაზრო ფუნდამენტალიზმს.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან მოდელს, რომელშიც წარმოების მართვა ეფუძნება როგორც სოციალურ სამართლიანობას, ისე ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. მას სწამს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების, სადაც ბაზრის ძალები მიჩნეულია განვითარების ძირითად და მამოძრავებელ ძალებად. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა აღიარებს საარსებო გარემოსა და სოციალური მდგომარე-

ობის ხარისხს, როგორც თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობის ფუნდამენტალურ დიმენსიებს. იგი ფოკუსირდება ეკოლოგიურად თავსებად წარმოების პროცესებზე და მიაჩნია რომ გარემოს დაცვა და სოციალური სამართლიანობა წარმოადგენს აუცილებელ კრიტერიუმებს ეკონომიკური საქმიანობისათვის. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს ფიქრსა და მოქმედებას ეროვნული საზღვრების მიღმა გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების სფეროებში. მას თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო მოსახლეობის მდგრად და შეუქცევად განვითარებაში. მაღალი სოციალური და საგანმანათლებლო სტანდარტები გავლენას ახდენს დემოგრაფიულ განვითარებაზე. მისი პრიორიტეტია პარტნიორების მოძიება განვითარებად ქვეყნებში და განვითარებად ბაზრებზე. ინვესტიციები მათ სოციალურ სტრუქტურებში საძირკველს უყრის მათსავე გარემოსა და ეკონომიკის მშვიდობიან თანაარსებობას მომავალში.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა მსოფლიოს მასშტაბით საჭიროებს შეჯერებულ გლობალურ წესებს, მისი იმპლემენტაცია რეგიონალურ დონეზე შეზღუდულია კონკურენციით გამოწვეული შესაძლო დამახინჯებებისაგან. მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია ფართო საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევა. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მინიმალური მოთხოვნებია: 1. ეკოლოგიის, სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკისა და კულტურული იდენტურობის, როგორც თანასწორი და თანაბარღირებული მიზნების საერთაშორისო აღიარება და მოწონება. 2. მინიმალური ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტები მთელს მსოფლიოში. 3. სამართლიანი და მყარი წესები გლობალური ფინანსური ბაზრებისათვის. 4. სამართლიანობა საერთაშორისო საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა საჭიროებს

რეფორმებს იმგვარი საერთაშორისო ინსტიტუტების ინტერაქციიდან, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სავალუტო ფონდი.16

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის მდგრადი განვითარება საჭიროებს ეროვნულ, ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებს დაეთმოს იმგვარივე ყურადღება, როგორიც ეკონომიკურ ასპექტს. იგი ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, კერძო სექტორის ინიციატივებს. სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკის მიზანს წარმოადგენს ეკოსისტემის შენარჩუნება, სოციალური სამართლიანობა, პატიოსანი კონკურენცია, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა.17

ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური სისტემა ჩნდება „არამდგრადი“ ფასებთან, ხარჯებთან, ტარიფებთან, გადასახადებთან და ა.შ. მიმართებაში, რომლებიც სრულებით არ ასახავენ „ეკოლოგიურ ჭეშმარიტებას.“ ის სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ მდგრადი განვითარების მიმართულებით ეკონომიკურად და ფინანსურად ხშირად იმყოფებიან არათანაბარ პირობებში კონკურენტებთან შედარებით.18

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ღია კონცეპტი, რომელიც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ განვითარებას. იგი იძლევა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის დიალოგის შესაძლებლობას ყველა მხარის ინტერესთა შეჯერების მისაღწევად. ის ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგს, რომელიც აისახება საზოგადოების ფასეულობებსა და კულტურულ თავისებურებებში. მოცემულ სისტემაში სახელმწიფოს გააჩნია მაკორექტირებელი და მარეგულირებელი ფუნქცია. ის არის ნაყოფიერი ალტერნატივა ცენტრალიზებული დაგეგმარების ეკონომიკასა და ლიბერალურ ეკონომიკას შორის.19

სახელმწიფოს, მეწარმეთა გაერთიანებების, პროფკავშირებისა და სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერაქცია ქმნის და ადუღაბებს ეკო-სოციალურ საბაზრო ეკონომიკას. სახელმწიფო გავლენას ახდენს სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ აქტიორებზე, ისე როგორც ისინი ზემოქმედებენ სახელმწიფოზე. მათ საერთო ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევა.

ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა, როგორც ის გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნების (განსაკუთრებით გერმანიის) გამოცდილებიდან, აღმოჩნდა საუკეთესო ყველა არასრულყოფილ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სისტემებს შორის. სამეწარმეო თავისუფლების წყალობით ის ქმნის ეკონომიკურ სიმდიდრეს და ამ სიმდიდრის გადანაწილებაში იძლევა მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის მიღწევის შესაძლებლობას. მას გააჩნია ეფექტური ინსტრუმენტები გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად. ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტები გამოყენებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს მოცემული ქვეყნის პირობებს, საერთაშორისო განვითარების მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა ოპტიმალური შედეგების მიზანს ეკო-სოციალური საბაზრო ეკონომიკა ვერასოდეს სრულყოფს, მიუხედავად ამისა, ის საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შეუქცევადი პროგრესი და ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, რომლებიც გარდაუვლად წარმოიქმნება დროდადრო.

არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი არის ასევე ჩვენი საზოგადოების ფასეულობათა კრიზისიც.20 მდგრად სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია უფლებებისა და ფასეულობების რეალიზცია. გახანგრძლივებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში დღის წესრიგში დგება ეთიკური დიმენსიის, ეთიკური ქცე-

ვებისა და ფასეულობების შემოტანა და დამკვიდრება ეკონომიკაში. საჭიროა დაუყოვნებელი გადასვლა გადამჭრელ ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებაზე.21

ჰუმანური ეკონომიკა არ არის ოცნება. იგი უკვე ყველგანაა. ის არსებობს თეორიულად და პრაქტიკულად, თუმცა მის ჩრდილში მოქცევას განაპირობებს ის ეკონომიკური მოდელები და მიდგომები, რომლებიც დომინირებენ მედიასა და უნივერსიტეტებში. ჰუმანური ეკონომიკა უფრო მეტად ვიზიონია, ვიდრე სოციალური რეცეპტი, ან მრავალი სოციალური რეცეპტი ფორმულირებული ერთიან მიდგომაში. ჰუმანური ეკონომიკის, როგორც მორალური და პოლიტიკური პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალი ინსტიტუციონალური სინთეზის შექმნა და დანერგვა პრაქტიკაში, რათა ყოველთვის არსებობდეს ღია წარმოდგენები უკეთესი მომავლის მსოფლიოს მიმართ.22

ეთიკური ეკონომიკის, როგორც პოსტმოდერნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები, რომელთა სინთეზი აყალიბებს ალტერნატიულ საბაზრო ფუნდამენტალიზმს და რომლის საფუძველია ინოვაციური საბაზრო ეკონომიკა სოციალური სამართლიანობითა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით. სადაც სოციალური წონასწორობა წარმოადგენს სოციალური კონსენსუსის, ხოლო ეკოლოგიური მდგრადობა – ცივილიზაციის გადარჩენის წინაპირობას.

ლიტერატურა:

1. Hans Küng, Projekt Weltethos, München, 2002, S. 40

2. Ökosoziale Markwirtschaft – Wikipedia, Http: // de.wikipedia.org/wiki/%C3%96oekosoziale Marktwirtschaft

3. Ökosoziale Markwirtschaft (Zukunftsfähigkeit als Programm), Die Jdee; ökosoziale Marktwirtschaft up to date; P. 1. http://www.oecosozial.at/index.php?id=13333

4. http://www.slideshare.net/netzwerkvonchristen/eco-social-market-economy-21-7-2010

5. Josef Riegler, Referat: „Ökosoziale Marktwirtschhaft~. http://news.forum-fuehrung.com/wp-content/uploads/2009/02/jiosef_riegler_21102006.pdf

6. ECOSOCIAL MARKET EKONOMY.www.oecosozial.at/uploads/tx.../policypaper_Ecosocilforum_web_01.pdf

7. ORDO: Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, Band 51 (2000): 169-202

8. Social and Ecological Market Economy . A General Overview~, Dieter W.

9. http://www.oekosozial.at

10. Franz Josef Rademacher: Global Marshall Plan – Warum der Marktfundamentalismus die Welt arm macht, in: Welt in Balance, S. 111

11. Die Dialektik – Die Freie Zeitschrift – Die öko-sociale Marktwirtschaft und ihre Theorie.http://www.diedialektik.org/cms/node/95

12. http://www.seri.at

13. იხ. წყარო 11

14. Ethic of Economic Development. www2.unescobkk.org/elib/.../ethik_in.../111_238ECONOMIC.PDF

15. Eco-social market economy as an European innovation, J. Riegler, Eko-social forum of Europe, Viena, Austria, www.cazv.cz/2003/AE3_03/1-Riegler.pdf

16. Eco-Social World Order /global-commons.net.www.global-commons.net/node/47

17. Social and Ecosocial Market Economy (Principles in German Development Policy). www.bmz.de/en/publications / type_of-publication/.../konzept 158. pdf

18. Austrian Idea Gains Steam, Jiosef Riegler. www.global-marshallplan.org/.../(riegler_the global_marshall_plan_for_a_worldwide_eco_cosia_205)_fra.pdf

19. Social and Ecologial Market Economy, http://www.nbinepal.org.np/adetail.php?id=25

20. José Manuel Barroso. Political guidelines for the next Commission. Brussels, September 2009, P 1. httpl://ec:europa.eu/commission_barroso/president/pdf/press_20090903_EN.pdf

21. The Ethical Dimension of the ,,EU 2020~ Strategy. Brussels, January 2010. P. 1. 2. http://csc.ceceurope.org/...?Social_Economic.../Conference_of_European_Churches_CSC_of_CEC_Contribution_to_EU_2020_Consultation.pdf

22. Building the human economy. http://thememorybank.co.uk/2010/03/01/building the-human-economy/

თავი 5. გლობალიზაცია, მისი ფორმები, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები და ეთიკური მოცემულობა

§5.1. რა არის გლობალიზაცია?

ისტორიისათვის უაღრესად მოკლე დროში კაცობრიობამ საოცარი მეტამორფოზა განიცადა. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების შედეგად მსოფლიო ჩვენს წარმოდგენაში თითქოს „შეიკუმშა და დაპატარავდა“. კონტინენტებს, სახელმწიფოებსა და ადამიანებს შორის მანძილები „შემოკლდა“, დროის მიმდინარეობა კი დაჩქარდა. აშკარაა, რომ თანამედროვე ცივილიზაცია გიგანტური ნაბიჯებით მიემართება ზოგადპლანეტარული ერთიანობისაკენ. ყოველივე ეს შედეგია იმ პროცესისა,რომელმაც გლობალიზაციის სახელწოდება მიიღო.1

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს განსხვავებული მიდგომები გლობალიზაციის, როგორც მსოფლიოს მრავალგანზომილებიანი პროცესის არსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითად: გლობალიზაციის ცნების თანამედროვე გააზრების გამოხატულებად შეიძლება მიჩნეული იქნეს ცნობილი კანადელი სოციოლოგის მარშალ მაკლუხანის მიერ 1960 წელს გამონათქვამი „გლობალური სოფლის“ შესახებ, რაც წარმოადგენს მსოფლიო თანამეგობრობის შეფასებით აღნიშვნას.2 რაც შეეხება თვითონ გლობალიზაციის ცნებას, მიუხედავად გასული საუკუნის 60-იან წლებში მისი საყოველთაოდ ხმარებულ ლექსიკურ კრებულში შემოტანისა, 80-იან წლებამდე, მაინც არ მოხდა მისი ფართოდ აღიარება, რაც ემთხვევა გლობალიზაციის პროცესის სირთულისა და მრავალგანზომილებიანობის შესწავლის დაწყებას. იმავე 80-იან წლებამდე აღნიშნული პროცესი ხშირად იწოდებოდა მოდერნიზაცის პროცესად. მოდერნიზაციის თეორიას ერთ-ერთი პირველი

დაუპირისპირდა იელის უნივერსიტეტის პროფ. ი. ვალ-ერშტაინი. ლოიოლის (ჩიკაგოს) უნივერსიტეტის პროფ. ე. ეპსტეინის აზრით, ზემოთ აღნიშნულმა კონცეფციამ და მისმა ანალიზმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა გლო-ბალიზაციის თეორიის განვითარებას.3

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფართო გავრცელებას პოულობს კონცეფცია, რომლის თანახ-მად თითოეულ ქვეყანაში არსებობს ეკონომიკის ორი ტიპი: ე.წ. „ლოკალიზებული ეკონომიკა“ და „გლო-ბალიზებული ეკონომიკა“. ეკონომიკის ეს ორი ტიპი „სხვადასხვა ფასად“ ასრულებს განსხვავებულ ფუნ-ქციებს. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში რევოლუციურმა გადატრიალებამ ტექნოლოგიასა და მენეჯმენტს შორის, რაც მოხდა მსოფლიო ბაზრებზე, შვა საქმიანობის სახეობათა მასშტაბური გადადინება ერთი ტიპის ეკონომიკიდან მეორეში, კონკრეტულად კი „ლოკალიზებულიდან“ „გლობალიზებულ“ ეკონომიკა-ში.4

„კონცეპტუალური წყობის ცენტრში“ მას ანუ გლო-ბალიზაციას აყენებს ამერიკელი სოციოლოგი ჯ. მაკ-ლინი, რომელიც 1981 წელს მოუწოდებდა, „სოციალური ურთიერთობების მზარდი, გლობალიზაციის ისტორიუ-ლი პროცესის შეცნობისაკენ“.5

პიცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლო-გი რ. რობერტსონი ამ მოვლენასთან დაკავშირებით გვთავაზობს საკუთარი შეხედულებების სისტემას. იგი წერს, რომ გლობალიზაციის რეალური ბუნება არის და-ფარული, ხოლო პერიფერიული დამატებითი კონცეპტები, ისეთი, მაგ., როგორიცაა ეკონომიკური საკითხების ანა-ლიზი, პირიქით – გადაჭარბებული. მისი აზრით გლო-ბალიზაციის ყველაზე უფრო მარტივ განსაზღვრებას შეესაბამება „მსოფლიოს შეკუმშვა.“6 ზემოთ ნახსენებ პროფ. ი. ვალერშტაინს მიაჩნია, რომ გლობალიზაციის, როგორც მოვლენის განხილვა, დამახასიათებელი თან-ამედროვე მსოფლიოსათვის, მცდარია7 და რომ სა-

კუთრივ გლობალიზაცია და მასთან ასოცირებული პროცესები არსებობენ ობიექტურად. მისი გარდაუვალი შედეგია ახალი მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება და გლობალიზაციასთან დაკავშირებული მთელი პოლემიკა სინამდვილეში წარმოადგენს დისკუსიას მსოფლიო სისტემის ორგანიზაციის შესახებ.

სოციალური მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელ ა. გიდენსი გლობალიზაციის ცნებას განმარტავს როგორც „მსოფლიო სოციალურ ურთიერთობათა ინტენსიფიკაციას, რომლებიც მიუხედავად ტერიტორიული დაცილებისა, იმგვარად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ მრავალი მილის დაშორებით მიმდინარე მოვლენები და პროცესები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე“.8 წინამორბედებისაგან განსხვავებით, იგი გლობალიზაციას განიხილავს, როგორც ეკონომიკურ-კაპიტალისტურ, ეროვნულ სახელმწიფოთა, ასევე სამხედრო წესრიგის, შრომის საერთაშორისო დანაწილების, გლობალური საკომუნიკაციო ქსელის სისტემას ერთდროულად, რაც ქმნის მრავალგანზომილებიან-კომპლექსურ წარმოდგენას, რომელიც აქამდე წარმოდგენილ მიდგომათაგან განსხვავებით ყველაზე უფრო მასშტაბურია.

ჩვენი აზრით, გლობალიზაციის ანალიზის უფრო ზუსტ პოზიციაზე იმყოფება გერმანელი მეცნიერის უ. ბეკის მიდგომა, რომელიც გიდენსის მიდგომასთან საკმაოდ ახლოა. ულრიხ ბეკი გლობალიზაციას განიხილავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებების კონტექსტში.9 გლობალიზაციის ქვეშ ის მოიაზრებს „მსოფლიოს ბაზრის ბატონობის ნეოლიბერალურ იდეოლოგიას“,10 რაც სინამდვილეში ხშირად განიმარტება, როგორც გლობალიზაციის მთელი პროცესი. „გლობალიზაცია“ ბეკთან აღნიშნავს პროცესის ხასიათს, რაც მიმდინარეობს ტრანსნაციონალურ სფეროში, მხედველობაშია: ტრანსნაციონალური სივრცის, მოვლენების, პრობლე-

მების, კონფლიქტების, ბიოგრაფიების ინტენსიფიკაცია. „გლობალიზაციის“ ცნების განმარტება ხაზს უსვამს მის ისეთ ნიშანდობლივ თვისებებს, როგორიცაა თანამედროვეობა, დასაზღვრულობა, ინფორმაციულობა, და შესაბამისად წარმოადგენს ყველაზე უფრო ზუსტსა და აქტუალურს.

სიტყვა „გლობალიზაციის“ ქვეშ იგულისხმება „პროდუქტის, კაპიტალისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრების აღმოცენება“. გლობალიზაცია არ არის ახალი მოვლენა. ის არის აქამდე არსებული ზღვარგადასული მატერიალურ და სულიერ ტრანსაქციათა ინტენსიფიკაცია, რომელიც უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო „ინტერნალიზაციის“ სახელწოდებით.11 გლობალიზაცია ეს არის ობიექტური მსოფლიო ტენდენცია, საერთაშორისო პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, ფინანსური, ინფორმაციული, ტექნიკური და სხვა კავშირებით განპირობებული და განმტკიცებული სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა დონეზე.12

გლობალიზაცია არის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერგავლენის პროცესი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, დაფუძნებული კაპიტალის დაუბრკოლებელ გადაადგილებაზე, სწრაფ ტექნოლოგიურ განახლებაზე, სატარიფო ბარიერების დაწვევასა, და საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციაზე, კომუნიკაციურ დაახლოებაზე, პლანეტარულ მეცნიერულ რევოლუციაზე, ეროვნებათაშორის საზოგადოებრივ მოძრაობებზე, ტრანსპორტის ახალ სახეობებზე, ტელე-კომუნიკაციური ტექნოლოგიის რეალიზაციასა და ინტერნაციონალურ განათლებაზე.13

გლობალიზაცია ეს არის მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესი, რის უმთავრეს შედეგსაც წარმოადგენს შრომის საყოველთაო დანაწილება მთელი პლანეტის მასშტაბით, კაპიტალის, ადამიანური და საწარმოო

რესურსების მიგრაციები, კანონმდებლობის სტანდარ-ტიზაცია, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესები, ასევე სხვადასხვა კულტურათა დაახლოება და შერწყ-მა. ეს არის ობიექტური პროცესი, რომელიც სისტემური ხასიათის მატარებელია, ე.ი. მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს.

ისტორიკოსები ამ პროცესს განიხილავენ როგორც კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს. ეკონო-მისტები ათვლას იწყებენ ფინანსური ბაზრების ტრანს-ნაციონალიზაციიდან. პოლიტოლოგები ხაზს უსვამენ დემოკრატიული ინტიტუტების გავრცელებას, კულ-ტუროლოგები გლობალიზაციის გამოვლინებას უკავ-შირებენ კულტურათა ვესტერნიზაციას, ამერიკული ეკონომიკური ექსპანსიის ჩათვლით. გლობალიზაციის პროცესის განმარტებისათვის არსებობს საინფორმა-ციო-ტექნოლოგიური მიდგომებიც.14

გლობალიზაცია რთული და მრავალწახნაგოვა-ნი კატეგორიაა. იგი ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე–პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, იდეოლოგიაზე, რელიგიაზე და ა.შ. გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა დღის წესრიგში აყენებს ამ ფენომენის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობას, რომელიც შეიძლება განხ-ორციელდეს დისციპლინათაშორისი მიდგომის საფუძ-ველზე და ეკონომიკურ თეორიას ამ აზრით მნიშ-ვნელოვანი როლი აკისრია.15

ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი,ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ. 2009 წ., გვ. 5.

2. http://www.marshallmcluhan.com/marchand.html

3. World Economic Outlook: Globalization and External Imbalances. – Washington, D.C.: International Monetary Fund,

2005 (April) P. 129

4. Garelli, S. A Tale of Two Economies //The Complete MBA Companion/Ed. by G. Bickerstaffe and T. Dickson. – London; Lanham (Maryland): Pitman, 1997 – P. 482.

5. Иноземцев В. А., Глобализация; иллюзии и реальность/В. Л. Иноземцев//Свободная мысль – XXI.-2000-#1 – С. 28

6. Robertson, R., Globalization: Social Theory and Global Cultura/ R. Robertson. _SAGE. – 1992, P. 6.

7. Wallerstein I., Globalization or the age of transition? A long –term view of the trajectory of the world system /I. Walershtein// International Sociology. – V. 15-2000-#3

8. Giddens, Anthony, The Consequences of Moderity, Standford, 1990, P. 64

9. Beck, Ulrich., Was ist Globalisierung? Irtrümer des Globalismus – Antworten auf Globalisierung, Frankfurt/Main, 1997, S. 26

10. იხ. წყარო 9, S. 228

11. www.muellerscience.com/.../Globalisierung.htm

12. vestnik.yspu.org./releases/ekonomika/39_3

13. www.pr-engineering.narod.ru/glos.html

14. ru.wikipedia.org/wiki/Глобализация

15. იხ. წყარო 1, გვ. 5-6

§ 5.2. ეკონომიკური გლობალიზაცია

ეკონომიკის გლობალიზაცია არის ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი, საფუძველი და მთავარი განმსაზღვრელი მომენტი. სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკის გლობალიზაცია განიხილება როგორც საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის, საერთაშორისო ბაზრების ურთიერთკავშირების გაძლიერებისა და ურთიერთშერწყმის პროცესი, რომელიც გულისხმობს მსოფლიო მასშტაბით ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას.1

ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო განვითარების ერთ-ერთ კანონზომიერებათაგანს. ეკონომიკის მზარდი გლობალიზაცია გამოიხატება კაპიტალის გადაადგილების მასშტაბებისა და ტემპების მკვეთრ ზრდაში, რომელიც უსწრებს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას მთელი შიდა პროდუქტის ზრდასთან მიმართებაში. იგი გამოიხატება ასევე მსოფლიო ფინანსური ბაზრების წარმოქმნაში.2

ეკონომიკის გლობალიზაცია შეიძლება დანახული იქნეს როგორც ეროვნული ეკონომიკების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებული პროცესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც ასახვას პოულობს სახელმწიფო საზღვრების გავლით საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და კაპიტალის მოძრაობის სისწრაფის ზრდაზე. ეს არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებული პროცესი, რომელიც იწვევს ცალკეული ეროვნული ბაზრების შერწყმას ერთ მსოფლიო ბაზარში.3

ეკონომიკის გლობალიზაცია რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. მას გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. ერთის მხრივ ის აიოლებს სამეურნეო ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის, ქმნის კაცობრიობის მიღწევათა მიღების ხელმისაწვდომო-

ბის შესაძლებლობას ქვეყნებისათვის, უზრუნველყოფს რესურსების ეკონომიას, სტიმულს აძლევს მსოფლიო პროგრესს და მეორეს მხრივ სახეზეა ეკონომიკის პერიფერიული მოდელის დამკვიდრება და განმტკიცება, განვითარებადი ქვეყნების საკუთარი მატერიალური და არამატერიალური რესურსების დაკარგვა, მცირე ბიზნესის განადგურების ტენდენცია, ცხოვრების დონის დაწევა და ა.შ.4

გარდა ამისა, ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგად ღრმავდება წინააღმდეგობა ინდუსტრიულად განვითარებულ და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის, ცალკეული ქვეყნების შიგნით კი ძლიერდება საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და ადგილი აქვს მოსახლეობის ქონებრივ პოლარიზაციას. ეს კანონზომიერება მეტ-ნაკლები ზომით შეეხება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს.5

ეკონომიკის გლობალიზაციის შინაარსის მრავალი განმარტება არსებობს, რომელიც ეკუთვნის სოციალური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ამერიკელი მეცნიერი თ. ფრიდმანი გლობალიზაციას განსაზღვრავს როგორც „ბაზრების, ეროვნული სახელმწიფოებისა და ტექნოლოგიების უკიდეგანო ინტეგრაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს, კორპორაციებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს მიაღწიონ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს უფრო სწრაფად, ღრმად და იაფად, ვიდრე ეს წინათ იყო შესაძლებელი.“6 ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ლ. ტუროუს სიტყვებით ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს, რომ „დღეს შეგიძლია აწარმოო რაც გინდა, სადაც გინდა და წარმოებული პროდუქტი გაყიდო ნებისმიერ სხვა ადგილას“.7 საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემების თვალსაჩინო მკვლევარი, ე.წ. „ქსელური საზოგადოების“ თეორიის ფუძემდებელი კალიფორნიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი მ. კასტელსი აღნიშნავს: „გლობალური ეკონომიკა ეს არის

ეკონომიკა, რომელსაც როგორც ერთიან სისტემას შეუ-ძლია მუშაობა რეალურ დროში და მთელი პლანეტის მასშტაბით“.8 ცნობილი ფინანსისტისა და ფილანტრო-პის ჯ. სოროსის აზრით, ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს „ეროვნულ ეკონომიკებზე გლობალური ფინან-სური ბაზრებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების მზარდ და დომინირებულ ზეგავლენას“.9 რუსი ეკონ-ომისტი მ. დელიაგინი ეკონომიკის გლობალიზაციის განმარტებაში ყურადღებას ამახვილებს „ერთიანი ფინანსურ-ინფორმაციული სივრცის ფორმირებაზე“ და აღნიშნავს: „გლობალიზაციის ეკონომიკური გან-ზომილება მოიცავს უკანასკნელი ათწლეულების მან-ძილზე საქონლის, კაპიტალის, შრომისა და ინფორმაცი-ის მრავალჯერ გაზრდილ ნაკადებს ქვეყნებს შორის. იგი აგრეთვე გულისხმობს საწარმოო პროცესების ინტერნაციონალიზაციას ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების საერთაშორისო დანაწილების ჩათვლით. მთლიანობაში გლობალიზაცია შეიძლება დახასიათ-დეს როგორც ეროვნული ეკონომიკების ურთიერთ-კავშირის, ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგადა-ჯაჭვის გაძლიერების პროცესი.“10

ეკონომიკის გლობალიზაციის არსის განსაზღვრე-ბას გვთავაზობენ ასევე სხვა რუსი მეცნიერები. მაგ: ე. კოჩეტოვი მას განიხილავს როგორც ეროვნული ეკონო-მიკების კვლავწარმოებადი ტრანსფორმაციისა და მათი სამეურნეო სტრუქტურების, კაპიტალის, ფასიანი ქაღალ-დების, საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის პრო-ცესს, რომლის გათვალისწინებით მსოფლიო ეკონო-მიკა განიხილება არა მხოლოდ როგორც ეროვნული ეკონომიკების, საფინანსო, სავალუტო, სამართლებრივ-საინფორმაციო სისტემების ერთობლიობა, არამედ რო-გორც გეოეკონომიკური (გეოფინანსური) სივრცე, მო-ქმედი თავისი საკუთარი კანონებით.11 ბ. სმიტენკო და ტ. კუზნეცოვა აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის გლო-ბალიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთად

აღებული კავშირების ზრდის მასშტაბურობის პროცესები, რეალიზებული საერთაშორისო ურთიერთობებით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემურობის გაძლიერებით და მათი ძირითადი სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულებით კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის ურთიერთშეპირობებულობაში.12 ვ. ლომაკინი წერს, რომ „ეროვნული მეურნეობების გლობალიზაციის (გამსოფლიურების) ქვეშ გაიგება საერთაშორისო, მსოფლიო სამეწარმეო ძალების, წარმოების ფაქტორების შექმნა და განვითარება, რომელიც ვლინდება ცალკეული კომპანიების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში სამეურნეო ობიექტების შექმნასა და განსხვავებულ ეროვნულ მეურნეობებს შორის საწარმოო კავშირების ზენაციონალური ფორმების განვითარებაში, რადროსაც ურთიერთქმედებები სამეურნეო სისტემაში ხდება მუდმივი, მყარი და მრავალმხრივი“.13

ზემოთ მოტანილი განსაზღვრებები სწორად აფიქსირებს გლობალიზაციის თვისებათა ზოგიერთ გამოვლინებას,თუმცა აღსანიშნავია ისიც,რომ მსგავსი სახის განსაზღვრებები სავსებით მისაღებია ასევე გლობალიზაციამდელი, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ეტაპებისათვის, განსაკუთრებით კი მე-20 საუკუნის 50-80-იანი წლებისათვის. ეკონომიკის გლობალიზაციის არსის ნათელსაყოფად აუცილებელია იმ საკითხის გარკვევა, თუ როდის მოხდა ინტერნაციონალიზაციის თვისობრივად ახალ გლობალიზაციურ სტადიაში გადასვლა. მის შესახებ დასავლეთში ალაპარაკდნენ ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიო მეურნეობაში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ.) როლის მკვეთრი, ნახტომისებურ ზრდასთან დაკავშირებით. ტრანსნაციონალური კორპორაციები მართლაც წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის საკვანძო სუბიექტს, ხოლო ტრანსნაციონალიზაცია – ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის

თავისებური სახის ღერძს. ამიტომ, ამ უკანასკნელმა, ისევე როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის სხვა გამოვლინებებმა ჭეშმარიტი გლობალური ბუნება შეიძინეს მხოლოდ სსრკ-ის დაშლისა და „რეალური სოციალიზმის“ კრახის შედეგად 1990-იანი წლების დასაწყისში. ამიტომ, ალბათ უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ ინტერნაციონალიზაცია ეკონომიკური გლობალიზაციის სტადიაზე საბოლოოდ გადავიდა სწორედ მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში და ახლა იკრებს ძალას, იძენს ინტენსიურობის სიღრმეებს.14

ეკონომიკის გლობალიზაცის სერიოზულ გამოწვევებს შეიცავს ეროვნული სახელმწიფოების მიერ სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობების თვალსაზრისით. კერძოდ, კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, ტრანსეროვნული კომპანიები და საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციები ძლიერ ზეწოლას ახდენენ ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობებზე და აიძულებენ მათ ამ პროცესის დამაბრკოლებელი ბარიერების მოხსნას. ზეეროვნული ინსტიტუტების გაძლიერების კვალდაკვალ ეროვნულ მთავრობებს სულ უფრო მეტად უძნელდებათ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. ინტენსიურად მიმდინარეობს ქვეყნის შიგნით ეკონომიკის დერეგულირების პროცესი და ამავე დროს ძლიერდება ზეეროვნულ დონეზე ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ტენდენციები. თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას ეს წინააღმდეგობა, ამაზე დასაბუთებული პასუხი ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერჯერობით არ გააჩნია. აღნიშნულ გამოწვევას უშუალოდ უკავშირდება კიდევ ერთი დილემა: გლობალიზაცია, რომელიც გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოების მიერ საკუთარი ეკონომიკური ფუნქციების გარკვეული ნაწილის ზეეროვნულ სტრუქტურებზე დელეგირებას, იწვევს ეროვნული სუ-

ვერენიტეტის გარკვეული ხარისხით შეზღუდვას. რა ზომითაა დასაშვები ასეთი შეზღუდვა და როგორი უნდა იყოს თანაფარდობა ამ შეზღუდვით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებსა და გლობალიზებულ სამყაროში ინტეგრირებით მიღებულ სარგებელს შორის? დღეს ეს საკითხი მკვლევარებს შორის დისკუსიის საგნად რჩება.15

ამრიგად, სხვადასხვა ავტორთა მიერ გაკეთებული დასკვნების საფუძველზე ეკონომიკის გლობალიზაცია ჩვენს მიერ განხილულია როგორც საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, სამუშაო ძალის დაუბრკოლებელი ტრანსაზღვრითი გადაადგილებისა და სამეურნეო ცხოვრების უნივერსალიზაციის პროცესი, რომელიც ეკონომიკურ სივრცეს ანიჭებს უნიფიცირებულ ხასიათს და საფუძველს უმზადებს გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებას. გლობალური ეკონომიკა არის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა, განხილული არა როგორც მასში შემავალი ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა, არამედ რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი, ერთიანი ეკონომიკური სისტემა.16

ეკონომიკის გლობალიზაცია ეს არის ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაცია ერთიან მსოფლიო ბაზარში. მის უმთავრეს საკვანძო ელემენტებად გამოდის გარე ვაჭრობის გაფართოება, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების გადიდება. ის წარმოადგენს საბაზრო სეგმენტაციის შესრულების პროცესს მსოფლიო მასშტაბით.17 ეკონომიკური გლობალიზაცია არის ობიექტური პროცესი, რომელიც კანონზომიერად გამომდინარეობს საწარმოო ძალების, წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების, ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მიღწეულ დონეთაგან და ფინანსურ-ეკონომიკური კავშირების ღია სისტემის ფარგლებში მიმართულია ქვეყნების, ფირმების და ხალხთა საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულებისაკენ.18

ტეტჩერისა და რეიგანის მთავრობების მიერ გატარებულმა რეფორმებმა (დერეგულირების საკითხები, გადასახადების შემცირება, პრივატიზაცია და ა.შ.) საფუძველი ჩაუყარეს და მძლავრი იმპულსი მისცეს ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაციას.19 დღევანდელ დღეს ეკონომიკის გლობალიზაციურმა პროცესებმა მოიცვა მთელი მსოფლიო მეურნეობის სფერო, თავის ორბიტაში ჩაითრია მსოფლიოს ყველა ქვეყნის გარეეკონომიკური სისტემები მონაწილეობის ეფექტურობისა და შედეგების განსხვავებული ხარისხით. გლობალურმა ეკონომიკამ „საერთაშორისო კონკურენციისათვის გახსნა ეროვნული ეკონომიკური სისტემები“.20

ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში თვისობრივად ახალ და წინააღმდეგობრივ ეტაპს,21 რომელიც მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში გახდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.22 გლობალიზაციის ეკონომიკური მხარე ასახავს მძლავრ ნაბიჯს საუკეთესო კონკურენციის იდეალისაკენ და გულისხმობს ბაზრების საყოველთაო გახსნილობასა და ურთიერთშერწყმას.23

ლიტერატურა:

1. იხ. წყარო 1, გვ. 5, ნაწ. I., თავი 5, § 5.1
2. Глобализация экономики., abc.informbureau.com
3. Экономическая Глобализация (Материал из Википедии – свободнои энциклопедии). ru.wikipedia.org
4. იხ. წყარო 2, ნაწ. I., თავი 5, § 5.1
5. იხ. წყარო 1, ნაწ. I., თავი 5, § 5.1 გვ.6
6. Friedman Th. Understanding Globalization. The Lexus and the Olive Tree. NY, 2000, P. 67
7. Thurow L., The Future of Capitalism. NY, 1996, P 3. agreTve: Robert Heilbroner and Lester Thurow, Economics Ex-

plained, Touchstone Book, NY, 1998, P. 197

8. М. Кастельс., Информационная Эпоха, М., 2002, С. 105

9. Дж. Сорос. Тезисы о Глобализации. Вестник Европы., Т. 2, 2001, С. 20

10. Глобализация мировогь хозяиства и национальные интересы Росии., М., 2002, С. 18

11. Кочетов Э. Г., Глобалистика. Теория, методология, практика. Учебник для вузов., М.: НОРМА., 2002, С. 601

12. Смитиенко Б. М., Кузнецова Т. А., Противоречия глобализации мировой экономики., Современный антиглобализм альтерглобализм. Монография., М.: 2005, С. 16

13. Ломакин В. К., Мировая экономика. Изд. 3-е, перераб. и доп. М.: ЮНИТИ. 2007 С. 123

14. Глобализация Экономики: Некаторые Дискуссионые Вопросы. www.wpes.ru/.../200801162154htm

15. იხ. წყარო 1, ნაწ. I., თავი 5, § 5.1 გვ.7-8

16. იხ. წყარო 1, ნაწ. I., თავი 5, § 5.1 გვ.12-13

17. www.mirkin.ru/_docs/articles03-006.pdf

18. Ливенцев Н.Н. и др. Международные экономические отношения. М. Изд-во Проспект, 2005, С. 27

19. Федякина Л. Н., Финансовая глобализация, долги, кризисы. Доклад 5.12.2003 www.humanities.edu.ru/db/msg/48607

20. Маргарет Тэтчер., Искуство управления государством. Стратегия для меняющегося мира. /Пер. с англ.-М.: Альпина Паблишер, 2003, С. 492

21. www.nauka-shop.com/mod/.../33861/

22. www.lib.ua-ru.net/diss/cont/89695.html

23. www.tatort-weltmarkt.de/Pro-Globalisierung2.htm

§ 5.3. ფინანსური გლობალიზაცია

ფინანსური გლობალიზაცია არის ეკონომიკის გლობალიზაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი1 და მისი განვითარების რთული, მრავალფაქტორიანი ობიექტური პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად მოიცვა მსოფლიო ფინანსური სისტემა და ფინანსური ბაზარი2. ფინანსური გლობალიზაცია არის მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგი, რომელიც ინტენსიურად ვითარდებოდა გასული საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში. ის წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკური სისტემების ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებას, რასაც განაპირობებს საერთაშორისო ფინანსური გარიგებების მოცულობის ზრდა და კაპიტალის მსოფლიო ნაკადები ფინანსური ინსტრუმენტების მრავალ სახეობათა გამოყენებით, თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების, საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალების დანერგვა ფინანსურ საქმიანობაში. ფინანსური გლობალიზაცია ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს და შეაქვს მნიშვნელოვანი კორექტივები მთელი მსოფლიო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.3

ფინანსური გლობალიზაციის სუბიექტები, რომელთა საქმიანობა და გადაწყვეტილებები გავლენას ახდენენ მსოფლიო საფინანსო პროცესებზე არიან: საერთაშორისო და რეგიონალური ფინანსური ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის კავშირი და სხვა); ტრანსნაციონალური კორპორაციები; ინსტიტუციონალური ინვესტორები საპენსიო და საინვესტიციო ფონდების ჩათვლით, სადაზღვევო კომპანიები. მსხვილი ფინანსური ცენტრები (ნიუ-ორკი, ლონდონი, ტოკიო, მაინის ფრანქფურტი, პარიზი და სხვა)

განაპირობებენ ცვლილებებს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობაში, რომლებიც მოქმედებენ ფულად-საკრედიტო, საფონდო ბაზრებზე.4 ფინანსური გლობალიზაციის პროცესი კონცენტრირებულია უწინარეს ყოვლისა მსოფლიო ეკონომიკის სამ უმთავრეს ცენტრში: აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია.5

ფინანსური გლობალიზაციის განმასხვავებელი ნიშანია კაპიტალის მზარდი მობილურობა ტრანსთაშორის სივრცეში, საერთაშორისო (სავალუტო, საკრედიტო, საფონდო) ბაზრების როლის გაძლიერება, საერთაშორისო კაპიტალის მიერ დამოუკიდებელი და თვითკმარი მნიშვნელობის მოპოვება. ასეთ პირობებში ფინანსური გლობალიზაცია ხდება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი.6

ფინანსური გლობალიზაცია ეს არის ყველაზე რთული და ყველაზე უფრო დაწინაურებული პროცესი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, წარმოდგენილი ქვეყნებს შორის ფინანსური კავშირების გაღრმავების, ფასებისა და საინვესტიციო ნაკადების ლიბერალიზაციის, გლობალური ტრანსნაციონალური ფინანსური ჯგუფების შექმნის შედეგებით.7

ფინანსური გლობალიზაციის ტერმინი განეკუთვნება იმ პროცესს, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ბაზრები ინტეგრირდებიან ერთ გლობალურ ფინანსურ ბაზარში.* ფინანსური გლობალიზაცია

---

*ტერმინები „ფინანსური გლობალიზაცია“ და „ფინანსური ინტეგრაცია“ მოითხოვს მცირე განმარტებას: კერძოდ, „ფინანსური გლობალიზაცია“ არის აგრეგატული კონცეპტი, რომელიც მიუთითებს გლობალური კავშირების ზრდის თაობაზე ტრანსსაზღვრითი ფინანსური ნაკადების საფუძველზე, ხოლო „ფინანსური ინტეგრაცია“ მიუთითებს ცალკეული ქვეყნების კავშირზე კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებთან მიმართებაში. აღნიშნული კონცეპტები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგ: ფინანსური გლობალიზაციის ზრდა პირდაპირ კავშირშია ფინანსური ინტეგრაციის ზრდასთან.

შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც ფინანსების თავისუფალი გადაადგილება ეროვნული საზღვრების გადაკვეთით ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ფინანსური გლობალიზაციის წინაპირობას, მაგრამ არა ერთადერთს წარმოადგენს ფინანსური ლიბერალიზაცია, რომელიც მიისწრაფვის ფინანსური სისტემის განვითარებისაკენ, ფინანსური შესაძლებლობების ამაღლებისა და განმტკიცებისაკენ, კაპიტალის ღირებულების დაწევისაკენ, და ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის გაზრდისაკენ. ფინანსური გლობალიზაცია მოითხოვს მსოფლიოში ერთიანი ვალუტის შემოღებას, რომლის მართვა და რეგულირება მოხდება ერთიანი საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ინსტიტუციის მიერ. ფინანსური გლობალიზაციის შემთხვევაში ეს ნიშნავს კრედიტორი და დებიტორი ქვეყნების ერთიან ბაზარში გაერთიანებას.

ფინანსურ გლობალიზაციას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მისი დადებითი მხარე გამოიხატება ფინანსური ბაზრების უზარმაზარ ზრდაში, რაც გარკვეულ პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაზე. მზარდი ფინანსური კარგახსნილობა ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინებას და შიდა დანაზოგებთან ერთად სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას. გამოკვლევები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე ეკონომიკური ზრდის ტემპები იმ ქვეყნებში იყო შედარებით მაღალი, რომლებმაც სხვებზე უკეთესად მოახერხეს საკუთარი ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია.8 ფინანსური გლობალიზაციის უპირატესობათაგან ასევე შეიძლება გამოიყოს ცხოვრების დონის ამაღლება, შიდა ეროვნული ეკონომიკური რყევების პრევენცია, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სისტემის არსებობა რესურსების ეფექტიანი გლობალური გადანაწილებისათვის და ა.შ.9 ფინანსური გლობალიზაციის

მთავარი უპირატესობა განვითარებადი ქვეყნებისათვის არის მათი ფინანსური სისტემების განვითარება, რაც მდგომარეობს ფინანსური ბაზრების უფრო სტაბილურ და უფრო ხარისხიან რეგულირებაში.

არსებობს ორი ძირითადი წყარო, რომლითაც ფინანსური გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ფინანსურ განვითარებას. ერთი, ფინანსური გლობალიზაციის დროს არსებული ახალი ტიპის კაპიტალი მეტად ხელმისაწვდომი ხდება განვითარებადი ქვეყნებისათვის, რაც მათ შიდა მოხმარების პრობლემათა რეგულაციის შესაძლებლობას აძლევთ. ფინანსური გლობალიზაცია ასევე ხელს უწყობს უკეთესი ფინანსური ინფრასქტრუქტურის ფორმირებას, რომელიც თავის მხრივ არბილებს საინფორმაციო ასიმეტრიას, რომლის პოზიტიური შედეგიც ვლინდება იმგვარი პრობლემების შემცირებასა და გადაწყვეტაში, როგორიცაა არახელსაყრელი სელექციები და მორალური რისკები.

ფინანსური გლობალიზაციის უარყოფითი მხარე კი გამოიხატება ფინანსური ბაზრების სწრაფ და უკონტროლო ზრდაში, სპეკულაციური ოპერაციების მოჭარბებაში,რაც არსებითად ცვლის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის კონფიგურაციას, რომელიც ემსგავსება გადაბრუნებულ პირამიდას. ეკონომიკის რეალური სექტორი,რომელიც ამ პირამიდის საფუძველია,სულ უფრო ვიწროვდება, მისგან წარმოებული ფინანსური სექტორი კი განუწყვეტლივ ფართოვდება და ყოველივე ეს არასტაბილურობის დიდ საფრთხეს შეიცავს როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული ეკონომიკებისათვის.10

ფინანსურ გლობალიზაციას გააჩნია არცთუ მცირე ხარვეზები და ნაკლოვანებები. მაგალითად: რისკის მაღალი ალბათობის ქვეშ მყოფი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებზე „დომინოს პრინციპით“ ნეგატიურად ზემოქმედებს სხვა ქვეყნების ფინანსური რყევები და კრიზისები, რაც ვლინდება საფონდო ბაზრების ტურბოლენტობაში, მყისიერ ცვლილებებში,

ბანკების მასიურ გაკოტრებაში, ვალუტის გაუფასურებასა და სხვა ფორმებში. აღნიშნული რისკები ხშირად უკავშირდება სხვადასხვა ქვეყნის ფინანსურ კრიზისებს, რომლებიც შემდეგი მოვლენებით ხასიათდება: 1. საპროცენტო განაკვეთების ზრდა; 2. ფინანსური ბაზრის მოშლა; 3. გაურკვლევლობის ზრდა; 4. საბანკო პანიკა. ფინანსური კრიზისი მოიცავს საბანკო, სავალო და სავალუტო კრიზისებს, რომლებსაც წინ უსწრებს საფონდო ბირჟის მოშლა.

გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები დაიწყო 1981 წლის მსოფლიო სავალო კრიზისის სახით. ამ კრიზისისათვის დამახასიათებელი იყო სწრაფი გავრცელება ქვეყნიდან ქვეყანაში და სინქრონიზაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაიწყო გლობალური ფინანსური კრიზის ეპოქა11. ფინანსური კრიზისების გამოვლინებაა მექსიკის 1994-95 წლების ფინანსური კრიზისი, რასაც მოსდევს აზიისა და რუსეთის 1997-98 წლების, ბრაზილიის 1999 წლის, ეკვადორის 2000 წლის, თურქეთის 2001 წლის და უნგრეთის 2002 წლის ფინანსური კრიზისები. დეფოლტის ზღვარზე მყოფი ქვეყნების (მაგ: არგენტინა) ფინანსური სისტემების არასტაბილურობის მნიშვნელოვანი მიზეზი ძევს გამართული ფინანსური ინფრასტრუქტურის არარსებობაში, რომლის მოშლას იწვევს: 1) ფინანსური ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარება,2) მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული ხარვეზები. ფინანსური ლიბერალიზაციის პირობებში ასევე აქტუალურია ის, რომ ლიბერალური პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნებისათვის საგრძნობლად იზღუდება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობები.

ფინანსური გლობალიზაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები არ იძლევა მისი ავკარგიანობის ცალსახად შეფასების შესაძლებლობას, თუმცა პოტენციური სარგებელი რომელიც ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ მისგან, რეალურია და შესაძლებე-

ლი წინდახედულობისა და კეთილი ნების პირობებში. დღეს ბევრი ქვეყანა ნაწილობრივ ღიაა ეკონომიკური თვალსაზრისით, და არსებობს ფინანსური გლობალიზაციის შემდგომი ზრდის პერსპექტივაც.

ლიტერატურა:

1. Финансовая глобализация, banks-mon.ru/.../18-2009-06-29-13-00-42.html
2. Кушнаренко О. М. [ДОС] Финансовый кризис как элемент современной финансовой глобализации, portal/2.rea.ru/
3. Финансовая глобализация и ее влияние на формирование региональной финансого- инвестиционной политики, Год 2009/ www.dissertcat.com
4. Финансовая глобализация, banks-mon.ru
5. referat.kulichki.net
6. Диссертация: Влияние финансовои глобализации на функционирование национальный экономический систем. www.nauka-shop.com/.../33861
7. იხ. წყარო 116
8. World Economic Outlook, International Monetary Fund. Octomber, 2001, P. 15
9. business, mapsofindia.com
10. იხ. წყარო I ნაწილი I, თავი 5, §5.1. გვ. 207
11. იხ. წყარო ნაწილი I, თავი 5, §5.1. გვ. 46,47,48.

§ 5.4. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების რეტროსპექცია

1980-იანი წლებიდან მკვეთრად გამოხატული გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები* სრულებით არ წარმოადგენს ახალ ფენომენს, არამედ მას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია და გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული ფინანსური რყევები გლობალური ფინანსური ბაზრებიდან მიღებული ულმობელი შედეგების არსებობით, რაც თანამედროვე გლობალიზაციის ახალ ხარისხზე აყვანის უმთავრეს დასაბუთებას წარმოადგენს, მხოლოდ ნეგატიური გამოვლინებაა იმ სტრუქტურული ცვლილებებისა, რომელსაც 1944 წლის ივლისში ბრეტონ ვუდსში/ნიუ ჰემპშირში (აშშ) ჩაეყარა საფუძველი. კონფერენციაზე, სადაც განიხილებოდა მეორე მსოფლიო ომის

* გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები დაიწყო 1981 წლის მსოფლიო სავალო კრიზისის სახით. ამ კრიზისისათვის დამახასიათებელი იყო სწრაფი გავრცელება ქვეყნიდან ქვეყნებში და სინქრონიზაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაიწყო გლობალური ფინანსური კრიზისის ეპოქა (ე. მექვაბიშვილი, ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბილისი, 2009 გვ. 48.)

რასაკვირველია ამ ეპოქის ეკონიმიკის ფინანსური სექტორის დიდი შეცდომა იაფი ფულის პოლიტიკის გატარებასა და კრედიტების, პირველ რიგში იპოთეკური კრედიტების ზღვარგადასულ გაიაფებაში მდგომარეობს. თუმცა, ამ ძირითადი ფაქტორის გარდა კრიზისულ სიტუაციაზე ასევე დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო ხარჯების წილის მნიშვნელოვნად ზრდამ სოციალური მიმართულებით, რასაც თან დაერთო ნავთობპროდუქტებზე ფასების დრამატული ზრდა, და რამაც ფაქტობრივად მკვეთრად შეამცირა ბიუჯეტის განკარგვადი შემოსავლები, და ასევე ამერიკული ავტოინდუსტრიის (უწინარესად ჯენერალ მოტორსში შექმნილი პრობლემები) უმძიმესი მდგომარეობა. ყველა ეს ზემოაღნიშნული ფაქტორი წარმოადგენს რეცესიის გამომწვევ მიზეზს. (James Surowiecki: „The Financial Page: Oil Check.," The New Yorker, June, 22, 2009,P.30).

შემდგომი საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა ახალ წესრიგზე მოწყობის საკითხი, არ იქნა გათვალისწინებული ადრეული 1920-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამოცდილება, რათა მსგავსი კრიზისები სამომავლოდ საერთაშორისო რეგულირებადი სისტემის შექმნით ყოფილიყო თავიდან აცილებული.

ამ ახლად შექმნილი სისტემის არსებითი საფუძველი იყო სტაბილური და რეგულირებადი გაცვლითი კურსები, რომლებიც მსოფლიოს ძირითად ვალუტაზე, ანუ დოლარზე იქნებოდა ორიენტირებული. მასში შემავალი თითოეული სახელმწიფო ვალდებული იყო დაეცვა საკუთარი ეროვნული ვალუტის პარიტეტი დოლართან მიმართებაში, ხოლო თავის მხრივ დოლარის თანაფარდობა ოქროსთან მიმართებით მკაცრად იქნა დადგენილი. ვალუტებს შორის პარიტეტს ძლიერ მცირე მარჟის პირობებში უზრუნველყოფდა მონაწილე ქვეყნების ცენტრალური ბანკების ინტერვენციები. აქედან გამომდინარე, ვალუტებს შორის დადგენილი გაცვლითი კურსის ცვლილებები შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ფუნდამენტური უთანასწორობის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებების განხორციელება საჭიროებდა საერთაშორისო თანხმობას, რისთვისაც შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუციას საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IWF) წარმოადგენდა. IWF-ს შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ის წევრი ქვეყნები, რომლებიც მომავალში აღმოჩნდებოდნენ სავალუტო ან საწარმოო ბალანსთან დაკავშირებული სირთულეების წინაშე, ფინანსური წნეხისგან დასაცავად უზრუნველეყო ისინი მიზნობრივი კრედიტით ყველა წევრ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ფონდიდან. მიუხედავად არსებული კონსტრუქციის მთელი რიგი პრობლემური ნიშნებისა, 1970-იანი წლების დასაწყისამდე სისტემა აჩვენებდა შესანიშნავ სტაბი-

ლურობას, რის გარანტიასაც უმეტესი ქვეყნების შიდა ეკონომიკური ზრდის უპრეცედენტოდ სწრაფი ტემპები იძლეოდა.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის პროფ. პოზნერის აზრით „დეპრესია კაპიტალიზმის მარცხი, ანუ უფრო ზუსტად კაპიტალიზმის განსაზღვრული სახეობის მარცხია".1 ასევე, ცნობილი გერმანელი მეცნიერი პროფ. კოზლოვსკი გვთავაზობს უფრო დაზუსტებულ განმარტებას: „ფინანსური კრიზისები არის არა კაპიტალიზმის,არამედ კაპიტალიზმის ამერიკული მოდელითა და მისი დიდი პროტაგონიზმით გამოწვეული".2 ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა 1960-იანი წლების მეორე ნახევრის ბოლოს დაწყებული აშშ-ის იმდროინდელი ჰეგემონისტური პოლიტიკის განხორციელება, რაც არსებული სისტემის ფუნქციონირების რღვევასა და საბოლოო მოშლას ისახავდა მიზნად. ასეთი მოქმედებისაკენ აშშ-ის მთავრობას უბიძგა იმ დროისათვის შექმნილმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ. კერძოდ, ინფლაციაზე მოქმედი ხარჯები, - როგორიც იყო ხარჯები გამალებული შეიარაღებისა და ვიეტნამის ომისათვის, ასევე სწრაფად მზარდი საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ 1971 წლის აგვისტოში წინასწარ გამოცხადებულიყო აშშ-ის დოლარის ოქროს სტანდარტთან მიბმის თაობაზე და 1973 წლის ზაფხულში მომხდარიყო ფიქსირებულ გაცვლით კურსზე დაფუძნებულ სისტემაზე უარის თქმა. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ რასაკვირველია კორექტივები შეიტანა მსოფლიო ბაზარზე სტრუქტურული ცვლილებების სახით და მაშინდელ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, რამაც ბიძგი მისცა შემდგომი ეროზიული პროცესების დაწყებას, და რაც გამოიხატებოდა ვალუტათაშორის ურთიერთობებში მზარდი სავალუტო კურსების ფეთქებადობით. ამგვარმა არასტაბილურობამ 1970-იანი წლებიდან ცალკეული ქვეყნები კვლავ

შეიყვანა ძლიერ დრამატულ ფინანსურ – ეკონომიკურ კრიზისში. შეიძლება ითქვას, რომ პირველადი ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩანაფიქრის საპირისპირო ვითარების განვითარებას და მის აჩქარებას პირველ რიგში ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერთიანებულმა სამეფომ, რომლებიც 1970-იან და 1980-იან წლებში გამოირჩეოდნენ ნეოკლასიკური საბაზრო თეორიის ერთგულებით, ანუ საერთაშორისო ფინანსური ბაზრების მყარი დერეგულირებითა და ლიბერალიზაციით. ტეტჩერისა და რეიგანის მთავრობების მიერ გატარებულმა რეფორმებმა (დერეგულირების საკითხები, გადასახადების შემცირება, პრივატიზაცია და ა.შ.) საფუძველი ჩაუყარეს და მძლავრი იმპულსი მისცეს ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაციას.3 მაშასადამე, შექმნილი მდგომარეობა დასავლეთის ამ გავლენიან სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკურ-სტრატეგიულ მოქმედებათა შედეგია. ვაშინგტონის კონსესუსმა** ფაქტობრივად შეძლო ომის შემდგომი მსოფლიოს რეალური ეკონომიკური წყობის ტრანსფორმირება გლობალური ეკონომიკის ვირტუალურ ფორმაში, რითაც დაირღვა ფუნდამენტური ეკონომიკური კანონზმიერება ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა შორის. მთავრობათა ნეოკლასიკურმა აქტივობებმა გამოხატულება ჰპოვა პირველ რიგში ფულისა და კაპიტალის ტრანსფერების მასიური გამარტივებით ეროვნული ფინანსური ბაზრების გახსნილობაში;

** ტერმინი დამკვიდრებულ იქნა ვაშინგტონის (კოლუმბიის ოლქი) 1990 წლის კონფერენციაზე და ასახავს მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პოზიციებს მოვალე ქვეყნების შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში. კონსესუსის თანახმად თითოეული მოვალე ქვეყანა ვალდებულია შეასრულოს შემდეგი 10 პირობა:

1. საბიუჯეტო დისციპლინის დაცვა.
2. განათლების, ჯანმრთელობისა და ინფრასტრუქტურის სახ-

მეორე რიგში კი – საერთაშორისო სავალუტო ინ-სტიტუციების საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის ცვლილებაში, რაც გამ-ოვლინდა ეროვნულ ეკონომიკურ და სოციალურ პოლი-ტიკაში მათი ღრმა ჩარევით. დაბეგვრის სისტემასთან დაკავშირებული მათი საერთაშორისო საკრედიტო პოლიტიკა კი ითვალისწინებდა დებიტორი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში ფართო მასშტაბიან ჩარევებს და ახდენდა კიდეც ამგ-ვარ ინტერვენციებს, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებდა ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ბიუ-ჯეტის დეფიციტის გაუარესებაზე, საგადასახადო სის-ტემის ცვლილებაზე, საგარეო ვაჭრობის მკაცრ ლიბერ-ალიზაციაზე, ეკონომიკის რეგრესიულ განვითარებაზე, სოციალური სტანდარტის შემცირებასა და უთანაბრო შემოსავლების მზარდ პროგრესირებაზე.4 ასევე, ფი-

---

ელმწიფო პრიორიტეტული ხარჯების სუბსიდირებაზე უარის თქმა.

3. საგადასახადო რეფორმა, რაც ითვალისწინებს გადასახადების შემცირებასა და საგადასახადო ბაზის გაფართოებას.

4. ბაზრის მიერ დადგენილ პოზიტიურ საპროცენტო განაკვეთის არსებობა კაპიტალის გადინების თავიდან ასაცილებლად და უცხ-ოური კაპიტალის მოსაზიდად.

5. კონკურენტუნარიანი გაცვლითი კურსები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკის ექსპორტის სექტორის განვითარებას.

6. სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზება, რათა მოხდეს ერონ-ული ბაზრების გახსნა უცხოელი მიმწოდებლებისათვის.

7. გახსნილობა და პირობების გაუმჯობესება უცხოური პირდა-პირი ინვესტიციებისათვის.

8. სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების პრივატი-ზაცია.

9. დერეგულირება და დებიუროკრატიზაცია, ისევე როგორც სახ-ელმწიფო გავლენის შემცირება.

10. კერძო საკუთრების დაცვა.

დერეგულირება ჩამონათვალში მხოლოდ მე-9 ადგილზეა, თუმცა ეს პირობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარებაში.

ნანსური ბაზრების ლიბერალიზაციის შედეგად შეიქმნა მანამდე არარსებული შესაძლებლობა სავალუტო რყევების სპეკულაციური მიზნით გამოყენებისათვის, რამაც ხელი შეუწყო ეროვნულ ვალუტებს შორის არამყარი, ფეთქებადი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა ფულად-საკრედიტო ოპერაციების (ტრანსაქციები, გარიგებები) საერთაშორისო ახალი სახეობების განვითარება მაგალითად ე.წ. ფიუჩერსების, დერივატერებისა და ოპციონების ფორმით, რომლებიც ნაწილობრივ მაღალი სპეკულაციური ბუნებით გამოირჩევიან და რომლებმაც გლობალური ფინანსური სისტემა 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან რადიკალურად შეცვალეს. საბოლოოდ აღმოცენდა განსხვავებული სექციურ-სეგმენტური ბაზრების გლობალური „გაუმჭვირვალე კომპლექსი", რომლის ფუნქციონირებისა და აქტივობების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა უკვე შეუძლებელი ხდება.5

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შედეგად დაჩქარდა გაცვლითი პროცესები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გიგანტური სავალუტო ტრანსფერების უსწრაფეს შესრულებას უზრუნველყოფდნენ. გლობალური ფინანსური ბაზრების შემდგომ განვითარებასა და ფუნქციონირებაში მათი მნიშვნელობის სრულფასოვნად შესაფასებლად იმ ხელსაყრელი გარემოს შექმნაც იკმარებს, რითაც ინვესტორებს კაპიტალდაბანდებათა ცვლილებებისა და შესაბამისად დიდი სპეკულაციური (სავაჭრო) მოგების მიღებისათვის ექმნებოდათ სწრაფი რეაგირების მოხდენის შესაძლებლობა. ამ გარემოებაში კი, არსებით როლს ფული, როგორც გაცვლითი საქონლის სპეციფიკური აბსტრაქტული ბუნება თამაშობს, რადგან „ფულს სხვა საქონელთან მიმართებაში გააჩნია გადამწყვეტი უპირატესობა, ვინაიდან მას ძალუძს მატერიალურად ვირტუალურ გადახდის ფორმაში ტრანსფორმირდეს და ამიტომ ე.წ. „real time" მსოფლიოს ნებისმიერ ადგი-

ლას შეუფერხებლად იქნას გადანაცვლებული.6

ამასთან დაკავშირებით სავსებით ლოგიკური იქნება თუკი შევნიშნავთ, რომ საინვესტიციო კრედიტი ქმნის ეკონომიკის ზრდის ახალ შესაძლებლობებს,ფინანსური კრიზისები კაპიტალის არაეფექტიანი განაწილებით კი ხელს უწყობს რეალური ეკონომიკის შემცირებას, რისი პრევენციაც კაპიტალის სწორად განაწილების ამაღლებაში მდგომარეობს, და რომელიც ერთიანი ეკონომიკის ეფექტიანობისათვის არის აუცილებელი.

ვაშინგტონის კონსესუსის დომინანტობა გლობალურ ეკონომიკაში რადიკალური დერეგულირების კრახით და ფინანსურ სექტორში მრავალბილიონიანი დოლარის ე.წ. „Big Bailout"***-ით დასრულდა. დასრულდა ე. წ. „Laisser faire"****-ის ერა. ბოლო ორმოცი წლის მანძილზე გაბატონებული აზრი ვაშინგტონის კონსესუსის შესახებ, თითქოს ყველაფერს თავისუფალი ბაზრები აწესრიგებს, წარსულს ჩაბარდა. მხოლოდ 2007-2009 წლებში ამერიკულ აქციათა ღირებულების საბირჟო დანაკარგებმა 8 ბილიონი (ე.ი. 8000 მილიარდი, ან როგორც ამერიკელები იტყვიან 8 ტრილიონი) აშშ-ის

*** bailout [beilaut] (ინგლ.)აღნიშნავს ფულადი ფორმით ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენას იმ კომპანიებისა თუ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ძალზე სერიოზული ფინანსური პრობლემები გააჩნიათ., Bailout-Wikipedia. the free encyclopedia, https:/en.m.wikipedia.org-wiki-Bailout., Oxford Advanced Learner's Dictionary, 7th Edition , Oxford University Press., 2005, P102

**** Laissez-Faire (/leseifer-/, French: [lesefer] არის ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ცალკეულ სუბიექტებს შორის არსებული ტრანსაქციები, თავისუფალია მთავრობათა იმგვარი ჩარევებისგან, როგორებიცაა რეგულაციები, პრივილეგიები, ტარიფები და სუბსიდიები. მაშასადამე, ეს არის მიმართულება (ქცევის ფორმა, პოლიტიკა), რომელიც ხელისუფლების კონტროლის გარეშე იძლევა კერძო საწარმოების განვითარების შესაძლებლობას. : Laissez- faire-Wikipedia, the free Encyclopedia., https: //en.m.wikipedia.org.-wiki-laisse..., Oxford Advanced Learner's Dictionary, 7th Edition, Oxford University Press, 2005, P.859

დოლარი, ხოლო ხარჯებმა Bailout-ისა და Stimulus-Paket-ისთვის 2 ბილიონი (ე.ი. 2000 მილიარდი, ანუ 2 ტრილიონი) აშშ-ის დოლარი შეადგინა, რომელიც ამერიკის მთავრობის მიერ იქნა დაფინანსებული. შედარებისათვის გერმანიაში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ბანკებისათვის დანაკარგების მოცულობა 2009 წლის თებერვლამდე შეადგენდა 27 მილიარდ (0.027 ბილიონი, აშშ: 0.027 ტრილიონი) ევროს. ხოლო დახმარებისა და ფინანსური გარანტიის სახით გერმანიის მთავრობის მიერ მთლიანობაში ბანკებისათვის გამოყოფილი იქნა 580 მილიარდი (0.580 ბილიონი; აშშ: 0.580 ტრილიონი) ევრო, ისევე როგორც კერძო კომპანიებზე, გარანტიის სახით – 100 მლრდ. (0.100 ბილიონი; აშშ: 0.100 ტრილიონი) ევრო და ეკონომიკური სტიმულირებისათვის კონიუნქტურულ პროგრამებზე – 81 მლრდ. (0.081 ბილიონი; აშშ 0.081 ტრილიონი) ევრო. რიცხვებში ასახული გერმანიის მთელი ეს სტატისტკური მონაცემები საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

ე.ი. აშშ-ისა და ევროპას შორის არსებითი განსხვავება გლობალური და სოციალური საბაზრო ეკონომიკის ტიპებს შორის არსებობისა და იმ რეალობის აღქმისა და შეფასებებში მდგომარეობს, რაც მათ არსებითად განასხვავებს ერთმანეთისაგან. რასაკვირველია, ეკონომიკის ამერიკული მოდელი განვითარების გარკვეულ ეტაპზე უდავოდ წარმატებული იყო, თუმცა კონტინენტურმა ევროპამ, და უწინარესად გერმანიამ საკუთარი უმძიმესი გამოცდილების საფუძველზე შეძლო საბაზრო ეკონომიკის რეალისტურად შეფასება, და საკუთარი საზოგადოების წიაღში მისი ორგანული ადაპტაცია.***** მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა საუკეთესოა ყველა შესაძლო ეკონომიკურ წესრიგს შორის, ის სრულიადაც არ არის უშეცდომო, რის და-

დასტურებასაც არსებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები წარმოადგენს. ამიტომ საბაზრო ეკონომიკა ცალკეულ პიროვნებათა თუ ჰუმანურ ინსტიტუციათა შეცდომების გაცნობიერების საფუძველზე საჭიროებს გარკვეულ ჩარჩო წესრიგს.

სტრუქტურული ცვლილებებით გამოწვეული კრიზისების გარდა, რაც ჰიპერსპეკულაციებით ფინანსური სექტორის უკონტროლო და ზღვარგადასულ მასშტაბებში ე.წ. „Financial Overstertch"-ით გამოიხატა, რამაც ფაქტომბრივად უმძიმესი დარტყმა მიაყენა რეალურ ეკონომიკას, როგორც ყველა ღრმა ისტორიული კრიზისი, ფინანსური კრიზისიც არა ერთი, არამედ რამდენიმე მიზეზით არის შეპირობებული, რადგან ამ მიზეზთაგან ყველა როდია ეკონომიკასთან მიმართებაში ეთიკურად რელევანტური. კრიზისის ზოგიერთი ფენომენი ფინანსური აქტიორების ეთიკური მოტივაციებისა და ეთიკურად მზაობის ნაკლებობითა და საფინანსო ინსტიტუტების ინსტიტუციონალური ეთიკის სიმწირით არის გამოწვეული. მეტი თვალსაჩინოებისათვის შეი-

***** გერმანიის გარკვეული ისტორიული მონაკვეთის, მათ შორის აღსანიშნავია გერმანია – საფრანგეთის 1870/71 წლების ომისა და ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული რეპარაციის გადასახადთან დაკავშირებული ნახევარსაუკუნის შემდგომი გამოძახილი, რომელიც გარკვეულწილად იყო კიდეც რეაქცია უმძიმეს ფინანსურ დარტყმაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში 1923 წელს პირველი სავალუტო და საფონდო ბირჟების კრახის სახით, რა დროისთვისაც მარკასა და დოლარს შორის თანაფარდობა იყო: 400 მლრდ. რაიხს - მარკა = 1 აშშ-ის დოლარი. ამ დროის ფინანსურ კრიზისთან შედარებით თანამედროვე ფინანსური კრიზისი სარგძნობლად მცირე კალიბრის არის, და ასევე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი არანაკლებ მძიმე ფინანსური რყევები ნაციონალსოციალიზმის რეგრესიის კატასტროფების, ორი მსოფლიო ომისა და ორჯერ საფონდო ბირჟის კოლაფსის შემდეგ აშშ-ის ეკონომიკური მოდელის საპირწონე გერმანული ეკონომიკური მოდელის წარმატება გაცილებით უფრო პესიმისტური ჩანდა ვიდრე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის.

ძლება მოვიტანოთ მსოფლიოში გახმაურებული ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა – Enron, World-com და Vernard Madoff აშშ-ი, Siemens გერმანიაში. აღნიშნული სკანდალები უმთავრესად უნდა განვიხილოთ, როგორც კომპანიების და მათი მენეჯმენტის არაეთიკური პრაქტიკის შედეგი.

ის, რომ მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს საფუძვლად ეთიკური პრობლემები უდევს, აბსოლიტურად არ უგუვებელყოფს და არ აკნინებს კრიზისის გამომწვევ სისტემურ ფაქტორთა მნიშვნელობას. პირიქით, საჭიროა. რომ აღნიშნული კრიზისი განვიხილოთ მისივე სისტემური ფაქტორების გათვალისწინებით კულტურული და რეალური სივრცის ფარგლებში, რადგან ეს კრიზისი საკმაოდ სცილდება ფინანსური ან ეკონომიკური კრიზისების ფარგლებს. დღეს არა მხოლოდ საბანკო სისტემა ან ეკონომიკა აღმოჩნდა კრიზისში, არამედ თავად საზოგადოება.7 არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ჩვენი საზოგადოების ფასეულობათა კრიზისიც არის.8

ეკონომიკური სისტემა არ წარმოადგენს თვითრეგულრიების მექანიზმს: ბაზრის სტაბილურობა მოითხოვს სამართლებრივ და ნორმატიულ სისტემებს (საფუძვლებს), მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მას ასევე სჭირდება გარკვეული ზნეობრივი რეგულაციები მყარი და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის. საჭიროა ეთიკა, რომელზეც დაეფუძნება ადამიანთა რაციონალური ქმედებები სოციალურ გარემოში. ეთიკა, რომელსაც გააჩნია სამი დიმენსია: პერსონალური, ორგანიზაციული და სოციალური, და წარმოგვიდგება როგორც წონასწორობის მდგომარეობა აღნიშნულ მხარეთა შორის. კრიზისის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა ითხოვს ეთიკურ რეაქციებს სამივე დონეზე: ადამიანები უნდა იყვნენ ეთიკურები, ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ ეთიკასთან შესაბამისობაში, და საზოგადოება უნდა იქცეოდეს ეთიკურად. ამასთან, მას ასევე გააჩნია

როგორც თეორიული,ისე პრაქტიკული ასპექტები. თეორიული ასპექტი – რა არის ეთიკა და როგორ უკავშირდება ის ეკონომიკას და პოლიტიკას; პრაქტიკული ასპექტი – როგორ მოხდეს ქცევათა განვრცობა და როგორ შეიქმნას იმგვარი პირობები, როდესაც პოლიტიკური და ინსტიტუციური შეზღუდვებით შესაძლებელი იქნება არაეთიკურ მოქმედებათა ბლოკირება.9

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ეთიკის გარდაუვალი საჭირობა ეკონომიკასა და ფინანსებში. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მხოლოდ კრიზისული პერიოდების დროს იძენს ეთიკური ფასეულობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ბიზნესისა და ფინანსური ეთიკის კონცეპტებისა თუ კონცეფციების განხილვა,თითქოს ისინი მხოლოდ დროდადრო ხდებიან აქტუალური, რასაკვირველია მცდარია.

არსებული კრიზისი შეიძლება განვიხილოთ როგორც საწყისი წერტილი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა ეთიკა მივიწყებულია ეკონომიკაში. თუკი გლობალური ეკონომიკური გარემო ვერ შეძლებს მორიგებას გლობალურად მისაღებ ეკონომიკურ ეთიკასთან, მსოფლიო ეკონომიკა გარდაუვლადაა განწირული ქაოსისა და კრახისათვის. გამოსავალი მდგომარეობს ეკონომიკაში მართებული თამაშის წესებისა და ეკონომიკის ეთიკის ფორმირებაში, რაც წაახალისებს და დაეხმარება ეკონომიკურ აქტიორებსა და საზოგადოებას თამაშის წესების შესაბამისად მოქცევაში. წინა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისებმა გვიჩვენა, რომ მხოლოდ მკაცრი შეთანხმებებით შეუძლებელია მომავლის კრიზისების პრევენცია. მსოფლიო ეკონომიკაში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დაწესებული გლობალური თამაშის წესები, ეთიკური საკითხები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. დღეს შეინიშნება ეთიკისადმი გაზრდილი მოთხოვნილება. საბედნიეროდ, უკვე არსებობს

მზარდი კონსესუსი, რომ ფინანსური ბაზრები და თავად ეკონომიკა საჭიროებს ეთიკას, და რომ ისინი უნდა ფოკუსირდნენ მდგრადი განვითარების საჭიროებაზე, როგორც სოციალური პროცესების შედეგებზე.10

მაშასადამე, ბოლო ათწლეულების გლობალური ბაზრების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები წარმოადგენს სისტემური კრიზისების ერთიან ჯაჭვს და ფინანსური მეურნეობის სისტემის შეცდომების შედეგს. ფინანსური ინდუსტრიის დერეგულირების ახალმა ნიმუშმა შექმნა კიდევ უფრო ეგოისტური ფინანსური ბაზარი, სადაც დააკანონა შეუზღუდავი ანგარება, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ მსხვილი აქციონერებისა და ფინანსური მენეჯერების მოგებაზე ორიენტირებულ ინტერესებს და არაფერი ჰქონდა საერთო თავად ფირმის ან კლიენტის კეთილდღეობასთან დაკავშირებული კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან. ეთიკური ორიენტაციის გარეშე ახალი საფინანსო სისტემის შექმნა, რომელიც არ ითვალისწინებდა საზოგადოების კეთილდღეობას, იყო ფინანსური ბაზრის რეფორმის მიზანი, თუმცაღა „რეფორმატორებმა" კარგად უწყოდნენ, რომ ეთიკური პერსპექტივა წარმოადგენს მოქმედებათა სისტემის არა მხოლოდ მორალიზებას, არამედ აქტიორთა პირად პასუხისმგებლობასაც. ეთიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უგულვებელყოფილი იქნა ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა ფინანსური ინდუსტრია ეჩვევა ქცევის იმ ფორმებს, რომლებიც ემსახურება არა საფინანსო ეკონომიკის მიზანს,****** არამედ ფინანსური აქტიორების უსაზღვრო გამდიდრებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გლობალური ფინანსური ბაზრების პერნამენტული კრიზისები დასავლეთს აიძულებს იფიქროს თავისუფალი, ჰუმანური, სოციალურ–ეკონომიკური წესრიგის ახალ პრინციპებზე და ამ ერთობლივი და ამავე დროს განსხვავებული პრინციპების მიუკერძოებელი და ობიექტური შეჯერება უნდა დაეფუძნოს

ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ ევროპული საბაზრო ეკონომიკის ტიპების კონცეპტებს, რომლის მიზანიც იქნება ახალი ეკონომიკურ წესრიგთა, უკეთეს ეკონომიკურ კანონმდებლობათა და ეკონომიკის ეთიკის სინთეზი.

ლიტერატურა:

1.Posner, Richard A.: A Failure of capitalism. The Crisis of 80 and the Descent into Depression, Cambridge , Mass., Harvard University Press, 2009

2.Koslowski, Peter., Ethik Der Banken., Folgerungen Aus Der Finanzkrise, Wilhelm Fink Verlag, München, 2009, S. 232

3.Федякина Л. Н., Финансовая глобализация, долги, кризисы. Доклад 5.12.2003 www.humanities.edu.ru/db/msg/48607

4. Müller., K., Globalisierung., Frankfurt/ New York, S.103

5.Huffschmidt, J., Politische Ökonomie Der Finanzmärkte., Hamburg, 1999, S.16

6.Trinczek, K. „ Es gibt sie, es gibt sie nicht, es gibt sie, es ... „ Die Globalisierung Der Wirtschaft im aktuellen sozialwissenschaftlichenDiskurs.In: Schmidt, G., Frinczek R.(HRsg): Globalisierung. Soziale Welt Sonderband 13, Baden- Baden, 1999, S.59

7.Stefan Drägert, Die Ursachen den Finanz- und Wirtschaftskrise (26.01.2010): http://archiv.kath.de / index.php? id =386&tx ttnews%5Btt_news%5D=2479&timestam29.08.2011

****** ფინანსური ეკონომიკის მიზანი თავისი საშუამავლო ფუნქციის შესრულებით, ანუ საკუთარი განსაზღვრული როლით საკრედიტო, კაპიტალისა და დერივატერის ბაზრებზე წარმოების შესაძლებლობების ზღვარზე მოქმედბითა და კაპიტალის ოპტიმალური განაწილების გზით მაქსიმალური სოციალური პროდუქტის მიღწევისა და საბოლოოდ ერთიანი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში მდგომარეობს.

8.Jose Manuel Barroso. Political guidelines for the next Commision. Brussels, September 2009.P.1. http://ec:europe.eu/commisionbarroso/president/pdf/press-20090903_E

9. Antonio Argandõna, Three Ethical dimensions of the financial crisis, www.ies.edu/research/pdfs/DJ-0944-E.pdf.

10.Gabriel., K., 2009-Engagement als Beitrag fur Nachhaltige Wirtschaftsweisen~. OEKOM Corporate Responsibility Review. Nachhaltigkeit in Unternehmensführung und Kapitalanlagen-eine Bestandsaufnahme, P.P. 9-11

თავი 6. რელიგია და ეკონომიკა

§ 6.1. რელიგიის სოციალურ-ეკონომიკური გააზრება

რელიგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებასა და ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ მისი მნიშვნელობის საკითხს დიდი ხანია იკვლევენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები და ა.შ. მიუხედავად ამისა, ეკონომისტთა უმეტესი ნაწილი ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის დროს ამ ფაქტორის იგნორირებას ახდენდა. ეკონომიკურ საქმიანობაში რელიგიის მნიშვნელობის შესწავლა უკანასკნელ პერიოდში გახდა აქტუალური: დაახლოებით 10-15 წელია რაც პროფესიონალი ეკონომისტების სულ უფრო მეტი რაოდენობა რელიგიას ეკონომიკური განვითარების დამოუკიდებელ ფაქტორად აღიარებს და ამიტომ ამ მიმართულებით სხვადასხვა სახის კვლევები ხორციელდება, რომლებიც საუკუნეთა წიაღში იღებს დასაბამს.

ეკონომიკასა და რელიგიას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს შოტლანდიელი კლასიკოსი ადამ სმიტი, რომელიც თავის „მორალური სენტიმენტების თეორიაში" ხაზს უსვამს იმას, რომ რელიგიური მრწამსი წარმოადგენს კარგ სტიმულს იმისათვის, რათა ინდივიდი მოექცეს ზნეობრივ სტრუქტურაში, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. უმაღლესი ზნეობრივი ადამიანის კონცეფცია წარმოადგენს შინაგანი მორალური მექანიზმის მართებულად ფუნქციონირება–სარგებლობისა და შინაგანი მორალური მონიტორინგის სისტემას.1

რელიგიის ფაქტორის შესწავლის საკითხში განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ცნობილ გერ-

მანელ სოციოლოგს მაქს ვებერს. იგი თავის წიგნში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად რელიგიას მიიჩნევს.2 ვებერის მთავარი თეზა იყო ის, რომ რელიგია შესაძლებელია წარმოადგენდეს ნეგატიურ ან პოზიტიურ ძალას ეკონომიკის განვითარებაში. მისი აზრით, ეფექტი აუცილებლად იქნება დადებითი იმ შემთხვევაში, როდესაც რელიგია აღიარებს მატერიალურ სიკეთეს და აქცენტს გააკეთებს მის დაგროვებაზე. მისეულ ამგვარ არგუმენტაციას სავსებით შესაძლებელია, რომ საერთო მოენახოს კალვინისტურ პროტესტანიზმთან.

დღეს მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტს სწორედ ამ ორი სფეროს, ეკონომიკისა და რელიგიის კავშირურთიერთობის ასპექტები წარმოადგენს.

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი მარსელ მოსი რელიგიასა და ეკონომიკას გაიაზრებს როგორც სამართლებრივ, ოჯახურ და ესთეტიკურ სფეროებს, რომელთა იდენტიფიცირება არც თუ ისე მარტივია. მოსისთან ამ ორი მიმართულების ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ეთიკური პასუხისმგებლობის ფორმას, რომელიც სოციალური და პოლიტიკური მშვიდობისათვის კონსტიტუტიურია, და რომელიც ეკონომიკისა და რელიგიის სექტორებს შორის ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას.3

ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტებმა რობერტ ბარომ და რეიჩალ მაკ-ქლირმა 2003 წელს გამოაქვეყნეს კვლევის შედეგები, რომლებიც ეხებოდა საზოგადოების რელიგიურობისა და ეკონომიკის განვითარების დონის ურთიერთ-კავშირის ხარისხის დადგენას. მათ მიერ გამოყენებული იყო გელაპის ინსტიტუტისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურად განხორციელებული მსოფლიო კვლევების მონაცემები, რომლებიც 20 წელზე მეტ პერიოდს მოიცავდა. მონაცემების ანალიზის საფუძველზე მათ დაასკვნეს, რომ „რელიგიის

უმნიშვნელოვანეს პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური რწმენა, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკურ საქმიანობაზე".4 ბარო და მაკ-ქლირი ამტკიცებენ რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტების რელიგიურ აქტიურობაზე. ისინი თვლიან, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა პირდაპირ კავშირში იმყოფება მისივე მოქალაქეთა რწმენის ხარისხზე რელიგიური კუთვნილობის გათვალისწინებით. მათივე აზრით რელიგლიური რწმენა პოზიტიურ კავშირიშია ეკონომიკურ ზრდასთან.5

სამართლებრივ, პოლიტიკურ და სამოქალაქო კულტურაზე მრავალი ნაშრომის ავტორი ამერიკელი პროფესორი რონალდ ინგლჰარტის აზრით, პირადი რწმენის ფაქტორი მთავარ როლს თამაშობს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში..6

„ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა ხელს უწყობს ვაჭრობაში (ეკონომიკურ ურთიერთობებში) წარმატებას, ვინაიდან პატიოსნების გარანტად გვევლინება, ადამიანში ზრდის სიფრთხილესა და წინდახედულებას, ესოდენ მნიშვნელოვანს საზოგადოებაში წონისა და კრედიტისათვის, რაც სიმდიდრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს". ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს ჯ. ა. რაუნტრი.7

მეტინ კოსგელმა და ლანს მინკლერმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ერთიანობის ერთგულებისა და იდენტურობის კონცეპტები გვეხმარება რელიგლური ქცევებისა და მათი შედეგების გაგებაში. რელიგიური ქცევები ემსახურება პიროვნების იდენტურობის ქმნადობისა და მის ვალდებულებათა პირნათლად აღსრულების საქმეს.8

მაშასადამე, რელიგია უდიდეს ზემოქმედებას ახდენს თანამედროვე ეკონომიკაზე მსოფლიოს მასშტაბით. მისი დამოკიდებულებულება ეკონომიკასთან მიმართებაში საკმაოდ ამბივალენტურია, ანუ პირველის გავლენა მეორეზე შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც პოზ-

იტიურ ისე ნეგატიურ ასპექტში. მსოფლიოს დომინატი რელიგიები განსხვავებულად ზემოქმედებენ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებსა თუ შედეგებზე. მათი პოზიტიური შედეგები შესაძლებელია აისახოს ფართო სპექტრით. მაგალითად, კანადელი მეცნიერების ულრიხ ბლუმისა და ლეონარდა დადლის აზრით რელიგია გავლენას ახდენს ეკონომიკაზე არა იმდენად ეფექტიანი შრომისათვის საჭირო სტიმულებით, რამდენადაც სიცრუის აკრძალვის დადებითი ეფექტით, რაც ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.9

იტალიელმა ეკონომისტებმა წარმოადგინეს დასკვნები, რომლის თანახმად რელიგიას ძალუძს გაზარდოს მშპ საზოგადოებაში ნდობის ზრდის ხარჯზე. ე.ი. რელიგია მნიშვნელოვანია საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს სიმდიდრისა და კეთილდღეობის მხრივაც. აშშ-ში მკვლევარებმა აჩვენეს რომ რელიგია ამცირებს კორუფციას და ამაღლებს კანონისადმი მორჩილებას იმგვარად, რომ შესაძლებელი ხდება საერთო ეკონომიკური ზრდის მატება.10

რაც შეეხება რელიგიის ეკონომიკაზე ზეგავლენის უარყოფით მხარეს, იგი ვლინდება შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, ფულად-საკრედიტო სისტემაში სასესხო პროცენტზე უარის თქმაში, სათამაშო ბიზნესის აკრძალვაში ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვაში ჩაკეტილი რელიგიური სისტემებისა და საზოგადოებების დროს, რაც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს.11 რელიგიასა და ეკონომიკას შორის დამოკიდებულებაში ნეგატიურ ფაქტორებად ასევე შესაძლოა მიჩნეული იქნეს რელიგიური შეზღუდვები კაპიტალის დაგროვებაზე, მოგების მიღებაზე, საკრედიტო ბაზრებსა და პროცენტებზე.

რელიგია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გვევლინება სამოქალაქო საზოგადოების ქცევათა რეგულატორად, იმდენად რამდენადაც სწორედ რელიგიური ფაქტორი

განაპირობებს ადამიანთა აგრესიულ ქცევებსა და სამოქალაქო უწესრიგობას, რომლებიც მისი გავლენით შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ, როგორც მიკრო- ისე მაკროეკონომიკურ დონეზე ეკონომიკური ქცევებისა და შედგების რელიგიასთან კორელაციაში ყოფნის თაობაზე. ასევე კიდევ უფრო მჭიდრო კავშირების არსებობაზე რელიგიურობასა და ეკონომიკურად მნიშვნელოვან სოციალური ქცევების ფართო სპექტრს შორის – ისეთების, როგორებიცაა: დანაშაულებრივი საქმიანობა ნარკოტიკები და ალკოჰოლი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, ქორწინება – განქორწინება და შობადობა.12

ეკონომიკისა და რელიგიის დამოკიდებულებაში არსებობს თეორიები, რომლებიც განსხვავებულად აჩენენ რელიგიური ფაქტორების ზემოქმედების ხარისხს ეკონომიკურ ურთიერთობებში. პირველი თეორია არის მხარდაჭერის თეორია, სადაც აღნიშნულია, რომ რელიგიებს გააჩნიათ პოზიტიური ეფექტი ეკონომიკაზე. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოტანილი იქნეს მ. ვებერის არსებითი არგუმენტი, რაც ეხება კალვინისტური ეთიკის ფუნქციას კაპიტალიზმის წარმატებული განვითარების საქმეში (შდრ. იპპენბერგ 2002). იგი ფორმულირდება შემდეგნაირად: ცალკეული გამონაკლისის გარდა რელიგიური სისტემების ფორმებს ძირითადად გააჩნიათ პოზიტიური გავლენა გარკვეულ ინსტიტუციებსა და ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებაზე. მეორე, უპირატესობის თეორია გულისხმობს რელიგიების მხრიდან იმ საჭირო ნორმებისა და ქცევათა ფორმების მხარდაჭერას, რომლებსაც საბაზრო სისტემა საჭიროებს საკუთარი ფუნქციონირებისათვის. ამასთან დაკავშირებული შესაბამისი არგუმენტები ეკონომისტებს გააჩნდათ ჯერ კიდევ გასული საუკუნეის დასაწყისში. ასე მაგალითად, შმოლერი ამ კონტექსტში რელიგიურ იდეას განიხილავს როგორც

სასარგებლო ზნეობრივი აღზრდის და ზოგადად, დისციპლინის საშუალებას (1923:45ff.). სწორედ პირიქით ფორმულირდება მესამე თეორია რომელიც დაბრკოლების თეორიის სახელით არის ცნობილი, სადაც რელიგიური ინსტიტუციები და რელიგიურად მოტივირებული ქცევათა ფორმები უსარგებლოა ეკონომიკური სუბსისტემისათვის, რადგან ისინი აბრკოლებენ ნამდვილად მნიშვნელოვან ინსტიტუციონალიზაციებს, შემოსავლების ზრდის ნაყოფიებას ერთ სულ მოსახლეზე. სკეპტიკური დამოკიდებულებებით მეცნიერებისა და ტექნიკის ინოვაციათა მიმართ ხელს უწყობენ და ზრდიან ბაზრის საყოველთაო სკეპტიციზმის გაჩენის ალბათობას, და ა.შ. მეოთხე, ჩაურევლობის თეორიაში რელიგიის გავლენა ეკონომიკაზე გაცილებით მცირეა, ვიდრე ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ თეორიებში. ამასთან ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ არა ეფექტიანი ინსტიტუციონალური ღონისძიებები, როგორიცაა მაგ. პროცენტის აკრძალვა, ძალზედ ხშირად მარტივი ინსტიტუნიონალური სუბსტიტუცის მსგავსად, სრულად ეკვივალენტური ეკონომიკური ფუნქციების სახით ჩნდებიან. ხოლო რაც შეეხება სასარგებლო ინსტიტუციებს, ისინი მარტივად ადაპტირდებიან და პრაქტიკულად არ იმყოფებიან კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებზე დამოკიდებული.13

რელიგიისა და ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობას შორის კავშირი არსებობს უძველესი დროიდან, რელიგია ახდენდა და ახდენს აქტიურ ზემოქმედებას ეკონომიკის ყველა სფეროზე. კაპიტალისტური ურთიერთობების ფორმირებაში შეუფასებელი როლი რელიგიამ ითამაშა. ამის თაობაზე მოწმობს ყველა მსოფლიო რელიგიების გამოცდილება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა რელიგია სოციალურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას ხელს არ უწყობს. არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკეთეს სოციალურ და ეკონომიკურ მაჩვნებლებს მიაღწიეს ვიდრე სხვებმა. ეს შეი-

ძლება აიხსნას იმით, რომ ის რელიგიები ასტიმულირებენ ფასეულობებსა და პრინციპებს, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ ადამიანისა და საზოგადოების ორიენტაციას პროგრესზე. მაშასადამე, ეკონომიკურ წარმატებებს აღწევენ ის საზოგადოებები და ქვეყნები, სადაც განსხვავებული რელიგიები თავისი სპეციფიკური საშუალებებით სტიმულს აძლევენ ეკონომიკურ საქმიანობას, ქმნიან რა შესაბამის ზნეობრივ ფონს – შრომით ეთიკასა და ეთიკურ ნორმებს.

რელიგია აძლიერებს საზოგადოებაში მიღებულ ქცევის სოციალურ ნორმებს, ახორციელებს სოციალურ კონტროლს: ფორმალურს, საეკლესიო ორგანიზაციების მეშვეობით და არაფორმალურს – თვით მორწმუნეთა მიერ, რომლებიც არიან მორალური ნორმების მატარებლები მათ გარემოცვაში მყოფი ადამიანების მიმართ.

რელიგიასა და ეკონომიკის ურთიერთქმედებებს გააჩნია ორი ვექტორი: ერთის მხრივ რელიგიური ნორმები აყალიბებენ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, მეორეს მხრივ – საკრალიზირდება მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც შეესაბამებიან ეკონომიკის განვითარების განსაზღვრულ დონესა და ხასიათს. ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში ეკონომიკური ვითარება იცვლება და უწინდელი ნორმები ხდებიან დაბრკოლებად საზოგადოების განვითარებაში. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა არის უფრო მოქნილი კონფესიების მქონე ეთნოსების მხარეზე, რომლებსაც ძალუძთ ნორმათა სისტემის ადაპტირება ცვალებად პირობებში.

სწავლის უნარი და ინტეგრაციის შესაძლებლობა წარმოადგენს ნებისმიერი საზოგადეობის განვითარების უმნიშვნელობანეს მომენტებს. ე.ი. რელიგიური მენტალიტეტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს: ნდობა და დიალოგის წარმართვის უნარიანობა იძლევა ცვლილებათა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას და ამავე დროს საბაზრო დინამიკის ცვლილების გარეშე ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური კაპიტალის

შენარჩუნებასა და განვითარებას.14

რელიგიას ძალუძს გაზარდოს ეკონომიკური განვითარების დონე ისეთი ზნეობრივი ფაქტორებით როგორიცაა მაგალითად პატიოსნება. მას შეუძლია ნდობის ხარისხის ამაღლებით შესამჩნევად შეამციროს კორუფცია და სხვა დანაშაულებრივი ქმედებანი ეკონომიკაში,მოახდინოს ქვეყნების გახსნილობა,რითაც შესაძლებელი იქნება, რომ მოცემული ქვეყნის ეკონომიკა გახდეს უფრო ღია უცხოური ინვესტიციებისათვის. რელიგიას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს იმგვარი სამომხმარებლო ფენომენის განვითარებას, როგორიც არის მომჭირნეობა, რომელიც სტიმულის მომცემია დანაზოგებისათვის, ინვესტიციებისათვის და შესაბამისად ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთან, რელიგიით შესაძლებელი ხდება იმგვარი ასოციალური მოვლენების განეიტრალება, როგორებიცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა და მათი მოხმარება. გარდა ამისა, მის წიაღში ცოდვილ ქმედებად მიჩნეული ნაყროვანების, ალკოჰოლის, აზარტული თამაშებისა და ა.შ. ხელის შეშლით იგი ქმნის საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წინაპირობას, რაც უცილობლად ზრდის საწარმოო მასშტაბებს შრომითი მწარმოებლურობის ამაღლების ხარჯზე.

რელიგია წარმოადგენს ცხოვრების წარმართველ ძალას. რაც უფრო თვალშისაცემია მოდერნიზაციის პროცესისათვის თანამდევი პათოლოგიები, მით უფრო აქტიურდებიან ძლიერი რელიგიური ტრადიციები. გლობალიზაცია და რელიგიური ცვლილებები საზოგადოებას აყენებს მკაცრი ალტერნატივის წინაშე: ან მსოფლიო ბაზრების რაციონალიტეტთან ადაპტირება, ან მზარდი მარგინალიზირებული საბაზრო პოზიციის აქცეპტირება. გლობალიზაციის პროცესები ინდუსტრიულ საზოგადოებებს უბიძგებს მათივე ინსტიტუციური სტრუქტურის ღრმა ცვლილებებისაკენ და ცალკეული ინდივიდებისაგან მოითხოვენ მაღალ ფლექსიბელურობას.15

გლობალიზაციის პროცესში რელიგია არ კარგავს თავის მნიშვნელობას, არამედ ეკონომიკური პირობების ზეწოლით იგი განიცდის ფორმათა ცვლილებას. არცერთი რელიგია თუ რელიგიური ეთიკა სრულად ვერასოდეს მოვა თანხვედრასა და შესაბამისობაში გლობალური კაპიტალისტური მიზნის რაციონალიტეტთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი თავის მხრივ მრავალგვარ გავლენას ახდენენ ეკონომიკის მზარდად ძლიერ დინამიურ ძალებზე, ე.ი. რელიგიური სისტემები წარმოადგენს სიმბოლურ მსგავსებათა და საიმედო წესრიგის სტრუქტურებს, რომლებსაც ძალუძთ ზეგავლენა იქონიონ ეკონომიკაზე.

ლიტერატურა:

1. Adam Smith, The Theory of Moral Sentiments, Cambridge University Press,. 2002
2. Max Weber. Die Protestantische Ethik und der Geist des Kapitalismus., 1934
3. Anne Koch, Zur Interdepedenz von Religion und Wirtschaft – ReligionsÖkonomische Perspektive., www.Religionswissenschaft. uni-muenchen.de/downloand...Koch/a.pdf
4. Religion and Economic Growth., by Robert J. Barro and M. McCleary, Harvard University, April 8, 2003
5. Barro, Robert, J. and Rachel M. McCleary (2003). Religion and Economic Growth. NBER Working Paper r #. 9682: National Bureu of Economic Research.
6. Ronald Jnglehart, Pippa Norris, Sacred and Secular: Religion and Politics Worldwide, Cambridge University Press, 2004.
7. J.A. Rowntree, Quakerism, past and present P.. 95/6
8. Cosgel, Metin M. und Lanse Minkler (2004), Rationality, Jntegrity, and Religious Behaviaur. Journal of Socio-Economics 33(3):329-341
9. Американские исследователи пришли к выводу, что религия влияет на темп зкономческого роста. http://www.spb-gid.ru/index.php?news=111563

10. http://translate.google.ruhttp://www.bosto

11. Theodore Malloch, Free to Choose: Economics and Religion. crf. hudson.org/articledocs/FreetoChoose.doc.

12. Economic Growth And Religious Production Efficiency., www.degit.ifw-kiel.de/papers/degit_09/c009_040.pdf

13. Gisela Kubon-Gilke, Religion und Ökonomie.,www.school-scout.de/extract/18480/18480.pdf.

14. Graf, F.W.;Wiederkehr der GÖtter, Religion in der modernen Kultur, München 2004, S. 194

15. Wirtschaft und Religion., www.kaththeol.uni-munchen.de/lehrstuehle/christl.../wi-ethik-zsflo.pdf

§ 6.2. რელიგიის ცალკეული სახეები ეკონომიკურ პრიზმაში

მსოფლიოს რელიგიურ მოზაიკაში ქრისტიანობა წარმოადგენს ყველაზე უფრო გავლენიან რელიგიას, რომლის პროცენტული მაჩვენებელია 34.1% (კათოლიკები – 51,8%, პროტესტანტები – 31.4%, მართლმადიდებლები – 12.5%, სექტები - 4.3%). შემდეგ მოდის ისლამი – 20.4%, ინდიუზმი – 14.1%, ბუდიზმი – 12.1%, იუდაიზმი - 0.3%. დანარჩენი - 19.1% ათეისტებია.

ქრისტიანობა. ქრისტიანობა სულიერ – ზნეობრივ მხარესთან ერთად საკმაოდ ფართო სპექტრით მოიცავს სამეურნეო ცხოვრების ასპექტებსაც. ეს შეეხება საკუთრების უფლების, ქონების, სიმდიდრის, შრომის, განაწილების და ა.შ. საკითხებს.1 ქრისტიანობაში არსებობს განსხვავებული ხედვები ეკონომიკური სისტემის ფორმებთან მიმართებაში. პირველი – ეკონომიკური ურთიერთობები დაფუძნებული კერძო საკუთრებაზე, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და ინიციატივაზე. მეორე – სოციალისტური ელემენტების შემოტანა ეკონომიკურ ურთიერთობებში. პირველში იგულისხმება თავისუფალი მეწარმეობა და ღია ბაზრები, ხოლო მეორეში – ცენტრალიზებული მართვა.2 თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთი ეკონომიკური სისტემა არ არსებობს რეალურ სამყაროში წმინდა ფორმით – ყველა კაპიტალისტური სისტემა შეიცავს სოციალიზმის ზოგიერთ ელემენტს და პირიქით.



გრფ. 1 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი ქრისტიანულ და არაქტისტიანულ ქვეყნებში ქრისტიანთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 1 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში იმყოფება 4,8-დან 5,8-მდე დიაპაზონში.



გრფ. 1 ბ). საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლებს შორის დამოკიდებულება (საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე) ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში არის 5.1. სხვა სიტყვებით, ქრისტიანთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში ქრისტიანული ქვეყნები მსოფ-

ლიოს დანარჩენ არაქრისტიანულ ქვეყნებზე 5-ჯერ მდიდარია.

ქრისტიანობა სხვა რელიგიებთან შედარებით ახდენს ყველაზე უფრო დადებით გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე. ქრისტიანობის განშტოებებია: კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და მართლმადიდებლობა. თითოეულის დამოკიდებულებას ეკონომიკასთან გააჩნია საკუთარი თავისებურებები და ნიუანსები. ამასთან, ქრისტიანულ შეხედულებებში ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ბევრი საერთო, იმდენად რამდენადაც ისინი ფორმირდებიან ერთიან მსოფლმხედველობრივ საფუძველზე.

КАТОЛИЦИЗМИ. კათოლიციზმში ეკონომიკა მიიჩნევა პირველ რიგში ადამიანურ ქმედებათა სფეროდ. ეკონომიკური საქმიანობა კი განიხილება როგორც ადამიანის შემოქმედებითი ბუნების ღვთაებრივი გამოვლინება. კათოლიციზმი თვლის, რომ უკანასკნელ დროს ეკონომიკის სფეროში მოხდა დადებითი ცვლილებები, რაც ქმნის ეკლესიის იდეის რეალიზაციის წინაპირობებს, რაშიც იგულისხმება წარმოების თანდათანობითი „დემატერიალიზაცია", რითაც შესაძლებელი ხდება ეკონომიკის ჰუმანიზაცია და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებში ადამიანის როლის ამაღლებაზე საუბარი.3 ამგვარად თანამედროვე კათოლიკობა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თავისუფალი მეწარმეობის სისტემის დადებით თვისებებზე.



გრფ. 2 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში, კათოლიკეთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 2 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში მერყეობს 1,5-დან 2.0-მდე დიაპაზონში.

გრფ. 2 ბ) საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება კათოლიკურ და არაკათოლიკურ ქვეყნებში ტოლია 1,49. სხვა სიტყვებით, კათოლიკეთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში, კათოლიკური ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაკათოლიკურ ქვეყნებზე 1,5-ჯერ უფრო მდიდარია.

ცნობს რა მოგების, კაპიტალის ზრდის ღვთივნებელობას,კათოლიციზმი ყურადღებას ამახვილებს მასზედ, თუ როგორ იყენებს ადამიანი შეძენილ სიმდიდრეს, პირად საკუთრებას.4 მენტალობის შემადგენელი სწორედ ეს ფასეული თავისებურებანი განსაზღვრავენ კათოლიკური ქვეყნების ეკონომიკათა წარმატებებს მსოფლიო მეურნეობის პოსტეკონომიკური განვითარების სტადიაზე გადასვლის პროცესში.

ПРОТЕСТАНТИЗМИ. გამორჩეულია პროტესტან-

ტიზმის დამსახურება დასავლური ეკონომიკის განვითარებაში. ამის მიზეზი ძევს რეფორმაციის პერიოდში მომხდარ მენტალურ რევოლუციაში, როცა ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გაჩნდა არსებითად ახალი მიდგომები ფასეულობათა სისტემაში, რომელთაგან უნდა აღინიშნოს: 1) სიმდიდრე, როგორც ღვთის ჯილდო მორწმუნე-ქრისტიანისათვის მიწიერ ცხოვრებაში; 2) კონკურენტუნარიანობა–პატიოსნება, და საქონლისა და მომსახურების მაღალი ხარისხი; 3) მომჭირნეობა და ყაირათიანობა, მფლანგველობის ნაცვლად; 4) ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება და ა.შ.5



გრფ. 3 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებს შორის პროტესტანტთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 3 ა).-დან ჩანს რომ შემოსავლების დამოკიდებულება პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებში არის ერთზე მეტი და იმყოფება 4-დან 8-მდე დიაპაზონში.

გრფ. 3 ბ). საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება პროტესტანტულ და არაპროტესტანტულ ქვეყნებში უდრის 7,95. სხვა სიტყვებით პროტესტანტთა ზღვრული 50%-იანი მინშვნელობის პირობებში, პროტესტანტული ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაპროტესტანტულ ქვეყნებთან შედარებით თითქმის 8-ჯერ მდიდარია.

დღეს პროტესტანტიზმი ხასაითდება სამყაროსადმი ახალი ურთიერთობით, ღრმა ცვლილებებით ფასეულობათა სისტემაში. პროტესტანტული მენტალიტეტისათვის ნიშანდობლივია უაღრესად პრაგმატული მსოფლაღქმა, რაციონალური ანგარიშიანობა, როგორც მოქმედების საფუძველი და ეკონომიკური წარმატების წინაპირობა. რასაც ადასტურებს კიდეც მოტანილი სტატისტიკა.

მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლობაში სულიერ მხარეს გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა მატერიალურ მხარესთან შედარებით. მორალური ცნობიერება და არა პრაქტიკული ინტერესი განსაზღვრავს საქმიანობათა შინაარს. აქ სოციალურ-ეკონომიკური მსოფლმხედველობა ეყრდნობა მართლმადიდებელ-

ქრისტიანული სულიერი ფასეულობების სისტემას, რომელიც აყალიბებს მეურნეობიობის სულიერ-ზნეობრივ კრიტერიუმებასა და სტიმულებს.6 შრომის მნიშვნელობას განაპირობებს არა მისი პრაქტიკული, გარე უტილიტარული მხარეები, არამედ შინაგანი მოტივაციები, როგორიცაა ღვთისა და მოყვასის სიყვარული. სიმდიდრე არ წარმოადგენს პიროვნების დამსახურების მოწმობის აღიარებას ღმერთის წინაშე. უფრო მეტიც, აქცენტი კეთდება მისი შეძენის უსამართლო ცოდვილი წყაროს მაღალ ალბათობაზე. ყოველივე ეს არის მართლმადიდებლური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ნეგატიური და ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც ასახულია ქვემოთ მოტანილ გრაფიკებში:



გრფ. 4 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში მართლმადიდებელ ქრისტიანთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 4 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლების დამოკიდებულება მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში ერთზე ნაკლებია თითქმის ყველა დიაპაზონში.



გრფ. 4 ბ). საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ქვეყნებში ტოლია 0,8. ეს მოწმობს იმის შესახებ, რომ მართლმადიდებელთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში, მართლმადიდებელი ქვეყნები არამართლმადიდებელ ქვეყნებზე 1,24-ჯერ ღარიბია.

ისლამი. ისლამური ეკონომიკური სისტემის კონცეფცია ეფუძნება საკუთრების, შრომისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებას. თითოეულ ადამიანს გააჩნია საკუთრების უფლება, რომელსაც ფლობს როგორც ინდივიდუალურად ისე სხვა პირებთან ერთად. ისლამში ნებადართულია საქმიანობის სახეობის არჩევა მხოლოდ საზოგადოების საჭიროებათა გათვალისწინებით. შარიათით იკრძალება ნებისმიერი არაპროდუქტიული შრომა, რადგან ითვლება, რომ უსარგებლო შრომას ადამიანი მიჰყავს ურწმუნოებასთან. სასარგებლო წიაღისეული არ შეიძლება იმყოფებოდეს კერძო საკუთრებაში, რადგან ნავთობის თუ სხვა ბუნებრივი რესურსის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები გამოყენებული უნდა იქნეს მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ასევე, ისლა-

მურ ფინანსურ სისტემაში იკრძალება სასესხო პროცენტი. მევახშეობის პრობლემისა და მისი აკრძალვის საკითხი მწვავედ წამოიჭრა გასული საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც ჩნდება პირველი ისლამური ბანკები, და ამ გადაწყვეტილებების არსი მდგომარეობს მასში, რომ საინვესტიციო ლოგიკა უნდა გამომდინარეობდეს არა ბანკის უშუალო გამორჩენის მიღებიდან, არამედ საზოგადოებრივი სარგებლის ზრდისაგან. მკაცრად იკრძალება ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია შეზღუდული რიცხოვნების პირთა ხელში, მონოპოლიების დაწესება, შეთანხმება მონოპოლიურ საქონელზე ფასის დადგენის მიზნით და ა.შ.7



გრფ. 5 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი მუსულმანურ და არამუსულმანურ ქვეყნებში, მუსულმანთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 5 ა).-დან ჩანს რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება მუსულმანურ და არამუსულმანურ ქვეყნებში არსებობს ერთ ერთეულზე ნაკლები და იმყოფება 0.19-დან 0.24-მდე დიაპაზონში.

გრფ. 5 ბ) საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი მუსულმანურ და არამუსულმანურ ქვეყნებში 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება მუსულმანურ და არამუსულმანურ ქვეყნებს შორის ტოლია 0.23. სხვა სიტყვებით, მუსულმანთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პიროებებში, მუსულმანური ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არამუსულმანურ ქვეყნებთან შედარებით 4.4 –ჯერ ღარიბია.

ისლამური საზოგადოება წარმოადგენს ადრექრისტიანული საზოგადოების მოდერნიზებულ სახეს მევახშეობის აკრძალვის, სიმდიდრის გაკიცხვის, შეზღუდული კერძო საკუთრების პრინციპების შენარჩუნებითა და დაცვით. დამუშავების პროცესში მყოფი, იგი დიდწილად ორიენტირებულია განაწილების პროცესის რეგულირებაზე და არა წარმოებაზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მისი შესაძლებლობების სფეროს. ისლამი მონოთეისტური რელიგიაა, სადაც ყოფიერება დაკავშირებულია პროვიდენციასთან, და სადაც არ ხდება ადამიანის პერსონიფიკაცია. ერთი მხრივ, ის ქმნის სიმშვიდესა და მოთმინებას, ხოლო მეორე მხრივ – ფა-

ტალიზმს, რაც არ იძლევა დიდ სტიმულს სოციალ-ურ–ეკონომიკური ცვლილებებისათვის.8

ინდუიზმი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ინდუიზმი არც გეოგრაფიული და არც რეგიონალური ფენომენია. ინდუიზმი ფილოსოფიური სისტემაა. ინ-დუისტური მსოფლხედვა არსებითად ჰოლისტიკურია და ფოკუსირდება ბრაჰმაში. ინდუიზმის აზროვნებ-ის პარადიგმა ეფუძნება ერთიანობის პრინციპს, სა-დაც პრიმატი ენიჭება მთელს, ვიდრე მის რომელიმე ნაწილს.9 ინდუიზმი წარმოადგენს უნივერსალურ გააზრებას. აქ ეკონომიკური საქმიანობა დაფუძნებუ-ლია სულიერი ცხოვრებისა, მიწის პატივისცემისა და ქველმოქმედების პრინციპებზე. სწორედ ეს პრინცი-პები განაპიროებებს მეწარმეობისა და კომერციის მასშტაბების ზომიერებას და ხშირად მათ მკაცრ შეზღუდვებს.11 ინდუიზმის ეკონომიკაში ადგილი არა აქვს ფასის მოთხოვნა-მიწოდების თეორიას. ეს არის სისტემა რომელსაც საფუძვლად უდევს დჰარ-მა* და არა კაამი.**

---

*დჰარმა – დჰარმა ხშირად ითარგმნება როგორც ვალდებულე-ბა. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ მსოფლიო ვალდებულების კონო-ტაცია შეზღუდულია, მაშინ როდესაც დჰარმას გაცილებით ფართო მნიშვნელობა გააჩნია, იგი კოსმიური დატვირთვის მატარებელია. [იხ. წყარო 198]

**კაამი - იგი სიტვა-სიტყვით აღნიშნავს სურვილს. ძალიან ხშირად საყოველთაო ხმარებისას ეს სიტყვა გამოიყენება როგორც ეროტიული სურვილის აღმნიშვნელი. თუმცა, მისი ჭეშმარიტი მნიშ-ვნელობა სურვილის ყველა ტიპს გულისხმობს [იხ. წყარო 198]



გრფ. 6 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულებ-ის გრაფიკი ინდუსტურ და არაინდუსტურ ქვეყნებში ინ-დუსტთა ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 6 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ინდუსტურ და არაინდუსტურ ქვეყნებში იმყოფება 0.08-დან 0.09-მდე დიაპაზონში.

გრფ. 6 ბ) საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი ინდუსტურ და არაინდუსტურ ქვეყყნებს შორის ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლების დამოკიდებულება ინდუსტურ და

არაინდუისტურ ქვეყნებში უდრის 0.086. სხვა სიტყვებით, ინდუისტთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში, ინდუისტური ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაინდუისტურ ქვეყნებზე 11.6 - ჯერ ღარიბია. მსოფლიოს ყველა რელიგიებს შორის ინდუისტური ქვეყნები ახდენენ ალბათ ყველაზე ნეგატიურ გავლენას მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკაზე.

ინდუიზმი იცავს სოციალურ სისტემას, რომელიც ეფუძნება ვარნას***, კასტებსა და აშრამებს****. ადამიანთა კეთილდღეობის ხარისხი და მათი სოციალური მდგომარეობა დამოკიდებულია საკუთარი კასტის დადგენილებების ზუსტ შესრულებაზე. არსებული სტრუქტურა უდიდეს დაბრკოლებას ქმნის ინდუისტური ქვეყნების პროგრესის გზაზე.12

ბუდიზმი. ბუდიზმი არის რელიგია და ფილოსოფია, რომელიც მოიცავს განსხვავებულ ტრადიციებს რწმენებსა და გამოცდილებებს. იგი ეფუძნება სიდხარტა გაუტამას სწავლებას. 13

ბუდისტური ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკურ პრინციპთა კრებულს, ნაწილობრივ შთაგონებულს ბუდისტური რწმენით, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს კეთილ საქმეთა კეთებისაკენ ჰუმანური პოტენციალის სათანადო განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.14 უნგრელი აკადემიკოსის ლასლო ზოლნაის თანახმად, ბუდისტური ეკონომიკა კონცენტრირებულია სურვილის უარყოფასა და ადამიანური ბუნების განწმენდაზე. ის ცვლის დასავლური ეკონომიკის ფუძემ-

---

***ვარნა [სანსკრ.] – ძველ ინდოეთში: საერთო სახელწოდება 4 საზოგადოებრივი ჯგუფისა: ბრაჰმანებისა, ქშატრიებისა, ვაიშიებისა და შუდრებისა [იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი 1989, გვ. 169].

****აშრამები - სულიერი განვითარების სტადიები [იხ. წყარო 11]

დებლურ პრინციპებს – მოგების მაქსიმიზაციას, სურვილთა კულტივირებას, არსებულ ბაზრებს, სამყაროს ინსტრუმენტალურ გამოყენებას და კერძო ინტერესებზე დაფუძნებულ ეთიკას. ნაცვლად ამისა, ბუდისტური ეკონომიკა ახდენს ისეთი ალტერნატიული პრინციპების შემოთავაზებას, როგორებიცაა: ტანჯვის მინიმიზაცია, სურვილთა გაუბრალოება, ძალადობაზე უარის თქმა, ნამდვილი მზრუნველობა და გულუხვობა.15



გრფ. 7 ა). სულობრივი შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი ბუდისტურ და არაბუდისტურ ქვეყნებს შორის ბუდისტების ზღვრული %-ის მნიშვნელობით.

გრაფიკი 7 ა).-დან ჩანს, რომ შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ბუდისტურ და არაბუდისტურ ქვეყნებში არსებითად ერთ ერთეულზე ნაკლებია და იმყოფება 0.15-დან 0-25-მდე დიაპაზონში.

გრფ. 7 ბ) საშუალო წლიური სულობრივი შემოსავალი ბუდისტურ და არაბუდისტურ ქვეყნებს შორის ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობით.

შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ბუდისტურ და არაბუდისტურ ქვეყნებში ტოლია 0.15. სხვა სიტყვებით, ბუდისტთა ზღვრული 50%-იანი მნიშვნელობის პირობებში, ბუდისტური ქვეყნები მსოფლიოს დანარჩენ არაბუდისტურ ქვეყნებზე 6.7-ჯერ ღარიბია.

ბუდიზმში მატერიალური კეთილდღეობა მიჩნეულია ბუნებრივ ჯილდოდ წმინდა ცხოვრებისათვის. იმავდროულად მხარდაჭერილია თავშეკავებული-უარყოფითი დამოკიდებულება ვაჭარსა და მეწარმესთან მიმართებაში. ეს კი იწვევს სამეურნეო სისტემის ფორმირების შეუძლებლობას, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მატერიალური სიკეთის წარმოებასა და რეალიზაციაზე. არსებულ ყოფასთან შემგუებლობა, ჩვეული ცხოვრების წესის რაციონალიზაციის შეუძლებლობა სამხრეთ აზიის ქვეყნებში ხელს არ უწყობს ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას.16

ᲘᲣᲓᲐᲘᲖᲛᲘ. იუდაიზმი არის ბევრი რამ: ის არის რელიგია, რიტუალი, სულიერება და ეროვნულობა.17 ეს

ყველაფერი კონცენტრირდება იმ ხუთ ძირითად აქსიომაში,რომლებიც ვლინდება ებრაელი ხალხის ხასაითსა და ურთიერთობებში. ესენია: 1) ქმნადობის პროცესში მონაწილეობა; 2) კერძო საკუთრების დაცვა; 3) სიმდიდრის დაგროვება; 4) გაჭირვებულებზე ზრუნვა; 5) შეზღუდული მმართველობა.18

მიუხედავად ღრმა ისტორიული ფესვებისა,იუდაიზმი იყო და რჩება ებრაელთა რელიგიად. გარდა ისრაელისა, სადაც იუდეველები მოსახლეობის 81.4%-ს შეადგენენ, ამ რელიგიის დიდი რაოდენობის მიმდევართა ქვეყნების რიცხვი პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომ ძნელია მსოფლიო ეკონომიკაზე გავლენის თაობაზე საუბარი.

(ШЕНОШЗНА №1 - გრაფიკული მონაცემები აღებულია ელექტრონული წყაროდან: http://www.nideya.narod.ru/razdel14 htm; ШЕНОШЗНА №2 –შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ქრისტიან და არაქრისტიან ქვეყნებში გამოითვლება ფორმულით:

შემოსავლების დამოკიდებულება = Ш.ქრ /Ш.არაქრ.

სადაც,

Ш.ქრ – საშუალო სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ ქვეყნებში;

Ш.არაქრ – საშუალო სულობრივი შემოსავალი არაქრისტიანულ ქვეყნებში;

ამ ფორმულის შესაბამისად,თუ კი შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ერთზე მეტია,მაშინ სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ ქვეყნებში მეტია არაქრისტიანული ქვეყნების სულობრივ შემოსავალზე,და პირიქით,როცა შემოსავლებში დამოკიდებულება ერთზე ნაკლებია, მაშინ სულობრივი შემოსავალი ქრისტიანულ ქვეყნებში ნაკლებია არაქრისტიანული ქვეყნების სულობრივ შემოსავალზე. ხოლო რაც შეეხება ქრისტიანთა ზღვრულ მნიშვნელობას გამოსახულს პროცენტში, საერთაშორისო ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით როცა რომელიმე ქვეყანაში ქრისტიანები მოსახლეობის

50%-ზე ნაკლებია,მაშინ ეს ქვეყანა არაქრისტიანულია, ხოლო თუ 50%-ზე მეტია ან ტოლი, მაშინ ეს ქვეყანა ქრისტიანულია. ამ შემთხვევაში სულობრივი შემოსავლები ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნებში ტოლია 5,1. შემოსავლებს შორის დამოკიდებულების გამოსათვლელი ფორმულა მოტანილია ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ქვეყნების მაგალითზე, რომელიც დანარჩენი კონმფესიებისთვისაც მსგავსი ფორმით გამოიყენება.)

ლიტერატურა:

1. Зкономика и религя: от первоисточииков к современным концепциям, /liberty-belarus.info/.../Зкономика-и-религия – от-первоисточников-к-современным-концепциям.html

2. Christian Economics., www.allaboutworlldview.org/christian-economics.htm

3. http://www.dissercat.com/content/ekonomicheskie-aspekty-sovremennogo-sotisialnogo-ucheniya-katolicheskoi-tserkvi-ii-polovi...

4. Path dependency: религиозные ценности как фактор формирования социально – зкономических моделей. http://www.ecsocman.edu.ru/text. 16213418

5. Успех в бизнесе – протестантская трудовая зтика. Зкономический Кодекс Библии – Финансы и религии. bhoga.ru>Статьи

6. Е.С. Злбакаян, С.В. Медведко, Влииянiе религиозных ценностеи на зкономические предпочтения верующих Россян., 2001., www.ecsocman. edu.ru/socis/msg/16690937.html

7. იხ.წყარო 1.

8. Hans-Jonchim Hahn, Religion, Kultur, Wirtschaft – die Auswirkung von Wertesystemen auf das tägliche Leben und die Entscheidungen im Markt (Ein kurzer historisher Rückblick

und ein Kulturfergleich), www.professorenforum.de/professoren-forun/content/.../v07n03a3.pdf.

9. Ramayan And Hindu Economics., www.samarthbharat.com/files/ramayaneconomics.pdf.

10. What Is The Hindu View of Economics?, www.hindu-books.org/.../hinduism/hinduism.../page36.htm.

11. Индуизм, sr.artap.ru/induism.htm

12. Buddhism – Wikipedia, the free encyclopedia., en.wikipedia.org./wiki/Buddhism

13. Buddhist economics – Wikipedia, the free encyclopedia.,en.wikipedia.org./Wiki/Buddhist/economics

14. http://laszlo-zsolnai.net/content/buddhist-economics-busienss

15. Мюрдаль Г., Современные проблемы третьего мира., М., Прогресс, 1972., С. 176

16. Jewish Economics, www.jevishmag.com/48mag/economics/economics.htm

17. Jewish Theology and Economic Theory,www.action.org >...>Religion&Liberty>Volume17, Number 1

თავი 7. კულტურა და ეკონომიკა

კულტურა, როგორც რთული ჰუმანური ფენომენი უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს ეკონომიკაზე. იგი წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც თავისი ფასეულობებით და ნორმებით გვევლინება ადამიანის ეკონომიკური ქცევისა და შრომითი საქმიანობის რეგულატორად. კულტურა ასრულებს ეკონომიკური განვითარების „საზოგადოებრივი მეხსიერების" როლსაც, ასახავს რა წინა თაობათა მიერ დაგროვილ ეკონომიკურ გამოცდილებას, რომელიც გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში.1 კულტურა ერთნაირად ზემოქმედებს მატერიალური სიკეთის წარმოების, განაწილების და მოხმარების სფეროებზე, რითაც არსებულ მოცემულობათა გათვალისწინებით წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ან მის შემაფერხებელ ფაქტორს. იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკა არ წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრების გამოცალკევებულ და თვითკმარ სფეროს, არამედ გამოდის საზოგადოების სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემის სახით, მისი როგორც ცალკეული ფირმისა თუ დარგის ისე, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის შესწავლისას შეუძლებელია სხვა ფაქტორებთან ერთად კულტურული ფაქტორების იგნორირება.2

ისტორიულ რაკურსში მეცნიერ-ეკონომისტების მხრიდან საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა კულტურული ფაქტორების პრობლემას ეკონომიკაში. აქ შეიძლება გავიხსენოთ ეკონომიკური აზრის ადრეულ კლასიკოსთა და მათი გვიანდელი მიმდევრების შრომები. მაგალითად, ა. სმიტი თვლიდა, რომ კულტურას გარკვეული ხარისხით ძალუძს ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას.3 კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ ეკონომიკური მდგომარეობა – ეს არის ბაზისი, თუმცა ისტორიული ბრძოლის მსვლელობისას, მისი

ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები ასევე ახდენენ გავლენას და ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავენ კიდეც მისივე განვითარების უპირატეს ფორმას.4 საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში კულტურული ფაქტორების როლზე საინტერესო აზრს გამოთქვამდნენ ასევე თ. მალთუსი, ჟ. ბ.. სეი, ს. სისმონდი, ჯ. მილლი.

დღეს ეკონომიკურ მეცნიერებაში კულტურისა და კულტურული ფაქტორების ცნების შესახებ არ არსებობს სისტემური წარმოდგენა.5 აქედან გამომდინარე, მოცემულ საკითხთან მიმართებაში საჭირო ხდება დისციპლინათაშორისი მიდგომა, რაც გულისხმობს პრობლემის ფილოსოფიის, ისტორიის, სოციოლოგიისა და სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებათა ჭრილში გააზრებას.

ისტორიულ-ფილოსოფიურ ჭრილში საინტერესო და მნიშვნელოვანია გერმანელი სოციოლოგის მ. ვებერის მიდგომა კულტურული ფაქტორების როლზე კაპიტალისტური ურთიერთობების აღმოცენების პროცესში. ეს მიდგომა წარმოადგენს უადრესს, მაგრამ ის დღესაც დომინირებს ეკონომიკაში. მისი არსი მდგომარეობს მასში, რომ კაპიტალიზმი არის დასავლეთევროპული საოზოგადოების განვითარების პროდუქტი, რომლის ფენომენიც ატარებს უნივერსალურ და ზოგადპლანეტარულ ხასიათს და რომელიც ინსტიტუციონალური და კულტურული (რელიგიური) ფაქტორების, განსაკუთრებულად კი – პროტესტანტული ეთიკის წყალობით პირველად სწორედ დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა.6

გამორჩეულად აღნიშვნის ღირსია გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლების შეხედულებები კულტურის როლზე ეკონომიკაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ეკონომიკური კანონები უშუალოდაა დამოკიდებული კულტურულ და ისტორიულ გარემოებებზე.7

ეკონომიკისა და კულტურის ურთიერთქმედებათა განვითარებაში შემდეგი ეტაპი დგება ამერიკელი ინ-

სტიტუციონალისტების (ტ. ვებლენი, ჯ. კომონსი, ჰ. ადამსი, უ. მიტჩელი, ჯ. გელბრეიტი) შრომებით, რომლებიც განიცდიდნენ გერმანული ეკონომიკური სკოლის დიდ გავლენას. ძველი ინსტიტუციონალისტები ეკონომიკას განიხილავდნენ, როგორც რთული სისტემის განვითარების დინამიურ პროცესს თავისი კულტურული ნორმებითა და მითითებებით, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანთა ინდივიდუალურ ქცევებზე და პრეფერენციებზე. ასევე გარკვეულ ინტერესს იწვევს მათი შეხედულება ბაზრის შესახებ, რომელსაც ინსტიტუციონალისტები განიხილავდნენ როგორც კულტურულ ფენომენს, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ქცევის ნორმებზე.8

1920-1930-იან წლებში ძველი ინსტიტუციონალისტების შრომები ჩანაცვლებული იქნა ნეოკლასიკოსთა კვლევებით, რომლებიც აქტიურად ნერგავდნენ ეკონომიკაში სტატისტიკისა და მათემატიკის უახლეს მეთოდებს, რითაც კეინსიანურმა რევოლუციამ დიდი ხნით მოსწყვიტა ეკონომიკური აზრი კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთობის პრობლემას. ამ პერიოდში ყურადღების ცენტრში იმყოფება წონასწორობის მდგომარეობის შესწავლის პრობლემა.

მოცემული ნაკლოვანებების აღმოფხვრას ეკონომიკაში შეეცადა ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია, რომელიც 1970-იან წლებში აშშ-ში აღმოცენდა და სათავეს იღებს, რ. კოუზის ნაშრომიდან „ფირმის ბუნება". თუმცა აღნიშნული თეორიის სრული გაფურჩქვნა დაკავშირებულია ო. უილიამსონის შრომებთან, სადაც პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „ტრანსაქციული ხარჯები".9

მიუხედავად იმისა, რომ უილიამსონის შრომებში კულტურულ ფაქტორს არც თუ ისე დიდი ყურადღება ეთმობა, მისი მიმდევრებისა და კოლეგების შრომებში ხდება ამ პრობლემის შევსება მაგალითად, ე. ლაზერი თვლიდა, რომ კულტურას ძალუძს ერთი მხრივ

ხელი შეუწყოს ტრანსაქციული ხარჯების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ – გამოიწვიოს მისი ზრდა.10 ამგვარად, კულტურული ფაქტორები ჩნდებიან ფირმის სპეციფიკურ აქტივებად. აქ მხედველობაშია უწინარესად ფირმის ორგანიზაციული კულტურა.

თუკი ე. ლაზერი და მისი თანამოაზრენი კულტურას განიხილავენ ფუნქციონალური მიდგომის პოზიციიდან, ისტორიულ-კომპარატიული ინსტიტუციონალური ანალიზის წარმომადგენლები კულტურას უპირატესობას ამა თუ იმ სამეურნეო სისტემის ისტორიული თავისებურებების პოზიციიდან ანიჭებენ. 11

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულების ეკონომიკური თეორიები კულტურასთან მიმართებაში პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ფორმალისტურ და სუბსტანციურ მიმართულებად, რაც თავის მოდელში მოიცავს კულტურულ ასპექტებს. ფორმალისტებისათვის აქტიურობის უმცირეს სამეურნეო ერთეულს <homo oeconomicus>წარმოადგენს. კულტურულ და სოციალურ კავშირებს მოწყვეტილი ის იღებს ეკონომიკურ რაციონალიზმს და მიისწრაფვის მწირი რესურსებით საკუთარი სარგებლის მაქსიმიზირებისაკენ. მათთვის კულტურა და კულტურული ურთიერთობები წარმოადგენს ეკონომიკის შედეგს და არა მის მსაზღვრელს. მეორე მხარეს არიან სუბსტანტივისტები და ინსტიტუციონალური ეკონომიკის წარმომადგენელი, ნობელიანტი ამარტია სენი. ისინი ადამიანს განიხილავენ მორალურ და კულტურულ არსებად,რომლის ეკონომიკური ქმედებები ემორჩილება გარკვეულ წესებსა და შეზღუდვებს, და რომლისთვისაც არ არის მთავარი მხოლოდ ეკონომიკური მოგების მაქსიმიზაცია. ისინი მატერიალური სიკეთის წარმოებას, მიმოქცევასა და განაწილებას შეისწავლიან შესაბამის სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.12

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ერთი შეხედვით გვერდს უვლის კულტურის ფაქტორს. უკანასკნელ

წლებში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ საკმარისი არ არის კერძო სექტორის დაფუძნება, ბაზრების ლიბერალიზაცია და ფულადი სტაბილიზაცია. საჭიროა კულტურის,როგორც ეკონომიკის ფუნქციონირების წინაპირობის არსებობაც, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ტრადიციები და ჩვეულებები, როგორც კულტურის ორგანულად შემადგენელი ელემენტები დამახასიათებელი ეთნოსებისათვის, კონფესიათათვის და მოსახლეობის ჯგუფებისათვის, სერიოზულ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ მიღწევებზე.

ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, სახელმწიფო მართვის სფეროს სპეციალისტის ედვარდ ბენფილდის მიერ 1958 წელს შესრულებული კვლევის შედეგები. მისი აზრით, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დაბალი ტემპები მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებული და არსებული კულტურული სისტემით შეიძლება აიხსნას.13

ასევე ამერიკელმა პოლიტოლოგმა რობერტ პატმენმა 1993 წელს წამოაყენა ჰიპოტეზა, რომლის თანახმად, რაც უფრო „ალტრუისტულია" საზოგადოება, მით მაღალია მასში მოქედი პოლიტიკური და სახელმწიფო სტრუქტურების ხარისხი.14

ისტორიკოსმა და ეკონომისტმა დევიდ ლანდესმა დაასაბუთა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის წარმატებებსა და მისი მოსახლეობის ისეთ თვისებებს შორის, როგორიცაა: ეკონომიურობა და მომჭირნეობა, პატიოსნება და შემწყნარებლობა, ხოლო ისეთი თვისებები კი, როგორიცაა: ქსენოფობია, რელიგიური შეუწყნარებლობა, კორუფცია მოსახლეობის ფართო მასების სიღარიბესა და ეკონომიკის განვითარების დაბალ ტემპებს განაპირობებს. დევიდ ლანდესი ეთანხმება მაქს ვებერის მოსაზრებას ეკონომიკურ წარმატებაში რელიგიის მნიშვნელობის შესახებ. იგი წერს,რომ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების

ისტორიას, მივალთ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური განვითარების დონეებში ქვეყნების თითქმის ყველა განსხვავება კულტურით აიხსნება.15

ავითარებს რა ლანდესის თეზას, იაპონელი ეკონომისტი იოსიხარა კუნიო აღნიშნავს: „იაპონიის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი მიზეზი დაკავშირებულია მასთან, რომ ამას ხელს უწყობდა მისი კულტურა. იაპონელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ: 1) მატერიალურ მოსაზრებებს; 2) შრომისმოყვარეობას; 3) დანაზოგებს მომავლისათვის; 4) განათლებასა და კოლექტივიზმს.16

იტალიელმა ეკონომისტმა გვიდო ტაბელინიმ გააანალიზა განათლების დონე და პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხი ევროპის 69 რეგიონში. იგი ჩატარებული კვლევის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მშპ-ის მოცულობა და ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალია იმ რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს ურთიერთნდობას, ადამიანის ინდივიდუალურ ინიციატივაში რწმენას და კანონისადმი მორჩილებას. მისი აზრით, „არსებული კულტურულ თავისებურებებთან უშუალოდ არის დაკავშირებული არა მხოლოდ ევროპის რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხასიათი და ბუნება, არამედ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარებაც...” 17

სწავლული ეკონომისტები ლუიჯი გუიზო, პაულა საპიენზა და ლუიჯი ზინგალესი ამტკიცებენ, რომ კულტურა პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. მათ მიაჩნიათ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ ეკონომიკური სისტემა და არა საწარმოო ურთიერთობანი აყალიბებს თავად საზოგადოების კულტურას. მიუხედავად ამისა, კულტურული ფასეულობები ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ყოველთვის არ განიცდის ცვლილებას. ესოდენ ნელი ცვლილებების მიზეზი კულტურულ განვითარებაში აიხსნება მემკვიდრეობითი ინფორმაციის თაობიდან თაობაში

გადაცემის მიდრეკილებასა და სწრაფვაში მოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ადაპტაციის გარეშე თანამედროვეობის მოთხოვნებთან მიმართებაში, რაც ასახვას პოულობს კიდეც ქცევის გარკვეული სტერეოტიპების მთელი ცხოვრების მანძილზე შენარჩუნებაში.18 ამგვარად, ტრადიციები მას შემდეგაც განაგრძობს არსებობას, როცა ისინი ხდება უსარგებლო და მოძველებული.

კულტურა და ეკონომიკა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების განვითარების ორ საბაზისო კატეგორიას. პირველს მეორესთან მიმართებაში უშუალო გავლენის თვისება გააჩნია. კულტურა აკუმულირებს და ტრანსლირებს საზოგადოების განსაზღვრულ საბაზო ფასეულობებს, რომლებსაც ეყრდნობა როგორც კომერციული ისე სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტები: რეკლამა, კორპორატიული კულტურის ფორმირება, სტილი, პერსონალთან მუშაობა, საზოგადოებასთან კავშირი და ა.შ. კულტურის სფეროს სოციალური პარტნიორობა ბიზნესთან გამოდის რა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მექანიზმად, ხელს უწყობს მის თვითგანვითარებას და ამაღლებს გარემოს მნიშვნელობას.19

ტრადიციული კულტურული ფასეულობები მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ეკონომიკის მყარი განვითარების საფუძველი.20 ისინი განსაზღვრავენ ადამიანის შეხედულებებს ცხოვრებაზე, მის დამოკიდებულებას გარემოსთან და მიმდინარე მოვლენებთან, და უმთავრესი, ისინი ჩართულნი არიან ადამიანური ქცევის მოტივაციაში, განსაზღვრავენ რა მთელ მის მოქმედებას, მათ შორის ეკონომიკურ ქცევას, და მოტივაციის მექანიზმის საშუალებით კულტურის სულიერი ფასეულობები და ნორმები არეგულირებენ ადამიანთა ეკონომიკურ ქმედებებს.21 ამგვარად, ეკონომიკურ ქცევებში არსებობს კულტურული დიმენსია. 22

მაგრამ არსებობს კარდინალურად საპირისპირო შეხედულებებიც, სადაც იგნორირებულია კულტურის

დომინანტური ფაქტორი ეკონომიკურ ურთიერთობებში. ასე მაგალითად, პიტერ ჯ. ბიეტკე დგას საპირისპირო პოზიციაზე, როდესაც ის განიხილავს კულტურის მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარებისათვის. მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ის თუ რა ტიპის საზოგადოება (ეს იქნება ქრისტიანული, მუსულმანური, იუდაისტური, თუ გნებავთ ათეისტური) მონაწილეობს ამ პროცესში. მისთვის გადამწყვეტია პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტების არსებობა. იქ, სადაც არ არსებობს იმგვარი ინსტიტუტები და პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო საკუთრების გარანტიებს, ხელშეკრულებათა დადების თავისუფლებას, სახელმწიფო რეგულირების შეზღუდულობას, ფინანსურ დისციპლინას და ვაჭრობის თავისუფლებას, შეუძლებელია ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე საუბარი. ბიეტკე მიიჩნევს, რომ რა უპირატესობასაც არ უნდა ფლობდეს ესა თუ ის კულტურა, არ მოხდება მისი რეალიზება, თუ ამ სივრცეში არ იარსებებს ზემოთ აღნიშნული ფაქტორები.23 კულტურული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპებზე ასევე დიდი გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის განსხვავებულობაც, რისი ნათელი მაგალითიც არის ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, მათი ეკონომიკური განვითარების მასშტაბებს შორის არსებული სხვადასხვაობა, ამ ორი ქვეყნის საერთო კულტურული ერთობის მიუხედავად.24 მაშასადამე, ამის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო პოლიტიკას შორის არსებული სხვადასხვაობით. იმ ქვეყნებში, სადაც დაცულია კერძო საკუთრების უფლება, არ იზღუდება სახელმწიფო რეგულირების მასშტაბები, არ ტარდება გონივრული და პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური პოლიტიკა, არ არსებობს ვაჭრობის თავისუფლება, საეჭვოა მიღწეულ იქნას ეკონომიკური

ზრდა. ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გასაღები მდგომარეობს არა მოსახლეობის კულტურულ ტრადიციებში, არამედ ეკონომიკურ თავისუფლებაში. კულტურა შესაძლოა ახდენს გარკვეულ ზეგავლენას ეკონომიკურ სიტუაციებზე, მაგრამ უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკური მაჩვენებლების განსხვავებულობას, არის ის თამაშის წესები, რაც განსაზღვრავს ადამიანებს შორის ერთმანეთზე, და მათსა და ბუნებრივ რესურსებს შორის ურთიერთქმედებას.25

მიუხედავად ზემოთ მოტანილი საკამაოდ საფუძვლიანი მტკიცებულებისა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის განვითარების პროცესში კულტურა არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა მისი ამ ფორმით უპირობოდ მიღება, რადგან დიდი ხნიდანაა ცნობილი, რომ სხვადასხვა ქვეყნების და ხალხის ეკონომიკური განვითარების დონეში განსხვავება აიხსნება არა მხოლოდ ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორებით, თუნდაც ეს იყოს „წარმოების ფაქტორები", არამედ დიდწილად სწორედ კულტურული ფაქტორებითაც. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ მეცნიერ-ეკონომისტებს ლ. ზინგალეს. პ. საპიენზას და ლ. გუიზოს შემოაქვთ „სამოქალაქო კაპიტალის" ცნება, რაც წარმოადგენს მოქალაქეობრიობის მაჩვენებელს და ამავე დროს „სოციალური კაპიტალის" კონცეფციის ერთ-ერთ ვარიანტს, რომლის არსიც მდგომარეობს საზოგადო კეთილდღეობის მიღწევისათვის საკუთარი რესურსების უშურველად გაღებაში. „სოციალური კაპიტალის" მეორე ფორმას „მოქალაქეობრიობასთან" ერთად წარმოადგენს ისეთი კულტურული ფაქტორი, როგორიცაა „ნდობა", რომელიც „მოქალაქეობრიობასთან" ერთად უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, რასაც მოწმობს შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც: მაგალითად, აფრიკის ქვეყნებში (მცირეოდენის გამოკლებით) ნდობის

ხარისხი რომ იყოს ისეთივე მაღალი, როგორიცაა შვედეთში, მაშინ ზოგიერთი შეფასებით მშპ-ის მოცულობა შავ კონტინენტზე იქნებოდა 546%-ით, ხოლო რუსეთსა და მექსიკაში 60%-ით უფრო მეტი ვიდრე ახლა.26 რასაკვირველია, ამ რიცხვების აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიღება არ შეიძლება, თუმცა მათი ხელაღებით უგულებელყოფაც შეუძლებელია.

ისეთი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, როგორიცაა პროფ. ჯეფრი საქსი, რომელიც ზოგადად სკეპტიკურად არის განწყობილი ეკონომიკაში კულტურული ფაქტორების მიმართ, მაინც საჭიროდ მიიჩნევს აღიაროს ამ უკანასკნელის გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებსა და შედეგებზე.27 მისი აზრით, „მაშინაც კი, როცა ხელისუფლება სერიოზულად ცდილობს ქვეყნის მოდერნიზებას, განვითარების დაბრკოლებად შესაძლებელია იქცეს კულტურული გარემო. ასე მაგალითად, კულტურულ ან რელიგიურ ნორმებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ ქალებს საკუთარი როლის თამაშში ამ პროცესში, რის შედეგადაც მოსახლეობის ნახევარი მოკლებული იქნება ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს...”. 28

კულტურულ პლანში ქვეყნები რასაკვირველია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვაგვარ კულტურულ ნორმებს ძალუძთ დიდი ან მცირე ხარისხით ხელი შეუწყონ ამა თუ იმ ინსტიტუციონალური გარემოს აღქმას. ეკონომიკური თვალსაზრისით კულტურა არის ადამიანთა ქცევების თვითრეგულირების ინსტრუმენტი, ე.ი. მას შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს ხარჯები განსაზღვრული თამაშის წესების უზრუნველყოფაზე. თუკი ქცევის წესები, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, კონკრეტული კულტურული სივრცის ფარგლებში აღიქმება არალეგიტიმურად, მეთვალყურეობის მძლავრი სისტემის არარსებობის შემთხვევაში, ისინი უბრალოდ არც კი იქნება დაცული. ხარჯები

ამგვარ მეთვალყურეობაზე შესაძლოა იყოს იმდენად დიდი, რომ მოცემული სოციალური მოწყობის მხარდაჭერა აღმოჩნდეს შეუძლებელი29 და პირიქით, კულტურული ლეგიტიმაციის პირობებში იზრდება კულტურის ელემენტების ზემოქმედება ადამიანთა ქცევებზე, რომლებიც ხარჯების მინიმიზაციის დროს პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ განვითარებაზე.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ქვეყნები მოსახლეობის უფრო მაღალი კულტურული დონით ფლობენ გაცილებით უფრო განვითარებულ ეკონომიკას. მსგავს შემთხვევაში, როგორც წესი მოიაზრება ამა თუ იმ ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი. მაგრამ, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია კულტურის როგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და ქცევითი კულტურისა და ასევე, საზოგადოებრივი მორალის მდგომარეობა, იმ პირობებში როდესაც კულტურა გავლენას ახდენს ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკის განვითარების დონეზე ზნეობრივი და ცივილიზაციის ხელშემწყობი ორიენტირების შეთავაზებით მთელი საზოგადოებისათვის.30

თანამედროვე საზოგადოების განვითარებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობებს შესძინა გლობალური ხასიათი. ამ ორმხრივ ურთიერთობებში განუზომლად გაიზარდა კულტურული კაპიტალის, როგორც ადამიანურ ქმედებათა განმსაზღვრელი ფაქტორის როლი ეკონომიკაში. კულტურული კაპიტალი, წარმომდგარი ადამიანის სულიერი სიმდიდრის სახით საბაზისო ფასეულობების, ნორმების, პრინციპების, ინტელექტუალურ, მორალურ-ზნეობრივ და სოციალურ მახასაიათებლების ფორმაში, რეალიზირდება საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც ამავე საზოგადოებისათვის იძლევა დამატებით სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს. თანამედ-

როვე ეკონომიკურ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ კულტურული კაპიტალი წარმოადგენს დამოუკიდებელ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და რა დროსაც იგი ზემოქმედებს ეკონომიკური კაპიტალის სხვა სახეობებზე.31

კულტურული კაპიტალის როლის შესაფასებლად ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში გამოიყენება ორი ძირითადი კატეგორია – ჩანაცვლების (substitution category) კატეგორია და მდგრადი განვითარების (sustainable development category) კატეგორია. ეკონომიკური კაპიტალის ზოგიერთი სახეობა, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორები, შესაძლებელია ჩანაცვლებულ იქნას კაპიტალის სხვა სახეობებით. კერძოდ, როგორც ვხედავთ ჩვენს თვალწინ ხდება იმგვარი პროცესი, როცა კულტურული კაპიტალი თანდათანობით ანაცვლებს საწარმოო და ფიზიკურ კაპიტალს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის უზრუნველყოფაში და მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც რომ კულტურული რესურსების მიმართ აგდებული დამოკიდებულება იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას. კულტურული კაპიტალის ბუნება თავისი არსით წარმოადგენს იმგვარ ფენომენს, რომ მისი დეგრადაციის პროცესი ხდება შეუქცევადი და ამცირებს შემდგომი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, მაშინ როცა კულტურული კაპიტალის შენარჩუნება-დაცვა უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას.32

კულტურის ცნების ქვეშ იგულისხმება ძირითადად საერთო ფასეულობათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ქცევის ფორმებს მოცემულ საზოგადოებაში. ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში მას აყალიბებს რელიგია და იგი ხასიათდება ნელი ცვლილებებით. მაგრამ, ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის თანამდევი პროცესების კვალდაკვალ, როგორც

წესი ფასეულობათა ეს სისტემა ხდება უფრო საერო, რაციონალური და გახსნილი ცვლილებებისათვის.33

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ კულტურული, ისევე როგორც რელიგიური ფაქტორი არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურ ქცევებს და არ გააჩნია ექსკლუზიური გავლენა ცალკეული ქვეყნისა თუ რომელიმე რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.34 მიუხედავად ამისა კულტურა თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე,იმდენად რამდენადაც მას შეუძლია გავლენის მოხდენა ხალხთა ქცევებზე დანაზოგებთან, აღზრდასთან, შრომის ეთიკასთან და ა.შ. მიმართებაში.

როგორც ზოგადად კულტურას, ისე კონკრეტულად კულტურის თითოეულ ფორმას გააჩნია თავისი, საკუთარი უნიკალური პოზიტიური და ნეგატიური კომპონენტები, მაგრამ პოზიტიურ კომპონენტებს ავტომატურად არ ძალუძთ უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლების შექმნა სხვა ისეთი აუცილებელი პირობების გარეშე, როგორებიცაა: ეკონომიკური პოლიტიკა, ეფექტური ინსტიტუციები, ხელსაყრელი მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობები, პოლიტიკური სტაბილურობა და ა.შ. სხვა სიტყვებით მხოლოდ ხელსაყრელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში ხდება კულტურა ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ჩინეთის, კონფუციანელობის სამშობლოს საოცარი ეკონომიკური მიღწევები ეკონომიკური რეფორმების გასული ორი დეკადის განმავლობაში.35

ეკონომიკასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთქმედება იძლევა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ხასიათსა და სოციალურ-კულტურულ მექანიზმებს (ე.ი. ადამინთა ცხოველმოქმედებისა და ქცევების ფასეულობით-ნორმატიულ რეგულაციებს) შორის კავშირის გამორკვევის შესაძლებლობას. საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და სხვა ცვლილებები გულისხმობს ადამიანების მიერ

ახალი ცოდნის, იდეების, ნორმების, ფასეულობების, ქცევის ნიმუშებისა და მოდელების შეთვისებას. მსგავსი პროცესი ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანთა ქცევებისა და საქმიანობის სოციალურ-კულტურული რეგულირების მექანიზმების აქტივიზაციის დროს, რომელიც იძლევა პროგრესული გამოცდილებისა, და ინფორმაციის გადაცემისა და გავრცელების შესაძლებლობებს. ამგვარი რეგულირება ამარტივებს და აჩქარებს ახალ ფასეულობათა და ნორმათა შეთვისებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათ კომფორტულ არსებობას დინამიურად ცვალებად ეკონომიურ პირობებში.36

თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კულტურა ხდება ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთი სტრატეგიული ფაქტორთაგანი. კულტურის როლისა და მნიშვნელობის ზრდა საზოგადოებაში ასახვას პოულობს მისი განვითარების ეკონომიკურ მაჩვენებლებშიც – მთელი ეკონომიკური სტრუქტურის აბსოლუტურ და შეფარდებით პარამეტრებში.37

დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა არა მხოლოდ მეცნიერება, ტექნოლოგიები, არამედ ჭეშმარიტი კულტურის არსებობაც. აქედან წარმოდგება ეკონომიკისა და კულტურის დაახლოების მწვავე აუცილებლობა. ეკონომიკა უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო პირობებს. ადამიანი მისგან იღებს სიმდიდრესა და კეთილდღეობას. კულტურა კი გარკვეულწილად ანიჭებს ადამიანის ცხოვრებას აზრს და განსაზღვრავს მის მიზნებს.

თანამედროვე საზოგადოების განვითარებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობებს შესძინა გლობალური ხასიათი.

დღეს ეკონომიკასა და კულტურას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ახასიათებს გარდატეხის

მომენტი. მათი დაახლოება იმყოფება საწყის სტადიაზე, თუმცა ამ წარმატებაზე ბევრად არის დამოკიდებული კაცობრიობის გადარჩენა. ეკონომიკა უნდა იყოს არამხოლოდ ეფექტიანი, არამედ ეკოლოგიური და ჰუმანურიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი და ბუნება განწირულია დეგრადაციისათვის, რღვევისათვის და დაღუპვისათვის.38

ეკონომიკისა და კულტურის კავშირურთიერთობანი აზრს იძენს მოდერნიზაციის კონტექსტში. კულტურულ ფასეულობათა მიმართ მცირე ერთგულება, გულგრილი დამოკიდებულება ირგვლივმყოფთა, ბუნების მიმართ, ცვლილების მიმართ გახსნილობის არარსებობა სერიოზულ ბარიერს ქმნის მოდერნიზაციის გზაზე.39 ამიტომ, სოციალური საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელია განსაზღვრული კულტურული ბაზისი,40 სადაც კულტურა განიხილება როგორც რეალურობის ახსნა-განმარტებისა და შეფასების სისტემა.41

ეკონომიკური წარმატება არის ხანგრძლივი განვითარების პროცესის შედეგი, რომელიც ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეთა ინტეგრაციით მიიღწევა. კულტურა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. ამ პროცესში მხედველობაში მიიღება კულტურული ფაქტორებისა და კულტურული ცვლილებების პრობლემა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს უწყობს მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების პროცესების არსებით დაჩქარებას.

ლიტერატურა:

1. Зкономическая культура как фактор развития зкономики. http://www.iteconomic.com/economicheskaya-kultura-kak-faktor-razvitiya-ekonomiki.aspx.

2. Надель С. Социальные факторы зкономического роста//Мировая зкономика и международные отношения.2005 №5.С26

3. Blaung M. Great Economists before Keynes. Wheatsheaf

Publications, Guildford, Surrey, 1986

4. Маркс К., Знгельс Ф.,М., СоЧ. Т. 37., С.394

5. Каган, М.С., Философия культуры. СПБ., 1996., С.319

6. Max Weber, Die Protestantische Ethik und Der Geist Des Kapitalismus, München, 2004

7. Bloch F., Rao V., Terror as a bargaining instrument: a case study of dowry violence in rural Indie//American Economic Review.2002.#92 (4). P.1029-1043

8. Firth.R., The study of primitive economics//Economica.1927. #21. P.312-335

9. Anderson G. Mr., Smith and the Preachers: The Economics of Religion in the Wealth of Nations//Journal of Ploitolical Economy. 1988.#5 P. 1066-1088

10. Lazear E., Culture and Language//Journal of Political Economy.1999.#107 (6). P.95-126

11. Левкин Н.В., Зкономика и Общегуманитарные Ценности (Концепция купьтуры в зкономической науке)// Проблемы современной зкономики, №1 (17). С.3 http://www.m-economy.ru/art.php3.?artid=21376

12. Michael Schonhuth, Das Kulturglossar (Eine Vademecum durch den Kulturdschungel für Interkulturalisten)., http://www.kulturglossar.de/html/w-begriffe.html

13. Edward C. Banfield (with Laura Fasano), The Moral Basis of a Backward Society Glencoe, IL: The Free Press, 1958

14. Robert D. Putman with Robert Leonardi and Raffalella Y. Nanetti., Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy., 1993, Princetion, Nev Jersey

15. David S. Landes. The Wealth and Poverty of Nations: Why Some Are So Rich and Some So Poor. 1998, New York

16. citirebulia: Harrison L. The Central Liberal Truth. N.Y.; Oxford University Press, 2006. P. 128

17. http://ideas.repec.org/p/ces/ceswps/_1492.html

18. Культура и зкономика, www. humanities.edu.ru/db/msg/80190

19. СФЕРА КУЛЬТУРЫ И ЗКОНОМИКА., artpragmatica.ru/projects/?uid=2287

20. Ивлиев: Влияние культуры на зкономику беспорно., www.er-oren.ru/index.php?...

21. იხ. წყარო 1

22. Culture and Economic Development: Cultural Concerns., P.3130.,sais jhu.edu/faculty/fukuyama/articles/isb505010.pdf

23. www.inliberty.ru/library/study/322.

24. Jim Granato, Ronald Inglehart, David Leblang, The Effect of Cultural Values on Economic Development: Theory, Hypotheses, and Some Empirical Tests. P.608., www.uh.edu/.../The EffectOfCultural ValuesOn Economic Development.pdf

25. Концепция ,,культура имеет значение": содержание, основы, вопросы,www.inliberty.ru./library/study/322

26. Гражданские ценности. Можно ли измерить влияние культуры на зкономическое развитие.www.forbes.ru/.../47475-grazhdanskie-tsennosti

27. Nathan Glazer, David Landes, Seymour Martin Lipset, Orlando Patterson, Michael Porter, Jeffrey Sachs, and Richard Shweder., Culture Matters: how values shape human progress., New York,2000.P.37

28. Jeffrey D.Sachs., The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time. New York, 2005. P.218

29. იხ. წყარო 25

30. Зкономика и общественая среда: Взаимосвязь и взаимовлияние., www.imepi-eurasia.ru/baner/bogomolov.doc

31. Cooke and Schwartz, 2007; Мамецкая, 2009; Bucci, Segre, 2009

32. David Throsby, Economics and Culture, Cambridge Univeersity Press, 2001 P.63

33. იხ. წყარო 24

34. Alvin Y. So and Stephen W.K. Chiu: East Asia and the World Economy, Sage Publications, 1995, P.8

35. Jiang Shixue, CULTURAL FACTORS AND ECONOMIC PERFORMANCE IN EAST ASIA AND LATIN AMFRICA.,

P.31., orpheus. ucsd.edu/las/studies/pdfs/jiang.pdf

36. Взаимодеиствие зкономикии культуры – Социология., socio.rin.ru/cgi-bin/article.pl?id=889

37. www.nasledie.ru/politvne/18_31/article.php?...

38. В.В. Миронов., Философия: учебник для ВУЗов., Взаимосвязь культуры и экономики., society.polbu.ru/mironov.../ch126_i.html

39. Встреча культуры и экономики., expert.ru./expert/.../vstrecha_kultury_i_ekonomiki/

40. Die soziale Marktwirtschaft als Leitbild für Entwicklungsländer?, www.hss.de.../Die_soziale_Marktwirtschaft_als_Leitbild_01.pdf

41. Wimmer, A.: Kultur: Zur Reformulierung eines sozialanthropologischen Grundbegriffs, in: KÖlner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie H.3,S.413, KÖln, 1996

ნაწილი II. ბიზნესის ეთიკა

თავი 1. რა არის ბიზნესის ეთიკა?

§1.1. ბიზნესის ეთიკა და მისი მნიშვნელობა

ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ ბიზნესის ეთიკას და მის მნიშვნელობას, მართებული იქნება თუ ორ საწყის კითხვას ვუპასუხებთ:

1. რა არის ეთიკა ?
2. რა არის ბიზნესი ?

ეთიკა (ბერძ. ethike<ēthos-ზნე) ფილოსოფიური მეცნიერებაა ზნეობის, მორალის შესახებ. იგი ეხება მორალისა და გონის გამოყენებას კონკრეტული წესებისა და პრინციპების გარკვევისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ "სწორის" და "არასწორის" საკითხებს ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში. ეთიკა განუყოფელია ყოველდღიური ყოფისაგან როგორც ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში, ისე კორპორაციულ სამყაროში. ცდილობს რა სწორის არასწორისაგან გარჩევას, ეთიკა აყალიბებს სასურველ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ გარემოებათა განსაზღვრულ სიტუაციაში, ითვალისწინებს მორალურ კოდექსებს, ნორმებს, რწმენებსა და პრაქტიკას.

ბიზნესი (ინგლ. business – საქმე, საქმიანობა) განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობა და უკავშირდება საქონლის / მომსახურების უწყვეტ და რეგულარულ წარმოება – განაწილებას. თანამედროვე გაგებით ბიზნესი აღნიშნავს წარმოებისა და ვაჭრობის ერთიან კომპლექსს კერძო სექტორში და გულისხმობს მოგების მიღებას და შემდგომ სამეწარმეო საქმიანობას. ბიზნესში წარმოდგენილი სუბიექტები – საწარმო, კომპანია თუ ფირმა წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც მყისიერად რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე, ორიენტირებულია მომხმარებლებზე, სწავლობს რა მათ

მოლოდინებს სურვილებთან და ფასებთან მიმართებაში, და რომლის საქმიანობაც დეტერმინირებულია სოციალური პასუხისმგებლობის ნიშნით.

რამოდენიმე ათეული წლის წინ, ბიზნესის მზარდი საზოგადოებრივი გავლენის შედეგად აშშ-ში როგორც დისკრეტული საგანი აღმოცენდა ბიზნესის ეთიკა. ბიზნესის ეთიკა ეხება მორალური პრინციპების შესწავლას, რაც იძლევა ადამიანებსა და გარემოზე ბიზნესორგანიზაციების საქმიანობის ხარისხისა და ეფექტის შეფასების შესაძლებლობას.

ბიზნესის, ანუ კორპორაციული ეთიკა არის გამოყენებითი ეთიკის ფორმა, რომელიც იკვლევს ეთიკურ პრინციპებსა და პრობლემებს აღმოცენებულთ ბიზნესის გარემოში. ეს არის მორალური სამართლის სპეციალური სფერო, კონცენტრირებული მორალური სტანდარტების გამოყენებაზე ბიზნესინსტიტუციების ირგვლივ. ბიზნესის ეთიკა ეხება ბიზნესის წარმართვის ყველა ასპექტს და რელევანტურია ცალკეულ პირებთან, ორგანიზაციებთან თუ მთელ საზოგადოებასთან მიმართებაში. ბიზნესის ეთიკა არის სწავლება ბიზნესსიტუაციების, ბიზნესსაქმიანობებისა და ბიზნესგადაწყვეტილებების შესახებ, სადაც სწორის და არასწორი საკითხები განიხილება,1 ანუ ის ფოკუსირდება მსგავსი მორალური სტანდარტების იდენტიფიცირებაზე, თუ როგორ გამოიყენება ისინი მოქმედებებში როგორც ბიზნესინსტიტუციების შიგნით, ისე სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან მიმართებაში. აქვე შევნიშნავთ, რომ "სწორის" და "არასწორის" ცნებებში იგულისხმება მორალურად სწორი და მორალურად არასწორი, განსხვავებით მაგალითად, კომერციულად, სტრატეგიულად ან ფინანსურად სწორის ან არასწორისაგან.

ბიზნესის ეთიკის მიერ სწორის და არასწორის განსაზღვრის თვალსაზრისით, ბუნებრივად ჩნდება კითხვა სამართალთან დაკავშირებით, რადგან ეს უკანასკნელი ხომ ასევე ეხება სწორის და არასწორის საკითხთა

გარკვევას. დიახ, ნამდვილად არსებობს მნიშვნელოვანი დამთხვევა ეთიკასა და სამართალს შორის. სინამდვილეში, სამართალი არსებითად წარმოადგენს ეთიკის ინსტიტუციონალიზაციას ანუ კოდიფიკაციას კონკრეტულ სოციალურ ნორმებში, რეგულაციებსა და პროსკრიფციებში. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ არიან ეკვივალენტური, მაგრამ ეთიკა და სამართალი სავსებით შესაძლებელია გააზრებულ იქნას როგორც ორი ურთიერთგადამკვეთი დარგი. კანონმა შეიძლება ისაუბროს ქცევის მისაღები სტანდარტების განსაზღვრებაზე, თუმცა ბევრი მორალურად საკამათო საკითხი ბიზნესში, რიგ შემთხვევაში აშკარად ვერ პოულობს ასახვას სამართალში. მაგალითად, მრავალი საწარმოს მიერ საკუთარი პროდუქციის ცხოველებზე გამოცდა. ანალოგიური მსჯელობა შეიძლება საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნებიან სამართლის სფეროს, მაგრამ არ უკავშირდებიან ეთიკას. მაგალითად, კანონით დარეგულირებული სატრანსპორტო მიმოსვლის წესები. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის ეთიკა იწყება იქ, სადაც მთავრდება კანონი. მეტი სიცხადისათვის, – ბიზნესის ეთიკას უპირატესად ეხება ის საკითხები რომლებიც არ განეკუთვნებიან სამართლის სფეროს, ან სადაც არ არსებობს განსაზღვრული კონსენსუსი თუ რა არის "სწორი" და რა – "არასწორი". სწორედ ამ მიზეზით ხშირად ისმის – ბიზნესის ეთიკა ბიზნესის რუხი სფეროა, ან როგორც მის შესახებ ამერიკელმა მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს: 'ფასეულობები იმყოფებიან კონფლიქტში'2. როგორც გამოცდილება აჩვენებს, სწორედ ბიზნესის ეთიკის ამ რუხ სფეროში, ანუ იქ სადაც ფასეულობათა კონფლიქტია, ხდება პრობლემათა გადაწყვეტის მცდელობა, რაც მიანიშნებს მასზედ, რომ ჯერ კიდევ მრავალი საკამათო და გაურკვეველი საკითხი რჩება ღიად და ბუნდოვნად. სწორედ ამიტომ და ამგვარ სიტუაციებში ბიზნესის ეთიკას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ზნეო-

ბრივად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, ვინაიდან საზოგადოებამ კარგად უწყის მსოფლიოში ცნობილი ბიზნესსკანდალების შესახებ, როცა კორპორაციები არღვევდნენ საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებულ ქცევის წესებსა თუ სტანდარტებს. კერძოდ, კომპანიები მანიპულირებდნენ ფინანსებით, რათა ეჩვენათ უკეთესი ბალანსი ვიდრე სინამდვილეში გააჩნდათ. ადგილი ჰქონდა ტოქსიკური ნარჩენების მდინარეებში ჩადინების, ბიზნესსაქმიანობის გასაუმჯობესებლად მოქრთამვის, ბავშვთა შრომის ფაქტებს. ხშირი იყო დისკრიმინაციული პრაქტიკის შემთხვევებიც, რაც ხელს უშლიდა გარკვეული ჯგუფების წევრთა დასაქმებასა და შემდგომ დაწინაურებას.3 მაშინ როდესაც საწარმოები მოქმედებენ არაეთიკურად, ფართო საზოგადოებისათვის მათი საქმიანობა ხდება მორალურად მიუღებელი ამგვარ მიზეზთა გამო უკანასკნელ ხანს დასავლეთში ბიზნესის ეთიკამ შეიძინა განსაკუთრებული აქტუალობა და ის ძალზედ ცნობილი ბიზნესთემა გახდა, რომლის ირგვლივ დებატები ატარებს სისტემურ ხასიათს და ამავე დროს იწვევს საზოგადოების დიდ ინტერესს. მედია მუდმივად ფოკუსირებს კორპორაციულ დარღვევებსა და არაეთიკურ ქცევებზე. შედეგად კი, თავად ფირმები სულ უფრო აღიარებენ ეთიკის, ან უკიდურეს შემთხვევაში ეთიკის განხილვის ფაქტორს ბიზნესის წარმატებაში.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია მოვახდინოთ ძირითად მიზეზთა ჩამონათვალი, თუ რატომ არის ბიზნესის ეთიკა მნიშვნელოვანი: დღეს ბიზნესის ძალაუფლება და გავლენა საზოგადოებაზე გაცილებით დიდია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მოვლენები* ცხ-

*იგულისხმება გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციების საზოგადოებაზე, ეროვნულ ეკონომიკებსა და გარემოზე უხეში ჩარევისა და მზარდი გავლენის გამო ბოლო ათწლეულის მასობრივი გამოსვლები სიეტლის, სტოკჰოლმის, გენუის, ლონდონის, ნიუ ორკისა და მსოფლიოს სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში.

ადყოფს, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის შეშფოთება უკავშირდება სწორედ ამგვარ პროცესებს. ბიზნესის ეთიკა გვეხმარება გავიგოთ თუ რატომ ხდება ეს, როგორი შეიძლება იყოს მისით გამოწვეული შედეგები, და როგორ შეგვიძლია განვიხილოთ მსგავსი სიტუაციები.

1. ბიზნესის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს გააჩნიათ პოტენციალი, რათა უზარმაზარი ზიანი მიაყენონ ცალკეულ პიროვნებებს, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და გარემოს. გვეხმარება რა გავიგოთ გაცილებით მეტი ამგვარ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის მიზეზებსა და შედეგებზე, ბიზნესის ეთიკა ეძიებს ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

2. ბიზნესისადმი წაყენებული მოთხოვნა იყოს ეთიკური საკუთარ აქციონერებთან, ხდება სულ უფრო კომპლექსური და მოთხოვნადი. ბიზნესის ეთიკა გვთავაზობს ამ პრობლემების ნათლად შეფასებისა და გაგების საშუალებებს, რათა ფირმებმა შეძლონ ეფექტურად დააკმაყოფილონ ეს ეთიკური მოლოდინები.

3. დასავლეთის ქვეყნებში ბიზნესმენები იღებენ ოფიციალურ განათლებას ბიზნესის ეთიკაში ან გადიან პროფესიულ მომზადებას (ტრეინინგებს). ბიზნესის ეთიკას შეუძლია დახმარება მენეჯერთათვის შესაბამისი ცოდნის და უნარ-ჩვევების აღჭურვით, რაც მათ იმ ეთიკური პრობლემებისა და დილემათა იდენტიფიცირების, დიაგნოსტირების, ანალიზისა და მართებული გადაწყვეტილებების შესაძლებლობას მისცემთ, რომლებსაც ისინი აწყდებიან პრაქტიკაში.

4. ბიზნესში მუდმივად აქვს ადგილი სხვადასხვა სახის დარღვევას, სადაც დასაქმებულთა თითქმის ნახევარი როგორც წესი ნებსით თუ უნიებლიეთ ყოველწლიურად ჩადის რაიმე არაეთიკურ ან არაკანონიერ საქციელს. ბიზნესის ეთიკა გვთავაზობს შესაძლებლობას დავინახოთ ამ პრობლემათა მიზეზები და გამოვნახოთ ის გზები, რითაც მენეჯერებისთვის შესაძლე-

ბელი იქნება მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა.

5. ბიზნესის ეთიკა გვთავაზობს იმ უპირატესობათა და პრობლემების შეფასებას, რომლებიც სხვადასხვაგვარად დაკავშირებულია ეთიკის მართვასთან ორგანიზაციებში.

6. და ბოლოს, ბიზნესის ეთიკა არის, განსაკუთრებულად სინტერესო და მიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც ის გვაძლევს იმ ცოდნას, რომელიც გამოდის ბიზნესის კვლევის ტრადიციული ჩარჩოებიდან და ეხება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

ამგვარად, ბიზნესის ეთიკას გააჩნია არსებითი მნიშვნელობა ნებისმიერი საწარმოს გრძელვადიანი წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

გლობალიზაციის ეპოქაში ბიზნესის ეთიკა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს აქციონერებზე, თანამშრომლებზე, კლიენტებზე, მიმწოდებლებზე, კონკურენტებზე, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. მსგავს მოცემულობაში ორგანიზაციებს მართებთ ყურადღების გამახვილება ეთიკურ საკითხებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან ისეთ ფუნქციონალურ სფეროებში, როგორებიცაა – მარკეტინგი, ფინანსები, ჰუმანური რესურსები, წარმოება, ICT და ა.შ.

ლიტერატურა:

1. Andrew Crane, Dirk Matten, Business Ethics (A EUROPEAN PERSPECTIVE), Oxford University Press, 2004, P.8

2. Treviňo, L. K. and Nelson, K. A., Managing Business Ethics: Straight Talk about How to do it Right, 2nd edn. New York, 1999, P. 4

3. Business Ethics – QFinance; www. qfinance. com/.../12/2/business-ethics.pdf

§1.2. ბიზნესეთიკის განვითარების ეტაპები

რამოდენიმე ათეული წლის წინ, ბიზნესის მზარდი საზოგადოებრივი გავლენის შედეგად აშშ-ში როგორც დისკრეტული საგანი აღმოცენდა ბიზნესის ეთიკა1, რომელმაც განვითარების რამოდენიმე ეტაპი განვლო: (1) 1960 წლამდე; (2) 1960-1970 წლები; (3) 1970-1980 წლებამდე; (4) 1980-იანი წლების პირველი ნახევარი; (5) 1980-იანი წლების მეორე ნახევარი.

1. 1960 წლამდე პერიოდი ხასიათდება როგორც <<ეთიკა ბიზნესში>>. ამ მართლაცდა ხანგრძლივი და განუსაზღვრელი დროის განმავლობაში აქტივობის უმთავრეს მხარეს თეოლოგიური და რელიგიური საწყისები წარმოადგენდა. კერძოდ, 1870-იანი წლებიდან დაწყებული, პაპების სოციალურ ენციკლიკებში ჩნდება საკითხები სამართლიანი ხელფასისა და კაპიტალიზმის მორალის2 შესახებ. შემდგომში ეს ტექსტები საფუძვლად დაედო კათოლიკურ სოციალურ ეთიკას რომელიც ეხებოდა ბიზნესურთიერთობებში ზნეობის არსებობას ისეთ სუბფაქტორებთან მიმართებაში, როგორებიც არის მშრომელთა უფლებების უზრუნველყოფა დასაქმების ღირსეული პირობებითა და ღირსეული ანაზღაურებით; მორალური ფასეულობები მატერიალური ფასეულობების საპირწონედ; და მოსახლეობის ღარიბი ფენის მდგომარეობის გაუმჯობესება. გარდა ამისა ამ პერიოდში ზოგიერთ კათოლიკურ კოლეჯსა და უნივერსიტეტში განვითარდა სოციალური ეთიკის კურსები, ხოლო უკვე 1950-იანებში ყველაზე პოპულარულ ტექსტად მესნერის <<სოციალური ეთიკა>> იყო მიჩნეული, რომელიც ინგლისურენოვან სამყაროში გერმანულიდან ითარგმნა3.

რაც შეეხება პროტესტანტიზმს, აქ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და გავლენიან შრომად რაინჰოლდ ნიებურის წიგნი ითვლებოდა.4 მისი კაპიტალიზმის

კრიტიკა იყო გესლიანი და პროვოკაციული, რამაც თეოლოგიის სემინარიებსა და სკოლებში წარმოშვა მსგავსი ხასიათის კურსები.

სასულიერო პირთა მხრიდან გაისმოდა ქადაგებანი ბიზნესში მორალისა თუ ეთიკის შესახებ, ისევე როგორც ცხოვრების ყველა სხვა სფეროში – მოწოდებები სიცრუის, თაღლითობის, ქურდობის და ა.შ. წინააღმდეგ. დროის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა პროტესტანტული შრომის ეთიკის მხარდაჭერა და განვითარება გახლდათ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში არსებობდა მცირე წარუმატებელი მცდელობები ბიზნესში ეთიკურ ქცევათა კურსების შემოტანისა. აგრეთვე მცირე იყო ამგვარი თემატიკის წიგნიც.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი მთელ ამ აქტივობებში მაინც იყო ის, რომ ეს ზუსტად შეიძლება დახასიათდეს როგორც ეთიკა ბიზნესში, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ აღნიშნავს ახალი განსხვავებული დარგის ფორმირებას. ეთიკა იქნა გამოყენებული ბიზნესთან მიმართებაში, ისევე როგორც ხელისუფლებასთან, პოლიტიკასთან, ოჯახთან და პირად ცხოვრებასთან, სქესთან, პროფესიებთან და ცხოვრების ყველა სხვა ასპექტთან მიმართებაში.

2. 1960-იანი წლები ცნობილია საზოგადოებრივ საკითხთა წამოჭრით ბიზნესში, კერძოდ – ავტოკრატიის წინააღმდეგ წარმოებული ამბოხებების, სტუდენტური მღელვარებისა და კონტრკულტურების გამოჩენის პერიოდად, რომელიც ნაწილობრივ ვიეტნამის ომის მძიმე შედეგებით იყო შეპირობებული. ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდობამ იწყო მიზეზთა ძიება. მძლავრი ანტიბიზნესდამოკიდებულება განვითარდა მრავალი ფორმით, რომელთა შორის აღსანიშნავია შეტევები სამხედრო ინდუსტრიის შექმნის მიმართულებით.

გასული საუკუნის სამოციანი წლები ასევე შეიძლე-

ბა დანახული იქნეს დიდი ქალაქების დეგრადაციის, თანამედროვე ინდუსტრიის განვითარების, ეკოლოგიური პრობლემების – მათ შორის ტოქსიკური და ბირთვული ნარჩენების ზრდით გარემოს დაბინძურების მხრივ. ეს პერიოდი ასევე აღინიშნება კონსუმერიზმის წარმოშობით.

ბიზნესის სკოლებმა სხვადასხვაგვარად უპასუხეს ამგვარ გამოწვევებს. მათ შორის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მიმართულების საკითხთა წინ წამოწევა გახლდათ. კერძოდ, მენეჯმენტის მრავალმა პროფესორმა საკუთარი შრომები მიუძღვნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს. სწავლულ მეცნიერთა შრომები ატარებდა უფრო მეტად რეაქტიულ (რაც გარკვეული თვალსაზრისით ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში ეპიზოდურ რეაგირებაში ვლინდებოდა), ვიდრე სისტემურ ხასიათს. აღნიშნულ ტექსტებში თავდაპირველად ჭარბობდა მენეჯერთა შეხედულებები, თუმცა მოგვიანებით პერსონალის, მომხმარებელთა და ფართო საზოგადოების პერსპექტივითაც ასევე მოხდა ყურადღების გამახვილება. ავტორთა კვლევებში დომინირებდა სამართლიანობის და კანონიერების ასპექტები ეთიკური თეორიისადმი სისტემური ყურადღების გარეშე, მაშინაც კი, როდესაც ისინი მსჯელობისას ხელმძღვანელობდნენ მორალური მოსაზრებებით, იმპერატივებითა თუ ექსჰორტაციებით.

3. 1970-იანი წლებში აღმოცენდა ბიზნესეთიკა, როგორც ახალი ინტერდისციპლინარული დარგი. თეოლოგმა და რელიგიურმა მოაზროვნეებმა საფუძველი ჩაუყარეს ბიზნესში მორალურ დისკუსიებს, რითაც შესაძებელი გახადეს ეთიკური მიმართულებით მისი შემდგომი განვითარება. მენეჯმენტის პროფესორებმა განაგრძეს წერა და სწავლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.6 მათ მალევე შეუერთდნენ ფილოსოფოსებიც, რომლებმაც კატალიზატორის როლი ითამაშეს ეთიკური თეორიის შემო-

ტანით მთელ ამ დისკუსრში, რითაც ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბიზნესის ეთიკის, როგორც სრულიად ახლო აკადემიური დარგის სტრუქტურის ფორმირება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველივე ამას ნაწილობრივ ასევე შეუწყო ხელი ბიო-მედიცინის ეთიკის ადრეულმა განვითარებამ. ჯონ როულსის <<სამართლიანობის თეორიამ>> ლეგიტიმური გახადა ფილოსოფიური საკითხების ურთიერთობის ქონა ეკონომიკურ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. სახალხო რეაქციებმა Watergate-ზე, DC-10 scandels-ზე, მექრთამეობის, ე.წ. <<Kickbacks>>-ისა და სხვა მსგავს ნეგატიურ მოვლენებთან მიმართებით, სტუდენტებში ბიზნესის ეთიკისადმი აღძრა დიდი ინტერესი, რამაც განაპირობა ფილოსოფიის დეპარტამენტებზე სამეცნიერო კვლევების ფოკუსირება ბაზრის პრაქტიკული საკითხების ირგვლივ.

ბიზნესის ეთიკური საკითხებისადმი ინტერესი 1970-იან წლებში კიდევ უფრო მზარდი გახდა და მან სტუდენტებთან ერთად მოიცვა მოსახლეობაც, რომელიც სეგმენტურად ქმნიდა საერთო ინტერესთა ჯგუფებს, და რომელთა მოთხოვნებში დომინანტი ბიზნესში სოციალური მოთხოვნები გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო და არათავსებადი იყო. ამგვარმა ყურადღებამ და სოციალურმა დაკვეთამ ბიზნესისადმი, ეს უკანასკნელი გახადა მეტად ორიენტირებული სახალხო იმიჯზე. ამიტომ სოციალური პრობლემატიკის აქტივიზაციამ საზოგადოებაში და მათი გადაწყვეტის გზების ძიებამ, კომპანიებში გააჩინა შიდა რესტრუქტურიზაციის საჭიროება ამ მიმართულებით.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესში მორალური საკითხების ირგვლივ გამართული კონფერენციების რიცხვი მუდმივად იზრდებოდა. გზადაგზა ჩნდებოდა ბიზნესეთიკის საკითხების

გარშემო კონცენტრირებული კვლევითი ცენტრები. ეწყობოდა ინტერდისციპლინარული შეხვედრები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ბიზნესის, თეოლოგიის, ფილოსოფიის პროფესორები, საქმიანი წრეებისათვის საყურადღებო შეიქმნა პრესის, ტელევიზიისა თუ მასმედიის სხვა საშუალებებით გამოთქმული მოსაზრებები.

კორპორაციის მორალური სტატუსი იყო ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი, რომელიც მანამადე ბიზნესში ეთიკისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ ლიტერატურაში არ წამოჭრილა. აღნიშნული თემატიკის აქტუალიზაციამ განაპირობა ბიზნესში პასუხისმგებლობის როლის ზრდა, მისი არსის გარკვევა და კვლევის შემდგომი განვითარება.

დეკადის დასასრულს, ბიზნესის ეთიკის მკვლევართა მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ სფეროს სისტემური მიდგომის განვითარებას. სწორედ რომ სისტემურმა მიდგომამ გახადა შესაძლებელი მსჯელობა არა მხოლოდ მენეჯმენტის, არამედ პერსონალის, აქციონერებისა და ფირმის მიღმა მყოფი ადამიანების თვალსაზრისითაც, რომელიც მოიცავადა კორპორაციული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, მუშაკთა სამსახურში აყვანისა და მათი გათავისუფლების, დისკრიმინაციისა და რევერსული დისკრიმინაციის და ა.შ. ასპექტებს. ჯერ კიდევ ადრეულ 1930-იან წლებში Berle და Means5 აღნიშნავდნენ კორპორაციის ცვალებადი ბუნების შესახებ. აღნიშნულ მოვლენებთან პირდაპირ კავშირში მყოფმა ეთიკურმა, ისევე როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მკვეთრმა ცვლილებებმა დააჩქარა ამერიკული ბიზნესისა და საზოგადოების ცვალებადი ფასეულობების სისტემური შესწავლის პროცესი. თუმცა ამ ეპოქის ყველა ნაშრომში ნათლად ჩანს ბიზნესისა და ფილოსოფიის აკადემიურ დარგებს შორის არსებული ჭარბი ბუნდოვანება აღნიშნულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

1970-იანი წლების მიწურულს <<ბიზნესის ეთიკის>>

საყოველთაო გამომსახველობისათვის დასავლურ და პირველ რიგში ამერიკის სამეცნიერო სივრცეში საკმაოდ მოცულობითი შრომა იქნა გაწეული, რის შემდეგაც რეალურად აღარ დამდგარა ქილიკის საჭიროება <<ბიზნესის ეთიკის>> ოქსიმორონად წარმოჩენის თაობაზე. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეწყვეტილა დებატები იმის ირგვლივ, - იყო თუ არა <<ბიზნესის ეთიკა>> ნამდვილად აკადემიური დარგი, თუ ის მხოლოდ ეპოქის მოდური ახირება გახლდათ.

4. 1980-იანი წლების პირველი ნახევარი წარმოადგენს საწყისი კონსოლიდაციის პერიოდს. უკვე 1985 წელს ბიზნესის ეთიკა გახდა აკადემიური, საუნივერსიტეტო დარგი ამერიკის შერთებულ შტატებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი დეფინიციის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. რაც ბიზნესის ეთიკის განვითარების არსებულ ვითარებას განასხვავებს წინა პერიოდების მრავალი წარუმატებელი და იზოლირებული მცდელობებისაგან მომხდარიყო დარგის სრულყოფილი განვითარება, გახლავთ ის გარემოება, რომ ბიზნესის ეთიკის განვითარება ამ დროისათვის ხასიათდება თავად დარგის ინსტიტუციონალიზაციით. შემუშავებული იქნა რა გარკვეული სახის მექანიზმები, პარტიკულარულ მოსაზრებათა საფუძველზე სხვადასხვა ინსტუტიციათა სხვადასხვაგვარ ჯგუფებს შორის ბიზნესის ეთიკას, როგორც აკადემიური სფეროს მიმართ გაჩნდა მისი შემდგომი წარმატებული განვითარების ორგანული დაინტერესება. ბიზნესის ეთიკა გახდა წარმოუდგენლად მოდური და მას, როგორც საყოველთაო გატაცების ობიექტს მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზნესი. მრავალმა კომპანიამ თუ ფირმამ საქმიანობის ავანგარდში ჩააყენა სოციალური აუდიტისა და სოციალური პოლიტიკის ასპექტები, რომლებიც მოიცავდნენ ეთიკურ საკითხებს. ამგვარად, ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივია ის, რომ ბიზნესის ეთიკა გახდა ინსტიტუციონალიზებული და ეს ინსტიტუციონალიზა-

ცია ბიუროკრატიის ხასიათის გათვალისწინებით კვ-
ლავაც გაგრძელდება ახლო მომავალში.

დასრულდა სკეპტიციზმის ხანა, როდესაც ეჭვქვეშ
დგებოდა ბიზნესის ეთიკის სფეროსა თუ დარგის არ-
სებობის საკითხი. მაგრამ დარჩა კითხვები, რომლებიც
უკავშირდება მისი რაობის, ფუნქციონირებისა და მომა-
ვალი განვითარებისათვის მისივე პერსპექტივებისა და
საჭიროებათა პრობლემურ მხარეებს.

5. 1985 წელი ეს არის ბიზნესის ეთიკის დარგის
განსაზღვრის წელი.

რა არის ბიზნესის ეთიკა როგორც დარგი და რა
განსხვავებაა ბიზნესში ეთიკასა და ბიზნმესის ეთიკას
შორის?

ბიზნესის ეთიკა არის დარგი, რომელიც ეხება რიგ
ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს, და ცდილობს მათ
გამორკვევასა და განხილვას ერთიანი სტრუქტურის
ფარგლებში, რომელიც შევსებას იღებს არა კანტია-
ნური, უტილიტარიანული თუ ნებისმიერი ეთიკური
თუ თეოლოგიური თეორიებიდან, - არამედ საკითხთა
სისტემური ურთიერთდამოკიდებულების გზით, რომ-
ლებიც ეხება სხვადასხვა ფილოსოფიურ, თეოლოგიურ,
თუ სხვა მიმართულების თვალსაზრისს. ამ სფეროში
მომუშავე თეოლოგებს შეიძლება აინტერესებდეთ მხ-
ოლოდ რელიგიური ეთიკის ბიზნესთან დაკავშირებით
გამოყენებითი მხარე, ბიზნესის პროფესორებს შეიძლე-
ბა აინტერესებდეთ მხოლოდ არსებულის განვითარე-
ბის თუ ახალი მმართველობითი თუ ორგანიზაციული
სტრუქტურის შემუშავების პროცესში მყოფი გარკვეუ-
ლი მორალური პრობლემების წარმოქმნის შემცირე-
ბის ალბათობისა და თავიდან აცილების მიზნით, და
ფილოსოფოსებს შეიძლება აინტერესებდეთ მხოლოდ
ეთიკური საფუძვლების თეორიულ საკითხებსა თუ
მნიშვნელობათა განმარტების მხრივ. ბიზნესეთიკის
დარგი მოიცავს ყველა ამ ასპექტს და ის ერთნაირად
წონვადია მისთვის.

ბიზნესის ეთიკის, როგორც მეცნიერული კვლევის დარგის მიზანს წარმოადგენს თეორიული მხარე, თუმცა მას ასევე გააჩნია პრაქტიკული გამოყენებაც. მოცემული დარგი განისაზღვრება ეთიკისა და ბიზნესის ინტერაქციის საფუძველზე. ფართო პერსპექტივიდან მისი საგანია ზნეობისა და უზნეობის საკითხთა შესწავლა-გამოკვლევა, ისევე როგორც ეკონომიკურ სისტემათა შესაძლო გამართლება.6 მაკრო დონეზე ბიზნესეთიკა ფოკუსირდება ერთი მხრივ თავისუფალ მეწარმეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის და მეორე მხრივ – მისი შესაძლო ალტერნატივებისა და მოდიფიკაციების ირგვლივ. ბიზნესის ეთიკა არის ნაციონალური, ინტერნაციონალური ანუ გლობალური, როგორც თავად ბიზნესი, და არა თვითნებურად გეოგრაფიული საზღვრებით შეზღუდული. ანალიზის, და ამასთან თანამედროვეობის უდიდესი ყურადღების მქონე მეორე დონეს წარმოადგენს ბიზნესის შესწავლა თავისუფალი მეწარმეობის სისტემაში, გამორჩეულად ამერიკის შეერთებულ შტატებში (და დასავლეთ ევროპაში). გამომდიანრე იქიდან, რომ კორპორაციები წარმოადგენენ ამ სისტემის დომინანტს, მათ მიმართ არსებობს განსაკუთრებული დაინტერესება. მაგრამ პროფესიული კავშირები, მცირე ბიზნესი, კონსუმერიზმი და ბიზნესპრაქტიკის დიდი მრავალფეროვნება სისტემის ფარგლებში წარმოადგენენ მორალური კვლევის შესაბამის ობიექტებს. კორპორაციებსა და საწაროებში არიან ინდივიდები, რომლებიც მათში დებენ ინვესტიციებს, იღწვიან მათი წარმატებისათვის და დიდ გავლენას ახდენენ მათზე. ინდივიდთა მორალი ეკონომიკურ და ბიზნეს-ინტერაქციებსა და ტრანსაქციებში აყალიბებს კვლევის მესამე დონეს, და რომელიც ბიზნესში ეთიკის საკითხებზე მომუშავე ადრეულ მეცნიერ-მკვლევართა თუ სასულიერო პირთა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა.

ბიზნესის ეთიკის დარგი მოიცავს სამივე დონეს ამ

დონეთა ურთიერთკავშირების სახით, ისევე როგორც ის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კვლევის დისკრეტულ სფეროებად. ამგვარად, ვსაუბრობთ რა ბიზნესის ეთიკის, როგორც დარგის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ის დიფერენცირდება ორი მიმართულებით: I. ეთიკა ბიზნესში და II კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ეთიკა თავისთავად მოიცავს ორივე ამ მიმართულებას და შესაბამისად საგრძნობ გავლენას ახდენს მათ ცვლილებებზე. ეთიკა ბიზნესში, როგორც დარგის ნაწილი აღარ არის უბრალოდ მორალიზება ან უბრალოდ გამოყენება საერთო მორალური პრინციპებისა ქცევის კონკრეტულ შემთხვევებში. კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობა, როგორც ბიზნესეთიკის ნაწილი საჭიროებს ამ პასუხისმგებლობის სისტემურ დაკავშირებას დარგის სხვა ასპექტებთან.

როგორც დარგი, ბიზნესის ეთიკა ეკონომისტებისაგან და ყველა მათგან, ვინც იკვლევს ბიზნესსა და კორპორაციებს სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა სოციალურ მეცნიერებათა პერსპექტივიდან, ითხოვს კონკრეტულ დესკრიფციულ კომპონენტს; ის საჭიროებს ბიზნესის პროფესორთა ინტერესთა სფეროში მოქცეულ ორგანიზაციის თეორიის, მენეჯმენტისა და ბიზნესაქტივობათა საკითხებს; და ის ასევე ითხოვს მორალური ნორმებისა და ნორმატიულ თეორიის სისტემურ განვითარებასა და გამოყენებას უზრუნველყოფილს ფილოსოფოსებისა და თეოლოგების მიერ.

ბიზნესის ეთიკის დარგი რასაკვირველია უთუოდ არის ინტერდისციპლინარული, იმიტომ, რომ მასში შემავალი თითოეული დისციპლინის მონაწილეობა გარდაუვალი აუცილებლობით არის დეტერმინირებული და ამასთან, ყოველი მათგანი გარკვეული ხარისხით ზემოქმედებს ამ საერთო კორდინაციასა თუ კავშირზე და თავადაც განიცდის დინამიურ ცვლილებებს.

საზოგადოდ არსებობს აქტივობათა ხუთი სახეობა,

რომლებიც დომინირებენ ბიზნესის ეთიკის დარგში.

პირველი და დომინანტი აქტივობა არის ამორალურობის (ამორალურ შემთხვევათა) გამოვლენა და ანალიზი. ამ პროცესის არსს უწინარესად ემპირული და დესკრიფციული ამოცანა წარმოადგენს. მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის ანალიზში ნორმატიული აქტივობა. მსგავსი შემთხვევების არსებობა მკვლევართათვის მნიშვნელოვანია ამგვარი პრობლემებისადმი ყურადღების მიპყრობის თვალსაზრისით, რადგან ანალოგიური შემთხვევების არსებობისას მათ შესაძლებლობა ეძლევათ გამონახონ მათი გადაწყვეტის გზები და აწარმოონ მსჯელობები ალტერნატიული სტრუქტურების თაობაზე ბიზნესის სამყაროში, რომლებიც პერსპექტივაში გამორიცხავენ მსგავსი შემთხვევის გამეორებას. გარკვეული ხარისხით, ეს აქტივობა მოიცავს ეთიკას ბიზნესში, რაც შესაძლო ალტერნატიული სტრუქტურებისა და კორპორაციული და ბიზნეს-პრაქტიკებსა თუ სტრუქტურების ძიებაში გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ინდივიდების შესაფერი მოქმედებები. ფილოსოფოსები, თეოლოგები და ბიზნესის პროფესორები ყველა მონაწილეობს აქტივობათა ამგვარ ფორმაში, მაშინაც კი, როდესაც ძალზედ ხშირად თითოეულ მხარეს ერთმანეთისაგან განსხვავებული კვლევის მიმართულება და ინტერესი გააჩნია.

მჭიდროდ დაკავშირებულ აქტივობათა მეორე ტიპი მოცავს ბიზნესპრაქტიკის ემპირულ კვლევებს (სწავლებას). ეს აქტივობა წაროადგენს ბიზნესეთიკის ნაწილს, მაშინაც კი როცა ის წმინდა დესკრიფციული ხასიათისაა, იმის დაშვებით, რომ კვლევის ორივე საგანი არის მორალური ან ამორალური აქტივობა თუ პერსპექტივა, რომლის მიზანი მორალური თვალსაზრისიდან გამომდინარეობს. ამგვარად, კონკრეტული თემატური კვლევისაგან განსხვავებით, სამსახურში დანიშვნისა თუ სამსახურიდან გათავისუფლების პრაქტიკის კვლევა (როგორც კონკრეტული თემატური კვლევის სა-

პირისპიროდ) შეიძლებოდა ყოფილიყო ბიზნესეთიკის ნაწილი, თუკი განზრახვა მისი იქნებოდა დისკრიმინაციის ფაქტების განსაზღვრა – დადგენა, ანუ დაედგინათ დისკრიმინაციის შემთხვევები, ან განევითარებინათ ზოგადად დისკრიმინაციის წარმატებით დასრულების პრაქტიკა. ამგვარ სწავლებაში (კვლევაში) ინტეგრირებული თუ მისგან აღმოცენებული აქტივობები ხშირად წარმოადგენს სწორედ შემოთავაზებულ ალტერნატიულ პრაქტიკებს.

აქტივობების მესამე ტიპი შედგება ძირითად ტერმინთა დაზუსტებისა და ეთიკურ წანამძღვართა აღმოჩენისაგან ბიზნესში. მაგალითად, ის მოიცავს კერძო საკუთრების მორალურ შეფასებასა და მისი მორალური გამართლების ფორმულირების საკითხებს; შემოსავალგასავლის, ბუღალტრული ანგარიშგების პროცედურების, ზღვრული სარგებლიანობის გამოყენების კალკულაციის მორალური წანამძღვარების ანალიზსს; და ასევე ექსპლუატაციის მნიშვნელობის, სამართლიანი ხელფასის, თანასწორუფლებიანი შრომის, რევერსული დისკრიმინაციის, საკუთრების და სხვ. მორალურ შეფასებასა და ანალიზს. თავისი სპეციალიზირებული ხასიათის გამო ეს ანალიზი განეკუთვნება სწორედ ბიზნესეთიკის სფეროს და არ წარმოადგენს საყოველთაო ეთიკის ნაწილს. ანალიზის პროცესმა და დასრულებულმა შედეგმა შეიძლება მიანიშნოს საყოველთაო ეთიკური თეორიისა და კონკურენტული პრაქტიკის ნაკლოვანებაზე. მიუხედავად ფილოსოფიისა და ეკონომიკის პროფესორთა განსხვავებული მიდგომებისა, ისინი არიან რელევანტურები და ძალუძთ ურთიერთგაძლიერება.

ანალიზი ხშირად უკავშირდება აქტივობათა მეოთხე სახეობას, სახელდობრ, წამოჭრილ მეტაეთიკურ საკითხებს და ეთიკური თეორიის შესაძლო ცვლილებებს. მაგალითად, კორპორაციის მორალური სტატუსი არის მეტაეთიკური საკითხი და მის კითხვებს პასუხი არ

გაეცემა საყოველთაო ეთიკური თეორიიდან. თუ შეუ-ძლია კოპრორაციას იყოს მორალურად პასუხისმგე-ბელი თავის ქმედებაზე, მას მოეთხოვება მორალური პასუხისმგებლობის კონცეპტის ანალიზი, რომელიც ტრადიციულად უკვე გაანალიზებულია მხოლოდ ადა-მიანთან მიმართებაში. მენეჯმენტის პროფესორები და ორგანიზაციული საკითხების თეორეტიკოსები უკავშ-ირდებიან ფილოსოფოსებსა და თეოლოგებს ამ დე-ბატებში.

აქტივობათა მეხუთე სახეობა მოიცავს იმგვარ პრობლემებს, რომლებიც ეხება ნაკლებად განვითარე-ბული ქვეყნების მულტინაციონალურ ვალდებულება-თა საკითხებს, რომლებშიც ისინი არსებობენ, და რაც საჭიროებს მაგალითად, მრავალი დიდი პრობლემური საკითხის დახარისხება – დაჯგუფებას, ე.წ. sifting-ს ემ-პირიული და ნორმატიული მიართულებით. არ არის მარტივი პასუხი გაეცეს კითხვებს, რომელიც გულისხ-მობს და მოიცავს კიდევ სხვა მრავალ საკითხს: - ინტერნაციონალური სტრუქტურით დაწყებული და მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის დამოკიდებულების საკითხით დამთავრებული.

ზემოთ აღნიშნული აქტივობები არის ერთმანეთ-თან მჭიდროდ დაკავშირებული და ამავე დროს ყვე-ლა ეს აქტივობა ბიზნესეთიკის, როგორც აკადემიური დარგისათვის წარმოადგენს ცენტრალურს. კვლევები ამ დარგში მოიცავს განსხვავებულ თვალსაზრისიდან გამომდინარე ურთიერთდაკავშირებულ აქტივობათა თანამდევ სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, თუ ბიზნესის,თეოლოგიისა და ფილოსოფიის პროფესორებს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში მათი მეცნიერული მიდგომა როგორი პერსპექტივიდან აინტერესებთ, მათ შორის სრული კორდინაციის პირობებში პროგრესის მიღწევა და შესაბამისად დარგის განვითარება სავს-ებით შესაძლებელია,როდესაც პრობლემათა წარმოჩენ-ითა და პოზიციების გაცხადებით ცალკეული ამოცანის

სპეციფიკური გადაწყვეტა მიღწეული იქნება კონსესუსის გზით.

ბიზნესის ეთიკის, როგორც დარგის დეფინიცია განსაზღვრავს საგნის ადგილს, როლსა და მნიშვნელობას მიმდინარე წერით თუ ზეპირ სამეცნიერო პოლემიკასა და დისკუსიაში. მიუხედავად დარგის განსხვავებისა, მას გააჩნია ნაწილობრივი, მაგრამ მნიშვნელოვანი თანხვედრა ბიზნესში ეთიკასთან და კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან. ასევე, მას კავშირი აქვს საყოველთაო ეთიკასთან, გამოყენებითი ეთიკის სხვა სფეროებთან და ბიზნესგანათლების სხვადასხვა დარგებთან.

ბიზნესის ეთიკის, როგორც აკადემიური დარგი მოწოდებულია შეცვალოს არსებული ბიზნესპრაქტიკა,თუმცა შეუძლებელია მისი შეფასება ბიზნესის სამყაროში მისივე უშუალო, მკვეთრი ეფექტებით. სიცხადე, პრობლემატიკის წარმოჩენა და ალტერნატიული მიდგომების არტიკულაცია ბიზნესპრაქტიკასთან მიმართებაში ის საშუალებებია, რითაც შესაძლებელია მორალის გაძლიერება, რაც თავისთავად უკვე ფასეულია, მაშინაც კი, როდესაც პირდაპირ და უშუალოდ არ ხდება მორალური ასპექტების მიღება და გათავისება ბიზნესში.

თუ ვფიქრობთ, რომ ბიზნესის ეთიკის, როგორც აკადემიური დარგის განვითარება ბიზნესს მყისიერად გახდის უფრო ზნეობრივს ალბათ არარეალისტური იქნება. მაგრამ სრულებით არ არის არარეალისტური მივისწრაფოდეთ მისი რესპექტაბელურობისაკენ, ფირმის ფარგლებში ეთიკური საკითხების წამოჭრის გზით; ასევე არ არის არარეალისტური თუ დავიტოვებთ იმედს, რომ დროთაგანმავლობაში უფრო და უფრო მეტი ფირმა შეძლებს განავითაროს ეთიკური საკითხებისა და მათი გადაწყვეტილებების ავტომატური განხილვის პრაქტიკა. ეთიკა ბუნებრივია ვერ შეძლებს ბიზნესის პრობლემების გადაჭრას, და ვერ ჩაანაცვლებს მენეჯმენტს, ბუღალტრულ ანგარიშგებას და ბი-

ზნესგანათლების სხვა დარგებს. ეთიკა წინ წამოწევს სხვა დიმენსიას, კერძოდ, გრძელვადიანი პერსპექტივით ნებისმიერ ქმედებათა ეფექტის სამართლიანობის საკითხს და ეხმარება ბიზნესს გახდეს მეტად ობიექტური, რამაც შესაძლოა დიდწილად შეძლოს არასასურველი პროცესების პრევენცია.

ლიტერატურა:

1. ვ. ხიზანიშვილი, ბიზნესეთიკა და მისი მნიშვნელობა, ჟურნ. „ეკონომისტი", №5, 2012, გვ. 73.

2. The Papal Encyclicals ed. Claudia Carlen, McGrath Publishing Co., Vol. II, 1981, for the encyclicals of Pope Leo XIII. For a Summaru;Philip Hughes, The pope's New Order, London: Burns, Oates & Washbourne Ltd. 1943

3. Iohannes Messner, Social Ethics, Translated from the German by J.J. Doherty, St. Louis: B. Herder, 1952.

4. Reinhold Niebuhr, Moral Man and Immoral Society New York : C. Scribners, 1932

5. Adolf A. Berle, Gardiner C. Means, the Modern Corporation and Private Property, New York: The Macmillan Co. 1933

6. Richard T. De George, The Status of Business Ethics: Past and Future., P. 496

თავი 2. ბიზნესის ეთიკის დონეები

ბიზნესეთიკა სამოცდაათიანი წლების შუადან იყოფა მიკრო, მეზო და მაკრო დონეებად.1

მიკრო, ინდივიდუალურ ქმედებათა ანუ ინდივიდუალური დონე სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტით დაკავშირებულია ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების პირად ფასეულობებთან, შეხედულებებთან და ქცევებთან. 2

მეზო, ანუ საწარმოო (კორპორაციული) დონე ეხება ფირმების, კორპორაციების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მათ მსგავს ინსტიტუციათა წესრიგისა და ქცევის მორალურ პრობლემებს. 3

მაკრო, ანუ საზოგადოებრივი დონე, რომლის კვლევის საგანია სახელმწიფო, ეკონომიკური სისტემა (ეკონომიკური ჩარჩო-წესრიგი), მთელი საზოგადოება და ა.შ.4

§2.1. მიკრო დონე

ამ დონეზე ეთიკური მოთხოვნები მიმართულია ინდივიდებზე, როგორც ეკონომიკური აქტიორების როლზე, მაშასადამე როგორც მომხმარებლებზე, მეწარმეებზე, მენეჯერებზე, დაქირავებულებს, ინვესტორებზე, ბირჟის მაკლერებს და აშ. ყველა იმ როლიდან რომელსაც თითოეული ადამიანი ანსახიერებს როგორც „ეკონომიკური აქტიორის" როლებს,ხდება ნორმატიული განსჯის საგანი. რა უნდა გააკეთოს ცალკეულმა ეკონომიკურმა აქტიორმა? მაგალითად, დაქირავებულთ მოეთხოვებათ პატიოსნება სამუშაო საათებისა და შრომის მორალის დროს; მყიდველებს – გადახდის მორალი; გამყიდ-

ველებს სწორი ინფორმაციის მიწოდება პროდუქციის ხარისხზე; ბირჟის მაკლერებს – უარი შიდა (სავაჭრო) გარიგებებზე; ბანკის თანამშრომლებს კეთილსინდისიერი რჩევები კლიენტურისათვის და ა.შ.

განასხვევებენ ეკონომიკური აქტიორების სამ დიდ ჯგუფს: მომხმარებლები, მეწარმეები და ინვესტორები.

2.1.1. მომხმარებლის ეთიკა

2.1.1.1. ეთიკური მოთხოვნები მომხმარებელთა მიმართ

ყველა ადამიანი, როგორც მომხმარებელი იღებს მონაწილეობას ეკონომიკურ სისტემაში, რის გამოც <<მომხმარებლის ეთიკა>> ინდივიდუალურ-ეთიკური მიმართულებით უმნიშვნელოვანეს როლს იკავებს ბიზნესეთიკაში. ადამიანებს, როგორც მომხმარებლებს უპირველეს ყოვლისა მოეთხოვებათ საკუთარი მოთხოვნილებების ინტენსიური ასახვა და საკუთარ მოხმარებაზე პასუხისმგებლობის აღება5.

პასუხისმგებლობა საკუთარი თავის მიმართ ნიშნავს მას, რომ მომხმარებელი თავისი სრულწლოვანებით და თავისუფლებით არ ისარგებლებს ბოროტად მის წინაშე არსებულ მიმზიდველი და მაცდური საქონლის სამყაროში, რითაც ჭარბი აღმგზნები საშუალებების (როგორიც არის მაგ, ყავა, ალკოჰოლური სასმელი, თამბაქო) მოხმარებით თავიდან აირიდებს თვითდაზიანებას.

მაგრამ მომხმარებელს ასევე დიდი პასუხისმგებლობა აკისრია გარე სამყაროსთან მიმართებით. რადგან საქონლის წარმოება, მოხმარება და მომსახურება დღეს ხშირად უკავშირდება გარემოს დაზიანებას, თითოეული მყიდველი მოვალეა ასევე იფიქროს საკუთარი მოხმარების <<მომავლისუნარიანობაზე>>.6 თუ დღევანდელი მოხმარება მომავალ თაობებს სიცოცხლის საფუძვლების მოშლით დაემუქრება, მაშინ საჭიროა საკუთარი მოთხოვნილებების დაუყონებლივ კიდევ ერთხელ შეფასება და მოხმარების უარზეც ყურადღების მიპყ-

რობა. დაბოლოს, ასევე ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად აქვთ მომხმარებლებს პასუხისმგებლობა ნაყიდი საქონლის საწარმოო პირობების მიმართ, თუ ისინი საკუთარი სურვილით კვლავდაკვლავ დაბალი ფასის პირობებში ხელს უწყობენ არსებული ცუდი შრომითი პირობებისა და საარსებო მინიმუმზე დაბალი სახელფასო განაკვეთის შენარჩუნებას, რაც მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის არ არის ნიშანდობლივი. მაშასადამე, ეთიკას კვლავ აინტერესებს თუ თანამედროვე ეკონომიკა თავისი კომპეტენციის რომელ სფეროდან უგულვებელყოფს შემდეგ საკითხებს

- საქონლის ნამდვილობისა და ვარგისიანობის შესახებ;
- საჭიროებათა ვალენტობისა და საკმარისი მოცულობის საქონლით უზრუნველყოფის შესახებ;
- ჰუმანური შრომითი პირობების შესახებ;
- სამართლიანი ფასისა და ხელფასის შესახებ;

Otto Group-ის განვითარების მიმართულება/ტენდენციათა კვლევების ე.წ. ტრენდშტუდიების მიხედვით7 უკანასკნელ წლებში მუდმივად იზრდება <<ეთიკური მოხმარება>>. სამომავლოდ არსებობს ამ ტენდენციის კიდევ უფრო გაგრძელების მოლოდინი. მომავლის მკვლევარნი უკვე საუბრობენ <<მეგატრენდის>> შესახებ. მსოფლიო მასშტაბით იზრდება <<Lohas>>-ის ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა გაერთიანებას და რომლებიც ესწრაფვიან <<Lifestyle of Health and Sustainebility>>-ს. სოციოლოგი პაულ რეი და ფსიქოლოგი რუთი ანდერსონი მასშტაბური ემპირიული კვლევის საფუძველზე დიდად აფასებენ მათ მიერ <<cultural creatives>>-ად წოდებული ჯგუფის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენას, რომელთა რიცხოვნობა მხოლოდ აშშ-ში 50 მილიონ კაცს აღემატება. 8<<Lohas არსებობს სიცოცხლის და მომხმარებლის ფასეულობებზე დაფუძნებული სტილით, რომლსითვისაც ფასისა და ხარისხის გვერდით ასევე არის ბაზარზე

ორიენტირებული ახალი დიმენსია: ეთიკა>>9. – ასეთია მათივე განსაზღვრება. <<Lohas>> ჯგუფის წევრთა მოხმარების წესი ეფუძნება შეგნებულ და ინფორმირებულ მიდგომას. ერთჯერადი გამოყენების საქონლის ნაცვლად, უპირატესობას მრავალჯერადი, ხანგრძლივი გამოყენების საქონელს ანიჭებენ; ამჯობინებენ ნაკლები, მაგრამ მაღალხარისხოვანი, კეთილსინდისიერად ნაწარმოები და ბიოპროდუქტების შეძენას; მათი სურვილია ცხოვრების საყოველთაო <<შენელებისა>> და მოხმარების წნეხისაგან თავის დაღწევა. მწარმოებლების საპირისპიროდ როგორც მიზანი, წინა პლანზე დგას პირადი ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი, გარემოს დაცვა, ისევე როგორც კეთილსინდისიერება.

2.1.1.2 მომხმარებელთა პასუხისმგებელობის საზღვრები

ნეოკლასიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით მომხმარებელი ეს არის სრულად ინფორმირებული, მომხმარებლის როლში მყოფი სუბიექტი, რომელიც თავისი ავტონომიურად ფორმირებული პრეფენციებით ხვდება ბაზარზე და თავისივე თავისუფალი მოთხოვნით მართავს და მიმართულებას აძლევს მიწოდებას, და მასვე ეკისრება ერთადერთს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ბაზრის შედეგებზე. როგორც ამას მეტაფორულად გამოთქვამდა ლუდვიგ მისეს: მიმწოდებლები უსათუოდ უნდა დაემორჩილონ კაპიტნის ბრძანებებს, და აქ კაპიტანი არის მომხმარებელი.10 გამომდინარე აქედან მიმწოდებლები სრულად შეიძლება ექსკულპირდნენ შემდეგი ჩვენებით: ჩვენ (მიმწოდებლები) მომხმარებელს ვთავაზობთ მხოლოდ მას, რაც მას თავად სურს. ის რომ მომხმარებელს შესაძლოა ამგვარი აბსოლიტური ძალაუფლება მიეწეროს და ეკონომიკური საქმიანობის ყველა შედეგისათვის დაეკისროს პასუხისმგებლობა, - რეალობას მოკლებულია.

- მომხმარებელს გააჩნია დიდი ინფორმაციული დეფიციტი. ბევრ საქონელს არა მხოლოდ ინსპექციის

თვისება აქვს,რაც ერთი შეხედვითაც საცნობია,არამედ ასევე – გამოცდილების და ნდობის თვისებებიც.11 ეს ნიშნავს: მოხმარებისას პირველად ვამჩნევთ პროდუქ-ტის სასურველ თვისებებს (მაგ., კარგი გემო ვაშლის შემთხვევაში), შესაბამისად, მომხმარებელმა შეიძლება ვერ მიიღოს უტყუარი ცნობები იმის შესახებ, შეესა-ბამება თუ არა სინმადვილეს მწარმოებლის დანაპირე-ბი. ის მრავალრიცხოვანი შტემპი თუ ბეჭედი,რომელიც ნაწილობრივ თითქმის ნებისმიერ მრეწველობასა და ვაჭრობაში გამოიყენება, მაინც ტოვებს არასაიმედოო-ბის გრძნობას მყიდველებში.

- ვერც ერთი მომხმარებელი იქნება საქმის გარე-მოებათა შესახებ ისე კარგად ინფორმირებული რომ სრული წარმოდგენა ჰქონდეს: წარმოებაში არსე-ბულ ტექნიკაზე, შესაბამისი ფირმის შრომის პირობე-ბზე, თანამშრომლეთა სტრუქტურაზე, მიმწოდებლის სტრუქტურაზე, ხელფასის სტრუქტურაზე, წარმოებით გამოწვეული გარემოს დაზიანებასა და შესაბამისად, გარემოსდაცვითი ინვესტიციების მოცულობაზე და ა.შ. მაშასადამე,საეჭვოა იმის მტკიცება,რომ მომხმარებელი ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებით ახდენდეს თავის შესყიდვებს და ასევე ყოველივე ამისთვის იყოს პასუხისმგებელი.
- მომხმარებლის ძალაუფლება დასაზღვრულია მისი შეზღუდული ბიუჯეტით (Budget-Restriction). მრავ-ალი ადამიანი ფინანსურად უძლურია მისთვის სას-ურველი უფრო ძვირფასი საქონლის შესაძენად (მაგ., ეკოლოგიურად წარმოებული სასურსათო პროდუქცია). აქტუალური ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო მეტ ადამიანს აიძულებს მომჭირნეობისაკენ. Otto Group-ის კვლევების თანახმად, ის რომ ახალგაზრდა მომხმარე-ბლებს 16-დან 27 წლამდე არ გააჩნიათ განსაკუთრებუ-ლად მძლავრი ინტერესი ეთიკური მოხმარების შესახ-ებ, შესაძლოა აიხსნებოდეს მათი მწირი ბიუჯეტითაც, რომელსაც ზოგადად ახალგაზრდობა ფლობს და

განკარგავს.

- გარდა ამისა, მიმწოდებელი სრულიად აქტიურ როლს თამაშობს მოთხოვნილებათა ფორმირებისას. ისეთი საყოველთაო მოთხოვნილებები, როგორიცაა საჭიროებანი ფართო მოხმარების <<გასართობ საქონელზე>>, მწარმოებლების მიერ ნივთდება კონკრეტულ პროდუქტებში. მაგალითად, ე.წ. playstation, LC - ტელევიზორი, კომპიუტერული თამაშები და ა.შ. კონკრეტიზაციის ეს პროცესი ამჟამად მიმდინარეობს მიმწოდებლის მიერ. დღეს მომხმარებელი თავისი მოხმარების თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი ტექნიკურ სფეროში არის ძლიერ პროფანი იმის განსჯისათვის, რომ მიმწოდებლებისათვის უკეთესი ალტერნატივების შეთავაზება შეეძლოს. მას არჩევანის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ წინადადებებს შორის რომლებსაც მწარმოებლები სთავაზობენ. მიმწოდებლის ინტერესშია საქონლის სწრაფი მოხმარება ანუ რეალიზაცია. მწარმოებლების მხრიდან მომხმარებლების მისამართით კვლავ და კვლავ ადგილი აქვს <<გასაღების სტრატეგიის>> შეგნებულ გამეორებას ტექნიკური და მორალური ცვეთის შესახებ. და ბოლოს, მიმწოდებლები ცდილობენ მარგეტინგის, კერძოდ კი რეკლამის საშუალებით მომხმარებლის ყიდვის ქცევებზე იქონიონ მასიური გავლენა. ამასთანავე, დასავლეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეკლამის დამდგენ სამართლებრივ რეგულაციებს, რადგან რეკლამასა და სარედაქციო ტექსტებს, მათ შორის ტელეპროგრამებს შორის საზღვრები იმდენად წაშლილია, რომ მსმენელი/მაყურებელი მეტად ვეღარ ამჩნევს კონკრეტულ შემთხვევაში საქმე აქვს სტანდარტულ ინფორმაციასთან თუ რეკლამასთან. მიუხედავად ამისა, ბუნებრივია მომხმარებელს მაინც გააჩნია თანაპასუხისმგებლობა ბაზრის შედეგებზე, განსაკუთრებით ძლიერი სუვერენული მომხმარებლის პოზიციაში.

2.1.2.1 მწარმოებლის ეთიკა

მომხმარებლის შეზღუდული პასუხისმგებლობის უნარიანობის საფუძველზე დაყრდნობით ასევე შესაძლებელია წარმოების მხრივ დაისვას კითხვა <<ეთიკური ინვესტიციების შესახებ>>12. მომხმარებლის ეთიკის შესაბამისად არსებობს წარმოების ეთიკა მეწარმის ეთიკით და მენეჯერის ეთიკით. პერსონების ნაცვლად ასევე შესაძლებელია მათი როგორც მეწარმის და მენეჯერის (ანუ პრინციპალისა და აგენტის) საქმიანობა <<საწარმოს მართვის ეთიკად>> იქნას წარმოდგენილი. აქ <<მართვის ეთიკის>> ქვეშ იგულისხმება მართველობითი ძალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საწარმოს მართვის სტილზე. მაგალითად, არჩევანი პროდუქტი – ბაზარი – სტრატეგიასა და წარმოების ეთიკას შორის. ნაწილობრივ, მართვის ეთიკა ასევე ვიწრო გაგებით შეიძლება როგორც პერსონალის მართვის ეთიკა ინტერპრეტირდეს. 13

მწარმოებლის მხარეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მმართველობითი ძალები (მენეჯერები), რადგან ისინი საკუთარი გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საწარმოს პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის თანამშრომლებს შრომითი ხელშეკრულებით ევალებათ დაკისრებულ მოვალეობათა (მათ შორის გადაწყვეტილებების) აღსრულება, გარკვეულ პირობებში ისინი მორალურად ვალდებულნი არიან უარი თქვან მსგავს მორჩილებაზე და მათი დამსაქმებლის არაეთიკური პრაქტიკის შემთხვევები <<Whistle Blowing>>-ის საშუალებით გახადონ საჯარო, რადგან არცერთი თანამშრომელია ვალდებული დაფაროს საწარმოს უკანონო საქმიანობა14. რასაკვირველია მათ არავითარ შემთხვევაში არ მოეთხოვებათ იმდენადვე დიდი პასუხისმგებლობა, როგორც მართველობით ძალებს (მენეჯერებს): უმეტესად საწარმოს მუშაკებს სრულიადაც არ შეუძლიათ განიხილონ გადაწყვეტილებათა არაეთიკური იმპლიკაციები.

როგორც წესი, მათ არ შესწევთ იმდენი ძალა, რომ რაიმე შეცვალონ და საწარმოში, რიგ გადაცდენათა გამოაშკარავებისას ხშირად ისინი დიდ პერსონალურ რისკსაც კი ეწევიან.

2.1.3.1. ინვესტორის ეთიკა

უკანასკნელ წლებში მოწოდებამ ინვესტორების ეთიკის შესახებ როგორც იქნა ხმამაღლა გაიჟღერა. საწარმოები ყოველთვის კაპიტალის, განსაკუთრებით საკუთარი კაპიტალის მაქსიმალურ ზრდაზე არიან ორიენტირებულნი და შესაბამისად ისინი, უპირველეს ყოვლისა კი სააქციო საზოგადოებები ცდილობენ გაამარტივონ საჭირო კაპიტალის შემოდინება. იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტორებს განსხვავებულ საინვესტიციო შესაძლებლობებს შორის უწევთ არჩევანის გაკეთება, საწარმოს პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია მიმზიდველი გარემოს შექმნა პოტენციური ინვესტორისათვის. თუ დავუშვებთ, რომ ინვესტორი იქცევა როგორც Homo Oeconomicus, მაშინ მისთვის პირველ რიგში განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ინვესტიციების გზით როგორ შეძლებს ის შემოსავლების სიტუაციის გაუმჯობესებას. მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობების შეფასებისათვის მისთვის გადამწყვეტ ნიშან-თვისებას წარმოადგენს კაპიტალუკუგების და რისკების სიდიდე. ის თუ რა გზით და ფორმით არის შესაძლებელი ფულის შოვნა (მაგ., იარაღის ვაჭრობით), ეს მას ნაკლებად აინტერესებს.

იმისათვის რომ საწარმომ შეძლოს საინვესტიციო კონკურენტულ სრბოლაში გამარჯვება, ის მოვალეა ინვესტორს შესთავაზოს სწორედ ის, რაც ამ უკანასკნელს სურს. აქ კი საინვესტიციო ეთიკა თითოეულ ინვესტორს მოუწოდებს გადაწყვეტილებების მიღებისას მხედველობაში იქონიოს არა მხოლოდ მონეტარული, არამედ არამონეტარული მხარეებიც და მიზნებიც. ევროპული მდგრადი ინვესტიციების ფორუმის (European Sustainable Investment Forum) უკანასკნელი კვლევების

თანახმად,15 მდგრადი და პასუხისმგებლობით აღსავსე ინვესტიციების მასშტაბები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც SRI (Sustainable and Responsible Investment) ბოლო წლებში საკმაოდ დამაჯერებლად არის გაზრდილი. ამასთანავე არსებობს მრავალი ეთიკური მიმართულების საინვესტიციო ფონდი, რომლებიც შეგნებულად მხოლოდ ეკოლოგიური და საზოგადოებრივი ნიშნით დეტერმინირებულ პროექტებს აფინანსებენ. მსგავსი დაფინანსებები მათთვის ნაკლებად კომერციული მნიშვნელობის მქონეა. ის რაც ეთიკურ ინვესტიციას წარმოადგენს, შესაძლოა სრულიად სხვადასხვა იყოს. საინვესტიციო შესაძლებლობათა შეფასების უხეშ ინსტრუქციად შეიძლება ფირმის საქმიანობების ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი – ESM ასპექტების (Environmental, Social and Governance – ESG) კვლევა იქნეს რეკომედირებული. ინვესტორს აინტერესებს მაგალითად განახლებადი ენერგიების მონაწილეობა (ე), შრომის პირობები (ს) და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული შიდა საწარმოო ღონისძიებები. (მმ) ასევე, ზოგიერთი ინვესტორი აპროტესტებს კაპიტალდაბანდებებს წარმოების გარკვეულ სფეროებში, მაგ., თამბაქოსა თუ შეიარაღების წარმოებაში. 2007 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოიწონა და მიიღო გაეროს პრინციპები პასუხისმგებლობის მქონე კაპიტალდაბანდებების შესახებ (UN Principles for responsible Investment)16, რათა მხარდაჭერა გამოეცხადებინა ეთიკური ინვესტიციებისათვის.

ამიტომ, ბიზნესეთიკის კონტექსტში ეკონომიკური აქტიორების ინდივიდუალურ ეთიკის გარდაუვალობა საყოველთაოდაა აღიარებული.17 ეთიკის ამგვარი აუცილებელობა ქმნის საწარმოსა და ინვესტორს შორის მორალურად პოზიტიური დამოკიდებულების წანამძღვარებს. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საყოველთაო კონსესუსის ფორმაში ასახული ერთიანობისა და თანხმობისათვის ამ ორ მხარეს შორის, გამორჩეუ-

ლად კი მეწარმეთა მხრივ <<მმართველობითი გადაწყვეტილებების მარტივი მორალიზება>>18 შეიძლება არ იყოს საკმარისი. გამომდინარე აქედან, ინდივიდუალური ეთიკა ყოველთვის ინსტიტუციონალურ-ეთიკური კუთხით უნდა იქნას მხარდაჭერილი.

ლიტერატურა:

1. Hans-Ulrich Küpper, Unternehmensethik, Hintergunde, Konzepte, Anwendungsbereiche, 2Auflage, Schäffer-Poeschel Verlag, Stutgart, 2011 S.31, DeGeorge, Richard T., Unternehmensethik, 1992: Unternehmensethik aus amerikanischer Sicht, in : Wirtschaft und Ethik, Hrsg., V. Hans Lenk Und Matthias Maring, Stuttgart, 1992, S. 302.
2. ვ.ხიზანიშვილი, დისერტაცია: ეკნომიკისა და ეთიკის დიალექტიკა გლობალიზებულ მსოფლიოში, თელავი, 2011, გვ 12
3. იხ. წყარო 1., გვ 31
4. W, Zimmerli , M. Assländer, Wirtschaftsethik, in : Julian , Nida –Rümelin (Hrsg): Angewandte Ethik, 2 Auflage, Stuttgart 2005, S. 322
5. Wilhelm Korff, Neue Dimensionen Der Bedürfnisethischen Frage, in: Korff, Wilhem (Hrsg): Handburch der Wirtschaftsethik , Bd1.: Verhältnisbestimmug von Wirtschaft und Ethik, Gütersloh, 1999,S. 31-59.
6. Ursula Hanson, Ulf Schrader, Zukunftsflähiger Konsum als Ziel der Wirtschaftstatigkeit, in: Korff, Wilhelm (Hrsg): Handbuch der Wirtschaftsethik, BD3: Ethik wirtschaftlichen Handelns, Gutersloh, 1999,S. 463-486
7. www.ottogroup.com/nachhafigkeitsbericht
8. Paul Ray, Ruth Anderson, Cultural Creatives, How 50 Million People are Changing the World, New York, 2000.
9. www.lohas.de
10. Ludvig von Mises, Human Action ,A Treatise on Economics, London,1949.

11. Klaus Peter Kaas, Anina Busch, Inspeksions-, Erfrahrungs- und Vertrauenseigenschaften von Produkten, in : Marketing, Zeitschrift für Forschung und Praxis, 18 Jg. , 1996, Heft 4, S. 243-252.

12. Wilhelm Korff, Neue Dimensionen der bedurfnisethischen Frage, in : Korff, Wilhelm (Hrsg.): Handburch der Wirtschaftsethik, Bd.1: Verhältnisbestimmung von Wirtschaft und Ethik, Gütersloh 1999, S. 42

13. Peter Ulrich, Führungsethik , in : Wilhelm Korff (Hrsg): Handbuch der Wirtschaftsethik, Bd. 4 : Ausgewälte Handlungsfelder, Gütersloh, 1999, S.230.

14. Klaus M. Leisinger, Unternehmensethik, Globale Verantwortung und modernes Management, München, 1997, S.. 130

15. www.euroif.org

16. www.unpri.org

17. Leisinger, Unternehmensethik, 141 ff; Enderle, Wirtschaftsefhik, S. 68; KarlHomann, Franz Blome- Dress, Wirtschafts- und Unternemensefhik als Beitrag zur Bildung mündiger Wirtschaftsbürger, Diskussionspapier Nr. 57 des Instituts für Wirtschaftsefhik der Hochschule St. Gallen, Juli 1993, S. 23

18. Peter Ulrich, Die neue Sachlichkeit oder: Wie Kann Die Undernehmensefhik betriebswirtschaftlich zur Sache kommen, in: Die Unternehmung, 41. 1987, S. 410.

§2.2. მეზო დონე

2.2.1. საწარმო როგორც მორალური აქტიორი?

ბიზნესეთიკის მეზო დონე ეხება სამეურნეო ორგანიზაციების მორალურ ქცევებს და სახელდობრ, უპირველეს ყოვლისა კერძო საკუთრებაში მყოფ ეკონომიკურ საწარმოებს, როგორც უმნიშვნელოვანეს სამეურნეო ორგანიზაციებს.1 <<მეზო დონე>> წარმოადგენს ეკონომიკური აქტიორების ინდივიდუალური ეთიკის მიკრო დონესა და საერთო ეკონომიკური ჩარჩო წესრიგის მაკრო დონეს შორის შემდგომი დაკვირვების დონეს. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ გთავაზობთ საწარმოს <<საშუალო პოზიტიურ>> საკამათო ინტერპრეტაციებს.

- ჯერ ერთი, საწარმოს მიკრო დონესთან მიმართებით შეიძლებოდა რელატიურად დიდი სიახლოვის დანახვა, ვიდრე ეს მხოლოდ სუბიექტის განსაკუთრებული სახე და მორალური აქტიორია.
- მეორეც, მაგრამ ასევე შესაძლებელია რომ საწარმო როგორც მასში მოქმედი ინდივიდების ჩარჩო წესრიგი მეტად გადანაცვლებულიყო მაკრო დონის სიახლოვეს. რის შედეგადაც საუბარი იქნებოდა არა საერთო ეკონომიკური, არამედ ცალკეული ეკონომიკური ჩარჩო-წესრიგის შესახებ.

პირველი შეხედულება, რომლის მიხედვითაც საწარმო თვითონ არის მორალური აქტიორი,2 ჯერ კიდევ ნამდვილად რჩება ძლიერ პრობლემატური. შეუძლიათ თუ არა ფირმებს გააჩნდეთ <<კეთილი ნება>>, ან <<მდარე სინდისი>>? შეუძლიათ თუ არა მათ <<დანაშაულის>> ან <<პასუხისმგებლობის>> საკუთარ თავზე აღება?

ეს კითხვები მიდრეკილია ურთიერთგაერთიანებისაკენ, ვინაიდან იმგვარი მოვლენები, როგორიც არის თავისუფალი ნება, სინდისი, დანაშაული, სინანული, თანაგრძნობა და <<მორალური უნარები>> საერთოდ,

მაინც სრულად ეხება ადამიანურ სუბიექტებს, პერსონებს. ე.ი. <<მორალური უნარები>> მაინც პერსონების სტატუსზეა დამოკიდებული.3 ასეთ შემთხვევაში არიან კი ფირმები პერსონები?

რა თქმა უნდა, ბიზნესეთიკის მიღმა ასევე არსებობს საწარმოს მრავალრიცხოვანი „პერსონიფიცირება>>.

- საწარმო სამართლიანად მიიჩნევა იურიდიული პირად (ფირმის) საკუთარი სახელით.
- მას პიროვნების მსგავსად შეუძლია ხელშეკრულების დადება, დავალებების მიცემა, შემოსავლების მიღება და გადასახადების გადახდა.
- საწარმოს აქვს საკუთარი იმიჯი და რეპუტაცია, რომელიც მისი ცალკეული წევრების იმიჯის და შესაბამისად რეპუტაციის იდენტური არ არის. მაშასადამე, საწარმოს, როგორც მთელის მიმართ არსებობს სტაბილური პასუხისმგებლობა მისსავე ქცევებზე.
- საწარმომ ანგარიში უნდა ჩააბაროს თავის ქცევაზე. <<Federal Sentencing Guidelines for Organizations>>-ის (1991) ძალაში შესვლის შემდეგ აშშ-ში კორპორაციული სისხლის სამართალიც კი მოქმედებს. ე.ი. არა მხოლოდ საწარმოს თანამშრომელი შეიძლება იქნეს სიცრუისათვის / თაღლითობისათვის, მოსყიდვისათვის/მექრთამეობისათვის, გარემოს დაბინძურებისთვის, ჯანმრთელობის დაზიანებისთვის და ა.შ. დადანაშაულებული, არამედ – თავად საწარმოც. გერმანიაში ამ დრომდე მიიჩნევა, რომ დანაშაულებრივი ქმედება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პერსონების და არა საწარმოთა მხრიდან. საწარმოს კორპორაციული პასუხისმგებლობა ამასთან დაკავშირებით სამართლებირვად უარყოფილია, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც კარტელურ შეთანხმებებთან და ზოგადად ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან მოდის წინააღმდეგობაში. ფულად ფორმაში გამოხატულ ამგვარ საჯარიმო სანქციებს ზოგიერთი იურისტი <<კვაზი – სისხლის სამართალსაც>> კი უწოდებს.

• საჯარო განცხადებების გაკეთებით საწარმოები ჩანან <<მეტყველნი>>.

• ასევე მათი საყოველთაო სიტყვათხმარება ხშირად პერსონიფიცირებს საწარმოებს, რაც საკმაოდ რეზონანსულ შემთხვევებს უკავშირდება. ასე მაგალითად, Hewlett Packard ახდენდა თანამშრომლების მასობრივ დათხოვნას სამსახურიდან, Apple იხდიდა სადემპინგო გასამრჯელოს (ხელფასს), Merck-მა დამალა Vioxx-ის რევმატიზმის სამკურნალო საშუალებების გვერდითი მოვლენები, Tchibo დაჯილდოვდა ბიზნესის ეთიკური წარმოებისათვის, Degussa მესამე რაიხის დროს ეწეოდა სამუშაოზე იძულებით მყოფ პირთა ექსპლუატაციას, Deutsche Bank სპეკულირდება სასურსათო პროდუქტებით, რითაც ხელს უწყობდა შიმშილს მსოფლიოში. აღნიშნულ განცხადებაში თავად კომპანიები მიიჩნევიან აქტიორებად.

იმ შემთხვევაში თუ საწარმო თავად არ მიიჩნევა აქტიორად, მაშინ საუბარი მის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე საკუთარი პერსონალის მიმართ ასევე აზრს მოკლებულია.4

2.2.2. პირობები საწარმოს მორალუნარიანობისათვის

მაშასადამე, იმისათვის რომ ვისაუბროთ საწარმოს პიროვნულობის შესახებ არსებობს კარგი საფუძვლები. მაგრამ იმავდროულად ასევე კარგი საფუძვლები არსებობს მის საპირისპიროდ.5 აბსურდია, მაგრამ წარმოდგენილი შედეგების ლოგიკით საწარმოს ასევე უნდა ეხებოდეს ადამიანის უფლებები, მაგ., საარჩევნო უფლებები და გააჩნდეს ზრუნვა – პასუხისმგებლობის აღების კონკრეტული შესაძლებლობები. იმისათვის რომ საწარმო იყოს <<მორალუნარიანი>>, სრულებითაც არ არის აუცილებები მისი <<პიროვნებად>> დეკლარირება. საწარმოს პასუხისმგებლობის რაციონალური გააზრებისათვის იკმარებს შემდეგი პირობებიან:

• საწარმო რეალური, სტაბილური იდენტურობით

უნდა წარმოადგენდეს საცნობ სუბიექტს, როგორც საკუთარ თავთან ისე სხვებთან მიმართებაში.

- საწარმოს როგორც სუბიექტს უნდა შეეძლოს <<ობიექტზე>> ზემოქმედების მოხდენა (კაუზალური დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის).
- საკუთარ გადაწყვეტილებების დროს საწარმოს უფლება აქვს სრულად არ იყოს დეტერმინირებული. ე.ი. საწარმოს ქცევის მიზეზი არა მხოლოდ მის გარეთ შეიძლება არსებობდეს. პირიქით, საწარმომ უნდა აჩვენოს შინაგანი სტრუქტურა, რაც განსაზღვრავს საკუთარ ქცევებს (ნება, განზრახულობა).
- ეს შინაგანი სტრუქტურა სუბიექტის ხელშეწყობით პრინციპულად თავად უნდა იყოს შეცვლადი. პიროვნების პარალელურად აქ შეიძლება ყოფილიყო ნების, განჭვრეტისა და სახელმძღვანელო უნარების თვითგამორკვევა, თვითშეგნება ან რეფლექსური შეგნება, სინდისი.
- საწარმომ უნდა აჩვენოს ჭეშმარიტი სოციალურობა (სოციალური მხარე), ე.ი. სხვებთან კონტაქტში შესვლის შესაძლებლობა. უნდა შეეძლოს პასუხისმგებლობის ადრესატებთან ურთიერთობის აგება (რელაციონალურობა) და მათი სურვილების შემჩნევა, დამუშავება, ასევე მათზე პასუხის გაცემა (კომუნიკაბელურობა)

2.2.3 საწარმო არის მორალუნარიანი

ყველა ეს პირობა შესაძლებელია შესრულებულად იქნეს ჩათვლილი. საწარმოს აქვს სტაბილური იდენტურობა. რომ არ იყოს საწარმო იდენტიფიცირებადი, მაშინ ასევე შეუძლებელი იქნებოდა მაგ., ისეთი რამ, როგორიცაა საწარმოს ანგარიში, შეფასება, შესყიდვა ან გადასახადებით დაბეგვრა, რადგან იმის ცოდნაც კი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ რასთან მიმართებაში შეიძლებოდა ყოფილიყო ანგარიში, ღირებულება, ფასი, გადასახადები. როგორც ე.წ. Corporate Identity – ღონისძიებები აჩვენებს, საწარმოები

განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ სხვა საწარმოთა განურჩეველ <<საწარმოს ზუსტ პიროვნულობას>>7. ეჭვგარეშეა საწარმოს ასევე შესწევს ძალა სხვებთან მიმართებაში იქონიოს ობიექტური გავლენა. საწარმოს მოქმედებები გავლენას ახდენს მაგ., საქონლით უზრუნველყოფა-მომარაგებაზე, დასაქმების მდგომარეობაზე, ჯანმრთელობაზე, ბუნებირვ გარემოზე, სახელმწიფო ფინანსებზე და ა.შ. და აქედან გამომდინარე ურიცხვ ადამიანთა ცხოვრების პირობებზე. ამას გარდა, საწარმოს გადაწყვეტილებები არ არის გარედან დეტერმინირებული. თუმცა საწარმოს გადაწყვეტილებებში გარედან გასათვალისწინებელია მრავალრიცხოვანი გავლენები გასაღების, ფინანსური თუ შრომითი ბაზრების, ასევე სასამართლოს განაჩენის, პოლიტიკის და სხვ. მხრიდან. მიუხედავად ამისა, საწარმოს მნიშვნელოვნად შეუძლია თავად გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: <<რისი გაკეთება გვსურს?>> და <<როგორ გვსურს ამის კეთება?>>. საწარმოს (თავისუფალი) გადაწყვეტილებების ანალიზი ცენტრალურ საკითხადაც კი ითვლება ბიზნესადმინისტრირებაში.8 სამართლის ფორმისა და ადგილმდებარეობის არჩევანით დაწყებული, პროდუქტი-ბაზარი-სტრატეგიების, კონკრეტული სტრატეგიების სტრუქტურული მოდელებისა და წარმოების მეთოდების არჩევანით გაგრძელებული, და ოპერატიული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებების სიუხვით დამთავრებული წარმოადგენს საწარმოს გადაწყვეტილებების ერთობლიობას. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ბიზნესსაქმიანობაში უპირველეს ყოვლისა მაინც სწორედ საწარმოს გადაწყვეტილებებზეა საუბარი შესაძლებელი, რადგან ინდივიდების პერსპექტივით – მაგალითად მმართველობითი ძალა (მენეჯერი) საწარმოს <<შიდა სტრუქტურის>> გადაწყვეტილებებს არსებითად განსაზღვრავს. ეს <<შიდა სტრუქტურა>> არ არის ორგანიზაციული სტრუქტურით შემოფარგლული. პირიქით, არსებობს უფრო მეტად ვრცელი ორ-

განიზაციის რეალობის მსაზღვრელი გადაწყვეტილება, რომელიც ასე ვთქვათ ადრეული გადაწყვეტილებათა სედიმენტს ასახავს.

ამ შიდა სტრუქტურას მიეკუთვნება სტრატეგიული გზები, რომლებიც მოიცავს არსებულ ტექნიკას, მანქანა-დანადგარებს და შენობა-ნაგებობებს, საწარმოს ქცევის ფორმებსა და მეთოდებს, პერსონალს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემებს; ოფისებს, სტიმულების სისტემებს, სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მზარდ კულტურულ ნორმებსა და ა.შ. როგორც საწარმოა ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოებით გარემოცული და მისით განიცდის გარკვეული სახის რესტრიქციებს, ასევე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს <<შიდა სტრუქტურა>> საწარმოს ცალკეულ ხელმძღვანელზე გადაწყვეტილებათა მიღებისას.

ამიტომ, შესაძლებელია ასევე სწორედ იმის შესახებ საუბარი, რომ საწარმო <<ინტენციონალურად>> მოქმედებს; მაგ., მაძიებლის სამსახურში აყვანის ან თანამშრომლის სამსახურიდან გათვაისუფლების, ბაზარზე შესვლისა თუ იქიდან უკან დახევის, გარემოს დაბინძურებისა თუ მოფრთხილების დროს და ა.შ. ცალკეულმა თანამშრომელმა შესაძლოა საჭიროდ ცნოს საწარმოსათვის იმგვარი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც როგორც <<კერძო პირი>> არ მოიწონებდა.

მაგრამ არსებული შიდა სტრუქტურა პირიქით თავად არის ინტენციონალურად შეცვლადი. სწორედ ეს შემთხვევაა ნაგულისხმები, როდესაც <<ორგანიზებულ სწავლებაზე>> არის საუბარი, განსაკუთრებით ე.წ. <<double–Loop Learning>>9-ის ფორმის დროს. როდესაც საწარმოს გადაწყვეტილებები და მოქმედებები ეკონომიკური ან მორალური კუთხით იქნებოდა არადამაკმაყოფილებელი, მაშინ double-Loop Learning-თან დაისმებოდა კითხვი იმის თაობაზე, თუ სავარაუდოდ რომელმა ჩარჩოპირობებმა გამოიწვიეს ამგვარი გადაწყვეტილებები და შესაბამისად მოქმედებები. კორექტურა იწყება

არა პირდაპირ ცალკეული გადაწყვეტილებებითა და მოქმედებებით (ეს იქნებოდა single Loop Learning), არამედ მმართველობითი ცვლადებით (governing variables), შესაბამისად შიდა სტრუქტურით, რომელიც სწორედ რომ ამ მოქმედებებს უწყობს ხელს. ორგანიზაციული სწავლება შიდა სტრუქტურის შეცვლაზეა დამოკიდებული.

ორგანიზაციული სწავლებისათვის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობებს ასახავს ინდივიდუალური სწავლება. იმისათვის, რომ განხორციელდეს შიდა სტრუქტურის ცვლილება,თავდაპირველად მიზეზთა განურჩევლად საჭიროა დადგინდეს საწაროს აქამდე არსებული რომელი <<outputs>> მიიჩნევა საკორექტუროდ. ციცაბი იერარქია, გადაწყვეტილებათა მძლავრი ცენტრალიზაცია, მკვეთრად გამოხატული შრომის დანაწილება, დაჯარიმება შეცდომების საჯაროდ გაცხადებისათვის, კოლეგებს შორის არსებული შიშისა და შეჯიბრის ატმოსფერო მაგალითად ის ჩარჩოპირობებია, რომლებიც ართულებს ინდივიდუალური სწავლების შემოტანას.10 ამ აზრით საწარმო ცხადია თავად შეიძლება იყოს განსხვავებული შემეცნებისა და შესწავლის უნარის მქონე. დაბოლოს, საწარმოს ასევე შეიძლება მიეკუთვნოს რელაციონარულობისა და კომუნიკაციის უნარი. ხშირად ურთიერთობათა მოვლის სპეციალიზირებული სააგენტოები და დეპარტამენტებიც კი არსებობს, მაგ., ისეთი როგორიც არის საზოგადოებასთან ურთიერთობის (Public Relations), მომხმარებლებთან ურთიერთობის (Customer Relations) ან ინვესტორებთან ურთიერთობის (Investor Relations) დაწესებულებები თუ განყოფილებები. საწარმოს რასაკვირველია ასევე ღიად შეუძლია ჰქონდეს ურთიერთობა როგორც ორგანიზაციის შიგნით საკუთარ თანამშრომლებთან, ისე გარესამყაროსთან. ის ინფორმირებს მომხმარებელს, ურთიერთობს მიმწოდებლებთან, თავს იცავს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ბრალდებათაგან,

გამოდის არსებული საზოგადოებრივი აზრის, გარკვეული პოლიტიკის მომხრედ ან მოწინააღმდეგედ. ცხადია, ადამიანებმა ღიად უნდა გამოთქვან საკუთარი აზრი კრიტიკულ ვითარებაში, მაგრამ როგორც წესი, სამწუხაროდ ხშირად ისინი მხოლოდ საწარმოს შეხედულებათა გამხმოვანებლად და მათ რუპორად გვევლინებიან. როგორი ძლიერი უნარიც არ უნდა გააჩნდეს საწარმოს შიდა თუ გარე სამყაროს სურვილთა აღსაქმელად და მათ მოთხოვნათა არსში ჩასაწვდომად, ის მაინც შიდა სტრუქტურის საკითხია. აქედან გამომდინარე, საწარმოს, როგორც პასუხისმგებლობის უნარის მქონე სუბიექტის სტატუსის მიკუთვნებისათვის ყველა პირობა შესრულებულია. საწარმოები, როგორც ინტენციონალურად მოქმედი სუბიექტები ზემოქმედებენ სხვებზე, რომლებთანაც ისინი ამით ახდენენ კომუნიცირებას. რადგან შიდა სტრუქტურა ასახავს საწარმოს კომუნიკაციის, შემეცნებისა და შესწავლის უნარებს და ინდივიდების გადაწყვეტილებები და ქმედებები საწარმოში მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას გადამწყვეტ გავლენასაც კი ახდენს, შიდა სტრუქტურა გადატანითი მნიშვნელობით საწარმოს სინდისს წარმოადგენს.11

2.2.4. ინდივიდების თანაპასუხისმგებლობა საწარმოში

არ შეიძლება საწარმოში მხოლოდ ცალკეულთა მორალისა და სინდისის იმედად დარჩენა, იმისათვის რომ საწარმო პასუხისმგებლობის შეგნებით იქცეოდეს. ასე რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა ინდივიდის მიმართ გადაჭარბებული მოთხოვნა, ვინაიდან ამ მხრივ ის მხოლოდ აგენტია ფირმის საქმიანობაში და მოქმედებს გაწერილი ინსტრუქციით. მაგრამ, ბუნებრივია ამ ურთიერთდამოკიდებულებაში კვლავ უნდა გაესვას ხაზი მას, რომ ეს თავისთავად არ შეიძლება ინდივიდუალურ ეთიკაზე უარის თქმას ნიშნავდეს. რამდენადაც ფირმა საერთოეკონომიკური ჩარჩო-წესრიგით არის დეტერმინირებული, იმდენად არის საწარმოს წევრი თავად

საწარმოს შიდა სტრუქტურით დეტერმინირებული. ცალკეულ ეკონომიკურ აქტიორს საწარმოში შეუძლია

- გადაამოწმოს არსებული შიდა სტრუქტურა, ისევე როგორც აქედან გამომდინარე გადაწყვეტილებები და მოქმედებები.
- მონაწილეობა მიიღოს კარგ შიდა სტრუქტურაში.
- შეგნებით (და არა ეკონომიკური ანგარიშით) დაემორჩილოს კარგ წესებს.
- სიცარიელე და ბუნდოვანება დაძლიოს ჩარჩო (ზღვრულ) პირობებში და
- როგორც <<ნოვატორმა>> მაღალი ეთიკური სტანდარტებით თავად მისცეს სხვებს მაგალითი გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებში.

ამასთან მიმართებით არსებობს საწარმოს პასუხისმგებლობის (CSR), როგორც მთლიანობის და ინდივიდების თანაპასუხისმგებლობის ორი რაციონალური მიდგომა, რომლებსაც შეთანხმებული მოქმედებები მართებთ. პროფ. გიდენსის მოსაზრებით შესაძლებელი იქნებოდა ამ ორი მიდგომის ერთ <<სტრუქტურის დუალიზმის>>12 კონცეპტად ფორმულირება. სტრუქტურის დუალიზმი ერთდროულად ინდივიდუალურ მოქმედებათა მედიუმს და რეზულტატს გულისხმობს. მაგალითისათვის, მოცემული იერარქიული დამოკიდებულების თანახმად ხელმძღვანელის მიერ გაცემულ მითითებებს / განკარგულებებს მოსდევს ხელქვეითის მიერ მისი (დაუყოვნებლივი) აღსრულება. ამ მხრივ სტრუქტურა არის გარკვეული ქცევის გადაცემის / ხელშეწყობის მედიუმი. იმავე დროს ხელქვეითის მორჩილება დაიყვანება მასზე, რომ <<ვირტუალური>> სუბორდინაციიდან, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ ქაღალდზეა, იძენს რეალური მართველობითი ურთიერთობის ფორმას. ამდენად, სტრუქტურა წარმოადგენს მოქმედებათა შედეგს. მას არავითარი ეფექტი აქვს იქამდე, ვიდრე არ მოხდება მისი მოქმედებაში განხორციელება.

კომპანიაში შიდა საწარმოო ჩარჩო წესრიგი (შემდგარი მაგალითად ორგანიზაციული სისტემებით,სტრატეგიებით,საინფორმაციო სისტემებით და ა.შ.) შეიძლება იქცეს მოქმედებათა მედიუმის მორალის ადგილად და ამ მიმართულებით ის აყალიბებს საწარმოს პასუხისმგებლობის სრულიად არსებით ასპექტს. მაგრამ იმავდროულად საწარმოში არიან ინდივიდები, რომლებიც ამ ჩარჩოწესრიგს მხოლოდ ქმედებაში რეპროდუცირებენ ან ავსებენ და ცვლილებები შეაქვთ მასში. არა ფორმალურ სტრუქტურას ეკისრება პასუხისმგებლობა, არამედ მხოლოდ საწარმოს <<ცოცხალ ურთიერთობათა სისტემას>>, რომელსაც ასევე ეკუთვნიან კონკრეტული ადამიანები საკუთარი როლით (საწარმოში), როგორც თანამშრომლები ან როგორც მართველობითი ძალები (მენეჯერები).13

ლიტერატურა:

1. Georges Enderle, Wirtschaftsethik im Werden., Stuttgart, 1988, S.56
2. Georges Enderle, Zur Grundlegung einer Unternehmensethik: das Unternehmen als moralischer Akteur, in: Homann, Karl (Hrsg.): Aktulle Probleme der Wirtschaftsethik, Berlin, 1992, S. 143-158; Peter A. French., The Coproration as a Marl Person, in: American Philosophical Quarterly, Vol. 16, 1979, S. 207-215; Kenneth E. Goodpaster; John B. Matthews, Können Unternehmen ein Gewissen haben? In: Harvard Manager, Unternehmensethik, Band 1, S. 9-18.
3. Joachim Fetzer, die Verantwortung der Unternehmung, Gütersloh, 2004, S. 124
4. Hans Jürgen Drumm, Personalwirtschaftslehre, 5 A., Berlin, 2005, S. 656
5. იხ. წყარო 3, გვ. 134
6. იხ. წყარო 3, გვ. 142
7. Robert Nieschlag, Erwin Dichtl, Hans Hörschgen, Mar-

keting, 18 A., Berlin, 1997, S. 609.

8. Hans-Ulrich Küpper, Arnold Picot, Gegenstand der Unternehmensethik, in: Korff, Wilhem (Hrsg.): Handbuch der Wirtschaftsetik. Bd. 3: Ethik wirtschaftlichen Handelns, Gütersloh 1999, S. 132

9. Chris Argyris, On Organizational Learnig, Cambridge Mass, Oxford 1994, P. 8

10. იხ. წყარო 9, გვ. 27

11. Kenneth E. Goodpaster, John B. Matthews, Können Unternehmen ein Gewissen haben? In: Harvard Manager, Unternehmensethik, Band 1, S. 9-18.

12. Anthony Giddens, Die Constitution der Gesellschaft, Grundzüge einer Theorie der Strukturierung, Frankfurt a.M. 1988, S. 430

13. იხ. წყარო 3, გვ 159

§2.3. მაკრო დონე

2.3.1. ეკონომიკურ ინსტიტუციათა ეთიკური შეფასება

არა მხოლოდ ეკონომიკური აქტიორები, არამედ ასევე ეკონომიკური საქმიანობის ინსტიტუციონალური ჩარჩოპირობები ექვემდებარება ეთიკურ შეფასებას და შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ მათი ზნეობრიობის ხარისხიც იყოს გაცილებით მაღალი ან დაბალი.

ეკონომიკური ინსტიტუციები ეს არის კომერციული ორგანიზაციები (ისეთები, როგორიც არიან მეწარმეები, ბითუმად ან ცალობით მოვაჭრენი და მყიდველები), რომლებიც აწარმოებენ, ანაწილებენ და იძენენ საქონელსა და მომსახურებას,1 და აქვე, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულებით ქმნიან სამართლით, მორალითა და მიზნით დეტერმინირებულ ქცევის ერთიან სისტემას, რომელიც ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ინსტიტუციები აყალიბებენ ქცევის გარეგან ჩარჩოებს ინდივიდების მოქმედებებისათვის. თუმცა საბოლოო ანგარიშით ისინი მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანებისაგან ხდება მათი როგორც გარე, მზა მოცემულობის ქმედებაში (ვალდებულებათა შესრულებისას) აქცეპტირება და რეპროდუცირება საკუთარ მოქმედებათა მართვის, შეზღუდვისა და გაკონტროლების დროს. ეს მართვა და კონტროლი ნაწილობრივ წარიმართება გაუცნობიერბლად. ეს ეხება საზოგადოებაში სოციალიზაციის პროცესში ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, გარკვეულ გაბატონებულ ღირებულებათა კონკრეტული გამოვლენის ფორმებს, როგორიც არის მაგ., მატერიალური ორიენტაცია, რომელიც საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია. გარდა ამისა მართვა ნაწილობრივ ასევე ცხადად შეიგრძნობა

და შეძლებისდაგვარად მხოლოდ სურვილის გარეშე აქცეპტირდება. ასე მაგალითად, გადასახადების გადახდა, წესების დაცვა და სხვ. შინაგანი მრწამსის, კონკრეტული ფასეულობების გარეშე, მხოლოდ სასჯელთა შიშით რეალიზდება.

ინსტიტუციები ინდივიდუალურ ქმედებებზე გავლენას ახდენენ იმით, რომ ისინი შესაძლო ღირებულებათა და მიზნების ჩარჩოებს წინასწარ ადგენენ.

ეკონომიკურ საქმიანობათა ინსტიტუციონალური ჩარჩოპირობების ეთიკური შეფასებისას გამოიყოფა ორი (ურთიერთდამოკიდებული) ასპექტი: I. შესაძლებელია დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს თავად ინსტიტუცია მაგალითად, განსაზღვრული ეთიკური პრინციპებისა (ადამიანური ღირსება, სამართლიანობა) და სასურველი მიზნების (მატერიალური კეთილდღეობა, თავისუფლება) თავსებადობის შემთხვევაში; II. შესაძლოა თუ არა იმ მასტიმულირებელი ეფექტების პრობლემატიზირება, რომლებიც ინსტიტუციათა ინდივიდუალური ქმედებებიდან, ისევე როგორც საზოგადოებისათვის მათგან წარმოებული შედეგებიდან გამომდინარეობს. აქ ორივე ასპექტის შესწავლა ხდება საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციებთან მიმართებაში.

2.3.2 საბაზრო ეკონომიკის უპირატესობანი და პრობლემები

მაკრო დონეზე ბიზნესეთიკის ცენტრალური საკითხია ის, თუ ეკონომიკის რომელი ტიპი (საბაზრო ან გეგმური ეკონომიკა) შეიძლება იყოს უმჯობესი. ითვლება რა, რომ ეკონომიკის არსსა და მიზანს ადამიანთა საქონლით უზრუნველყოფა წარმოადგენს, გამომდინარე აქედან ეკონომიკური წესრიგის (წყობის) საბაზრო ეკონომიკურ ტიპს და მასთან კავშირში მყოფ კერძო საკუთრებასა და ხელშეკრულებითი თავისუფლების ბაზარზე დაფუძნებულ ინსტიტუციებს ეკონომიკური წესრიგის (წყობის) გეგმური ეკონომიკის ტიპთან

მიმართებით გააჩნია <<მორალური> უპირატესობანი, რადგან ის ზნეობრივად მისაღებ კარგ მიზანს (სათანადო კეთილდღეობა, როგორც საშუალება კარგი ცხოვრებისათვის) უკეთ ასრულებს. პაპი იოანე პავლე თავის სოციალურ ენციკლიკაში <<Centesimus annus>> განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ამგვარ პოზიტიურ ეფექტებზე.2 საბაზრო ეკონომიკა ასევე უმჯობესად ითვლება იმიტომ, რომ ის საკმაოდ დიდი ზომით უშვებს ცენტრალური ინდივიდუალური თავისუფლების უფლების არსებობას.3 ამასთან, შეიძლებოდა სამართლიანად მიჩნეულიყო ბაზრის შედეგები, რადგან საბაზრო ეკონომიკა კონკურენციაში მისაღები შანსების თანასწორობისას ბოლოს და ბოლოს საქონლის სამართლიან განაწილებას უწყობს ხელს.

ბაზრიდან გამომავალი სტიმულები ითვლება პრიმიტიულად. მოგების ინტერესთან კავშირში კონკურენციამ უნდა შეძლოს განსაკუთრებით ინოვაციურ, კლიენტთათვის ხელსაყრელ და არაძვირადღირებულ საქონლისა და მომსახურების არსებობა იმავდროული მწირი რესურსების მომჭირნე გამოყენების პირობებში.

აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკა უწინარესად ეკონომისტების მიერ ხასიათდება საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირებულად, მორალურად, სოციალურად და განსაკუთრებით, - სოლიდარულად.4

ძლიერ პოზიტიური შეფასებისას, საბაზრო ეკონომიკური ჩარჩო-წესრიგი რა თქმა უნდა ხშირად ექვემდებარება შემდეგ ინსტიტუციონალურ, განსაკუთრებით კი სამართლებრივ ჩარჩო-პირობებს, რომლებიც თავისუფალი ბაზრის პოტენციურ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, ე.წ. ბაზრის წარუმატებლობას ზღუდავენ. ასე მაგალითად:

- ანტიტრესტული კანონმდებლობა იძლევა კონკურენციის შენარჩუნების შესაძლებლბას ხანგრძლივი დროით,რადგან ბაზრის ლოგიკა მიმწოდებლებისათვის მიმზიდველს ხდის მონოპოლიისაკენ სწრაფვას

და აქედან აღმოცენებულ ძალაუფლებას მომხმარებლის ექსპლოატაციისათვის.

- იკრძალება გარკვეული საქონლით (ნარკოტიკი, იარაღი და სხვ.) ვაჭრობა რადგან ის ასტიმულირებს ბაზარს დააკმაყოფილოს ნებისმიერი მოთხოვნა.
- იბლოკება ეკო-რესურსების უსინდისო ექსპლოატაცია, რომლებიც ბევრგან თავისუფალი გაყიდვის საქონლად მიიჩნევა.
- ასევე ეხება იმ ადამიანების საარსებო მინიმუმებით უზრუნველყოფას, რომელთაც არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ბაზარზე, რადგან ისინი შეზღუდული შესაძლებლობების გამო არიან შრომის უუნარონი.
- ძლიერდება მომხმარებლის პოზიცია მაგალითად, მიმწოდებლის გარკვეული საინფორმაციო ვალდებულებებით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს არსებული საინფორმაციო ასიმეტრიის ნეგატიური ეფექტების გამოვლინებას მომხმარებელთან მიმართებაში.
- ხელისუფლების (ძალაუფლების) ასიმეტრიულობის პრობლემა იხსნება განსაკუთრებით შრომის ბაზარზე განსაზღვრული დაცვითი დადგენილების საშუალებით.

დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში დღეს არსებული უმეტესი „თავისუფალი" საბაზრო ეკონომიკები სახელმიწფოებრივად არ არის ძლიერ რეგლამენტირებული, რადგან სასურველი შედეგის მიღწევა ასევე შესაძლებელია მხოლოდ ბაზრის ჩართულობით სხვადასხვა ინსტიტუციის მხრიდან შემუშავებულ სისტემაში.

2.3.3 უბიძგებს თუ არა უზნეობისაკენ ბაზარი?

ამგვარ შეხედულებათა გათვალისწინებით ბაზრის მრავალრიცხოვანი ფლანგური ღონისძიება მიიჩნევა საჭიროდ, რადგან კონკურენცია მიმწოდებლებს

ბაზარზე <<გაკოტრების სასჯელით>> აიძულებს საკუთარი მოგების მაქსიმიზირებას ეთიკურად საეჭვო საშუალებების დახმარებითაც კი. ასეთ შემთხვევაში, მიიღებდა რა ერთი კონკურენტი უზნეო მოქმედებით ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ სხვა დანარჩენი კონკურენტები იძულებულნი გახდებოდნენ მყისვე ამ ცუდი მაგალითით ეხელმძღვანელათ და მსგავსად მოქცეულიყვნენ, რათა თავიდან აერიდებინათ მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალი. მიმწოდებლებს ეკონომიკურ კონკურენციაში შეუძლიათ (და ვალდებულნიც არიან) არ შეურიგდნენ მოგების დანაკარგებს, თუკი არ სურთ მათ რისკის ქვეშ დააყენონ კომპანიის შემდგომი არსებობა. ამ მიზეზით, ნაწილობრივ ეკონომიკური აქტიორების, განსაკუთრებით მეწარმეთა და მენეჯერების ინდივიდუალური მორალი, როგორც საწარმოთა ხელმძღვანელების თვისებებში მყოფის, – ითვლება შეუძლებლად და მორალი მხოლოდ და მხოლოდ, და ისიც მუდამ სისტემური ფორმით ჩარჩო-წესრიგის თამაშის წესებში, უპირველს ყოვლისა კანონმდებლობაში პოულობს ადგილს.5 ეს თამაშის წესები წარმოადგენს თანაბარზომიერად სავალდებულოს ყველა მიმწოდებლისათვის შესასრულებლად, ასე რომ ეკონომიკურ, გამორჩეულად კი მორალურად მოქმედ ეკონომიკურ აქტიორთა ექსპლოატაცია ხდება შეუძლებელი.

ასეთ ვითარებაში ნამდვილად შეიძლება დაეჭვება: მოქმედებს თუ არა მიმწოდებლის მორალური ქმედებები <<საჭირო ეფექტიანობის ხარჯზე>> და მაშინ ჩნდება თუ არა მყის ეკონომიკური კრახის რეალური საშიშროება. როგორც წესი, საწარმოებს ასევე ძალიან კარგად შეუძლიათ სარგებლის (მოგების) <<მაქსიმუმის>> ქვევით არსებობა, რადგან თავად მორალური მოსაზრებებით გამოწვეული მოგების დანაკარგები ნორმალურ შემთხვევაში პირდაპირ ჯერ კიდევ არ ახდენს საწარმოს ფუნქციონირებაზე „დამღუპველ" ზემოქმედებას. გარდა ამისა, ასევე მუდამ არსებობს შესაძლებლობა,

რომ სწორედ მორალური ქმედება ხდება კონკურენციულ ჭრილში მომგებიანი, როდესაც მომხმარებლები ან ინვესტორები ეთიკურ ასპექტებს საკუთარი ყიდვის თუ ინვესტიციის გადაწყვეტილების დროს ითვალისწინებენ.

მაგრამ ასევე, როცა შეუძლებელია უეჭველი მტკიცება იმის, რომ ეთიკურად უმწიკლო ქმედება ავტომატურად იწვევს ეკონომიკურ კრახს, უნდა დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რასთან გვაქვს საქმე როცა ეს შემთხვევა ხდება?

მაგალითი: თუ გარკვეულ გარემოებათა გათვალისწინებით მწარმოებელი თავს ვალდებულად თვლის კაკაოს მიმწოდებლებს ნედლეულისათვის საბაზრო ფასს ზევით ე.წ. faire price გადაუხადოს, ბუნებრივია ეს საგემოვნო თვისებების შეუცვლელად გააძვირებს საბოლოო პროდუქტის ფასს. შემდეგ კი თუ დავუშვებთ, რომ მომხმარებელი საკუთარი მოხმარების გადაწყვეტილების დროს ორიენტირებული იქნება ფასზე და მსგავსი საგემოვნო თვისებების მქონე იაფ შოკოლადს შეიძენს, მაშინ სავარაუდოდ, პატიოსანი მეწარმე გაყიდვების (ბრუნვის) და მოგების მნიშვნელოვანი დანაკარგებით შესაძლოა დიდი ალბათობით ბაზრიდანაც კი იქნეს გამოძევებული.

ეს არის ეკონომიკური დილემის იდეალურ-ტიპური სიტუაცია, რომლეშიც მორალი და ეკონომიკური წარმატება ნეგატიურად კორელირებს. ამგვარ მოცემულობაში არის კი მწარმოებელი მიმწოდებლების წინაშე კვლავინდებურად Fairess ფორმატში ვალდებული? საზოგადოდ შეიძლება დაისვას კითხვა: რა ხდება იმგვარ სიტუაციაში, რომლეშიც მორალური მოქმედებები თვითინტერესებს კვეთს?

მორალის ეკონომისტებისათვის ეთიკურ ნორმათა დაცვის / შენარჩუნების სრულიად არავითარი ვალდებულება არსებობს იმ წამიდან, რა დროიდანაც ის ეკონომიკურ ნაკლოვანებებს უკავშირდება. ვინაიდან

ბაზარი მიმწოდებლებს არამორალურ მოქმედებისაკენ აიძულებს, ცალკეული მიმწოდებელი მოვალეობათა ეკონომიკით გამართლებულია მორალურად იმოქმედოს იქამდე, ვიდრე სხვა მიმწდებელი სწორედ ამ დამოკიდებულებას საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისათვის გამოყენებას შეძლებს.

არა ეთიკურ ნორმათა საფუძვლიანობის, არამედ მათი განხორციელებადობის თვალსაზრისით არის საინტერესო მორალსა და ბაზრის წარმატებას შორის არსებული დილემა-სიტუაციის შეძლებისდაგვარად თავიდან არიდება.

2.3.4. სახელმწიფო ჩარჩო-წესრიგი

ეკონომიკური დილემის გადაწყვეტა შესაძლებელია ჩარჩო-წესრიგის ცვლილებებით.

სიტუაცია ისე უნდა შეიცვალოს, რომ სამართლიანად და სავალდებულოდ აღიარებული ქმედებათა ფორმები მიმზიდველი იყოს და შესაბამისად, მათგან გადაცდომები კი – არამიმზიდველი.

ეს შესაძლებელია ასევე სადაგადასახადო და საფინანსო პოლიტიკის დახმარებით განხორციელდეს, რათა გარკვეული სასურველი ქმედებათა ფორმები ამ კუთხით იქნას წახალისებული, ან მოხდეს სუბსიდიების შემცირება/გაუქმება, რომლებიც აქამდე ასტიმულირებენ სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენებს (მაგ., გარემოს დაბინძურებას და სხვ.). ამგვარ ღონისძიებათა მიღმა არსებული მთავარი იდეა ყოველთვის მდგომარეობს მასში, რომ ინსტიტუციურმა ჩარჩო-პირობებმა ხელი შეუწყოს გარკვეულ ქმედებებს, რადგან ისინი ეკონომიკურ სარგებელთან კავშირში იმყოფებიან, და ეკონომიკურ აქტიორთა მხრიდან წარმოუდგენელია ამ სტიმულირების იგნორირება. ამიტომ, პოლიტიკოსები მსგავსი ჩარჩო-პირობების დადგენისას გულისყურით უნდა მოეკიდონ ადამიანთა ეკონომიკურ ინტერესებს, რათა მათ ქცევებს მიზნობრივი სწორი მიმართულების მიცემაში დაეხმარონ.

2.3.5 ზესახელმწიფო ჩარჩო-წესრიგი

ასეთი ინსტიტუციონალური-ეთიკური მოსაზრებები დღეს შიდასახელმწიფო დონიდან ზესახელმწიფო დონემდე უნდა განივრცოს.

არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებობს მიმწოდებლებს შორის კონკურენცია, არამედ ასევე უფრო და უფრო მეტი – ქვეყნებს შორის კონკურენცია კომპანიათა მოზიდვისა და მასთან დაკავშირებულ სამუშაო ადგილებსა და საგადასახადო გადასახდელებთან მიმართებაში.

ეკონომიკური დილემის არგუმენტაცია მეორდება დაკვირვების სხვა სიბრტყეზე: როდესაც ცალკეული საწარმოები ქვეყნებში თავს არიდებენ გარემოსა თუ შრომის დაცვის, თუ შრომის პატიოსანი ანაზღაურების საკითხებს და მათ არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, შედეგად გარემოებისდა მიხედვით ისინი იღებენ ეკონომიკურ პრობლემებს, რაც დაუშვებლად ითვლება. ამის გამო ხდება სულ უფრო მეტი სამუშაო ადგილის „ექსპორტირება", რაც ბოლოს და ბოლოს იწვევს მთლიანი სახალხო მეურნეობისა და პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსების შევიწროებას. მთელი ქვეყანა აღმოჩნდება რა ეკონომიკური დილემის წინაშე, ისმება კითხვა თუ რამდენად შეუძლია მას მიჰყვეს მართებულად აღიარებულ ქმედებათა (მაგ., გარემოს დაცვის) ფორმებს.

შეგუება ე.წ. <<race to the bottom>>-თან არის საშიში.

მაგალითი: პაკისტანის ტექსტილის ფაბრიკაში გამანადგურებელი ხანძრის შემდეგ, რასაც 250-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, პაკისტანის ტექსტილის საზოგადოებამ, რომლესაც რასაკვირველია პირველ რიგში მართებდა სამართლიანი პოზიციის დაკავება მომხდართან დაკავშირებით უკმარი უსაფრთხოების, ცუდი შრომითი პირობებისა და დაბალი ხელფასების პრობლემათა წინ წამოწევის ნაცვლად, პარალელი გაავლო ბანგლადეშის ანალოგიური ტექსტილის წარმოების კიდევ უფრო ცუდ პირობებთან, და მი-

იჩნია, რომ პაკისტანის წამყვან დარგს ამ გარემოებათა გამო არ უნდა მიდგომოდა ზიანი, ვიდრე ის დასავლურ სტანდარტს მიაღწევდა.

განვითარებულ ქვეყნებში არსებული სტანდარტის ღარიბ ქვეყნებში გადმოსატანად არსებობს საუკეთესო ოპციონი, რაც საერთაშორისო ჩარჩო-პირობებს ბიზნეს-ეთიკის მაკრო დონეზე გახდის სავალდებულოს. ამ შემთხვევაში ეს შეიძლება ყოფილიყო მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. მხოლოდ ამ დონეზეა ასევე შესაძლებელი ქვეყნებს შორის არსებული მატერიალური სიკეთის სამართლიანი განაწილების პრობლემის გადაწყვეტა.6 გლობალური სტანდარტის განმახორციელებლად ნაწილობრივ სწორედ მულტინაციონალური კორპორაციები, როგორც გლობალური მოთამაშენი (Global Player) გვევლინებიან განსაკუთრებით შესაფერის ინსტიტუციებად. მაშასადამე, მაშინ როდესაც არსებული მოცემულობა საწარმოსაგან კორპორაციულ მოქალაქეობას (Corporate Citizenship) ანუ საზოგადოებრივ ჩართულობას ითხოვს, ეს სწორედ რომ მულტინაციონალური კორპორაციების აქტიურ პოლიტიკურ როლზე მიანიშნებს.

ლიტერატურა:

1. What are economic institutions? definition and meaning. www.businessdictionary. com/definition/economic-institutions. html

2. Reinhard Marx, Helge Wulsdorf, Christliche Sozialithik, Paderbon, 2002, S. 291

3. Bruno Molitor, Wirtschaftsethik, München, 1989, S. 70

4. Bruno Molitor [Wirtschaftscthik] 73; Homann/Blome-Dress [Unternehmensethik] 26, 49

5. იხ. Homann/Blome-Dress [Unternehmensethik] 34, 35

6. Arthur Rich, Wirtschaftsefhik II, Marktwirtschaft, Planwirtschaft, Weltwirtschaft aus sozialethischer Sicht, 1. A., Gütersloh, 1990, S. 345

თავი 3. ბიზნესის ეთიკის თეორიები

ბიზნესის ეთიკა შეიძლება დიფერენცირდეს ორ ფართო მიმართულებად. პირველი ეს არის<<ნორმატიული ბიზნესის ეთიკა>>, რომელიც უმთავრესად ეფუძნება ფილოსოფიურ მსჯელობას და ცდილობს ჩაწვდეს თუ რა არის მორალურად სწორი ან არასწორი მოქმედებათა მსვლელობის სპეციფიკურ სიტუაციებში. მეორე ეს არის <<დესკრიფციული (პოზიტიური) ბიზნესის ეთიკა>>, რომელიც უმთავრესად ეფუძნება ფსიქოლოგიურ და ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს და ცდილობს გაერკვეს თუ როგორ ხდება სინამდვილეში ეთიკურ გადაწყვეტილებათა მიღება ბიზნესში, და რა ახდენს გავლენას ამ გადაწყვეტილების პროცესებსა და შედეგებზე.1 აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ნორმატიული და დესკრიფციული ეთიკური თეორიების ორი ინტენცია: პირველი, რომელიც მიეკუთვნება ნორმატიულს თუ რა უნდა გააკეთონ საქმიანმა ადამიანებმა, და მეორე, რომელიც მიეკუთვნება დესკრიფციულს – რას აკეთებენ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, რატომ აკეთებენ მას სინამდვილეში ეს საქმიანი ადამიანები.

§3.1. ნორმატიული ეთიკური თეორია

ნორმატიულში იგულისხმება ეთიკური თეორიები რომლებიც ცდილობს გვიჩვენოს მოქმედების მორალურად კორექტული ფორმა. ე.ი. ეთიკური თეორიები არის წესებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს სწორსა და არასწორს ყოველ მოცემულ სიტუაციაში.

ნორმატიული ეთიკური თეორიები იყოფა ტრადიციულ და თანამედროვე ეთიკურ თეორიებად.

ტრადიციული ეთიკური თეორიები

ტრადიციული ეთიკური თეორიები ჩვეულებრივ

გვთავაზობენ გარკვეულ წესებსა და პრინციპებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში. ეს თეორიები ძირითადად დიფერენცირდება ორი ჯგუფის სახით (იხ. ნახ. 1)



ნახ. 1 კონსეკვენციალისტური და არაკონსეკვენციალისტური თეორიები ბიზნესის ეთიკაში

ნახ. 1-ის მარჯვენა მხარეს ჩვენ გვაქვს თეორიები, რომლებიც მორალურ განსჯას აფუძნებენ განსაზღვრულ ქმედებათა შედეგებზე. თუ ეს შედეგები არის სასურველი, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მოქმედება/მოქმედებები მორალურად სწორია. თუ მოქმედებათა შედეგები არის არასურველი მოქმედება/მოქმედებები მორალურად არასწორია. ამგვარად, მორალური განსჯა კონსეკვენციალისტურ თეორიებში არის დაფუძნებული მოქმედებათა სავარაუდო მიზნებსა და შედეგებზე. კონსეკვენციალისტური ეთიკა ხშირად ასევე აღინიშნება ტერმინით <<ტელეოლიგიური>>, რაც წარმოდგება ბერძნულიდან და აღნიშნავს <<მიზანს>>.

მეორე მხრივ ჩვენ გვაქვს ის თეორიები, რომლებიც მორალურ მსჯელობას გადაწყვეტილებათა მიმღების მოტივაციის ძირითად პრინციპებზე აფუძნებენ. ეს არაკონსეკვენციალისტური მიდგომები ძლიერ მჭიდროდ

არის დაკავშირებული იუდაისტურ-ქრისტიანულ აზროვნებასთან და იწყება ცალკეულ პიროვნებათა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ არგუმენტაციით. აღნიშნულ ფილოსოფიურ თეორიებს ასევე ეწოდება <<დეონტოლოგიური>>, რაც ბერძნულიდან <<მოვალეობას>> ნიშნავს.

ქვემოთ შესაძლებლობა გვექნება ახლოს გავეცნოთ ფილოსოფიური თეორიების ორივე მიმართულებას. ნახატი 2. გვთავაზობს შესაბამისი ფილოსოფიური სკოლებისა და მათი აზროვნების ძირითადი ელემენტების მოკლე მიმოხილვას.

	ეგოიზმი	უტილიტარიზმი	მოვალეობათა ეთიკა	უფლებები და სამართლიანობა
კონტირბუტორები	ადამ სმიტი	ივრემია ბენტამი ჯონ სტიუარტ მილი	იმანუელ კანტი	ჯონ ლოკი ჯონ როულსი
ფოკუსი	ინდივიდუალური სურვილები თუ ინტერესები	კოლექტიური კეთილდღეობა	მოვალეობები	უფლებები
წესები	სურვილების/ პირადი ინტერესების მაქსიმიზაცია	უტილიტარიზმის აქტი/ წესი	კატეგორიული იმპერატივი	ადამიანის პატივისცემა
ადამიანის კონცეპტი	ადამიანი არის აქტიორი, შეზღუდული ცოდნითა და მიზნებით	ადამიანი არის მართული ტკივილის არიდებათა და სიამოვნების მიღებით (ჰედონისტი)	ადამიანი არის რაციონალური მორალური აქტიორი	ადამიანი არის არსება, რომელიც განირჩევა ღირსებით
ტიპი	კონსეკვენციალისტი	კონსეკვენციალისტი	არაკონსეკვენციალისტი	არაკონსეკვენციალისტი

ნახატი 2. ძირითადი ნორმატიული თეორიები ბიზნესის ეთიკაში

კონსეკვენციალისტური თეორიები

კონსეკვენციალისტური თეორიები ძირითადად ცნობილია როგორც:

- ეგოიზმი
- უტილიტარიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიათაგან ორივე ეხება გადაწყვეტილების შედეგების მიხედვით სწორისა და არასწორის საკითხებს, მათ შედეგებთან მაინც განსხვავებული შემხებლობა გააჩნიათ. კერძოდ, ეგოიზმი ფოკუსირდება გადაწყვეტილების მიმღების შედეგებზე, ხოლო უტილიტარიზმი – საზოგადოების (თემის) ფარგლებში არსებულ ფართო სოციალურ შედეგებზე.

ეგოიზმი. ეგოიზმი ერთ-ერთი უძველესი ფილოსოფიური ცნებაა, რომელიც უკვე კარგად ცნობილი და განსჯის საგანი იყო ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფოსებთან, უპირველესად პლატონთან. უკასკნელ სამ საუკუნეში მან საკმაო გავლენა შეიძინა თანამედროვე ეკონომიკაში, განსაკუთრებით ადამ სმიტის ლიბერალური ეკონომიკის მონახაზში. ეგოიზმი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ეგოიზმის თეორიის მიხედვით მოქმედება მორალურად სწორია, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები თავისუფლად იღებს გადაწყვეტილებას იმისათვის, რომ მიჰყვეს როგორც მოკლევადიან სურვილებს, ისე გრძელვადიან ინტერესებს.

ეგოიზმის გამართლება ემყარება ადამიანის ფუძემდებელ პრინციპს: ვინაიდან ადამაინი შეზღუდულია საკუთარ მოქმედებათა შედეგების განჭვრეტაში, ამიტომ კარგი ცხოვრების მისაღწევ სათანადო სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სურვილებისა და ინტერესების მიყოლა. ადამ სმიტის აზრით ეკონომიკურ სისტემაში ინდივიდუალური პირადი ინტერესის ამგვარი მიყოლა მისაღებია, რადგან ის ბაზრის <<უხილავი ხელით>> საზოგადოებისათვის აწარმოებს მორალურად სასურველ შედეგს. მაშასადამე, მორალური შედეგის, როგორც სისტემის საბოლოო პროდუქტის მიღება ეფუძნება თავისუფალ კონკურენციასა და კარგ ინფორმაციას. მაგალითად, თუ მეწარმე ქმნის და ყიდის უვარგის

პროდუქტს, მომხმარებლისათვის, რომელიც ყიდულობს მის საქონელს, ყიდვა-გაყიდვის მხოლოდ დროის ეს მოკლე მონაკვეთი იქნება ერთი მხრივ მეწარმისათვის მისაღები და მომხმარებლისათვის მიუღებელი. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, მომხმარებლის მიერ ალტერნატიული ვარიანტების გაცნობის შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ აღნიშნული მეწარმის პროდუქციის წარმოება-გასაღებასაც გარდაუვლად შეექმნება მძიმე პრობლემები, როგორც კი მომხმარებელი გადაინაცვლებს სხვა მწარმოებლისაკენ. ამიტომ, მეწარმე პირადი ინტერესის გამო შეეცდება მოერიდოს არასრულფასოვანი, უვარგისი პროდუქტის წარმოებას. ასე რომ იქმნება სიტუაცია, რომელიც ორივე მხარისათვის ხელსაყრელია. სწორედ ამ ნიშნით, აწარმოოს ფართო სოციალური სარგებელი – საცნობი ხდება გარკვეული კავშირის არსებობა ეგოისტურ პრაქტიკებსა და უტილიტარულ შედეგებს შორის.

ადამ სმიტის აზრით ეს მექანიზმი არის ბაზარი. თუმცა,მიუხადავად იმისა,რომ უმეტეს შემთხვევაში ბაზარი ბრწყინვალედ მუშაობს, არსებობს მრავალი სიტუაცია როდესაც ეგოიზმი ცალკეულ აქტიორს აყენებს არახელსაყრელი შედეგის წინაშე. მიმდინარე ანტი-გლობალიზაციის მოძრაობა დიდწილად განპირობებულია სწორედ იმ გარემოებით რომ გლობალურ დონეზე ბაზრები სრულყოფილად არ ფუნქციონირებს და რომ ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სიმდიდრის აშკარად უთანაბრო განაწილებისა. აქ ასევე შეიძლება მოტანილ იქნეს მდგრადი განვითარების თანმხლები პრობლემებიც: დღევანდელი არსებული რესურსების უმოწყალოდ გამოლევის მსხვერპლს წარმოადგენს მომავლის გენერაცია, რომელიც ჯერ კიდევ არ იღებს მონაწილეობას ბაზრის ნებისმიერ სახეობაში. ყოველივე ეს ნათლად აჩვენებს ეგოიზმის თეორიის გარკვეულ პირველდაწყებით ლიმიტაციებს.

უტილიტარიზმი. უტილიტარიზმის ფილოსოფია

ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყოველთაოდ მისაღები ეთიკური თეორია იყო ანგლო-საქსურ სამყაროში. ის უკავშირდება ბრიტანელი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის იერემია ბენტამისა და ჯონ სტიუარტ მილის სახელებს და რომელმაც ზოგადად დიდი გავლენა იქონიეს მთელ თანამედროვე ეკონიმიკაზე. უტილიტარიზმის ძირითადი პრინციპი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

უტილიტარიზმის თანახმად მოქმედება არის მორალურად სწორი, როდესაც მას შედეგად მოაქვს მეტი სიკეთე უფრო მეტი ადამიანისთვის,(ვიდრე ამ მოქმედებათა შედეგად დაზარალებულია).

ეს პრინციპი ასევე იწოდება უდიდესი ბედნიერების პრინციპად, და წარმოადგენს საბოლოო კონსეკვენციალისტურ პრინციპს, რამდენადაც ის ფოკუსირებს მარტოდენ მოქმედებათა შედეგებზე, კარგი და ცუდი შედეგების ურთიერთშედარებაზე, და საბოლოოდ სტიმულს აძლევს იმგვარ მოქმედებებს, რასაც მოაქვს მეტი სიკეთე ყველა ადამიანისთვის. ეგოიზმისაგან განსხვავებით, მისი მზერა მიმართულია არა მხოლოდ თითოეული პიროვნებისაკენ კითხვით – სრულდება თუ არა მათი ინდივიდუალური სურვილები თუ ინტერესები, არამედ ის ფოკუსირდება კოლექტიურ კეთილდღეობაზე, რაც განსაზღვრული გადაწყვეტილებებით იწარმოება.

ძირითადი იდეა არის სარგებლიანობის ცნება, რომელსაც ბენტამი ცხოვრების საბოლოო მიზნად განიხილავს. ადამიანი დანახულია როგორც ჰედონისტი, რომლის მიზანი ცხოვრებაში არის სიამოვნების მაქსიმიზირება და ტანჯვის მინიმიზირება. უტილიტარიანიზმის ამ ჰედონისტურ რენდიციაში სარგებლიანობა განიზომება სიამოვნებასა და ტანჯვასთან კავშირში (ჰედონისტური ხედვა). სარგებლიანობის სხვა ინტერპრეტაციები ერთი მხრივ განიხილება ბედნიერებისა და უბედურების კონტექსტში (“ეუდომონისტიკური” ხედვა),

მეორე მხრივ – ყველა ფასეული ადამიანური სიკეთის კონტექსტში (“იდეალური” ხედვა). გარდა ამისა ეს სიკეთენი ჩვეულებრივ ასევე მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიც არის მეგობრობა, სიყვარული, ერთგულება და ა.შ.

უტილიტარიზმის თეორია სამი ძირითადი პრობლემით ხასიათდება:

- სუბიექტურობა. ამ თეორიის სარგებლობისას აშკარად საჭიროა უფრო მეტად კრიტიკული აზროვნება, და იმგვარი შედეგების შეფასება, როგორიც არის სიამოვნება და ტკივილი, ანალიზის წარმოებისას შესაძლებლია ძნელად იყოს დამოკიდებული პიროვნების სუბიექტურ პერსპექტივებზე.
- რაოდენობის პრობლემები. აგრეთვე საკმაოდ ძნელია თითოეული სიტუაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება. ეს შეიძლება საკმაოდ იოლი იყოს პიროვნებების უშუალოდ ტრანსაქციებში ჩართულობასთან დაკავშირებულ მაგალითზე, მაგრამ ნამდვილად რთული – ბავშვების შემთხვევაში (განსაკუთრებით იძულებითი შრომის პირობებში), რამდენადაც მათი სიამოვნება და ტკივილი არ არის რაოდენობრივად დათვლადი.
- სარგებლიანობის დისტრიბუცია. დასასრულ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უმრავლესობისათვის უდიდესი სიკეთის შეფასებისას, უმცირესობის ინტერესები არის გამორჩენილი.

მიუხედავად იმისა, რომ სარგებლიანობა დგას მორალური გადაწყვეტილებების ცენტრში, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში და რომელიც მოქმედებათა (ეკონომიკურ) ფასეულობების საზომს წარმოადგენს, ზემოთ აღნიშნულ სირთულეთაგან გამომდინარე, უტილიტარისტებს რასაკვირველია ყოველთვის კარგად ესმოდათ მათი თეორიის დასაზღვრულობის საკითხი.

არაკონსეკვენციალისტური თეორიები

ბიზნესის ეთიკაში ტრადიციულად გამოიყენება არაკონსეკვენციალისტური ეთიკური თეორიების ორი ძირითადი ტიპი:

- მოვალეობათა ეთიკა
- უფლებებისა და სამართლიანობის ეთიკა

ორივე ამ მიდგომას შორის არსებობს ძლიერ დიდი მსგავსება, რომლებიც გამომდინარეობენ სწორისა და არასწორის მთავარ უნივერსალურ პრინციპთა შესახებ დაშვებულობიდან, თუმცა კი მათ შორის ასევე შესამჩნევია გარკვეული განსხვავებულობაც. კერძოდ, თუ უფლებებსა და სამართლიანობაზე დაფუძნებული თეორიები მიისწრაფვის სამართლებრივი შეფასებისაკენ და შემდეგ მოვალეობათა ადვოკატირებით უფლებათა დაცვისაკენ, მოვალეობათა ეთიკა გარკვეულ სიტუაციებში უპირველეს ყოვლისა იწყებს ქმედებათა მოვალეობის შეფასებით.

მოვალეობათა ეთიკა. მოვალეობათა ეთიკის მთავარი კონტრიბუტორი, გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი ფიქრობდა,რომ მორალი და გადაწყვეტილებები სწორ და არასწორ მოქმედებათა შესახებ არ იყო დამოკიდებული ცალკეულ სიტუაციაზე, აღარაფერს ვამბობთ თავად მოქმედებათა შედეგებზე. კანტისათვის, მორალი იყო ზოგიერთი მარადიული, აბსტრაქტული და უცვლელი პრინციპის საკითხი, რითაც ადამიანები ისარგებლებდნენ ყველა ეთიკური პრობლემის დროს. აქედან გამომდინარე, მისი თეორია მჭიდრო კავშირშია იუდაისტურ-ქრისტიანულ მორალთან, რომელიც ამოდის განსაზღვრულ (“divine” ანუ ღვთივბოძებულ) მორალურ პრინციპებიდან. კანტი დარწმუნებული იყო, რომ ამ პრინციპთა იდენტიფიცირებისათვის ადამიანს არ სჭირდებოდა ღმერთი, ეკლესია, თუ სხვა ზემდგომი ავტორიტეტი. ის ადამიანებს განიხილავდა როგორც რაციონალურ აქტიორებს, რომლებსაც საკუთარი თავისთვის თავად შეეძლოთ ამ პრინციპებიდან არჩე-

ვანის გაკეთება. შესაბამისად, მისთვის ადამიანები დანახული იყო როგორც დამოუკიდებელი მორალური აქტიორები, რომლებსაც სწორის და არასწორის თაობაზე ასევე თავად შეეძლოთ მიეღოთ რაციონალური გადაწყვეტილებები.

კანტმა განავითარა თეორიული საფუძვლები, საიდანაც ჩვენთვის ცნობილია "კატეგორიულ იმპერატივად" წოდებული ეს პრინციპები. ამით მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ამ თეორიული საფუძვლების გამოყენება შესაძლებელი იყო ყოველ მორალურ საკითხთან (სირთულესთან) მიმართებით, მიუხედავად იმისა თუ ვის შეიძლება მიეღო მასში მონაწილეობა, ვის შეიძლება ესარგებლა ან ეზარალა ამ პრინციპით, მას შემდეგ რაც ისინი გამოყენებული იქნებოდნენ კონკრეტულ სიტუაციებში.

კატეგორიული იმპერატივი შედგება სამი ნაწილისაგან:

მაქსიმა 1: იმოქმედე მხოლოდ იმ უმაღლესი პრინციპით, რომელიც შენ ამავე დროს შეგიძლია აქციო საყოველთაო წესად.

მაქსიმა 2: იმოქმედე ისე, რომ ადამიანი შენთვის იყოს უმაღლესი ფასეულობა, საბოლოო მიზანი, და არა მხოლოდ როგორც საშუალება.

მაქსიმა 3: იმოქმედე მხოლოდ ისე, რომ შენი საქციელი მიმართული იყოს საერთო კეთილდღეობისაკენ.

კანტის თანახმად სამივე მაქსიმა შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ტესტები ყოველ შესაძლო მოქმედებისათვის, და შესაბამისად ესა თუ ის მოქმედება მორალურად, თუ წინააღმდეგობაში არ მოვა ყველა სამ ტესტთან. ე.ი. ეს ნიშნავს, რომ მორალი ხასიათდება სამი მნიშვნელოვანი ელემენტით, რომლეთაგან თითოეული გამოიცდება ამ მაქსიმებით.

უფლებებისა და სამართლიანობის ეთიკა.

უფლებების ცნება დაკავშირებულია ბრიტანელ ფილოსოფოს ჯონ ლოკთან. მან მოახდინა "ბუნე-

ბრივი უფლებების" ცნების, შესაბამისად მორალური მოთხოვნების კონცეპტუალიზაცია, რაშიც იგულისხმება ის,რომ ადამიანებს გააჩნიათ პატივისცემის უფლება, და რომლებიც უნდა იქნენ პატივცემულნი და დაცულნი (მათ შორის პირველ რიგში სახელმწიფოს მხრიდან). ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უფლებებს შორის,ლოკისა და შემდგომი უფლებათა თეორეტიკოსების მიერ ფორმულირებული იქნა სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები. მოგვიანებით ეს უფლებები გაფართოვდა სიტყვის თავისუფლების, სინდისის, თანხმობის, მონაცემთა დაცვის / პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სამართლიანი სასამართლო პროცესის მიღების უფლებათა სახით.

ეთიკური თეორიის თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ უფლებები შემდეგი მიმართულებით:

ბუნებრივი უფლებები არის განსაზღვრული საბაზისო, მნიშვნელოვანი, განუყოფელი დადგენილი ნორმა, რომელიც პატივცემული და დაცული უნდა იყოს ყოველ ცალკეულ მოქმედებაში.

ადამიანის უფლებების ეთიკურ მიდგომას გააჩნია განსაკუთრებული დამოკიდებულება ეკონომიკურ და ბიზნესგადაწყვეტილებებთან. ყოველთვის, როცა ორი მხარე შედის ეკონომიკურ ტრანსაქციაში ხარჯებსა და სარგებელთან მიმართებაში მხარეებს შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება. ამ შეთანხმების რეალიზება მიღწევადია ბაზრის საშუალებით. თუმცა არა მხოლოდ ტრანსაქციებში ჩნდება დისტრიბუციასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გაცილებით ფართო მასშტაბით ვლინდება:

- როგორ უნდა გადაუხადოს საწარმომ თავის აქციონერებს, მართველობით ძალებს (მენეჯერებს) და ჩვეულებრივ რიგით მუშაკებს ისე, რომ თითოეულმა მათგანმა მიიღოს სამართლიანი კომპენსაცია მათ მიერ გაღებული წვლილისათვის კორპორაციაში?
- როგორ უნდა მიიღოს საწარმომ მხედველობა-

ში ადგილობრივ თემთა, მუშაკთა და აქციონერთა მოთხოვნები საინვესტიციო დაგეგმარებისას გარემოზე საგრძნობი გავლენების გათვალისწინებით?

- როგორ უნდა მოახდინოს ხელისუფლებამ ფულადი ალოკაციები განათლებისათვის ისე, რომ საზოგადოების თითოეულ ნაწილს შეეძლოს ჰქონდეს განათლების მიღების პატიოსანი შანსი.

ცხადია, რომ ინდივიდუალური უფლებები განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტში იმგვარად უნდა რეალიზირდეს, რომ ისინი თანასწორად და სამართლიანად იქნეს მიჩნეული და მოწონებული. აქ უკვე ჩნდება სამართლიანობის ძალზედ სენსიბელური საკითხი.

სამართლიანობა შეიძლება დეფინირდეს როგორც ინდივიდების ერთდროულად სამართლიანი მოქცევა მოცემულ სიტუაციაში შედეგით – თითოეული იღებს დამსახურებისამებრ.

აქ საკვანძო მორალური საკითხი არის მაინც ის საკითხი, რასაც სწორედ სამართლიანობა აღნიშნავს სიტუაციაში, თუ რა სტანდარტებით შეგვიძლია ჩვენ გადავწყვიტოთ რას შეიძლება დასაბუთებულად იმსახურებდეს ადამიანი. ბოშამპის და ბოვიეს2 მიხედვით, სამართლიანობის თეორიები ჩვეულებრივ შეიძლება დანახული იქნეს ორი მთავარი მიმართულებით:

- სამართლიანი პროცედურები. სამართლიანობა განისაზღვრება იმის მიხედვით გააჩნია თუ არა თანაბარი შესაძლებლობა თითოეულს მიაღწიოს სამართლიან ჯილდოს მისი ძალისხმევისათვის. ჩვეულებრივ ეს იწოდება პროცესუალურ სამართლიანობად.
- სამართლიანი შედეგები. სამართლიანობა განისაზღვრება იმის მიხედვით სამართლიანი ფორმით არის თუ არა განაწილებული შედეგები. ჩვეულებრივ ეს იწოდება როგორც სოციალური სამართლიანობა.

სამართლიანობის უმეტესი ხედვა შეიძლება იდეალურად ცდილობდეს სამართლიანობის ორივე ტიპის მიღწევას, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლე-

ბელი.

სამართლიანობის ცნებები უკვე ფართოდ არის გამოყენებული ბიზნესეთიკის პრობლემებთან მიმართებით,განსაკუთრებით დასაქმების/საქმიანობის პრაქტიკებსა და დისკრიმინაციის საკითხებში. სამართლიანობა ასევე წარმოადგენს საკვანძო საკითხს გლობალიზაციასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ დებატებში. აქ მთავარია სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის საკითხები – თემები, რომლებიც დიდი ხანია გასცდა წმინდა ეკონომიკურ სისტემის ფარგლებს და ეხება მის ეთიკურ მხარეს.

სიმდიდრის სამართლიანი განაწილების ამ პრობლემის გამოკვეთა საზოგადოებაში და საზოგადოებებს შორის მნიშვნელოვანია ორი პოზიციიდან. ესენია: ეგალიტარიზმი და არაეგალიტარიზმი.

ეგალიტარიზმის მიდგომა ამტკიცებს, რომ სამართლიანობა არის იგივე თანასწორობა, სადაც ჯილდოც და სიმძიმეც სამართლიანად უნდა იქნეს გადანაწილებული და სადაც დევიაციები თანასწორობიდან მიუღებული და არასწორია. რამოდენიმე ასეული მილიარდელის არსებობა, რომელთა სიმდიდრე პლანეტის მოსახლეობის ქონების ნახევარს შეადგენს, ნათლად მიანიშნებს უსამართლობაზე ეგალიტარიანული პოზიციიდან. ეკონომიკური სისტემის ეგალიტარიანული მიდგომის განვითარების ყველაზე ნათელი მაგალითია კომუნისტური რეჟიმი, სადაც ყველას აქვს თანაბარი ხელფასი, აქვს უფლება ფლობდეს თანაბარ ქონებას, იხდის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ერთნაირ ფასებს და ა.შ.

ეგალიტარიანულ მიდგომას გააჩნია რიგი პრობლემები,რაც გამომდინარეობს ადამიანთა განსხვავებულობიდან. მაგ., შეუძლებელია ბეჯითი და ზარმაცი მუშაკი იღებდეს თანაბარ ანაზღაურებას; ასევე, ეგალიტარიანული მიდგომა მიდრეკილია არაეფექტიანობისაკენ, რადგან არ არსებობს ინიციატივები ინოვაციებთან

და მზარდ ეფექტიანობასთან მიმართებით ნებისმიერ პირობებში თითოეულს თანასწორად დაჯილდოვებიდან გამომდინარე; გარდა ამისა, ისინი იწვევენ ინდივიდუალურ თავისუფლებათა რესტრიქციებს, მაგ., მონაწილე აქტიორებს შორის უთანასწორობა, რის დემონსტრირებასაც ნათლად ახდენს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სისტემა.

არაეგალიტარიანული მიდგომა სპექტრის სხვა ბოლოს ამტკიცებს, რომ სამართლიანობა ეკონომიკურ სისტემაში საბოლოოდ წარმოადგენს თავისუფალი ბაზრების პატიოსანი პროცესის პროდუქტს. აქტიორები გარკვეული საჭიროებებით ხვდებიან აქტიორებს, ვისაც ძალუძთ მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილება, და თუ მათ შორის არსებობს თანხმობა ტრანსაქციებში, სამართლიანობა განისაზღვრება ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ძალებით. ეს მიდგომა 1980-იან წლებში პოპულარული იყო დასავლეთის ბევრ ქვეყანაში. თუმცა მაინც აჩვენა მნიშვნელოვანი ტენდენცია უთანასწორობისაკენ. ბაზრის ცნება გულისხმობს სრულიად თანასწორი მონაწილეობის არსებობას ბაზარზე სამართლიანი შედეგების მისაღწევად. მაგრამ, რამდენადაც ადამიანები განსხვავდებიან შემოსავლებით, უნარებით, ჯანმრთელობით, სოციალური და ეკონომიკური სტატუსით და ა.შ., ბაზრებს შეუძლიათ გამოიწვიონ შედეგები, რისი მიხედვითაც ცალკეული ადამიანები მეტად აღარ განიხილებიან თანასწორად. გლობალურ დონეზე ეს ნათლად წარმოჩნდება დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მაღალინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობასთან მეტოქეობის მაგალითზე, რაც Formula 1-ში Ferrari-ს გვერდით ველოსიპედის ყოფნას ჰგავს, სადაც ეს უკანასკნელი პატიოსანი თამაშის წესების პირობებშიც კი უბრალოდ განწირულია.

ცხადია, რომ ეს ორი განსხვავებული პასუხი კითხვაზე თუ სახელდობრ რას ნიშნავს სამართლიანობა ეკონომიკურ კონტექსტში არის არადამაკმაყოფილე-

ბელი. მაგრამ შესაძლოა პასუხი სწორედ ამ ორს შორის არსებობდეს. ამ პრობლემის გამორჩეულად პოპულარული მიდგომა წარმოდგენილი იქნა ამერიკელი ჯონ როულსის <<სამართლიანობის თეროიის>> სახით. <<სამართლიანობის თეორია>> ადგენს ქმედებათა ორიენტაციას – „სამართლიანობა" უტილიტარული „სარგებლის" ნაცვლად.

სამართლიანობის ცნება ამ აზრით, რომელსაც მას როულსი ანიჭებს, ზემოთ აღნიშნული თეორიის ცენტრში იძლევა სუბიექტის მოქმედებათა განსაზღვრული „პატიოსანი თამაშის" წესების დადგენის შესაძლებლობას.3

უკანასკნელი რამოდენიმე დეკადის განმავლობაში ბიზნესის ეთიკის დარგში განვითარდა თანამედროვე ეთიკური თეორიები, რომლებმაც ამ დარგისთვის დიდი მნიშვნელობა შეიძინეს. თანამედროვე ეთიკური თეორიათაგან შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი:

- სათნოების ეთიკა
- ფემინისტური ეთიკა
- დისკურსის ეთიკა
- პოსტმოდერნის ეთიკა

სათნოების ეთიკა

აქამდე ჩვენ სწორისა და არასწორის საკითხებს ძირითადად განვიხილავდით ცალკეულ მოქმედებათა ეთიკის მიხედვით. სათნოების ეთიკა კი იწყება განსხვავებული პერსპექტივიდან: თითოეული ცალკეული მოქმედების მისივე შედეგებისა თუ ძირითადი პრინციპების მიხედვით შეფასების ნაცვლად, ეს მიდგომა ყურადღებას უთმობს გადაწყვეტილებების მიმღების ასპექტს. არსებითად, ამ თეორიული ხედვის მესიჯი უხეშად შეიძლება შემდეგნაირად ფორმულირდეს – " კარგი ქმედებები მოდის კარგი პიროვნებებიდან". მაშასადამე, შესაძლებელია, მისი ამგვარი განსაზღვრა:

სათნოების ეთიკა ამტკიცებს,რომ მორალურად კორექტული მოქმედებები არის ის მოქმედებები, რომლებიც აქტიორთა მხრიდან სათნო ხასიათის მატარებელია. ე.ი. სათნო ხასიათის ფორმირება პირველი ნაბიჯია მორალურად კორექტული ქცევების მიმართულებით.

სათნოებანი არის შეძენილი ხასითაის თვისებათა ერთობლიობა,რომელიც ადამიანს კარგი ცხოვრებისაკენ სვლის შესაძლებლობას აძლევს. ისინი შეიძლება დიფერენცირდეს ინტელექტუალურ და მორალურ სათნოებად. ინტელექტუალურ სათნოებათა ყველაზე ცნობილი მახასიათებელია "სიბრძნე", ხოლო მორალური სათნოებანი მოიცავს ისეთ მახასიათებელ თვისებათა გრძელ ჩამონათვალს, როგორიც არის პატიოსნება, ვაჟკაცობა, მეგობრობა, გულმოწყალება, ერთგულება, თავმდაბლობა, სულგრძელობა და სხვ. ყველა ეს სათნოება მანიფესტირდება მოქმედებებში, რომლებიც წარმოადგენს სათნო ადამიანთა ქცევის ჭეშმარიტ ნიმუშს. ხასიათის ეს თვისებები ჩვენ დაბადებიდან არ გვერგება, არამედ მათ სწავლის დროს ვიძენთ და განსაკუთრებით – ცხოვრებისეული პრაქტიკით სხვა ადამიანეთან საქმიან ურთიერთობებში4.

სათნოების ეთიკის ცენტრალურ იდეას <<კარგი ცხოვრების>> იდეა წარმოადგენს. არისტოტელესათვის, როგორც სათნოების ეთიკის თავდაპირველი მხარდამჭერისათვის, ის შედგება ბედნიერებისაგან არა შეზღუდული ჰედონისტური,სიამოვნებაზე ორიენტირებული აზრით, არამედ გაცილებით ფართო მნიშვნელობით. ის პირვე რიგში ფართოდ მოიცავს სათნო ქცევებს, როგორც კარგი ცხოვრების ინტეგრალურ ნაწილს: ბედნიერი საქმიანი ადამიანი უნდა იყოს არა მხოლოდ ის ვინც საქმის დასასრულს დიდ ფულს გამოიმუშავებს, არამედ ის ვინც იმავე დროს სათნო ხერხით მიღწეული წარმატებით განიცდის სიამოვნებას. ბიზნესის კონტექსტში „კარგი ცხოვრება" ნიშნავს გაცილებით მეტს, ვიდრე რენტაბელური კომპანიის არსებობას. აქ ასევე

თანაბარად მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის კეთილგანწყობა, საწარმოს წევრებს შორის კარგი ურთიერთობები და ყველა სტეიკჰოლდერთან ჰარმონიული დამოკიდებულება. ამგვარად, როგორც ერთი მხრივ საწარმოს მოგება, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნული შიდა და გარე ურთიერთობანი არის მედლის ორი მხარე, რაც წარმოადგენს სათნოების ეთიკის პოლიტიკურ ხედვას. მაშასადამე, სათნოების ეთიკა ბიზნესის ეთიკისათვის ასევე აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ სწორისა და არასწორის გადაწყვეტა არ შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ნორმებისა და პრინციპების გამოყენებით, არამედ ჩვენ ასევე გვჭირდება დროის მსვლელობაში გამოცდილებითა და მონაწილეობით მიღებული ჩვენივე ცოდნისა და გადაწყვეტილებების კულტივირება ეთიკის საკითხთან მიმართებით.

ფემინისტური ეთიკა

ბიზნესის ეთიკის ფემინისტური მიდგომები იწყება ჰიპოთეზით (დაშვებით), რომ მამაკაცებს და ქალებს გააჩნიათ საკმაოდ განსხვავებული დამოკიდებულება სოციალური ცხოვრების ორგანიზაციასთან მიმართებით, რაც ეთიკურ კონფლიქტებზე მნიშვნელოვან გავლენებში ვლინდება5.

ფემინისტურ ეთიკას აქვს მიდგომა, რომელიც ადამიანს უყურებს როგორც ღრმად ჩაკირულს ინტერპერსონალურ ურთიერთობათა ქსელში. შესაბამისად, პასუხისმგებლობა ამ ქსელის წევრებისათვის და დაკავშირებულობის მხარდაჭერისათვის, და არა აბსტრაქტული მორალური პრინციპების ერთგულება არის ფემინისტური ეთიკის აღიარებული საზრუნავი. ხშირად ეს მიდგომა იწოდება როგორც „ზრუნვის ეთიკა”6, მორალური პრობლემები არის პასუხისმგებლობის კონფლიქტები ურთიერთობებში და არა უფლებათა კონფლიქტები ადამიანებს შორის, ამგვარად ისინი შესაძლოა გადაწყვეტილი იქნას მხოლოდ პერ-

სონალური, სუბიექტური აზროვნებით, რომელიც განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ინტუიციისა და შეგრძნების მნიშვნელობას. იმ დროს როცა მამაკაცური მიდგომები ფოკუსირდება სამართლიან "fair" შედეგზე, ფემინსტური პერსპექტივები მიანიშნებს სოციალურ პროცესებზე და განსაკუთრებით მიმართულია ჰარმონიის ემფატიისა და ორგანიზაციის ასპექტებისაკენ ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მთავარი მიზანია ზიანის აცილება და ჯანსაღი ურთიერთობების დაცვა-შენარჩუნება. აღნიშნული დესკრიფციის მიხედვით შესაძლებელია შემდეგი დეფინიცია:

ფემინისტური ეთიკა არის მიდგომა, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ემფატიურ, ჰარმონიულ და ჯანსაღ სოციალურ ურთიერთობებს, ერთმანეთზე ზრუნვას და ზიანის აცილებას აბსტრაქტული პრინციპების მიღმა.

მაშასადამე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ როგორც ეთიკური თეორია, ფემინიზმი არ ამტკიცებს რომ სწორედ ქალები წარმოადგენენ საუკეთესო ეთიკურ აქტიორებს. ფემინიზმი უფრო მეტად გვთავაზობს პარტიკულარულ ურთიერთობათა გზით ინტუიციაზე დამყარებული მოქმედების ფორმებს ეთიკურ კონფლიქტებში.

ქვემოთ ნახ. 1 –ის სახით ვაჩვენებთ ბიზნესის ეთიკის კონტრასტულ გენდერულ ხედვებს.

	„უფლებების ეთიკა" (მასკულინური მიდგომა)	„ზრუნვის ეთიკა" (ფემინისტური მიდგომა)
ადამიანური ხედვა	ავტონომიური, სეპარატული, დამოუკიდებელი ფუნქციის მატარებელი ჯგუფში	აქტიორთა ურთიერთდამოკიდებულება სოციალურ ქსელში
მორალური მიზანი	სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, წესების დაცვა	ზიანის აცილება, ურთიერთობათა დაცვა
მორალური პრობლემა	უფლებათა კონფლიქტი ადამიანებს შორის	პასუხისმგებლობათა კონფლიქტი ურთიერთობებში
ფასეულობები	უფლებები, მოვალეობები, სამართლიანობა, სათანადო პროცესი, თანასწორი პროტექცია	ჰარმონია, ემფატია, თემი (საზოგადოება), ზრუნვა, პასუხისმგებლობა, ინტეგრაცია
ფოკუსი	შედეგები	პროცესები
წამყვანი სოციალური ძალა	კონკურენცია, გამარჯვება	კოოპერაცია, კომპრომისი

ნახ. 1. ბიზნესის ეთიკის კონკრეტული გენდერული ხედვები

წყარო: Maier, M. gender equity, organizational transformation and Challenger., Journal of Business Ethics, #16, P. 949

დისკურსის ეთიკა

დისკურსის ეთიკის ძირითადი წარმომადგენლები ბიზნესის ეთიკაში, პროფესორები შტაინმანი და ლორი7 ამტკიცებენ, რომ ეთიკური რეფლექსიები უნდა იწყებოდეს რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და არა რწმენის სისტემებიდან, რომლებიც შეიძლება იყოს განსხვავებული. მაგალითად, ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი, ინდუიზმი, ათეიზმი და სხვ.

მათი მტკიცებით ეთიკურ საკითხთა საბოლოო მიზანი ბიზნესში უნდა იყოს კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება. ამიტომ, კონფლიქტში მყოფი მხარეები ერთად უნდა მონაწილეობდნენ საერთო დისკუსიებში წარმოქმნილი კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით და საბოლოო ანგარიშით უნდა შეეძლოთ ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება. მათი აზრით, ეს „იდეალური დისკურსი", როგორც მას ხშირად უწოდებენ, გაცილებით მეტია ვიდრე შემთხვევითი საუბრები ან საქმიანი შეხვედრები.

ჩვენ მიერ აქამდე წარმოდგენილი ყველა თეორიული მიდგომა არსებითად ნორმატიული ბუნებისაა. ნორმატიულში კი როგორც წესი სწორ და არასწორ მოქმედებათა პრესკრიფციები იგულისხმება. ბიზნესში ეთიკურ კონფლიქტთა გადაჭრის სირთულეს კი სწორედ ის წარმოადგენს, რომ დისკურსის ეთიკის ფილოსოფიური საფუძვლების თანახმად ნორმები საბოლოდ არ შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ რაციონალური არგუმენტებით, არამედ „იდეალური დისკურსის" სივრცეში ეთიკური კონფლიქტების მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად ისინი იქმნება და გამოიყენება ყოველდღიურობის საფუძველზე. ამგვარად, ამ მოკლე ექსკურსის გათვალისწინებით შესაძლებელია ძირითადი დეფინიციის შემდეგი სახით პოსტულირება:

დისკურსის ეთიკა მიისწრაფვის ეთიკური კონფლიქტების გადაჭრისაკენ ნორმათა გენერაციის პოცესის პირობებში ყველა შესაბამისი მონაწილის რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების რაციონალური რეფლექსიის საშუალებით.

პოსტმოდერნის ეთიკა

პოსტმოდერნული აზროვნების სკოლისათვის ფუნდამენტურ საკითხს რაციონალურობას და მორალს შორის ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს, რაც ნიშანდობლივია ყველა ტრადიციული ეთიკური თეორი-

ისათვის. ტრადიციულ თეორიებს აქვთ თავისი საწყისი მოდერნიზმში, რომლის ათვლის წერტილად შეიძლება მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლობის ეპოქა იქნეს მიჩნეული. მოდერნის მოაზროვნენი ცდილობდნენ სამყაროს რაციონალურად, მეცნიერულად ახსნას და ადამიანისა თუ საზოგადოების ბუნებაში გარკვევას ყოველმხრივ თანმიმდევრული, ღრმა და ამომწურავი თეორიების ფორმირებით. სოციალურ მეცნეირებათა სფეროში მისი ერთ-ერთი შედეგი გამოვლინდა სხვადასხვა ᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ სახით, მაგ., ლიბერალიზმი, კომუნიზმი, სოციალიზმი, რაციონალიზმი, კაპიტალიზმი და ა.შ. რაც შეეხება პოსტმოდერნის მოაზროვნეთ, მათი მტკიცებით ეს ფართო თეორიები, საზოგადოების ეს <<დიდი ნარატივი>>8 არის საკმაოდ ამბიციური, ოპტიმისტური და რედუკციონისტური, რომლის სუსტ მხარესაც საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს ის, რომ მას არ შეუძლია ახსნას ადამიანური ეგზისტენციის რთული რეალობა.

პოსტმოდერნიზმი ტენდირებს მოიცავს თეორიული ვარაუდისა და არგუმენტების მთელი სპექტრი. პოსტმოდერნის მოაზროვნეები იდენტიფიცირებენ მორალის რაციონალური მიდგომის სპეციფიკურ საფრთხეებს. ზიგმუნდ ბაუმანი9. პოსტმოდერნის ეთიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი მხარდამჭერი ასაბუთებს, რომ მორალის კოდიფიკაციით ქცევის სპეციფიკური წესებისა და კოდექსების ფარგლებში რაციონალური მიდგომები უარყოფს მორალის რეალურ წყაროს, რომელიც სხვებთან მიმართებით არის ფესვგადგმული მორალურ იმპულსებში. ეს არის თითოეული ადამიანის სუბიექტური, ემოციური კონვიკცია სწორისა და არასწორის შესახებ,დაფუძნებული მათ გამოცდილებებზე, გრძნობებსა და ინსტიქტებზე. მორალური განსჯა უფრო მეტად არის <<good feeling>>, პრესენტიმენტი ანუ წინათგრძნობა,ვიდრე სხვა რამ,მაგრამ ის გარდაუვლად ანულირდება მყისვე, როგორც კი ადამიანები იკავებენ

ორგანიზაციულ თანამდებობებს და დისტანცირდებიან მათგან, ვინც საკუთარ თავზე რეალურად განიცდის ამ ადამიანთა გადაწყვეტილებების შედეგებს. ბიზნესის ეთიკის კონტექსტში ესენია მომხმარებლები, ინვესტორები, მიმწოდებლები და სხვ. ამ იდეათა საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ პოსტმოდერნის ეთიკის შემდეგი სახის დეფინიცია:

პოსტმოდერნის ეთიკა არის მიდგომა, რაც განსაზღვრავს მორალის ლოკაციას რაციონალურობის სფეროს მიღმა ემოციურ „მორალურ იმპულსში" სხვებთან მიმართებით. ის წააქეზებს ინდივიდუალურ აქტიორებს ყოველდრიურ პრაქტიკასა და წესებში დაეჭვებისაკენ, მოსმენისაკენ და მათი ემოციების, შიდა კონვიკციების გაგებისაკენ და <<good feelings>> ინტუიციებისკენ, თუ რას ფიქრობენ ისინი სწორისა და არასწორის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების ცალკეულ შემთხვევებში.

საბოლოდ, პოსტმოდერნისტები უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი ბიზნესის ეთიკის მთელი რისკების შესახებ, იმდენად რამდენადაც ეთიკური თეორიები მიმართულია წესებისა და პრინციპების ძიებისაკენ, რომლებიც განსაზღვრავენ სწორსა და არასწორს. პოსტმოდერნისტების ვარაუდით მარტივ, უნივერსალურ და ურყევ ქცევის ფორმებზე დაფუძნებული ეთიკური კოდექსი არასოდეს იქნება ნაპოვნი. პოსტმოდერნის, ისევე როგორც დისკურსის ეთიკას, ბიზნესის ეთიკის შესახებ არ შეუძლია ჩვენი რაიმე წესებითა და პრინციპებით, და მითუმეტეს არც რაიმე რეცეპტით უზრუნველყოფა ეთიკური გადაწყვეტილებებისათვის.

ლიტერატურა:

1. Wayne Visser, Dirk Matten, Manfred Pohl and Nick Tolhurst, The A to Z of Corporate Social Responsibility, Chichester, West Sussex, 2008, P. 53.

2. Beauchamp, T.L. and Bowie, N.E., Ethical Theory and Business, 5th edn. Upper Saddle River, NJ: Prentince Hall. 1997.

3. ვ. ხიზანიშვილი, ეკონომიკის ეთიკის შესახებ, ჟურ. <<ეკონომისტი>> №4, 2011, გვ. 52.

4. MacJntyre, A., After Virtue: A Study in Moral Theory, 2ndand. Notr Dame Press, 1984

5. Gilligan, C. In a Different Voice, Cambridge, Mass. : Harvard University Press, 1982

6. Rabouin, M. ‘ Lyin’ T (*) gers, and “ Cares”, oh my: the case of feminist integration of business ethics’. Journal of Business Ethics, #16, P.P. 247-61

7. Steinmann, H., Löhr, A., Grundlangen der Unternehmensethik, 2nd edn. Stuttgart, Schäffer – Poeschel, 1994.

8. Lyotard, J. –F., The Postmodern Condition: A Report on Knowledge, trans. G. Bennington and B. Massumi. Manchester: Manchester University Press. 1984

9. Bauman, Z., Postmodern Ethics. Oxford: Blackwell., 1993.

§3.2. დესკრიფციული ეთიკური თეორია

დესკრიპციული ეთიკური თეორიები ეძიებს აღწეროს თუ როგორ ხდება ბიზნესში ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება და რა გავლენები აქვს ამ გადაწყვეტილებებს თავად პროცესებსა და შედეგებზე.

არსებობს ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე. ეს ფაქტორები შეიძლება დიფერენცირდეს ორ ვრცელ კატეგორიად. ესენია: ინდივიდუალური და სიტუაციური ფაქტორები. 1'

ინდივიდუალური გავლენები ეთიკურ გადაწყვეტილებებზე

ინდივიდუალური გავლენები ეთიკურ გადაწყვეტილებებზე უკავშირდება პიროვნების იმ ასპექტებს, რასაც ფაქტობრივად ადგილი აქვს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შესაბამისად, ეს საკითხი არის არა იმდენად დეტერმინირებული მიზეზთა შესახებ თუ რატომ არიან ადამიანები მეტად ან ნაკლებად ეთიკურები, არამედ ის უფრო მეტად უკავშირდება იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენზე ვიფიქროთ, შევიგრძნოთ, ვიმოქმედოთ და აღვიქვათ გარკვეული ფორმით ის რაც რელევანტურია ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებით. ფაქტორები და მათი შესაძლო გავლენა ეთიკურ გადაწყვეტილებებზე გადმოცემულია ნახ. 1-ში.

ფაქტორი	გავლენა ეთიკურ გადაწყვეტილებებზე
ასაკი და გენდერი	ბუნდოვანი ასოციაციების გამომწვევი არაერთგვაროვანი საფუძველი /ნიშანი ეთიკურ გადაწყვეტილებებთან
ნაციონალური და კულტურული მახასიათებლები	მნიშვნელოვანი ეფექტი ეთიკურ რწმენებზე, ისევე როგორც სარწმუნო მისადებ მიდგომად მიჩნეულ ხედვებზე.
განათლება და სამსახური	მკვეთრი განსხვავებები ეთიკურ გადაწყვეტილებებში სხვადასხვა განათლებისა და გამოცდილების მქონეთა შორის.
ფსიქოლოგიური ფაქტორები:	
კოგნიტიური მორალური განვითარება	მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ეფექტი ეთიკურ გადაწყვეტილებაზე.
კონტროლის ლოკუსი	უმეტესად შეზღუდული ეფექტები გადაწყვეტილებებზე, მაგრამ მნიშვნელოვანი შესაძლო გაკიცხვა/მოწონების გამიჯვნის განჭვრეტაში.
პერსონალური ერთიანობა	შესაძლო არსებითი გავლენა, მაგრამ ჩართულობის სიმწირე მოდელებსა და ემპირიულ ტესტებში.
მორალური წარმოსახვა	ახალი საკითხი ჩართულობისათვის მნიშვნელოვანი ახსნითი პოტენციალით.

ნახ. 1. ინდივიდუალური გავლენები ეთიკურ გადაწყვეტილებაზე

ასაკი და გენდერი

ვინ არიან უფრო ეთიკურნი – კაცები თუ ქალები? ეჭვგარეშეა კითხვა თავისთავად საინტერესოა, და ფორდისა და რიჩარდსონის2 თანახმად ბიზნესში ეთიკურ გადაწყვეტილებებზე ინდივიდუალური გავლენის ფაქტორი ხშირად გამხდარა კვლევის საგანი. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ მაინც არ არსებობს ერთიანი შეჯერებული რეზულტატი სხვადასხვა წარმოებული კვლევების ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებიდან გამომდინარე.3

იმის დაშვებით, რომ ერთნი უფრო ეთიკურნი არიან ვიდრე სხვანი, რასაკვირველია ერთი შეხედვით სრულიად არ ავლენს მკაფიო მიზეზს იმისას, თუ რატომ შეიძლება იყოს აქ სქესი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი. მაგრამ რასაკვირველია არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ფორმები, რომლებშიც ორივე სქესი (როგორც ქალები ისე კაცები) ფიქრობს და მოქმედებს ეთიკურ დილემათა საპასუხოდ, შეიძლება განსხვავდებოდეს.

მეორე ძირითადი ფაქტორი რომელიც შესაძლოა ქმნიდეს რაიმე განსხვავებას ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისას არის ასაკი, რადგან მსგავსი პრობლემა სქესთან ერთად ასაკთანაც ნიშანდობლივია. ემპირიული ტესტები გვიჩვენებს საკმაოდ არამკაფიო სურათს ეთიკურ რწმენებსა და მოქმედებებზე ასაკის გავლენით მიღებულ საკმაოდ არაერთგვაროვან შედეგებთან დაკავშირებით.

ნაციონალური და კულტურული მახასიათებლები

გლობალიზაციის ტენდენციის გათვალისწინებით საცნობი ხდება ეთიკური გადაწყვეტილებების მკვლევართა დიდი დაინტერესება ნაციონალურობის, ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიის საკითხთა მიმართ. რადგან მსგავს მოზაიკურობას, სწორსა და არასწორის, განსხვავებულ ფასეულობებსა და სხვა მსგავს

ფაქტორებს შორის არსებული რწმენათა სხვადასხვაობას რასაკვირველია შეაქვს გარკვეული კორექტივები ეთიკური გადაწყვეტილებების დროს განსხვევებულ ერებში, რელიგიებსა და კულტურებში. როგორც ეს აჩვენა სხვადასხვა კვლევამ4 ნაციონალობას შეუძლია მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა ეთიკურ რწმენებზე.

გერტ ჰოფსტედეს კვლევები5 განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ამ განსხვავებულობათა მიმართ შეხედულებათა ფორმირების პროცესში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით IBM-ის თანამშრომლებზე წარმოებულ კვლევათა საფუძველზე, ჰოფსტედე ვარაუდობს, რომ ქვეყნების მიხედვით კულტურის ცოდნასა და რწმენებს შორის განსხვევებულობა შეიძლება აიხსნას ოთხი დიმენსიის თვალსაზრისით:

- ინდივიდუალიზმი / კოლექტივიზმი. გამოხატავს ხარისხს, რომელთანაც ერთ მხარეს არის ავტონომიური და უპირატესად საკუთარი სარგებლის მიღებისათვის მოქმედი, ხოლო მეორე მხარეს – უფრო მეტად სოციალური ორიენტაციის, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდურ მუშაობასა და ერთობლივ მიზნებს.
- დისტანციის ძალა. გამოხატავს ხარისხს, რომელთანაც იერარქიული ძალაუფლებისა და სტატუსთა უთანაბრო დისტრიბუცია არის მიღებული და პატივდებული.
- გაურკვევლობის თავიდან არიდება. ზომავს საკუთარი უპირატესობის ხარისხს, სიცხადის წესებისა და აბსოლუტური სიზუსტის მიმართ.
- მამაკაცურობა / ქალურობა. ხარისხი, რომელთანაც აქცენტი კეთდება ფულისა და ნივთების შეფასებასა (მამაკაცურობა) და ადამიანებსა და ურთიერთობათა შეფასებას (ქალურობა) შორის.

მაშასადამე, ჰოფსტედეს დიმენსიები შეიძლება დანახულ იქნას ეთიკურ გადაწყვეტილებებში გარკვეულ განსხვავებულობათა ახსნის კუთხით. მაგალითად, მაშინ

როდესაც ვინმე ჩრდილო ევროპისა თუ ამერიკის ინდივიდუალისტური კულტურიდან დიდი ალბათობით შესაძლებელია გამოირჩეოდეს საკუთარი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებით, სამხრეთ ევროპისა თუ ამერიკის კოლექტიური კულტურის წარმომადგენელი მსგავს სიტუაციაში ალბათ კონსულტაციებს გაივლიდა ფართო ჯგუფებთან. მსგავსად ამისა, ნებისმიერი მაღალი ძალაუფლების დისტანციის კულტურიდან (ე.ი. ის ვინც პატივს სცემს და იღებს ძალაუფლებისა და სტატუსთა სტრატიფიკაციის), როგორიცაა იაპონია და ჩინეთი, ალბათ ნაკლებად ისურვებდა ეჭვქვეშ დაეყენებინა ზემდგომიდან მიღებული ბრძანების სისწორე, მაშინაც კი,როდესაც ადგილი ექნებოდა აშკარად რაიმე ეთიკურად სათუო ბრძანების შესრულებას. ემპირიული შრომა როგორც წესი ძირითადად ტენდირებს ამგვარი სახის ურთიერთობათა მხარდაჭერისაკენ.

განათლება და სამსახური

პიროვნების მიღებული განათლების ტიპი და ხარისხი, ისევე როგორც მისი პროფესიული მომზადების დონე და გამოცდილება შეიძლება ასევე იქნას მიჩნეული ინდივიდუალური გავლენების ფაქტორებად ეთიკურ გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ ბიზნესის სტუდენტები დასავლეთში სხვა მაგ., სამართლის სტუდენტებისაგან არა მხოლოდ მორალური განვითარების რანგით დგანან დაბლა, არამედ აკადემიური თაღლითობის, კერძოდ პლაგიატის მხრივაც გამოირჩევიან.6

ამასთან, ბიზნესის სტუდენტები სხვა სტუდენტებისაგან განსხვავებით მეტად ამჟღავნებენ ეგოცენტრისტულ ფასეულობებს.7

აშკარაა, რომ ეთიკის კომპონენტს მოკლებულ ბიზნესგანათლებას ძალუძს გაამყაროს მითი ამორალური ბიზნესის შესახებ8 – იდეა, რომელიც ბიზნესს არ განიხილავს მორალის საკითხებთან კავშირში. ამგვარად,

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური (ინდივიდის) მორალის ზოგიერთი ასპექტი შესაძლებელია განვითარდეს აღზრდისა და საერთო განათლების საშუალებით, ასევე მაინც რჩება ადგილი ეთიკური ტრეინინგებისთვის ადმიანთა უნარების ასამაღლებლად, რათა სამუშაო ადგილებზე მოხდეს არსებულ პრობლემათა შეცნობა და გადაჭრა.9 ბიზნესის ეთიკის შესწავლა იძლევა ანალიტიკური უნარ-ჩვევების ზრდისა და სრულყოფის შესაძლებლობას ეთიკურ საკითხებთან და პრობლემებთან ურთიერთდამოკიდებულებაში. მაშასადამე, განათლება და სამსახური ის ფაქტორებია, რომლებსაც ასევე შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ეთიკური რწმენებისა და ფასეულობების ფორმირებაში.

ფსიქოლოგიური ფაქტორები

ფსიქოლოგიური ფაქტორები დაკავშირებულია კოგნიტურ პროცესებთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინამდვილეში თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები. ეთიკური გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, ცოდნას განსხვავებულობის შესახებ ინდივიდთა კოგნიტურ პროცესებში შეუძლია დაგვეხმაროს გავერკვეთ ჩვენი წარმოდგენის გაუმჯობესებაში თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს მოქმედებათა კურსის მორალურად სწორთან ან არასწორთან დაკავშირებით.

ქვემოთ გთავაზობთ ორი ყველაზე უფრო ცნობილი ფსიქოლოგიური ფაქტორის, - კოგნიტური მორალური განვითარებისა და კონტროლის ლოკუსის მიმოხილვას.

კოგნიტური მორალური განვითარება

კოგნიტური პროცესების ასახსნელად გამოიყენება ფსიქოლოგიური დისციპლინის წიაღში მყოფი ყველაზე უფრო განვითარებული ლოურენს კოლბერგის10 კოგნიტური მორალური განვითარების თეორია

(კმგ). ფაქტობრივად, ბიზნესში ეთიკური გადაწყვეტის პრაქტიკულად ყველა თანამედროვე მოდელი სარგებლობს ამ თეორიით11, თუ მასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ თეორიის თავდაპირველი განვითარება მოხდა არა ბიზნესის კონტექსტში.

კოლბერგმა განავითარა კმგ-ის თეორია, რაც მდგომარეობს განსხვავებულ მოსაზრებათა პროცესების ახსნაში, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეთიკური განსჯისათვის, და ასახავს მომწიფების პროცესს ბავშობიდან ზრდასრულობამდე. ამგვარად:

კოგნიტური მორალური განვითარება ეხება განსჯის განსხვავებულ დონეებს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ეთიკურ საკითხებთან და პრობლემებთან.

კოლბერგის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ მორალური განვითარების სამი ფართო დონე:

პირველი დონე. ინდივიდი ავლენს დამოკიდებულებას თვითინტერესთან (ანგარებასთან) და გარეშე ჯილდოსთან და სასჯელთან.

მეორე დონე. ინდივიდი იქცევა ისე, როგორც მისგან მოელიან სხვანი.

მესამე დონე. ინდივიდი ავითარებს უფრო მეტად ავტონომიურ გადაწყვეტილებებს დაფუძნებულს უფლებებისა და სამართლიანობის პრინციპებზე, ვიდრე გარეგან გავლენებზე.

ამ თეორიაში მნიშვნელოვანია არა ის თუ რა არის გადაწყვეტილი, არამედ ის თუ როგორ არის ეს გადაწყვეტილება მიღწეული ინდივიდის განსჯის პროცესის თვალსაზრისით – ორ ადამიანს სხვადასხვა დონეზე შეუძლია მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ აზროვნების განსხვავებული საშუალებების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ კმგ-ის თეორია დომინირებდა ეთიკური გადაწყვეტილებების მიმართულების სპეციფიკურ ლიტერატურაში, ადგილი ჰქონდა ასევე მრავალრიცხოვან კრიტიკასაც. და მაინც კმგ-ის თეორია ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც მნიშვნელოვანი

ელემენტი (ინდივიდუალურ) ინდივიდის გავლენებში ეთიკურ გადაწყვეტილებებზე.

კონტროლის ლოკუსი

მეორე ფსიქოლოგიური ფაქტორი, ჩვეულებრივ განსაზღვრული როგორც გავლენა ეთიკურ აზროვნებაზე არის კონტროლის ლოკუსი (ადგილი).

ინდივიდის კონტროლის ლოკუსი განსაზღვრავს ხარისხს, სადაც მას სჯერა, რომ გააჩნია კონტროლი მოვლენებზე მისსავე ცხოვრებაში. ასე რომ ვინმეს მაღალი შინაგანი კონტროლის ლოკუსით სჯერა, რომ მოვლენები მის ცხოვრებაში შეიძლება განვითარდეს საკუთარი ძალისხმევით, მაშინ როდესაც ვინმე სხვა მაღალი გარეგანი კონტროლის ლოკუსით თვლის, რომ მოვლენები როგორც წესი უკავშირდება სხვების მოქმედებათა შედეგს, იღბალსა და ბედისწერას.

მთლიანობაში, კონტროლის ლოკუსს მეტწილად გააჩნია მხოლოდ რელატიურად ლიმიტირებული გავლენა ეთიკურ გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად ამისა, იმის გაგება ფლობენ თუ არა ფირმის თანამშრომლები შინაგან ან გარეგან კონტროლის ლოკუსს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს პროგნოზირებისათვის იმის შესახებ თუ როგორ რეაგირებას მოახდენენ ისინი ბიზნესის ეთიკის პრობლემებზე და განსაკუთრებით გაკიცხვის ან შექების თაობაზე, როდესაც ამგვარ გადაწყვეტილებათა პირისპირ დგებიან.

პერსონალური ერთიანობა

სიტყვა, რომელიც ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან კავშირში ყოველთვის უფრო მეტად ჩანს ზედაპირზე, არის ერთიანობა.

ერთიანობა განისაზღვრება როგორც მორალური პრინციპებისა თუ ფასეულობების მიმართ ერთგულება.

სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უკავშირდება მთლიანობას, სადაც ჩანს, რომ მორალური პრინციპების

ერთგულება არის სიმტკიცე და ერთიანობა რწმენებსა და მოქმედებაში, რაც მიუხედავად რაიმე განზრახვით ან ცდუნებით მისგან გადასახვევად, შენარჩუნებულია.

აქ ძალზე მნიშვნელოვანია ე.წ. <<whistleblowing>>-ის საკითხი, რომელიც ჩვეულებრივ ბიზნესის ეთიკის მკვლევართა და სტუდენტთა ინტერესის საგანს წარმოადგენს. whistleblowing ანუ ფაქტების გამოაშკარავება ეხება მოქმედებებს, რაც რანგისა და კვალიფიკაციის მიუხედავად თანამშრომლების მხრიდან დამსაქმებლებისათვის შემჩნეული ეთიკური დარღვევების წარმოჩენა – შეტყობინებაში მდგომარეობს.

უნდა აღინიშნოს,რომ ამგვარი სიტუაცია წარმოშობს ურთიერთობათა რადიკალიზაციის მოლოდინებს საწარმოში, რაც არც თუ სასურველ ფორმებში შეიძლება იქნეს გამოვლენილი. სწორედ ამიტომ აღნიშნული ერთიანობის რეალიზება ხშირად საჭიროებს პროტექციის გარკვეულ დონეს შესაძლო რეკომენდაციის გამო.

ერთიანობის საკითხის მნიშვნელობის მზარდი ყურადღების მიუხედავად, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უმეტესი დესკრიფციული მოდელი12 არ ესწრაფვის მისი ანუ whistleblowing-ის, როგორც გავლენის ფაქტორის გათვალისწინებას ბიზნესის ეთიკის საკითხთა გადაწყვეტაში, რადგან მრავალ სწავლულს მაინც საკმაოდ ბუნდოვნად და არადამაჯერებლად ეჩვენება ის თუ როგორ და რატომ ზემოქმედებს პერსონალური ერთიანობა ეთიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებზე.

მორალური წარმოსახვა

დასასრულს, კიდევ ერთი ინდივიდუალური ფაქტორი, რომელსაც უკანასკნელ ათწლეულში სულ უფრო მზარდი ყურადღება ეთმობა ბიზნესის ეთიკაში არის მორალური წარმოსახვა. მორალური წარმოსახვა ნაკლებად ეხება მორალურ ფასეულობათა კრებულს, და მეტად – შესაძლო საკითხების გადაწყვეტილებათა და

შედეგების ფართო სპექტრის წარმოსახვის უნარს13. ეს ნიშნავს, რომ მორალური წარმოსახვა არის შემოქმედება, რითაც ინდივიდს ძალუძს ასახოს ეთიკური დილემა, ვიდრე ჩვეულებრივი ორგანიზაციული რეცეპტის მიღება პრიორიტეტულობაზე და საგნებთან დამოკიდებულებაზე დაკვირვებისათვის, მორალური წარმოსახვა ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს მორალური პრობლემები, პერსპექტივები და შედეგები ერთ მთლიანობაში.

მორალური წარმოსახვა ჩართული უნდა იყოს ეთიკური გადაწყვეტილების მიღების ტიპობრივ მოდელებში და ნაკლებად უნდა ექვემდებარებოდეს ემპირიულ ტესტირებას.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მორალური წარმოსახვა ფლობს მნიშვნელოვან პოტენციალს ჩვენ დასახმარებლად, – ახსნას და გამოავლინოს ვიტალური საკითხი მასთან დაკავშირებით, თუ რატომ არსებობს ვარიაციები ინდივიდებს შორის სამუშაო კონტექსტის ეფექტში მათი ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე.

სიტუაციური გავლენები გადაწყვეტილების მიღებაზე

სიტუაციური გავლენები თანაბარი და შესაძლოა უფრო დიდი მნიშვნელობის იყოს ჩვენი ეთიკური გადაწყვეტილებების ფორმირებისას. ქვემოთ ნახატი 1.-ის სახით გთავაზობთ სიტუაციურ გავლენებს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ფაქტორის ტიპი	ფაქტორი	გავლენა ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე
საკითხთან დაკავშირებული	მორალური ინტენსივობა	შედარებით ახალი ფაქტორი, მაგრამ მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანი ეფექტის მქონე ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე.
	მორალური ჩარჩო-სტრუქტურა	საკმაოდ ლიმიტირებული ფაქტორი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებული კვლევების მიხედვით ძლიერი გავლენის მქონე ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების ზოგიერთ ასპექტზე, განსაკუთრებით მორალურ ცნობიერებაზე.
კონტექსტთან დაკავშირებული	ჯილდოები	ეხება ჯილდო / სასჯელისა და ეთიკურ ქცევებს შორის ურთიერთობებს, თუმცა სხვა ეტაპები ეთიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნაკლებად არის შესწავლილი
	ხელმძღვანელობა	კარგი საერთო მხარდაჭერა უშუალოდ ხელმძღვანელობის და ტოპ-მენეჯმენტის მხრიდან ხელქვეითთა ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე მნიშვნელოვანი გავლენისათვის
	ბიუროკრატია	მნიშვნელოვანი გავლენა ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე კარგად დოკუმენტირებული, მაგრამ ფაქტობრივად წარმოდგენილი მხოლოდ ლიმიტირებული ემპირული კვლევით. შედეგები ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე რჩება საკამათო.
	სამუშაო როლები	ზოგიერთი მოსალოდნელი გავლენა ემპირული მონაცემების არარსებობის პირობებში
	ორგანიზაციული კულტურა	ძლიერი ერთობლივი გავლენა, თუმცა კულტურასა და ეთიკურ გადაწყვეტილებებს შორის ურთიერთობების შედეგები რჩება საკამათო
	ნაციონალური კონტექსტი	ლიმიტირებული ემპირული გამოკვლევა, მაგრამ გარკვეული მოსალოდნელი ძვრებით გავლენებში.

ნახ. 1. სიტუაციური გავლენები ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე

შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სიტუაციური გავლენის ორი ძირითადი ტიპი:

- საკითხთან დაკავშირებული ფაქტორები
- კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორები

მოვახდინოთ ამ ორ კატეგორიაში წარმოდგენილი ძირითადი ფაქტორებისა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე მათი მოსალოდნელი გავლენის დეტალური აღწერის განხილვა.

საკითხთან დაკავშირებული ფაქტორები

საკითხთან დაკავშირებული ფაქტორები სულ უფრო მეტად აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი გავლენები ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების დროს ეთიკურ პრობლემებთან პირისპირ აღმოჩენის შემთხვევაში. ესენია მორალური ინტენსივობა და მორალური ჩარჩოსტრუქტურა.

მორალური ინტენსივობა

მორალური ინტენსივობის ცნება თავდაპირველად შემოთავაზებული იქნა თომას ჯონსის14 მიერ,როგორც ეთიკურ გადაწყვეტილების მიღების მოდელთა განვრცობის საშუალება, მასში იდეის ჩათვლით, რომელსაც გააჩნია ეთიკურ საკითხთა რელატიური მნიშვნელობა და გავლენა იმ პროცესებზე, სადაც გადაწყვეტილების მიმღებნი პირისპირ ჩნდებიან ეთიკურ პრობლემებთან. ჯონსის მიხედვით15 საკითხთა ინტენსივობა ვარირებს ექვსი ფაქტორის თანახმად, რომლებზედაც არის ის დამოკიდებული:

- შედეგების სიდიდე. ეს არის ზარალის (ან სარგებლის) მოსალოდნელი საერთო ოდენობა მათთვის, ვინც პრობლემებითა და მოქმედებებით განიცდის გავლენას. ცხადია,პრობლემა შეიგრძნობა გაცილებით ინტენსიურად,როცა შედეგები არის საგრძნობი. მაგალითად ისეთი,როგორიც არის ჯანმრთელობის პრობლემა ან სიკვდილი, გამოწვეული დეფექტური პროდუქტების

მიზეზით.

- სოციალური კონსენსუსი. აქ ადამიანები თანახმდებიან ეთიკასთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ მოქმედებებზე. მორალური ინტენსივობის ზრდა მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება სხვათა მიერ მიიჩნევა არაეთიკურად.
- ეფექტების ალბათობა. ეს ეხება ალბათობას,რაც ფაქტობრივად ზარალით (თუ სარგებლით) გამოწვეულ ხდომილებასთან კავშირშია.
- დროებითი უშუალობა. ეს დაკავშირებულია იმ სისწრაფესთან, რითაც შეიძლება შედეგები დადგეს. როდესაც შედეგების დადგომას დიდი ეფექტის მისაღწევად სჭირდება წლები, გადაწყვეტილების მიმღებებმა მორალური ინტენსივობა შეიძლება დრულად ვერც კი შენიშნონ - მაგალითად, მოწევის თუ სხვა მავნე პროდუქტებთან დაკავშირებით.
- სიახლოვე. ამ ფაქტორს გააჩნია (სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური) სიახლოვის განცდა, რითაც გადაწყვეტილების მიმღები პირი გადაწყვეტილების მიღებისას განიცდის გავლენას. მაგალითად, განვითარებული ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებში ცუდი შრომის პირობები, როგორც ინტენსიური მორალური საკითხი, შეიძლება უფრო მეტად იყოს შეცნობილი, ვიდრე მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში.
- ეფექტის კონცენტრაცია. იგი აღნიშნავს ხარისხს, რაც ეხება მოქმედებათა შედეგებს კონცენტრირებულს მეტ-ნაკლებად მცირესა თუ ბევრზე. მრავალი შეიძლება გრძნობდეს, რომ ადამიანის თაღლითობა ასი ევროთი უფრო მეტად მორალურად ინტენსიურია, ვიდრე იმავე თანხის ოდენობით ჩადენილი თაღლითობა უამრავი მსხვილი მულტინაციონალური აქციონერის მხრიდან.

ჯონსის მორალური ინტენსივობის ორიგინალური ფორმულირება არის თეორიული (დაფუძნებული უპი-

რატესად სოციალურ ფსიქოლოგიაზე), თუმცა შემდგომ მისი მტკიცებულებათა კარგი მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნა ემპირიული ტესტირების წარმოჩენის გზით.16 უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ინტენსივობა არის არა ობიექტური, ფაქტიური ცვლადი, არამედ ის უფრო დამოკიდებულია მასზე, თუ ეს საკითხი და მისი ინტენსივობა როგორ არის გაგებული და აღქმული ორგანიზაციის შიგნით.

მორალური ჩარჩო-სტრუქტურა

თუმცა შესაძლებელია, რომ ჯონსის ექვსი ცვლადით გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ მორალური საკითხის ინტენსივობის ხარისხი იქნას განსაზღვრული, ცხადია გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადამიანები სხვადასხვა ორგანიზაციულ კონტექსტში შესაძლოა განსხვავებულად აღიქვამდნენ ამ ინტენსივობას. მსგავსი პრობლემა თუ დილემა შეიძლება აღქმული იყოს ძალზედ განსხვავებულად იმისდა მიხედვით თუ როგორ და რა გზით არის აღნიშნული საკითხი სტრუქტურიზებული. მაშასადამე, ფორმას რომელშიც ფორმულირებულია მორალური საკითხები, საკვანძო გავლენა აქვს ეთიკურ გადაწყვეტილებებზე.

მორალური ჩარჩო-სტრუქტურის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელშიც ფორმულირებულია მორალური პრობლემა არის ენა. მორალის ენით სარგებლობა (ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა – ერთიანობა, პატიოსნება, სამართლიანობა, წესიერება, ან სიცრუე, თაღლითობა, ქურდობა) ალბათ უფრო მეტად უკავშირდება მორალურ აზროვნებას, რადგან ეს ცნებები მიბმულია არსებულ კოგნიტურ კატეგორიებს რომლებსაც მორალური შინაარსი გააჩნიათ".17 პრობლემა არის ის, რომ ბევრი ადამიანი ბიზნესში უხალისოდ ეკიდება მორალური კონდიციებით შეფუთოს თავისი საქმე, მაშინაც კი, როდესაც ისინი მოქმედებენ მორალური მოსაზრებებით, ანდა როდესაც მათ

მოქმედებებს აშკარად მოსდევს მორალური შედეგები. ზოგიერთი მკვლევარი მას ახასიათებს როგორც მორალურ მდუმარებას.18 დასავლეთში ფართოდ ციტირებულ კვლევით პროექტში, რაც მენეჯერებთან ინტერვიუებს ეფუძნება, გამოვლინდა, რომ მენეჯერთა ჯგუფები ესწრაფვის მორალურ მოქმედებათა, მოტივებისა და საუბრების რესტრუქტურიზაციას, ნაცვლად იმისა, თუ როგორ მოქმედებენ პრაქტიკული მოსაზრებების ორგანიზაციის ინტერესებისა და ეკონომიკური აზრის გათვალისწინებით. ბაირდისა და ვეიტერსის თანახმად (1989), მოსალოდნელი საფრთხეების შიშით მენეჯერები შესაძლოა იქცეოდნენ იმგვარად, რომ მხედველობაში ჰქონდეთ შემდეგი გარემოებები:

- ჰარმონია. მენეჯერებს როგორც წესი მიაჩნიათ, რომ მორალური საუბრები არღვევს ორგანიზაციულ ჰარმონიას კონფრონტაციის პროვოცირებით, რეკრიმინაციით / ურთიერთბრალდებებითა და ერთმანეთისაკენ თითის გაშვერით.
- ეფექტიანობა. მენეჯერები ხშირად გრძნობენ, რომ მორალურმა საუბრებმა შეიძლება ბუნდოვანი გახადოს საკითხები, რაც ხდის გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო რთულს, ხანგრძლივსა და მოუქნელს.
- ძალისა და ეფექტურობის იმიჯი. მენეჯერები ასევე თვლიან, რომ მათი საკუთარი იმიჯი შესაძლოა დაზარალდეს, რამდენადაც ეთიკასთან კავშირში ის შეიძლება დანახულ იქნეს როგორც იდეალური, უტოპიური და საკმარისად არასაიმედოობის მქონე ეფექტური მართვისთვის.

საკუთარი საქმიანობის პოტენციური მორალური დიმენსიებიდან დისტანცირებული და გათავისუფლებული ერთი მხრივ, და აღნიშნული მარგინალიზაციის შიში მეორე მხრივ ის გარემოებითი ფაქტორებია, რაც ეჭვშეუვლად აჩენს საწარმოს პერსონასლის, პირველ რიგში კი მენეჯერთა ამორალიზაციის პროცესში ჩართვის საფრთხეს.

კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორები

სიტუაციური გავლენის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორები. კონტექსტში იგულისხმება ორგანიზაციული კონტექსტი, სადაც მოიაზრება ორგანიზაციაში დასაქმებული თანამშრომლები. მაგრამ, ამავე დროს მასში განსაკუთრებით იგულისხმება საქმიან ადამიანებთან სამუშაო გარემოს ფარგლებში წარმოქმნილი მოლოდინები და მოთხოვნები, რომლებსაც ძალუძთ გავლენა იქონიონ მათ აღქმებზე მორალურად სწორი კურსის გარკვევასთან დაკავშირებით. ეს ფაქტორები განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ეთიკური გადაწყვეტილების მიღების ფორმირებისას ორგანიზაციებს შიგნით. ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტისათვის არსებობს ასევე მნიშვნელოვანი ძირითადი ფაქტორები, რომლებიც სამუშაო ადგილებზე ხელს უწყობენ ეთიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას.

დაჯილდოების სისტემები

მრავალი ორგანიზაცია თავისი თანამშრომლების მოტივირებისათვის იყენებს დაჯილდოების სისტემას ბონუს – საკომისიო ფორმის სახით. მაგალითად, გაყიდვების ზრდის მიღწევისათვის გამყიდველები იღებენ შესაბამის ჯილდოს, მაგრამ აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამგვარ შემთხვევაში უფრო მეტი საკომისიო – ბონუსის გამომუშავების მიზნით მათი მხრიდან მომხმარებლებთან ურთიერთობაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარკველ ეთიკურ სტანდარტებთან კომპრომისს, რაც რასაკვირველია პირდაპირ აისახება გამყიდველთა ეთიკურ ქცევებზე. ამგვარ გამოვლინებათა ეფექტურ პრევენციას წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ არაეთიკურად მოქმედი თანამშრომლების მიმართ (რაც შეიძლება გამოიხატოს მომხმარებლისათვის საქონლის უპირატესობათა გადაჭარბებასა თუ მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანაში

კონკურენტების საქონლის თაობაზე) გამაფრთხილებელი თუ სხვა დასჯადი ღონისძიებების გატარება. დაუსჯელობის შემთხვევაში კი სავსებით შესაძლებელია, რომ ეთიკურ მოთხოვნათა საკმაოდ მარტივად დარღვევის ფაქტები ხშირად მეორდებოდეს. ამიტომ, ეთიკური პრინციპებისა და სტანდარტების მიმართ ერთგულება ის საუკეთესო გამოსავალია, რაც გამეორების ნაკლებ შანსს ტოვებს მთლიანად კომპანიაში.

მიუხედავად ჯილდოებისა და ეთიკურ ქცევებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების ძლიერი აკადემირი მხარდაჭერისა, ზოგიერთმა კვლევამ19 მაინც აჩვენა არაეთიკური ქცევების დაჯილდოებასა და ამგვარ მოქმედებათა გაგრძელებას შორის არსებითი კორელაციის შემთხვევები და მათი ნეგატიური მხარეები. ამიტომ, მენეჯერები ფაქტობრივად ირჩევენ დაბალანსებულ მიდგომას, რამდენადაც პრაგმატული ინტერესები და მასტიმულირებელი ჯილდოები შეგნებულად არის გადახლართული მორალურ მოსაზრებებთან გადაწყვეტილების მიღების მენეჯმენტში20.

ხელმძღვანელობა

აქედან ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ხელმძღვანელობის საკითხი. ცნობილია, რომ ადამიანები ხშირად არ აკეთებენ სწორედ მას, რაც ჯილდოს იმსახურებს. ისინი, როგორც წესი აკეთებენ მას, რისი გაკეთებაც მათ უბრძანეს. ეს შეიძლება იყოს პირდაპირი ინსტრუქცია უფროსის მხრიდან რაიმეს შესასრულებლად, რა დროსაც ხელქვეითები სავალდებულოდ არ მიიჩნევენ ეჭვქვეშ დააყენონ ან უარყონ მსგავსი მითითებები მათი იერარქიულად დაბლა მყოფი სტატუსის გამო. სხვა დროს ხელქვეითებმა შესაძლებელია მენეჯერთაგან მიიღონ არაპირდაპირი ინსტრუქციები რაიმეს არაეთიკურად შესასრულებლად, სადაც ისინი აუცილებლად იგრძნობენ მცირე ოპციონს, თუმცა მოქმედების საეჭვო ფორმებში.

მენეჯერებს ცუდი მაგალითის მიცემით ასევე შეუძლიათ ჰქონდეთ გავლენა საკუთარ თანამშრომლებზე. პოზნერისა და შმიტის21 თანახმად, აშშ-ის ერთი მესამედი დაბალი და საშუალო რანგის მენეჯერები ნამდვილად განიცდიან მორალური პრინციპების ერთგულების სიმწირეს, რასაც ადასტურებს მათი ხშირი ჩართულობა კომპანიის შიგნით მიმდინარე არაეთიკურ პროცესებში. შედარებით გვიანდელი მონაცემები22 კი მოწმობს, რომ მსხვილი და საშუალო მასშტაბის ორგანიზაციათა თანამშრომლების ნახევარზე ნაკლების შეფასებით, მათი ხელმძღვანელები საკმაოდ მაღალი დადებითი პიროვნული ნიშანთვისებებით გამოირჩევიან.

დასასრულს, ცხადია, რომ ხელმძღვანელობას ხელქვეითთა მეშვეობით ძალუძს გავლენა იქონიოს ეთიკურ გადაწყვეტილებებზე, მაშინ როდესაც ისინი აღმოჩნდებიან პოტენციურ პრობლემათა პირისპირ.

ბიუროკრატია

ჯილდო-სასჯელისა და ხელმძღვანელობის გავლენის საფუძვლადდება ბიზნესორგანიზაციებში წარმოადგენს ბიუროკრატიის ხარისხს. ბიუროკრატია არის ფორმალური ორგანიზაციის ტიპი დაფუძნებული რაციონალურ პრინციპებზე და ხასიათდება დეტალური წესებითა და პროცედურებით, არაპერსონალური იერარქიული ურთიერთობებითა და ამოცანათა მყარი დაყოფით.

ბიუროკრატია, დაფუძნებული მაქს ვებერის23 შრომებზე ბიუროკრატიული ფორმის შესახებ, ისევე როგორც გვიანდელი დისკუსიები ბიუროკრატიის ირგვლილ მორალის თაობაზე რობერტ ჯეიკოლთან,24 ზიგმუნთ ბაუმანთან25 და რენე ტენ ბოსთან26 ასაბუთებს რიგი ეფექტების არსებობას ეთიკურ გადაწყვეტილებებზე:

- მორალური ავტონომიის რეპრესია. ინდივიდის მორალი მიმართულია იქითკენ, რომ დაემორჩილოს

ფუნქციონალურად სპეციფიკურ წესებსა და ბიუროკ-
რატიული ორგანიზაციის წესებს. ამგვარად, ეფექტური
ბიუროკრატია არსებითად „ათავისუფლებს" ადამიანს
მორალური რეფლექსიისა და გადაწყვეტილების მიღებ-
ისაგან,რამდენადაც ის მხოლოდ საჭიროებს პრესკრიფ-
ციული წესებისა და პროცედურების მიყოლას, დადგე-
ნილთ ორგანიზაციული მიზნების მიღწევისათვის,
რამაც შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომელთა „მორ-
ალურ რობოტად" ქცევა, რომლებიც მხოლოდ წესებს
იცავენ და არ ფიქრობენ თუ რატომ არსებობს ისინი,
ან შეიძლება თუ არა მათ მიზნებში დაეჭვება.

- ინსტრუმენტალური მორალი. ბიუროკრატია
ორგანიზაციის წევრთა ყურადღებას მიმართავს ორ-
განიზაციული მიზნების ეფექტურ მიღწევაზე. აქედან,
მორალი შესაძლოა რაციონალური იყოს მხოლოდ ამ
მიზნების მიღწევისათვის დადგენილ წესებთან შესა-
ბამისობის თვალსაზრისით, ე.ი. საქმე გვაქვს ინსტუმენ-
ტალიზებულ მორალთან და არა თავად მიზნების მორ-
ალურ სუბსტანციაზე ყურადღების ფოკუსირებასთან.
შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება ფოკუსირდება
მასზე, იყო თუ არა სწორი პროცედურები, გატარებული
განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, ნაცვლად იმისა,
არის თუ არა თავად მიზნები მორალურად სასიკეთო.

- დისტანცირება. ბიუროკრატია ემსახურება
ჩვენი საკუთარი მორალის შემდგომ ჩახშობას ჩვენი
დისტანცირებით ჩვენივე მოქმედებათა შედეგებისგან.

- მორალური სტატუსის უარყოფა. დასასრულ,
ბიუროკრატია გარდაქმნის მორალის ობიექტებს, რო-
გორიც არის ადამიანები თუ ცხოველები, საგნები თუ
ნიშან-თვისებათა ერთობლიობა. ამგვარად, თანამშრომ-
ლები ხდებიან ჰუმანური <<რესურსი>> ზოგიერთი ორ-
განიზაციული მიზნისათვის; მომხმარებლები დაიყვანე-
ბიან პრეფინანციათა ერთობლიობამდე მარკეტინგის
მონაცემთა ბაზაში; ცხოველები ხდებიან პროდუქცი-
ის ერთეული, რომლებიც განიცდიან ტექნოლოგიურ

დამუშავებას ფაბრიკა-ქარხნებში. საქმე იმაშია, რომ ამოცანათა დაყოფისა და ეფექტიანობაზე ფოკუსირების გზით ადამიანები, როგორც მორალური არსებები დაკარგულია და საბოლოო ანგარიშით ისინი უარყოფილნი არიან ჭეშმარიტი მორალური სტატუსისგან.

სამუშაო როლები

როგორც დავინახეთ, შრომის ბიუროკრატიული ორგანიზაცია ადამიანებს განაწესებს კონკრეტულ სპეციალიზაციებსა თუ ამოცანებში, რომლებიც (შრომის) სამუშაო როლებს წარმოადგენენ. ქცევის ეს მოდელები გულისხმობს სხვადასხვა პირთაგან განსაზღვრული პოზიციის დაკავებას ორგანიზაციაში.27 სამუშაო როლები შეიძლება იყოს ფუნქციონალური – მაგალითად, ბუღალტრის, ინჟინრისა თუ გამყიდველის – ანდა ისინი შეიძლება იყოს იერარქიული – მაგალითად, დირექტორის, მენეჯერისა თუ ხელმძღვანელის როლები. როლებს ძალუძთ მოახდინონ ინკაფსულაცია მოლოდინების მთელი ნაკრებისა საკითხების შესახებ: რა უნდა შეფასდეს, როგორ ურთიერთობ სხვებთან, როგორ უნდა მოიქცე.

ეს მოლოდინები აიგება ფორმალური განათლებით, ტრეინინგებითა და გამოცდილებით და მათ შეიძლება ჰქონდეთ ძლიერი გავლენა ადამიანის ქცევებზე. ბიზნესის ეთიკის კონტექსტში, მითითებული სამუშაო როლებსა და თანმხლებ მოლოდინებს დაფუძნებულთ პიროვნების ადაპტურ როლზე, შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენები გადაწყვეტილების მიღებაზე.

ჩვენი ინდივიდუალური მორალი, ფასეულობები და რწმენები, რომლებსაც როგორც წესი შეგვიძლია რომ ვფლობდეთ, შესაძლოა იქნას ჩახშობილი იმ ფასეულობებისა და რწმენების შეთვისებით, რაც ჩაკირულია ჩვენ სამუშაო როლში. ამიტომ, როლები არ წარმოადგენს ჩვენი პიროვნულობის მყარ მახასიათებელსა თუ ასპექტს, მაგრამ მას მაინც დიდი კონტექსტუალური

გავლენები გააჩნია ჩვენ გადაწყვეტილებასა და ქცევებზე.

ორგანიზაციული ნორმები და კულტურა

ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე სხვა პოტენციურად მძლავრი გავლენის მქონე არის ნორმათა ჯგუფი, რომელიც აღწერს ქცევის მისაღებ სტანდარტებს შრომით თემში, როგორც მშრომლეთა მცირე ჯგუფის, დეპარტამენტისა თუ მთელი ორგანიზაციის დონეზე. ნორმათა ჯგუფი გამოხატავს საშუალებას, რითაც ხდება ინტენციაციათა რეალიზაცია განსაზღვრულ გარემოში ან მათი შესაძლო კონფრონტაცია ორგანიზაციის მიერ დადგენილ ოფიციალურ წესებთან თუ პროცედურებთან.

ნორმათა ჯგუფს შესაძლოა კავშირი ჰქონდეს აზროვნების, მოქმედების, საუბრის, შეფასებისა და ა.შ. საშუალებებთან. შედეგად, ნორმათა ჯგუფი ესწრაფვის მოიცავს ფაქტორთა სულ უფრო ფართო სპექტრი, მათ შორის ზოგადი ფასეულობები, რწმენები და ქცევები, რომლებიც ორგანულ კავშირშია ორგანიზაციული კულტურის ცნებასთან.

ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს ერთიან გარემოს ორგანიზაციის ფარგლებში ან მის გარკვეულ ნაწილში. კულტურა შედგება კონკრეტული მნიშვნელობებით, რწმენებითა და საღი აზრისგან, რომლებიც ნაწილდება ორგანიზაციის წევრებს შორის, და წარმოდგენილია ვარაუდების, ნორმათა და ფასეულობების სახით. ორგანიზაციული კულტურა ეთიკური გადაწყვეტილების ფორმირებისას ფართოდ არის აღიარებული როგორც ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. ის არამხოლოდ ინტენსიურად არის ჩართული ეთიკური გადაწყვეტილების მიღების მოდელებში,28 არამედ ის ასევე ფართოდ განიხილება ემპირიულ კვლევებში.29 სრულებით არ არის საკვირველი, რომ კულტურასა და ეთიკური გადაწყვეტილებების ღრმა კავშირებს შორის არსებულ მოსაზრებებს ამყარებს მრავალი მოწმობა

და მძლავრი კონცეპტუალური მხარდაჭერა.30 ცხადია, ზემოთ აღნიშნულ საშუალებებში კომპანიის თანამშრომლების სოციალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების ფორმებს მათი ეთიკურ პრობლემებთან პირისპირ აღმოჩენის დროს. კულტურულ მოლოდინებსა და ფასეულობებს ძალუძთ უზრუნველყონ ძლიერი გავლენა მასზე, რაც ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ „სწორად" ან „არასწორად". ამგვარად, ჩვენი კულტურული წვდომები და ცოდნა შესაძლებელია მოგვევლინოს ორივე სახით, როგორც ფასილიტატორი და როგორც ბარიერი.

ამგვარ მსჯელობათა შედეგად, მრავალი ავტორი, როგორებიცაა ტრევინო, ნელსონ,31 ფერელი და სხვ32., საუბრობენ ეთიკური კულტურის ამაღლების საჭიროებაზე ეთიკური გადაწყვეტილების მიღების განმტკიცებისათვის. არსებობს მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, ანდა სინამდვილეში რამდენად არის ეს შესაძლო ან სასურველი. როგორც ჩანს, კულტურის წინასწარ განზრახული მენეჯმენტი არის უკიდურესად ძნელი, სადაც შედეგების განჭვრეტა შეუძლებელია. შესაძლოა არ არის მთლად გარკვეული თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ორგანიზაციული კულტურის გავლენისა ეთიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, მაგრამ თავად ფაქტი, რომ არსებობს გარკვეული სახის ურთიერთობა მათ შორის, არ არის საკამათო.

ნაციონალური და კულტურული კონტექსტი

დასასრულს, ისევე როგორც ორგანიზაციის კულტურისა და სამუშაო ქცევის კულტურას შეუძლია გავლენის მოხდენა ეთიკურ გადაწყვეტილებებზე, ასევე შეუძლია იმ ქვეყნებსა თუ კულტურებს, რომლეთა არეალშიც განლაგებულია ცალკეული ორგანიზაციები. ინდივიდუალურ გავლენათა ეს ფაქტორი ვარირებს ნაციონალურ და კულტურულ თავისებურებებს შო-

რის: თუ წინათ ყურადღება მახვილდებოდა ცალკეული გადაწყვეტილებების ნაციონალურობაზე, ახლა მხედველობაში მიიღება ერები, სადაც ფაქტობრივად მიიღება გადაწყვეტილებები განურჩევლად გადაწყვეტილების მიმღების ეროვნებისა. განსხვავებული კულტურები ჯერ კიდევ გარკვეული ხარისხით იცავენ განსხვავებულ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი. ამ განსხვავებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასზე, არის თუ არა ადიარებული მორალური საკითხები და ინდივიდების მიერ გაზიარებული გადაწყვეტილების ფორმები და ქცევის მოდელები.

გლობალიზაციით გამოწვეული ნაციონალურ კულტურათა განსხვავებულობის წაშლისას შეიძლებოდა გვქონოდა მოლოდინი, გვეხილა ძვრები ამ ფაქტორის გავლენაში, შესაძლოა გაცილებით კომპლექსური ეფექტებითა და ინტერაქციების გამოვლენით.

ლიტერატურა:

1. W. Visser, D. Matten, M. Pohl, N. Tolhurst, <<The A to Z of Corporate Social Responsibility>>, Chichester, West Sussex, 2008, P. 57

2. Ford, R. C., and Richardson, W.D., Ethical Decision making: a review of the empirical literature., Journal of Business Ethics, #13/3, 1994, P. 205-21

3. Loe, T. W., Ferrell, L., Mansfield, P., A review of empirical studies assesing ethical decision making in business., Journal of Business Ethics, #25/3, 2000, P. 185-204.

4. არსებობს მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, რომლებშიც ეს საკითხია განხილული: Becker and Fritzsche's (1987) study of French, German, and US managers; Lysonski and Gaidis's (1991) study of US, Danish, and New Zealand business students; Nyaw and Ng's (1994) study of Canadian, Japanese, Hong Kong, and Taiwanese business students; Jackson

and Artola's (1997) study of French and German manageres; and Jackson's (2001) tencountry study across four continents.

5. Hofstede, G., Gulture's Consequences: Jnternational Differences in Work Related Values. Beverly Hills: Sage., 1980 Hofstede, G., Cultures and Organizations: Software of the Mind. London: Harper Collins., 1994

6. McCabe, D. L., Dukerich, J. M., and Dutton, J. E., 'Context, varlues and morals dilemmas: comparing the choices of business and law school students' journal of Business Ethics, N10/2, S. 951-61, 1991., McCabe, D.L., and Treviño, L. K., 'Academic dishonesty: honor codes and other situational influences'. Journal of Higher Education, #64, S. 522-38, 1993.

7. იხ. წყარო 6. McCabe და სხვ. 1991.

8. De George, R. T., Business Ethics, 5 th edn. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 1999

9. Treviño, L. K., Nelson, K. A., Managing Business Ethics: Straight Talk about Haw to do it Right, 2 nd edn. New York: John Wiley., 1999.

10. Kohlberg, L., Stage and sequence: the cognitive development approach to socialization. D. Goslin (ed.) Handbook of Socialization Theory and Research. Chicago: Rand McNally, 1969, P. 347-480.

11. Fraedrich, J., Thorne, D. M., Ferrell, O. C., 'Assesing the application of cognitive moral development to business ethics'., Journal of Business Ethics, N13/10, 1994, P. 829-38.

12. Solomon, R.C., A Better Way to Think about Business: How Personal Integrity Leads to corporate Success. New York: Oxford University Press., 1999

13. Werhane, P.H., 'Moral Imagination and the search for ethical decision-making in managmment', Business Ethics Quarterly, Ruffin Series (1): 1998,P. 76

14. Jones, T. M., Ethical decision making by individuals in organizations: an issue-contingent model, Academy of Management Review, #16, 1991

15. იხ. წყარო 14, გვ. 347-8

16. Morris, S. A., McDonald, R.A., 'The role of moral intensity in moral judgements: an empirical investigation'., Journal of Business Ethics, #14, 1995, P. 715-26; Frey, B. F., 'The impact of moral intensity on decision making in a business context'., Journal of Business Ethics, #26, 2000, P. 181-95

17. Theviño, L. K.,' Nelson, K. A., Managing Business Ethics: Straight Talk about How to do it Right, 2nd edn. New York: John Wiley., 1999, P. 101.

18. Bird, F.B., Waters, J. A., 'The moral muteness of managers'. California Management Review, 1989.

19. Loe, T. W., Ferrell, L., Mansfield, P., A review of empirical studies assessing ethical decision making in business., Journal of Business Ethics, #25/3, 2000, P. 185-204.

20. Watson, T. J., Ethical codes and moral communities: the gunlaw temptation, the Simon solution and the David dilemma., In M. Parker (ed.), Ethics and Organizations. London, 1998.

21. Posner, B.Z., Schmidt, W. H., Values and the American Manager: an update updated., California management Review, #34/3, 1992

22. Ferrell, O.C., Fraedrich, J., Ferrell, L., Business Ethics: Ethical Decision Making and Cases, 5th edn. Boston: Houghton Mifflin., 2002, P. 135

23. Weber, M., the Theory of Social and Economic Organization, trans. A. M. Henderson, T. Parsons. Oxford: Oxford University Press. 1947.

24. Jackall, R., Moral Mazes. Oxford University Press. 1988

25. Bauman, Z., Modernity and the Holocaust. Cambridge: Polity Press. 1989; Bauman, Z., Postmodern Ethics. Oxford: Blackwell 1993.

26. Ten Bos, R., 'Business ethics and Bauman ethics'. Organization Studies, 18/6: 997-1014, 1997

27. Buchanan, D., Huczynski, A., Organizational Behaviour, 3rd edn. London: Prentice – Hall., 1997, P. 374

28. Ferrell, A., Fraedrich, J., A synthesis of ethical decision models for marketing., Journal of Macromarketing, #9/2, 1989, P.

55-64

29. Loe, T. W., Ferrell., Mansfield, P., A review of empirical studies assessing ethical decision making in business., Journal of Business Ethics, #25/3 2000, P. 1985-204

30. Sinclair, A., Approaches to organizational culture and ethics., Journal of Business Ethics, #12., 1993, P. 63-73; Dahler – Larsen, P., Corporate Culture and morality: Durkheiminspired reflections on the limits of corporate culture., Journal of Managment Studies., #31/1, 1994, P. 1-18; Starkey, K., Durheim and the limits of corporate culture: whose culture? Wich Durkheim?, Jurnal of Managment Studies, #35/2, 1998 P. 125-36

31. Treviño, L. K., Nelson, K. A., Managing Business Ethics: Straight Talk About How to do it Right, 2nd edn. New York: John Wiley., 1999.

32. Ferrell, O.C., Fraedrich, J., Ferrell, L., Business Ethics: Ethical Decision Making and Cases, 5ht edn. Boston: Houghton Mifflin., 2002.

თავი 4. გლობალიზაცია და ბიზნესის ეთიკა

§4.1. გლობალიზაცია ბიზნესეთიკის კონტექსტში

გლობალიზაცია ახალი დროების ყველაზე უფრო მოდური სიტყვაა, ხოლო გლობალიზებული სამყარო ძალზედ ხშირად თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან არის გაიგივებული. ბოლო ათწლეულის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისებამდე, გლობალიზაციის პოზიტიურ მხარედ მიჩნეული იყო მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსნაციონალური და ტრანსკონტინენტალური კავშირ-ურთიერთობების მზარდი დინამიკა და მისით მიღებული სარგებელი, რომელთა შორის აღნიშნავდნენ – ეკონომიკურ ზრდას, გლობალურ კეთილდღეობას, დემოკრატიას და მსოფლიო მშვიდობას1 . მაგრამ, გლობალიზაციის, როგორც პოზიტიური განვითარების შესახებ, მსოფლიოში არ არსებობს ერთსულოვანი შეხედულება. 1970-იანი წლების ანტი-ბირთვული მოძრაობის მსგავსად, ჩვენ მოწმენი გავხდით ახალი, მსოფლიოში გავრცელებული ანტი-გლობალისტური კამპანიისა, რომელმაც მძლავრი საზოგადოებრივი პროტესტის ფორმა შეიძინა „გლობალური მსოფლიო წესრიგის", „გლობალური კაპიტალიზმის", „მულტინაციონალური დიქტატის" და ა.შ. წინააღმდეგ, და რომლის სამიზნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე, დიდი რვიანისა თუ ევროკავშირის ლიდერთა სამიტები წარმოადგენენ. მღელვარებები სიეტლში, დავოსში, პრაღასა და გენუაში აჩვენებს, რომ გლობალიზაცია საზოგადოებრივი დღის წესრიგის საკმაოდ საკამათო თემაა.

ბიზნესის ეთიკის კონტექსტში გლობალიზაციის ირგვლივ კამათი თამაშობს გადამწყვეტ როლს. ბოლოს

და ბოლოს, კორპორაციები, უწინარესად კი მულტინაციონალური კორპორაციები (მნკ) გლობალიზაციის დროს საზოგადოების კრიტიკის ცენტრში იმყოფებიან. მათ ადანაშაულებენ უმცირესად განვითარებული ე.წ. მეოთხე სამყაროს ქვეყნებში მუშახელის ექსპლუატაციაში, გარემოს განადგურებასა და ეკონომიკური სიმძლავრეების ბოროტად გამოყენების გზით ე.წ. <<race to the bottom>>*-ის არსებობაში.

და მაინც რა არის გლობალიზაცია? გლობალიზაცია არის საკამათო ტერმინი და განსასჯელი თემა არა მარტო საჯარო დებატებში, არამედ ასევე – სამეცნიერო დისკუსიებში**. ენდრიუ კრეინი და დირკ მატენი გვთავაზობენ გლობალიზაციის განვითარების ორ ფორმას – ტექნოლოგიურს და პოლიტიკურს.2

თანამედროვე საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და გავრცელება, მიუხედავად ტერიტორიული დაშორებებისა ერთი მხრივ, და ე.წ. „რკინის ფარდის" გაქრობის შემდეგ დაძლეული ტერიტორიული სასაზღვრო სირთულენი მეორე მხრივ, იძლევა ადამიანებს შორის ერთმანეთთან დაკავშირებისა და ინტერაქციის შესაძლებლობებს მთელ მსოფლიოში. გლობალიზაციის განვითარების ორივე ფორმა ქმნის მასიურ პროლიფერაციას ანუ სწრაფ ზრდას ზეტერიტორიულ კავშირში. მიუხედავად ფორმათა ამგ-

*ტერმინი << race to the bottom>> არის სოციალურ-ეკონომიკური კონცეპტი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ასახავს პროცესს, რომლის თანახმად მნკ-ი ინვესტიციებს აბანდებენ იმ უმცირესად განვითარებულ ქვეყნებში (უგქ), რომლებიც მათ სთავაზობენ უკეთეს ხელსაყრელ პირობებს დაბალი საგადასახადო ნიხრის, ეკოლოგიური რეგულირების დაბალი დონისა და მუშაკთა შეზღუდული უფლებების მხრივ.

** გლობალიზაციის და მისი მნიშვნელობის შესახებ არსებობს მრავალი ლიტერატურა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბეკის, გიდენსის, ჰელდისა და მაკგრეის შრომები.

ვარი ბუნებისა,აუცილებელი არ არის,რომ მსგავს კავშ-ირებს ყოველთვის ჰქონდეს გლობალური გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით. ამ კავშირებთან მიმართებაში ახალი მიდგომა მდგომარეობს მასში, რომ ის მეტად აღარ საჭიროებს გეოგრაფიულ ხდომილებებს და რომ ისინი მეტად აღარ იზღუდებიან ტერიტორიული დაშ-ორებებითა და საზღვრებით. პროფ შოლტე3 ამგვარ გლობალიზაციას ახასიათებს როგორც დეტერიტორი-ზაციას. მაშასადამე, გლობალიზაცია არის ტერიტო-რიული ბაზისის პროგრესირებადი მოშლა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა და პრო-ცესების წარსამართავად. გლობალური კომუნიკაციები, გლობალური პროდუქტები, გლობალური ფინანსური სისტემები და კაპიტალის ბაზრები წარმოადგენს დეტ-ერიტორიზაციის მეტად მკაფიო მაგალითებს. აქედან გამომდინარე, სახეზეა გლობალიზაციის როგორც დეტერიტორიზაციის შეუქცევადი პროცესი მსოფლიო ეკონომიკაში.

გლობალიზაცია ეკონომიკური საქმიანობის დეტერ-იტორიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით რელ-ევანტურია ბიზნესის ეთიკისათვის, რაც სამ ძირითად სფეროში ვლინდება. ესენია: კულტურა, სამართალი და ანგარიშვალდებულება.4

კულტურული საკითხი. გეოგრაფიული მანძილების, როგორც ბიზნესსაქმიანობების ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორის, ბიზნესზე გავლენის სულ უფრო შემცირების კვალდაკვალ, კორპორაციები მზარ-დად იკავებენ უცხოურ ბაზრებს, რა დროსაც ისინი ხშირად აწყდებიან ახალ-ახალ და სხვადასხვაგვარ ურთიერთსაწინააღმდეგო ეთიკურ მოთხოვნებს. ევროპ-ული ფირმების მაგალითზე თუ ვიტყვით, ის მორალური ფასეულობები, რომლებიც შიდა ბაზრებზეა მიღებული, შესაძლოა ეჭქვეშ დადგეს, მათი უცხოურ ბაზრებზე შესვლასთან ერთად. მაგალითად, ევროპული შეხედ-

ულებები და დამოკიდებულებები რასიულ და გენ-
დერულ საკითხებზე აბსოლიტურად განსხვავდება
ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათე-
ბელი ტრადიციული ხედვისაგან. ასევე, ეკონომიკური
დაქვეითების დროს ჩინეთში თანამშრომლების სამ-
სახურიდან დათხოვნა აღიქმება არაეთიკურ ქმედებად,
მაშინ როდესაც ევროპასა და აშშ-ში მას ბუნებრივ
პროცესად მიიჩნევენ. ისე როგორც დასავლეთისათ-
ვის მიუღებელია და მკაცრად არაეთიკურია ბავშვთა
შრომის გამოყენება, ხოლო მრავალ აზიურ ქვეყანაში
– დასაშვები. მიზეზი თუ რატომ არსებობს მსგავსი
პრობლემების პოტენციალი არის ის, რომ გლობალი-
ზაციის პირობებში დეტერიტორიზაციის გამო ეკონომი-
კური ურთიერთობების აჩქარების მიუხედავად, უმეტეს
შემთხვევაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ადგილობრივ,
ლოკალურ კულტურებს შორის მჭიდრო კავშირების
არსებობას, მორალური ფასეულობებისა და გარკვეუ-
ლი გეოგრაფიული რეგიონების ჩათვლით.

სამართლებრივი საკითხი. ბიზნესის ეთიკის კუთხ-
ით სამართლის სფერო მჭიდრო კავშირშია ეთიკასთან.
მრავალი ეკონომიკური ტრანსაქცია რაც უფრო კარ-
გავს კავშირს გარკვეულ რეგიონალურ ტერიტორია-
სთან,მით უფრო აღწევს თავს ის შესაბამისი ეროვნული
მთავრობების კონტროლს. ბუნებრივია, ხელისუფლება-
თა ძალაუფლება დასაზღვრულია გარკვეული ტერი-
ტორიებით, მაგ.: დიდი ბრიტანეთის კანონები სავალ-
დებულოა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე,
და ა.შ. როგორც კი კომპანია ტოვებს საკუთარ ტერ-
იტორიას და შედის სხვა, განსაკუთრებით მესამე ან
მეოთხე სამყაროს ქვეყნებში, სამართლებრივი ჩარჩოე-
ბი ხდება ძლიერ განსხვავებული. შესაბამისად, მენე-
ჯერებს მეტად აღარ ძალუძთ უბრალოდ დაეყრდნონ
სამართლებრივ ჩარჩოებს, როდესაც ბიზნესის პრაქტი-
კაში გადასაწყვეტი ხდება „სწორისა” და „არასწორის”
საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნესის ეთიკას

უპირატესად ეხება ის საკითხები, რომლებიც არ განეკუთვნება სამართლის სფეროს, ან სადაც არ არსებობს განსაზღვრული კონსესუსი თუ რა არის „სწორი" და რა „არასწორი", გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის ეთიკა იწყება იქ, სადაც მთავრდება კანონი. ამგვარ მოცემულობაში დეტერიტორიზაცია ზრდის მოთხოვნას ბიზნესის ეთიკაზე, რადგან დეტერიტორიზებული ეკონომიკური საქმიანობები გამოდის ეროვნულ მთავრობათა კონტროლის საზღვრებიდან. მაგალითად, გლობალური ფინანსური ბაზრები იმყოფებიან ნებისმიერი ეროვნული ხელისუფლების კონტროლის მიღმა.

ანგარიშვალდებულების საკითხი. მივაპყრობთ რა დაკვირვებულ მზერას მსოფლიო მოვლენებს, ადვილად შევამჩნევთ ეკონომიკური სუბიექტების გლობალურ სცენაზე იმ დომინანტი მულტინაციონალური კორპორაციების არსებობას, რომლებიც განსაზღვრავენ არა მხოლოდ ცალკეული რეგიონების, არამედ მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკასაც. ცალკეული მნკ ეკონომიკურად გაცილებით მძლავრია, ვიდრე არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ მრავალი განვითარებული ქვეყნის მთავრობა. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა ანგარიშვალდებულია საკუთარი ხალხის წინაშე, მაშინ როდესაც მნკ-ის მენეჯერები ფორმალურად ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ ადამიანთა შედარებით პატარა ჯგუფების წინაშე, რომლებიც ფლობენ კომპანიათა აქციებს. საზოგადოებრივ ჯგუფებს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც პირდაპირ არიან მნკ-ის საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულნი, არ გააჩნიათ კომპანიებზე გავლენა, და რეგიონალური თუ ეროვნული მთავრობებისაგან განსხვავებით, არც მნკ-ი არიან ანგარიშვალდებულნი ზემოთ აღნიშნული წრეების მიმართ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ დეტერიტორიზაციის პირობებში მთავრობებს კორპორაციებზე სულ უფრო ნაკლებად შეძლიათ კონ-

ტროლის განხორციელება, და თავის მხრივ მით უფრო ნაკლებად გახსნილნი არიან კორპორაციები დემოკრატიული კონტროლისათვის დაზარალებული ადამიანების მხრიდან. ამგვარად, პირდაპირი მოწოდება მნკ-ის ანგარიშვალდებულების შესახებ, სულ უფრო ხმამაღალა გაისმის უკანასკნელი წლების განმავლობაში, რასაც ზემოთ ნახსენები ანტოგლობალისტთა პროტესტებიც ადასტურებს.

ლიტერატურა:

1. Paulson, H., 'The gospel of globalisation'., Financial Times, 2001, 13 Nov: 25.
2. Crane, A., Matten, D., Business Ethics, A EUROPIAN PERSPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization), Oxford, 2004, P. 16.
3. Scholte, I.A., Globalization: A Gritical Introduction. Basingstoke: Polgrave., 2000, P. 46
4. იხ. წყარო 2., გვ.17

§4.2. გლობალიზაციის გავლენა ბიზნესურთიერთობებზე

გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოსტმოდერნის ბიზნესურთიერთობებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მულტინაციონალურ კორპორაციებში დასაქმებულთა განსხვავებული მდგომარეობა და პირობები არა მხოლოდ რეგიონების, არამედ კონტინენტების (აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა) მიხედვითაც. მხედველობაში გვაქვს დასაქმებულთა უფლებების უნივერსალურობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საკითხთა იმგვარ წყებას, როგორიცაა: დისკრიმინაცია, პატიოსანი ურთიერთობები, მისაღები სამუშაო პირობები, სამართლიანი ხელფასი და ვერბალური / არავერბალური გამოხატვის თავისუფლება. ეს საკითხები სხვადასხვა კულტურებში განსხვავებულად ინტერპრეტირდება და ასევე განსხვავებულ დატვირთვას იძენს. მაგალითად, რასიული, სექსუალური თუ რელიგიური დისკრიმინაციის ცნებები სავსებით შესაძლებელია განსხვავებული იყოს ისლანდიაში, იტალიაში, ისრაელსა და ინდონეზიაში. მსგავსად ამისა, გამოხატვის თავისუფლებაც შესაძლებელია განსხვავებულად იქნას აღქმული ბელგიასა და ბირმაში.

ქვემოთ გთავაზობთ იმ ძირითად საკითხებს,რომელთა გააზრების გარეშეც შეუძლებელია მოცემულ თემატიკაში კარგად გარკვევა. ეს არის1:

- ეროვნული კულტურები და მორალური ფასეულობები;
- აბსოლუტიზმი VS რელატივიზმი;
- ე.წ. <<race to the bottom>> *

---

*იხ. ვ. ხიზანიშვილი, „გლობალიზაცია და ბიზნეს ეთიკა",. ჟურნალი <<ეკონომიკა>>, №5-6, თბ. 2013, გვ. 195

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი

ეროვნული კულტურები და მორალური ფასეულობები. ეროვნულ კულტურებსა და მორალურ ფასეულობებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა მსოფლიო მასშტაბით. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფ. ჰოფსტეიდის2 ოთხი დიმენსის მქონე მოდელი, დამახასიათებელი სხვადასხვა კულტურული ფასეულობებით: ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი, ძალაუფლების დისტანცია ანუ მასშტაბი, მამაკაცურობა / ქალურობა, გაურკვევლობის თავიდან აცილება. ეს დიმენსები ბუნდოვნად ფოკუსირდება ზოგიერთ საკვანძო ასპექტზე, რაც საფუძვლად უდევს იმ მორალურ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავენ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ ურთიერთობებს. მაგ., "ინდივიდუალიზმი / კოლექტივიზმი" დიმენსის შემთხვევაში, ინდივიდუალური ქცევის კულტურა გამოხატულებას პოულობს იმგვარ ფორმებში, რომ თითოეული დასაქმებულისათვის მისაღებია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღება საკუთარი დამსაქმებლის წინაშე, მაშინ როდესაც კოლექტიური ქცევის კულტურისათვის, როგორც წესი ნიშანდობლივია გაერთიანების საჭიროება და კოლექტიური მონაწილეობა. აგრეთვე, კოლექტივისტების საზოგადოებაში, პიროვნების უნარი იმუშაოს კარგად სხვებთან ერთად და შეძლოს თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, შესაძლებელია შეფასებულ იქნას სწორედ რომ მაღალი პროფესიონალიზმის კვალიფიკაციით. როგორც ცნობილი მეცნიერები ტრევინო და ნელსონი3 გვთავაზობენ, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ კოლექტივისტურ კულტურაში, რამდენადაც შრომის მაძიებელი და მისი ოჯახი არის ნაცნობი, სანდო და მოსაწონი, იმდენად ამ ფაქტორებს აპლიკანტის სამსახურში ასაყვანად დამსაქმებლის თვალში გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, მაშინ როდესაც ინდივიდუალისტური კულტურის

ქვეყნებში მსგავსი „ნეპოტიზმი” შესაძლოა აღქმული იქნეს, როგორც ცუდი გავლენის მომხდენი ფაქტი და დისკრიმინაციული ქმედება.

საქმე იმაშია, რომ განსხვავებულ კულტურებში განსხვავებულად განიხილება დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები. ეს ნიშნავს იმას, რომ მმართველთა დამოკიდებულების დროს სხვა ქვეყნის (განსაკუთრებით მესამე და მეოთხე სამყაროს ქვეყნების) პერსონალთან, ან სულაც ბიზნესის კრიტიკასა და შეფასებისას, როგორც მეცნიერთა,ისე ექსპერტთა მხრიდან უპირატესად საჭიროა ეთიკის კულტურული ბაზისის წვდომა და გაგება მსგავს ქვეყნებში. რასაკვირველია, ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული შრომის ზოგადუნივერსალური უფლებების დაცვის, მათი რეალიზაციის ხარისხის მკვეთრი და აშკარა შეუსაბამობა, წარმოშობს აბსოლუტიზმის და რელატივიზმის ურთიერთშეპირისპირებულობის პრობლემას.

აბსულუტიზმი VS რელატივიზმი. აბსოლუტიზმი წარმოადგენს იდეას იმის შესახებ, რომ თუ ეთიკური პრინციპი მართებულად იქნა მიჩნეული, მაშინ ის ვარგისია ყველგან. რელატივიზმი პირიქით –, იგი გაიაზრება იმგვარად, რომ ეთიკის არცერთი ხედვა არ მიიჩნევა მართებულად, ვინაიდან ის ყოველთვის უნდა იყოს რელატიური ისტორიულ და კულტურულ კონტექსტთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეთიკური აბსოლუტიზმისა და რელატივიზმის ორივე უკიდურესობა არ იძლევა საკმარის პასუხს იმ აშკარად განსხვავებულ პირობებზე, რომლებსაც დღემდე აქვს ადგილი მთელ მსოფლიოში. რელატივისტისათვის ევროპიდან, რომელიც წარმართავს შიდა საქმიანობით პოლიტიკას უცხო კულტურულ კონტექსტში, სრულიად ზედმეტია მორალური განსჯის აუცილებლობა. მაგ., თუ პაკისტანის კულტურაში დასაშვებია თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე, რატომ ჩაანაცვლებ-

და ის მას დასავლური სტანდარტებით? მაშასადამე, რელატივიზმი უარყოფს ნებისმიერ ეთიკურ პრობლემას, წამოჭრილს შრომის ცუდი პირობებისა და ექსპლუატაციის ირგვლივ, ვიდრე ისინი შეესაბამებიან მოცემული ქვეყნისა და კულტურის სტანდარტებს. მაშინ როდესაც, სპექტრის მეორე ბოლოს მყოფი აბსოლუტისტისათვის თუ მართებულია მორალური სტანდარტები, მაშინ ისინი მართებული და მისაღებია ყველგან მთელ მსოფლიოში, და კომპანიებშიც, გამოდინარე აქედან ვალდებულნი არიან დაიცვან მუშაკთა შრომის უფლებები და მაინც, როგორც ჩანს ეს ორი მხარე ვერასდროს მივა საერთო კონსესუსამდე. ამიტომ, თუ გვსურს ვიპოვნოთ პრაქტიკული გზები წინსვლისა, საჭიროა ამას შევხედოთ ცოტა სხვაგვარად და უფრო დაკვირვებით. სამოქმედო ორიენტირის ძირითად წესს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის უფლებები, როგორც მართველობითი საქმიანობის საბაზო კომპასი4. თუკი გარკვეული პრაქტიკა არღვევს ადამიანის უფლებებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ეთიკურად მცდარი და მიუღებელია. ამგვარი შეხედულების მიღმა არსებობს მოსაზრება, რომ თანამშრომელთა მიმართ განსხვავებული მიდგომები გლობალური მასშტაბით, თავისთავად არ გულისხმობს ეთიკურად არასწორსა და მიუღებელს, არამედ დამოკიდებულია იმ ქვეყნის შედარებით ეკონომიკურ განვითარებაზე, რომელშიც მიმდინარეობს აღნიშნული პრაქტიკა. ამგვარ შემთხვევაში ძირითადი ეკონომიკური საკითხი მდგომარეობს ხელფასსა და სამუშაო პირობების შესაბამისობაში განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან5. მაგალითად, ის თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე, რომელსაც ფრანგული მნკ უწესებს თავის თანამშრომლებს პაკისტანში, იქნებოდა თუ არა მისაღები მაშინ თუკი საფრანგეთის ექნებოდა იგივე ეკონომიკური მდგომარეობა როგორც პაკისტანს?

ე.წ. **‘race to the bottom’.** უცხოეთში დასაქმების

სტანდარტების ადაპტაციისა თუ არა ადაპტაციისაგან დამოუკიდებლად, პროფესორები შერერი და სმიდი6 ამტკიცებენ, რომ მნკ-ი ასევე თამაშობენ გარკვეულ როლს სტანდარტების მხრივ ამ ქვეყნებში. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებს შორის გაჩაღებულია დიდი შეჯიბრი, ეროვნული ინტერესების მკვეთრი შეზღუდვის ხარჯზე მნკ-თვის საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შესათავაზებლად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ხოლო ამ კონტექსტში, გლობალიზაცია, რომელიც ეკონომიკურ სივრცეთა დეტერიტორიზაციასთან ასოცირდება, განვითარებული ქვეყნებისათვის ქმნის უზარმაზარი არჩევანის თავისუფლებას ბიზნესის საწარმოებლად.

გლობალიზაციის მრავალი კრიტიკოსი7 ამტკიცებს, რომ ინვესტიციების მოსაზიდად დაწყებულ ამ გამალებულ კონკურენციაში საკვანძო ფაქტორებს წარმოადგენს მნკ-თან არსებული ხარჯები, რაც დაკავშირებულია ეკოლოგიურ რეგულაციებთან, გადასახადებთან და ტარიფებთან, დასაქმებულთა სოციალურ კეთილდღეობასთან, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების უზრუნველყოფასთან. შედეგად, მსხვილი ინვესტორები ირჩევენ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მათ სთავაზობენ შედარებით უმჯობეს პირობებს, რაც ხშირად ნიშნავს რეგულაციებისა და სოციალური უზრუნველყოფის უდაბლეს დონეს დასაქმებულთათვის. ამიტომ, მსგავსი შეჯიბრებები ქვეყნებს შორის კიდევ უფრო აუარესებს მათ ეკო-სოციალურს მდგომარეობს და მიჰყავს ისინი ე.წ. << race to the bottom>>-ის არსებობამდე. მსგავსი უმისამართო სრბოლების უზრუნველყოფის უმთავრეს სუბიექტად კი სწორედ მნკ-ი გვევლინებიან8 მიუხედავად შეუზღუდავი თავისუფალი ვაჭრობის მომხრეების საპირისპირო მოსაზრებებისა, რომლებიც არ იზიარებენ აღნიშნულ პოზიციას და მიაჩნიათ, რომ ქვეყნებს შორის არსებული კონკურენციის ნეგატიურ არგუმენტად მოტანა არა მხოლოდ შეცდომა,

არამედ წინააღმდეგობაშია თავისუფალ ვაჭრობასთან და ბაზრის დერეგულირებასთან, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მნკ-ის მიერ წარმოებული სამსახოვანი (სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური) ინტერვენ-ციები მესამე და მეოთხე სამყაროს ქვეყნებში დღემდე გრძელდება.

გლობალიზაციის კონტექსტში მულტინაციონალურ კომპანიებს აკისრიათ საკმაოდ დიდი პოტენციური პასუხისმგებლობა. მნკ წარმოადგენენ საერთაშორისო ბიზნესპრაქტიკის მძლავრ აქტიორებს დისლოკაციის ქვეყნებში,რომლებიც განსაკუთრებულ საკვანძო როლს თამაშობენ ე.წ. <<ინსტიტუციური ფონის>> შექმნაში, და რომელიც მოიცავს ისეთ ინსტიტუციურ ფორმე-ბს, როგორებიცაა პროფკავშირები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმები, სხვადასხვაგვარი წესები, რეგულაციები და სტანდარტები, რომლებიც ხელს უწ-ყობენ მშრომელთა უფლებების დაცვას გლობალური ეკონომიკური ურთიერთოებების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. A. Crane, D. Matten; Business Ethics, A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization). Oxford – New York, Oxford University Press, 2004, P.253.
2. G. Hofstede; Cuture's Consequences: International Differences in Work Related Values; Beverly Hills: Sage, 1980.
3. L.K. Trevino, K.A. Nelson; Managing Business Ethics: Straight Talk about How to do it Right, 2nd edn., New York: John Wiley., 1999., P.292
4. P. Frankental, "The UN Universal Declaration of Human Rights as a corporate code of Conduct". Business Ethics: A European Review, #11/2, 2002., P.129-33.
5. T. Donaldson, The Ethics of International Business., New

York: Oxford University Press., 1989. P. 101-6.

6. A.G. Scherer, M. Smid., "The Downward spiral and the V.S. model business principles: why MNEs should take responsibility for improvement of worldwide social and environmental conditions"., Management International Review, # 40/4, 2000; P.351-71.

7. იხ. წყარო 1. ,გვ. 255

8. D. Spar, D. Yoffie., "Multinational enterprises and the prospects for justice"., Journal of International Affairs, #52/2, 1999, P.557-81.

§4.3. ბიზნესის ეთიკის ანალიზური მიდგომა კომპანიათა გადაწყვეტილებების პრობლემატიკაში

კომპანიათა ფუნქციონირების საბაზისო დონეზე, რომელიც ეხება რაციონალურ მოქმედებათა და ეთიკურ ნორმათა ურთიერთშესაბამისობის ურთულეს ასპექტებს, წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები, სადაც ამგვარი კონფლიქტების პოზიტიური გადაწყვეტის საფუძველს ექსპლიციტური ანალიზი* წარმოადგენს. ამიტომ ბიზნესეთიკის შესწავლის ცენტრალურ საგნად სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ <<ანალიზური>> მიდგომა იქნეს მიჩენული, რომლის არსიც ბიზნესგადაწყვეტილების მიღების დროს წარმოქმნილი მორალური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში მდგომარეობს.

ბიზნესის ეთიკის ეს მნიშვნელოვანი პრობლემური სფერო იყოფა ნორმათა და გადაწყვეტილებათა კონფლიქტებად.

ნორმათა კონფლიქტის შეცნობა შესაძლებელია ეკონომიკური მიზნებსა და ეთიკურ ნორმებს შორის არსებული დამოკიდებულების ანალიზით. ნორმათა ანალიზში კვლევის ობიექტს წარმოადგენს ის, თუ რა მოცულობასა და თანაფარდობაში იმყოფებიან ეკონომიკური მიზნები – ლიკვიდურობა, ერთეული თუ მულტიპერიოდულობის წარმატებები (მაგ., სეზონური მოგება, შემოსავლის ოდენობა, აქციის ღირებულება), მოთხოვნის დაკმაყოფილება და ა.შ., ისევე როგორც აქედან ნაწარმოები ცალკეული კომპლემენტარული, კონკურენტული, ნეიტრალური ოპერაციული მიზნე-

---

* ექსპლიციტური ანალიზი აყალიბებს ეთიკური დისკურსის შინაარსის, შინაარსობრივად განსაზღვრულ ნორმათა გამოყენების და მორალურად არასრული ჩარჩოწესრიგის, ანუ ზოგადი რეგულაციების შევსების საფუძვლებს.

ბი ისეთ ეთიკურ ნორმებთან მიმართებაში, როგორიც არის ჰუმანურობა, სამართლიანობა, თავისუფლება, პატიოსნება და სხვ.1 ეს დამოკიდებულებები შეიძლება იყოს ლოგიკური და/ან ემპირული სახის. ლოგიკური სახის დამოკიდებულებები აიხსნება დეფინირებული დასაზღვრულობითა და ტავტოლოგიური სახეცვლილებებით, ხოლო ემპირიული სახის დამოკიდებულებები ხშირად კონკრეტული გამოყენების სფეროებით არის ლიმიტირებული. ეკონომიკური გადაწყვეტილების თეორიაში მიზნობრივ ურთიერთობათა წვდომისა და ანალიზისათვის შემუშავდა და განვითარდა რიგი საშუალებები, რომლებიც ნორმათა ანალიზისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

საკვლევ კრიტერიუმთა შერჩევა ერთი მხრივ დამოკიდებულია ეკონომიკურ სისტემასა და მასთან ერთად ჩარჩოწესრიგზე,ისევე როგორც მასში დასახულ მიზნებზე,ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოების მორალსა და ამ მორალის ნორმათა მხედველობაში მიმღებ საზოგადოების წევრებზე. სწორედ ამიტომ აქვს ეკონომიკური სისტემის გახსნილობას, ფართო ეკონომიკურ სივრცეთა ინტეგრაციასა და გლობალიზაციას მნიშვნელოვანი გავლენა ბიზნესეთიკაში შემავალ საგნებზე. განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებსა და კულტურებს შორის შეხვედრები ხსნის კვლევის ახალ სფეროებს ბიზნესეთიკისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ანალიზური ბიზნესეთიკა ეფუძნება დესკრიფციული ბიზნესეთიკის** წვდომას და მიანიშნებს მისი შეცნობის გარდაუვალ აუცილებლობაზე.

** დესკრიპციული ბიზნესეთიკის ამოცანას წარმოადგენს ბიზნესში არსებული ნორმებისა და ფასეულობების წვდომა და განმარტება. ის ბიზნესში სფეროებისა და მასშტაბების მიხედვით ცდილობს განსაზღვროს პერსონალზე ეთიკური ნორმებისა და მორალური ფასეულობების ქმედითობის ხარისხი, და დაადგინოს თუ რა გავლენას ახდენს მათი მხედველობაში მიღება ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებსა და პროცესებზე.

სინამდვილეში,ეკონომიკურ და ეთიკურ ნორმებს შორის კონფლიქტები თავს იჩენს კომპანიებში უწინარესად კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას წარმოქმნილი პრობლემის დროს. ემპირული გამოცდილებები აჩვენებს, რომ კომპანიებს მსგავს მიზნობრივ კონფლიქტთა გადაჭრა მხოლოდ გარკვეული მასშტაბით ძალუძთ. ამიტომ გადაწყვეტილებათა კონფლიქტის ანალიზში ნორმათა ანალიზის გვერდით არსებობს ანალიზური ბიზნესეთიკის მეორე მნიშვნელოვანი საგანი. იგი მოიცავს გადაწყვეტილებათა პრობლემის გულდასმით დამუშავებას, მის სისტემატიზაციასა და კვლევას იქ, სადაც სახეზეა კონფლიქტები ეკონომიკურ და ეთიკურ კრიტერიუმებს შორის.2 მათი ურთიერგამიჯვნისათვის შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომით არსებობს ამგვარი კონფლიქტები როგორც ცალკეულ, ისე სხვადასხვა პერსონალიებსა და ინსტიტუციებს შორის. თანახმად ამისა, შესაძლებელია მოხდეს ინტრა – და ინტერპერსონალური, ისევე როგორც ინტრა– და ინტერინსტუციონალური გადაწყვეტილების კონფლიქტთა გამიჯვნაც.3

ეთიკური ნორმების მხედველობაში მიღება და მათი მაქსიმალურად გათვალისწინება როგორც ცალკეულ პირებთან, ჯგუფებთან, ასევე კომპანიის შიდა ფუნქციონირებასა და კომპანიათაშორის ურთიერთობებთან მიმართებაში წარმოადგენს ქმედით საშუალბას არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად. გარდა ამისა, გადაწყვეტილებათა კონფლიქტების ანალიზით შესამჩნევი ხდება ის, თუ რა ეფექტები აღძრავს ეთიკური კრიტერიუმების დაცვისა და მათთან გადაწყვეტილების მიღების შესაბამისობაში ყოფნის აუცილებლობას ამ მიმართულებით.

ეთიკური კრიტერიუმების გავლენის სისტემური კვლევა საწარმოო გადაწყვეტილებათა პრობლემების შესახებ ასევე ემსახურება გარკვეულ სფეროთა და თავად გადაწყვეტილებების სირთულეთა შეცნობას,

სადაც მორალურ კონფლიქტებს სრულებით არ აქვს ადგილი, და თუ აქვს, მხოლოდ უმნიშვნელოდ. ეს კი გვიჩვენებს მას, რომ კომპანიაში მოდვაწე ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მორალური ქცევისათვის ფლობს გარკვეულ სათამაშო სივრცეს, არც ჩარჩოწესრიგის და არც ბიზნეს-ეკონომიკური მიზნების პირობებით არ იზღუდება. ამიტომ ამ სფეროებში ეთიკური ნორმების საპირისპიროდ მიმართული ქცევები არის არა ეკონომიკური, არამედ ინდივიდუალური ნიშნით დეტერმინირებული. ურთიერთწინააღმდეგობრივი მიზნის კონფლიქტების გადასაჭრელად ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის ფარგლებში განვითარებული იქნა ფართო მექანიზმები, მიზნის კომპრომისის განსხვავებული მეთოდებით დაწყებული და ინტერაქციულ პრეფერენციათა ფორმირების წესებით დამთავრებული.4 ეს მეთოდები გამოიყენება კორპორაციულ ნორმათა და გადაწყვეტილებათა კონფლიქტების გადასაჭრელად გადაწყვეტილების მიმღებ როგორც ცალკეულ პიროვნებებთან ისე ჯგუფებთან მიმართებაში. ამგვარად, კორპორაციულ კონფლიქტთა გადაჭრის მიდგომათა განვითარება განეკუთვნება ანალიზური ბიზნესეთიკის მესამე საგნობრივ სფეროს.

გადაწყვეტილებათა თეორიული გადაჭრის მიდგომები სხვადასხვა კრიტერიუმებისა და/ან პიროვნებებს შორის არსებული კონფლიქტების მიუხედავად გვიჩვენებს მართებულ გადაწყვეტილებათა მიგნების გზებსა და პოტენციური მექანიზმების მოქმედებათა საზღვრის დადგენის შესაძლებლობებს. აქ მთავარია ის, რომ შესაბამის გადაწყვეტილებათა პრობლემების მოსაგვარებლად არსებობდეს მოქმედებათა ალტერნატიული ფორმები. პრობლემათა გადაჭრის სხვა გზა მდგომარეობს ახალი ალტერნატივების მოძიებაში, რითაც ეკონომიკურ და ეთიკურ კრიტერიუმთა კომპლემენტარული შესრულება ხდება მიღწევადი. ამგვარი <<მორალური ინოვაციების სტრატეგიათა>> შემუშავების მექანიზმე-

ბის განვითარება/ანალიზი ასევე წარმოადგენს ანალიზური ბიზნესეთიკის მნიშვნელოვან ამოცანას.

ამ სახის ანალიზური ეთიკის მიდგომებს გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ისინი ნათლად გვიჩვენებს მათ მჭიდრო დამოკიდებულებას კონკრეტულ პრობლემებთან მიმართებაში, - კერძოდ კი მას, თუ რა მექანიზმებით, ანუ რა ინსტრუმენტებითა და მეთოდებით მიიღება კომპანიაში გადაწყვეტილებები, რომელბიც ზოგადი ეთოსის ფარგლებში მოქცეული ეთიკის საფუძვლებსა და მის ძირითად პრინციპებზე აღმოცენებულ მეცნიერულ დისკურსებს ემყარება.

ლიტერატურა:

1. Gäfgen, G. Ökonomische Jmplikationen ethischer Prinzipien, in: Duwendag, D., Siebert, H. (Hrsg.),: Politik und Markt. Wirtschaftspolitische Probleme der 80er Jahre, Stuttgart-New York, 1980, S.191-207; Schneider, D., Undernehmensethik und Gewinnprinzip in der Betriebswirschaftshehre, in : Zeitschrift für betriebswirtschaftliche Forschung, #42, 1990, S. 869-891.

2. Hansen, U., Marketing und siziale Verantwortung, in : Die Betriechswirtschaft 48., Jahrgang, Heft 6.,1988, S. 713.

3. Kreikebaum, H., Grundlagen Der Undernehmensthik, Stuttgart, 1996, S. 229.

4. Küpper, H.-U., Controlling. Konzeption, Aufgaben und Instrumente, Stuttgart, 2. Auflage., 1997, S. 70., Laux, H., Etscheidungstheorie ., Berlin,4 Auflage., 1998, S. .87

თავი 5. მენეჯმენტის საკითხები ბიზნესის ეთიკაში

§5.1. ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი

რა იგულისხმება ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტში? ბიზნესის თითოეული სფეროს მართვა გულისხმობს როგორც წარმოების, მარკეტინგის, ფინანსური ანგარიშგების, ჰუმანური რესურსების საკითხებს, ისე მართვის ყველა იმ ფუნქციას, რაც აყალიბებს მოქმედებათა მთელ არეალს, მოცულს დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და კონტროლის ფორმალური და არაფორმალური საშუალებებით. თუმცა, ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის ძირითადი რელევანტური ასპექტებია სწორედ ის ასპექტები, რომლებიც არის აშკარად შესამჩნევი და მიმართული სპეციფიკურად ეთიკური პრობლემებისა და საკამათო საკითხების გადასაწყვეტად. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია მისი ამგვარი დეფინიცია:

ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი არის ეთიკური საკამათო საკითხებისა თუ პრობლემების ფორმალური თუ არაფორმალური მართვის პირდაპირი მცდელობა სპეციფიკური პოლიტიკით, პრაქტიკით და პროგრამით.

არსებობს მრავალი მართველობითი საქმიანობა, რომელთაგან ზოგიერთი, როგორიცაა ეთიკის კოდექსი, სამართლიანად არის კარგად დაფუძნებული პრაქტიკაში, მაშინ როდესაც დანარჩენი, ისეთი როგორიც არის სოციალური აუდიტი, დასავლეთში განვითარების ჯერ კიდევ შედარებით ადრეულ სტადიაზე იმყოფება. მაშასადამე, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი მოიცავს განსხვავებული ელემენტების მთელ წყებას, რომელთაგან თითოეული ბიზნესში ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურ კომბინაციაში. ეს ელემენტებია:

ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ტიპიური კომპონენტები
• კორპორაციის გაცხადებული მისია ანუ ფასეულობები • ეთიკის კოდექსი • საანგარიშო მოხსენების / შეტყობინების არხები • ეთიკის მენეჯერები, ოფიცრები და კომიტეტები • ეთიკის კონსულტანტები • განათლებისა და ტრენინგის ეთიკა • სტეიკჰოლდერების საკონსულტაციო, დიალოგის და საპარტნიორო პროგრამები • აუდიტი, ფინანსური ანგარიშგება და რეპორტი.

ნახ.1. ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი 1

შევეცადოთ მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

კორპორაციის გაცხადებული მისია ანუ ფასეულობები. არსებობს ძირითადი განაცხადი კორპორაციის განზრახვების, შეხედულებათა და ფასეულობების თაობაზე.

ამგვარი განაცხადი ხშირად შეიცავს სხავდასხვა სახის სოციალურ მიზნებს2 და აღნიშნავს ეთიკური მოქმედების ვალდებულებას.

ეთიკის კოდექსი. განსაზღვრული ორგანიზაციის, პროფესიისა თუ ინდუსტრიის ფარგლებში ეთიკური თვალსაზრისით ყოველთვის არსებობს გარკვეული საფუძვლები იმის შესახებ, თუ მოქმედებათა რა ტიპი შეიძლება იყოს სასურველი და მოსალოდნელი.

საანგარიშო მოხსენების /შეტყობინების არხები. ეთიკური საკითხების შესახებ თავმოყრილი ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი input * ეფექტიანი მენეჯმენტისათვის, და ზემოთ აღნიშნული არხები შეიძლება

* აქ input გულისხმობს დროის, ცოდნის, იდეების და ა.შ. ინფორმაციულ ერთობას, რაც შესაძლოა განთავსდეს სხვადასხვა სახის შრომაში, პროექტში და სხვ., წარმატების მიღწევის მიზნით., Oxford Advanced Learners Dictionary, 7th edlition, 2010, P.801.

იქცეს პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებებად,ამავე პრობლემების გამწვავება – გასაჯაროებამდე.

ეთიკის მენეჯერები, ოფიცრები და კომიტეტები. ზოგიერთ ორგანიზაციაში, სპეციფიკური ინდივიდები თუ ჯგუფები თანხმდებიან და / ან იღებენ პასუხისმგებლობას ეთიკის მენეჯმენტისათვის მათსავე ორგანიზაციებში. დანიშნული ეთიკის ოფიცერი აშშ-ში პოპულარული და პრეველენტური, ანუ ფართოდ გავრცელებულია დღეს. შტატებშივე დაფუძნებული ეთიკის ოფიცრების ასოციაცია ახდენს საუკეთესო პრაქტიკებისა და საინფორმაციო რესურსის ბიზნესეთიკის მენეჯერთა შორის განაწილებას3.

ასევე, მრავალრიცხოვან მსხვილ კორპორაციებს გააჩნიათ ეთიკის კომიტეტები, ან კსპ-ის კომიტეტები, რომლებიც მეთვალყურეობენ ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის მრავალ ასპექტს. ამ კომიტეტების პასუხისმგებლობა წარმოადგენს სწორედ კპს-ის, პრიორიტეტების დადგენისა და მომავალი საქმიანობების დაგეგმვის კომპანისეულ მიდგომათა იმპლემენტაციას და მიმოხილვას.

ეთიკის კონსულტანტები. ბიზნესის ეთიკის კონსულტანტებს მოკრძალებული, მაგრამ მყარად განსაზღვრული პოზიცია გააჩნიათ ბაზარზე. ბიზნესის ეთიკის გარკვეულ სფეროთა სახელმძღვანელოდ, კორპორაციები შიდა აღმასრულებელ ორგანოებზე მეტად გარე კონსულტანტებს ანიჭებენ უპირატესობას. საწყისი ზრდა ამ სექტორში გამოწვეულია გარემოს კონსულტანტების მიერ ტექნიკური ხასიათის რჩევების შეთავაზებით. თუმცა, კომპანიების სოციალური და ეთიკური დღის წესრიგი განაპირობებს მომსახურების ფართო პორტფელის შეთავაზებას კვლევის წარმოების, პროექტის მენეჯმენტის, სტრატეგიული რჩევების, სოციალური და გარემოს აუდიტის და რეპორტის, შემოწმების, სტეიკჰოლდერების დიალოგისა და სხვათა ჩათვლით.

განათლებისა და ტრეინინგის ეთიკა. ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთიკის განათლებისა და ტრეინინგის საკითხებს, რაც პირდაპირ კავშირშია ეთიკური პრობლემების გადაჭრასთან ბიზნესურთიერთობებში და რისი საჭიროების შესახებ მრავალი დასავლელი სწავლული ამახვილებს ყურადღებას4. სიტუაციათა იდენტიფიცირება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ორგანიზაციის კულტურისა და ფასეულობების გააზრება, და ორგანიზაციაზე ეთიკური გადაწყვეტილებების გავლენის შეფასება5 – ყველა ეს ასპექტი წარმოადგენს განათლებისა და ტრეინინგის ეთიკის მიზნებს.

სტეიკჰოლდერების საკონსულტაციო, დიალოგის და საპარტნიორო პროგრამები. კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა საშუალებებთან ერთად აქტიურად განიხილება ორგანიზაციათა სტეიკჰოლდერების საკითხი კორპორაციული ანგარიშვალდებულების მხრივ. ცხადია, რომ ბიზნესის ეთიკა ეხება მართებულ საქმიანობებს, სადაც მსგავსი პროგრამები ძალზედ მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომპანიის გრძელვადიანი წარმატებისათვის.

აუდიტი, ფინანსური ანგარიშგება და რეპორტი. არსებობს მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული საქმიანობები, რომლებიც ეხება ორგანიზაციის გავლენის გაზომვას, შეფასებასა და კომუნიკაციას, სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებით სოციალურ, ეთიკურ და გარემოს საკითხებთან მიმართებაში.

მიუხედავად ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის ამ ელემენტების არსებობის ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში მყოფობისა, კორპორაციული მოქალაქეობის ერაში მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ კორპორაციული ანგარიშვალდებულების ამაღლების მხრივ. შესაბამისად, კორპორაციათა დღის წესრიგში დგება ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის განსხვავებული კომპონენტების ორგანიზებისა და კომპანიაში მათი ინ-

ტეგრირების საკითხი კორპორაციათა მიზნების მიღწევისათვის. დასასრულს, ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი კორპორაციისათვის მნიშვნელოვანია განსხავებულ სოციალურ და კულტურულ სივრცეში, ეთიკური ქცევების კონტროლის და მართებული ეთიკური გადაწყვეტილებების კონტექსტით.

ლიტერატურა:

1. Andrew Crane, Dirk Matten., Business Ethics; A EUROPEAN PERSPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization)., Oxford, New York, 2004, P.145
2. Starkey, K., Durkheim and the limits of corporate culture: Whose Culture ? Which Durkheim ? Journal of management Studies, 35/2, 1998, P.125.
3. www.eben.org
4. Thore Leclair, D. and Ferrell, L. ,, Innovation in experiential business ethics training". Journal of Business Ethics, 23 (3/1), 2000, P.313.
5. Kirrane, D.E., ,,Managing values: a systematic approach to business ethics". Training and Development Journal, Nov: 53-60, 1990.

§5.2. ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზება

იმისათვის, რომ კომპანიამ შეძლოს საკუთარი მიზნების მიღწევა, მისი ფუნქციონირების გარკვეულ ეტაპზე სავსებით შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეძლოს მან სხვადასხვაგვარი კომპონენტების საუკეთესოდ ორგანიზება და მათი ინტეგრირება თავისსავე წიაღში.

არსებობს ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორი, ფორმარმალური და არაფორმალური მიდგომა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მსგავსი ამოცანის გადაწყვეტა.

ფორმალური მიდგომა მოიცავს თანხმობის, ფასეულობების, გარე და დაცვის მიმართულებებს1, რაც სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



- თანხმობის მიმართულება. ამ მიდგომის არსი მდგომარეობს კანონდარღვევათა პრევენციაში, გამოვლენასა და დასჯაში. პერსონალი ინფორმირებულია არსებულ წესთა შესახებ და მართებულ ფუნქციონირებას შიშის ფაქტორი განაპირობებს. ამგვარი მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მუშაკთა საკუთარი ფასეულობების მიუხედავად, კონკურენტულმა გარემომ შესაძლოა წააქეზოს თანამშრომლები საქმის ნებისმიერი ფორმით კეთებისაკენ, მათშორის არალეგალური თუ არაეთიკური მოქმედებების ჩათვლით2
- ფასეულობების მიმართულება. ეს მიდგომა ეფუძნება ორგანიზაციული ფასეულობების განსაზ-

ღვრასა და მოსამსახურეთა ვალდებულებების შესრულების საიმედობას,ჭეშმარიტად ეთიკური მისწრაფებით. 3 ტრევინოსა და მისი კოლეგების 4 თანახმად, ფასეულობების მიდგომა „ფესვგადგმულია პერსონალურ თვითმართვაში" და გარკვეული საშუალებებით უზრუნველყოფს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, სადაც ცალკეულ წესთათვის ადგილი აღარ რჩება.

• რაც შეეხება ბარე მიმართულების მიდგომას, ის ნაკლებად ფოკუსირდება კომპანიის ფასეულობებზე, და მეტად – გარე სტეიკჰოლდერების (კლიენტები, საზოგადოება და აქციონერები) დაკმაყოფილებაზე .5 აქ სამართლიანად მიიჩნევა ის, რაც მოსალოდნელი ან მისაღებია უმთავრესად გარე სუბიექტებისათვის.

• დაცვის მიმართულება. დასასრულს, ზოგიერთი პროგრამებინ უპირატესად ორიენტირებულია ტოპ - მენეჯმენტის დაცვაზე, ეთიკური პრობლემებისა თუ სამართლებრივი დარღვევების ბრალდებებისაგან. აღნიშნული მიდგომა ფირმის თანამშრომლებისა და სხვა სტეიკჰოლდერებისათვის არის უფრო მეტად ეთიკის მენეჯმენტის შესავლის სფერო, ვიდრე მენეჯერთათვის ლეგალური საფარის შექმნის მცდელობა, ზოგიერთი სახის სამართალდარღვევის შემთხვევაში.

ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ჩვენ მიერ განხილული ფორმალური მიდგომის ოთხი მიმართულებიდან, აშშ-ში გაბატონებულია თანხმობის მიმართულება,7 მაშინ როდესაც ევროპაში დომინირებს გარე და ფასეულობებზე დაფუძნებული მიმართულებები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ეს მიდგომა არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთშეუთავსებადი. 8 მაგალითად, მრავალი ეთიკური კოდექსი ეფუძნება ძირითად კორპორაციულ ფასეულობებსა და პრინციპებს, მაშინ როდესაც ამგვარი კოდექსის ეფექტიანობა ასევე დამოკიდებულია სათანადო იმპლემენტაციასა და შემდგომ ღონისძიებებზე. როგორიცაა, სხვადასხვა სახის

დარღვევებზე თანამშრომელთათვის დისციპლინარული სასჯელის დაწესება (თანხმობის მიმართულება). ფასეულობების, გარე და თანხმობის მიმართულებათა გაერთიანების მიზნით, ანალოგიურად მკაცრად კონტროლდება სტეიკჰოლდერებთან შეხვედრებსა და კონსულტაციებზე დაფუძნებული ეთიკური აუდიტის პროცესები.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მიდგომების (და მიდგომათა კომბინაციების) ეფექტიანობის შესახებ წარმოებული კვლევა საკმაოდ მწირია, მაინც აღსანიშნავია გასული საუკუნის ბოლოს აშშ-ში, მეცნიერთა ერთი ჯგუფის9 მიერ ექვს უმსხვილეს კომპანიის 10 000 მეტ თანამშრომელზე განხორციელებული დაკვირვება, რამაც აჩვენა, რომ ფასეულობების მიმართულება ყველაზე ეფექტიანი ერთადერთი მიმართულებაა ეთიკური ქცევების წახალისების კუთხით, თუმცა თანხმობისა და გარე მიმართულებები ნაკლები ხარისხით ასევე შეიძლება იყოს გამოსადეგი. რაც შეეხება დაცვის მიდგომას, ის ცალსახად საზიანო მიმართულებადაა მიჩნეული. მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ეს ფორმალური ელემენტები წარმოადგენს ბიზნესეთიკის მართვის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს. მრავალი დასავლელი მეცნიერი10 გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფირმის კულტურასა და გარემოში არსებული ფართო ეთიკური კონტექსტი დიდი ზემოქმედების მქონეა ეთიკური გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში. ამგვარად, ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზებისას, ასევე მნიშვნელოვანია ფირმის ეთიკური კულტურის მხედველობაში მიღება.

არაფორმალური მიდგომა დაკავშირებულია სწორედ ორგანიზაციის ეთიკურ კულტურასთან. ორგანიზაციის კულტურას და ნორმებს გააჩნია საკმაოდ დიდი გავლენა ეთიკურ გადაწყვეტილებებზე, რაც ზოგიერთ მკვლევარს ბიზნესეთიკის მზარდი მნიშვნელობის მხარდასაჭერად აძლევს კულტურის ცვლილებისა და

მისი „უფრო გაეთიკურების" თქმის შესაძლებლობას. „ეთიკური გადაწყვეტილებების ფორმირების სრულყოფა ადასტურებს ორგანიზაციის ფასეულობათა მართვის ტრანსფორმაციის საჭიროებას, რათა შესძლებელი გახდეს კულტურათა უფრო მეტად გაეთიკურება".11 ამიტომ, მათი აზრით, სასურველი იქნებოდა თუკი კომპანიები აქტიურად განავითარებდნენ ეთიკურ ორგანიზაციულ კულტურასა და კულტურის ცვლილებით მოახერხებდნენ „ეთიკურ პრობლემებთან" გამკლავებას.12

კულტურული ცვლილების მიდგომის პოპულარობის მიუხედავად, საკმაოდ მწირი ყურადღება ეთმობა თავად ამ კულტურულ ხდომილებათა მიზეზ-შედეგობრივ პროცესს: როგორ არის შესაძლებელი მსგავსი ტრანსფორმაცია, რა განაპირობებს მას, ან შესაძლებელია კი მისი ყველაზე განვრცობა? ამგვარ სიტუაციაში აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ კულტურის წინასწარგანზრახული მართვა წარმოადგენს რთულსა და ხანგრძლივ პროცესს და ცალკეული გამონაკლისის გარდა, როგორც წესი იშვიათად თუ არის წარმატებული. ძალზე ძნელია იმის დასაბუთება, რომ ეთიკური ქცევების სფეროში ნამდვილად იყოს შესაძლებელი კულტურის მართვა. არსებული კულტურული რწმენები და ფასეულობები სწორისა და არასწორის, კარგისა და ცუდის შესახებ, როგორც ცნობილია დიდ წინააღმდეგობაში იმყოფება ცვლილებებთან. ამიტომ, ფასეულობათა ცალკეული ჯგუფის კონფორმიზმზე დაფუძნებული „ეთიკური კულტურების" შექმნის ნაცლად, მისაღებია დასავლეთში უკვე აპრობირებული კულტურათა შესწავლის მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება ფირმის შიგნით მყოფ მცირე სუბკულტურულ ჯგუფებზე. სწორედ ასეა შესაძლებელი კულტურათა ადაპტაცია ორგანიზაციის მენეჯმენტში, რაც თავსმოხვეულ ავტორიტარულ იდეოლოგიურ კონტროლს გამორიცხავს.

აშკარაა, რომ ორივე, ფორმალური და არაფორმალური ეთიკური მენეჯმენტის მიდგომას გააჩნია თავისი ღირსება და ნაკლი. უმთავრესი, რაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს არის ის, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს, ყველა დონის მენეჯერებს მათი გათვალისწინებით შესაძლებლობა ეძლევათ მართველობით პროცესში მიიღონ ფირმის სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრაში მყოფი შესაბამისი ეთიკური გადაწყვეტილებები.

ლიტერატურა:

1. Treviño, L.K., Weaver, G.R., Gibson, D. G., and Toffler, B.L., „Managing ethics and legal compliance: what works and what hurts". California Management Review, 1999, #41/2, P. 131-51.

2. Hoffman, W.M., Driscoll, D. –M., and Painter-Morland, M., „Integrating ethics". In C. Moon and C. Bonny (ads.), Business Ethics: Facing up to the Issues. London: The Economist Books, 2001, P. 38-54.

3. Paine, L.S. „ Managing for organizational integrity". Harvard Business Review, 1994, Mar.-Apr., P. 106-17.

4. იხ. წყარო 1

5. იხ. წყარო 1

6. იხ. წყარო 1

7. Weaver, G., Treviño, L.K., and Cochran, P.L., „Corporate ethics programs as control systems: influences of executive commitment and environmental factors". Academy of Management Jurnal, 1999, #42/1, P.41-57.

8. იხ. წყარო 7

9. იხ. წყარო 1

10. Andrew Crane, Dirk Matten., Business Ethics: A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization), Oxford University Press, Oxford,

2004, P. 172

11. Chen, A.Y.S., Sawyers, R.B. and Williams, P.F., „Reinforcing ethical decision making through corporate culture". Journal of Business Ethics, 1997, #16, P. 855-65.

12. Treviño, L.K. and Nelson, K.A., Managing Business Ethics: Straight Talk about How to do it Right, 2nd edn., New York: John Wiley., 1999, P.204.

§5.3. რისკებისა და შანსების მენეჯმენტი საწარმოს მდგრადი განვითარების კონტექსტში

საწარმოს საქმიანობის ფარგლებში მისი მენეჯმენტი რეგულარულად კონფრონტირებს რისკებთან და შანსებთან. რისკები და შანსები საწარმოს ბიზნესპროცესებთან განუყოფლადაა დაკავშირებული. მათ გავლენა აქვთ საწარმოს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებზე. საწარმოს ძირითად მიზნებს შორისაა ქონების უსაფრთხოების, სათანადო შემოსავლების მიღების, ისევე როგორც საწარმოს ღირებულების ზრდის საკითხები. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია რისკებისა და შანსების პერმანენტული და სისტემატური შეფასება. რისკებისა და შანსების მუდმივი დაკვირვება ასევე წარმოადგენს საწარმოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტის საგანს.1 რისკის ცნების ქვეშ იგლისხმება მცდარი გადაწყვეტილების შესაძლებლობა (საფრთხე), რასაც შედეგად ერთი ან მრავალი არახელსაყრელი მოვლენა ახლავს და რამაც შესაძლოა მიზნიდან სრული აცდენაც კი გამოიწვიოს.

რისკებად მიიჩნევა ყველა განვითარება და მოვლენა, რომლებსაც საწარმოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიზნების მიღწევაზე, განსაკუთრებით კი შედეგზე ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ. რისკები ასევე შეიძლება იყოს ხელიდან გაშვებული და ცუდად გამოყენებული შანსები. რისკების გათვალისწინების მზაობა წარმოადგენს წინაპირობას შანსების სარგებლობის შესაძლებლობისათვის. რისკები და შანსები გამომდინარეობს მომავალთან კავშირში მყოფი არასაიმედოობებისა და ალბათობის კატეგორიებიდან. საწარმოსათვის არასაიმედოობები ყოველთვის ნიშნავს რისკებსა და შანსებს. ამიტომ, მათი იმავდროული წინ წამოწევა და ასახვა საგეგმო და საპროგნოზო ანგარიშგებებში ძალზედ მნიშვნელოვანია საწარმოს

შემდგომი ფუნქციონირებისათვის.

შანსებად შეიძლება მოაზრებულ იქნას შიდა და გარე, ოპერატიული და სტრატეგიული განვითარებები, რომელთა თანმიმდევრული გამოყენება პოზიტიურ გავლენას ახდენს საწარმოს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებზე. შანსები შესაძლო წარმატებებია, რომლებსაც წვლილი შეაქვთ მიზნის მიღწევის საქმეში. შანსების მენეჯმენტი არის საწარმოო საქმიანობის პროაქტიული უწყვეტი ამოცანა,იმისათვის რომ უზრუნველყოს საწარმოს წარმატებები ხანგრძლივი დროით. შანსების მენეჯმენტი ძირითადად შედგება საწარმოს, შესაბამისად მოქმედების არსის მიზნებისა და სტრატეგიებისაგან და ზრუნავს შანსებსა და რისკების სათანადო ურთიერთობებისათვის, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მის სრულ პოტენციალზე დაკვირვებას უნდა დაეთმოს. სათანადო ღონისძიებების საიდენტიფიკაციოდ, შესაფასებლად და სამართავად რისკებისა და შანსების სარგებლობისათვის რისკების მენეჯმენტის სისტემები გამოიყენება.

რისკების მენეჯმენტი მოიცავს ყველა დაგეგმვით და ორგანიზაციულ პროცესს, რომლებშიც წინასწარ ხდება რისკების იდენტიფიცირება და ალტერნატიული მართვის ზომების მიღება და გატარება. რისკებისა და შანსების შესაცნობად, შესაფასებლად და შესაბამის მოქმედებათა შესაძლებლობისათვის ხდება ინტეგრირებული დაგეგმვითი, მართვითი, კონტროლისა და მოხსენებითი/საანგარიშგებო სისტემების გამოყენება. რისკებისა და შანსების მენეჯმენტი არის არსებითი წარმატების ფაქტორი ინტეგრირებული მდგრადი განვითარების მენეჯმენტის მიდგომაში.

რისკებისა და შანსების მენეჯმენტის შემოტანისას საწარმოები პირველ რიგში კონცენტრირდებიან რისკების გაზომვისა და რისკების მართვის, ასევე შანსების შეცნობის ვალიდური ინსტრუმენტების სრულყოფა-განვითარებაზე. გარდა ამისა, მას ასევე მიეკუთ-

ვნება მთელი საწარმოს მასშტაბით კორპორაციული „რისკების კულტურის" სრულყოფა და იმპლემენტირება. ეს ნიშნავს მას, რომ არა მხოლოდ წარმატებული რისკების მენეჯმენტის ფარგლებში ხდება უახლესი კონტროლისა და მართვის სისტემების განვითარება, არამედ რისკებისა და შანსების მენეჯმენტის მატარებლებთან ასევე ხდება სპეციფიკური აღქმა და მიღება „მენტალური ცვლილების" (mental Change) ფარგლებში. ამ თვალსაზრისით რისკებისა და შანსების მენეჯმენტის დროს საქმე გვაქვს ბევრისმომცველ, ფართო ინტეგრირებულ მმართველობით სისტემასთან. ეს ნიშნავს, რომ მის განკარგულებაში შემხვედრი გადაწყვეტილებებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და ინფორმაცია. საწარმოებს არა მხოლოდ ოპერატიული რისკების შეფასება და საკუთარ გადაწყვეტილებებში შესაბამისი დასკვნების (შედეგების) ინტეგრირების მოხდენა უნდა შეეძლოთ, არამედ ასევე სტრატეგიული რისკების მენეჯმენტისათვის – თავისი ძირითადი რისკების, ისევე როგორც შანსების საკუთარი კონკურენტული უპირატესობების თვალსაზირისით გენერირება და გამოყენება. სტრატეგიული რისკების მენეჯმენტი დაკავებულია საწაროს მთავარი კომპეტენციების სტრატეგიული მნიშვნელობით, ე.ი. – ძირითადი და არაძირითადი რისკების შედგენილობა/არსებობის საკითხებით აღნიშნულ რისკებთან ურთიერთობის საკითხთა მხედველობაში მიღებით. წარმატებული საწარმოები გამოირჩევიან იმით, რომ ისინი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის რისკებს, ე.ი. ძირითად რისკებს მაღალი რისკების მენეჯმენტის კომპეტენციით მართავენ.

ოპერატიული რისკებისა და შანსების მენეჯმენტი ეხება მაგ. გასაღებისა და მიწოდების ბაზრების განვითარებას და ტექნიკურ რისკებს. შერჩეული შანსების პოტენციალი და რისკები აისახება საპროგნოზო ანგარიშებში. ის იძლევა ინფორმაციას ეკონომიკური

განვითარების შეფასებისა და აქედან გამომდინარე შანსების შესახებ სფეროებისათვის, ფუნქციებისათვის, ნედლეულის ფასებისათვის და გამოთქვამს საკუთარ აზრს განვითარების მოლოდინებზე. ამ რისკების მართვას, მონიტორინგს და ასევე შიდა კონტროლის სისტემას კორპორაციული მართვის (Corporate Covernance) ფარგლებში წვლილი შეაქვთ რისკებისა და შანსების მენეჯმენტის საქმეში.

რისკებისა და შანსების მენეჯმენტი ხორციელდება მრავალსაფეხურიან სტანდარტიზირებულ პროცესში და უზრუნველყოფს,რომ საწარმოო გადაწყვეტილებები და მიმდინარე საწარმოო აქტივობები რისკების საზღვრების ფარგლებში მოვიდეს მოქმედებაში და შეესაბამებოდეს სამართლებრივ მოთხოვნებს.

პრინციპები, პროცესები და პასუხისმგებლობები სისტემატური და ხარჯებთან მიმართებით ეფექტური რისკების მენეჯმენტისათვის ხშირად საყოველთაოდ მიღებული საერთო ორგანიზაციული/კორპორაციული პოლიტიკის საფუძველი და მსაზღვრელია. რისკებისა და შანსების მენეჯმენტი შემდეგი ფაზებით აღინიშნება:

- რისკებისა და შანსების იდენტიფიკაცია
- რისკებისა და შანსების განვითარება
- რისკებისა და შანსების მართვა
- რისკებისა და შანსების მონიტორინგი და კონტროლი
- რისკებისა და შანსების აგრეგაცია და ანგარიშგება

შედეგები და დასკვნები რისკების ინვენტარიზაციაში აისახება, ფასდება და საწარმოო და ცენტრალური ფუნქციონირების სფეროებში ხდება მათი პერიოდული გადაგზავნა. რისკების პერსპექტივაში დაკვირვება/გაანალიზება არის მიმდინარე მრავალსაფეხურიანი დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის პროცესი, რაც რეპორტინგისა (Reporting) და რეგულარული კომუნი-

კაციის საშუალებით როგორც სავალდებულო ისე პერიოდული მოხსენებებით ხორციელდება საწარმოს მენეჯმენტსა თუ კონტროლის ორგანოებში.

ინსტიტუციონალური რისკების მენეჯმენტი ეხება ორგანიზაციულ საწარმოო ერთეულებს, რომლებიც ამოცანების შესრულებას ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული ფორმით ახდენენ. როგორც ხშირად პრაქტიკაში, ასევე აქაც აქვს ადგილი შერეული სისტემების არსებობას.

პირდაპირი პასუხისმგებლობა შანსების წინასწარი და რეგულარული იდენტიფიცირებისათის, ანალიზისათვის და მართვისათვის აკისრია ოპერატიულ მენეჯმენტს ცენტრალურ საწარმოო ერთეულებსა და შესაბამისად საწარმოო დარგებში, რითაც ის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის სისტემების ინტეგრალურ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შანსები განიხილება როგორც სტრატეგიული ზრდის პოტენციალის მიგნების ფარგლებში, ისე ოპერატიულ საქმიანობაში (ბიზნესოპერაციებში) ეფექტიანობის ამაღლებისა და შემოსავლების ზრდის, ასევე ხარჯების მართვის კუთხით. ეს მოიცავს ინტენსიურ საქმიანობას ბაზრისა და კონკურენციის დეტალური ანალიზით, ბაზრის სცენარებს, რელევანტური ხარჯების გამომწვევს, წარმატების კრიტიკულ ფაქტორებსა და საწარმოს პოლიტიკის სისტემას. აქედან იწარმოება კონკრეტული საწარმოო სფეროს სპეციფიკური შანსების პოტენციალიც. ღონისძიებები შანსების პოტენციალის გამოყენებისათვის უპირველეს ყოვლისა არის: აქტიური საფასო პოლიტიკა, ბაზრის სელექციური დამუშავება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტების განვითარება, ეფექტიანობისა და ზრდის პროგრამების დანერგვა, ასევე აკვიზიციები და სტრატეგიული კოოპერაციები.

რისკებისა და შანსების მენეჯმენტის სისტემაში ყოველთვის არსებობს ეკოლოგიური, სოციალური და

ეკონომიკური გამოწვევების ინტეგრაციის სირთულე.2 რისკების შეფასება ხდება როგორც ხარისხობრივი ისე რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

ეკოლოგიური გამოწვევა უწინარესად მდგომარეობს საწარმოს გარემოსთან თავსებადობაში, კერძოდ – პროცესებისა და პროდუქტების.

სოციალური გამოწვევა რისკების ანალიზში მოიცავს სტეიკჰოლდერების მისწრაფებებს, ინტერესებსა და შიშებს.

ეკონომიკური გამოწვევა უპირატესად ეხება საწარმოს ღირებულების ზრდასა და რენტაბელურობის ამაღლებას.

ზემოთ აღნიშნულ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს შორის არსებობს ღრმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, სადაც საწარმოს გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატება უზრუნველყოფილია მხოლოდ და მხოლოდ ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და შანსების სრულყოფილი მართვის პირობებში, რაც რისკებისა და შანსების გათვალისწინებით ეკონომიკური მიზნის რეალიზაციის პროცესში გულისხმობს: I. გარემოს პოტენციური დაზიანების თავიდან აცილების ან მოსალოდნელი ზიანის ხარისხის შემცირების შესაძლებლობას, რითაც შესაძლო ხდება ეკო-ეფექტიანობის გაუმჯობესება; და II. როგორც რისკის მისაღები წონასწორობის დამყარებას, ისე პერსონალის და საზოგადოების სოციალური პრობლემატიკის გათვალისწინებას მაგ., შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

მაშასადამე, ეკონომიკის მდგრადი განვითარება პირდაპირ კავშირშია ერთი მხრივ რისკების მინიმალიზებასთან და მეორე მხრივ ახალი მიზნების შესაძლებლობებისათვის შანსების აღმოჩენასთან. რისკებისა და შანსების საიდენტიფიკაციოდ და გამოსაყენებლად აუცილებელია რისკებისა და შანსების მენეჯმენტი. მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპი – ეკონო-

მიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნების გაწონასწორებულობა, საწარმოსათვის იმავდროულად არის შანსები და გამოწვევები. სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები ინტეგრირდებიან ბიზნესპროცესებსა და საწარმოს მართველობით კონცეფციაში, იმისათვის რომ რისკები იქნას თავიდან აცილებული და ეკონომიკური წარმატება გენერირებული. ამ აზრით ეკონომიკის მდგრადი განვითარება არის განვითარებისა და გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი, რაც სამივე ასპექტის ჰარმონიულ განვითარებაში მდგომარეობს.

ლიტერატურა:

1. Ioachim Hentze, Bjőrn Thies,Unternehmensethik und Nachhaltigkeitsmanagement,Haup Velag, Bern. Stuttgart.Wien, 2012., S. 3

2. Stefan Schaltegger u.a. (Hrsg)., Nachhaltigkeitsmanagement in Unternehmen.Bundesministerium Fűr Umwelt, Naturschutz und Reaktorsicherheit (BMV), Referat Őffentlichkeitsarbeit, 2007, S.11

თავი 6. კორპორაციის პასუხისმგებლობის სახეები

§6.1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ფართო გაგებით, კორპორაცია არის ბიზნესის ერთიანობის დომინანტური ფორმა თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში.1

კორპორაცია მიჩნეულია,როგორც ავტონომიური სოციალური ერთობა, რაც კორპორაციის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა (The internal and external stakeholders) კოოპერაციაში ვლინდება. მსგავსი პრაქტიკა აყალიბებს კორპორაციის მორალურ ერთობას, მისი მორალური კრიტერიუმებისა და სტანდარტების განსაზღვრის სახით, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება კორპორაციის მორალურ პასუხისმგებლობაზე საუბარი, ანუ შეუძლია თუ არა კორპორაციას პასუხისმგებელი იყოს საკუთარ მოქმედებაზე?

არსებობს ორი უმთავრესი არგუმენტი ამ თვალსაზრისის მხარდასაჭერად. პირველი, – ყოველ ორგანიზაციას გააჩნია კორპორაციული შიდა გადაწყვეტილების სტრუქტურა,რომელიც კორპორაციული გადაწყვეტილებების დროს წინასწარგანსაზღვრული მიზნების შესაბამისად ხელმძღვანელობაში მდგომარეობს.2 პროფ. პეტერ ფრენჩის მტკიცებით, ზემოთ ნახსენები კორპორაციული შიდა გადაწყვეტილების სტრუქტურა უზრუნველყოფს საკმარის საფუძველს კორპორაციებისათვის მორალური მხარდაჭერის მიზნით.3 მეორე, – ყველა კომპანიას გააჩნია არა მხოლოდ ორგანიზებული კორპორაციული შიდა გადაწყვეტილების სტრუქტურა, არამედ რწმენებისა და ფასეულობების ერთობაც. მსგავსი ერთობა კორპორაციაში შესაძლებლობას იძლევა ყურადღება გამახვილდეს კარგისა და ცუდის, სწორისა და არასწორის, ე.ი. ორგანიზაციული კულტურის საკ-

ითხებზე.4 ეს ფასეულობები და რწმენები დიდ გავლენას ახდენს ინდივიდუალური, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და ქცევებზე კომპანიებში.

1970 წელს, სწორედ ბიზნესის ეთიკის მოძრაობის დიდი ტალღის შემდეგ, ნობელის პრემიის ლაურეატმა მილტონ ფრიდმანმა5 გამოაქვეყნა სტატია კორპორაციის სოციალური როლის შესახებ. პროვოკაციული სახელწოდების ქვეშ <<ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ის, რომ მან გაზარდოს საკუთარი მოგება>>, ის ენერგიულად აპროტესტებდა კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ცნებას. პროფ. ფრიდმანი თავის არგუმენტს აფუძნებდა სამ მთავარ წანამძღვარზე:

- მხოლოდ ადამიანებს აქვთ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე. მისი პირველი არსებითი მომენტი იყო ის, რომ კორპორაცია არ არის ადამიანი და სწორედ ამიტომ მას არ ძალუძს ჭეშმარიტი მორალური პასუხისმგებლობის აღება საკუთარი ქმედებებისათვის. რამდენადაც კორპორაცია იქმნება ცალკეული ადამიანების მიერ, ეს ადამიანები შემდგომ იღებენ პირად პასუხისმგებლობას კორპორაციის მოქმედებებზე.
- ეს არის მენეჯერის პასუხისმგებლობა იმოქმედოს მხოლოდ აქციონერთა ინტერესებიდან გამომდინარე. მისი მეორე მომენტი იყო ის, რომ იქამდე ვიდრე კორპორაცია იცავს სამართლებრივ ჩარჩო-წესრიგს (სტრუქტურას), შექმნილს ბიზნესისათვის, კორპორაციის მენეჯერთა ერთადერთი პასუხისმგებლობა არის მოგების მიღება, რადგან ეს შეესაბამება იმ ამოცანას, რისთვისაც კომპანია იქნა დაფუძნებული და მენეჯერები დაქირავებულნი. ყველა სხვა განზრახვით მოქმედება წარმოადგენს ღალატს აქციონერთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე, რაც არსებითად აქციონერთა ჯიბიდან ფულის პარვას ნიშნავს.
- სოციალური საკითხები და პრობლემები წარმოადგენს სახელმწიფოს სათანადო მოქმედების სფერ-

ოს, ვიდრე კორპორაციული მენეჯერების. ფრიდმანის მესამე ძირითადი მომენტი იყო ის, რომ მენეჯერებს არ ევალებათ და არ შეუძლიათ იმის გადაწყვეტა თუ რა წარმოადგენს საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს. ეს ხელისუფლების საქმეა. მენეჯერები არც გატრენინგებულნი არიან სოციალური მიზნების მიდწევაში, არც პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით დემოკრატიულად არიან არჩეულნი, რომ ამის ქმნა იტვირთონ.

სისტემური მსჯელობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (კსპ) კონცეპტუალური ჩარჩო-წესრიგის (სტრუქტურის) შესახებ დაიწყო აშშ-ში ნახევარი საუკუნის წინ (Carroll 1999).6 ამ დროის განმავლობაში განსხვავებული კონცეპტები და პრინციპები იქნა სააშკარაოზე გამოტანილი და განხილული კსპ-ის თაობაზე.

მსგავსი დებატები ფოკუსირდება ორ საკვანძო საკითხზე:

- რატომ შეიძლებოდა გვემტკიცა, რომ საწარმოს აქვს სოციალური და ფინანსური პასუხისმგებლობა?
- რა არის ამ სოციალური პასუხისმგებლობის ბუნება?

რატომ უნდა ჰქონდეთ საწარმოებს სოციალური პასუხისმგებლობა?

წარსულში, ამ პირველმა საკითხმა შვა უსაზღვროდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა უკვე დღეისათვის ფართოდ იქნა აღიარებული ის, რომ საწარმოებს მოგების მიღების გარდა ნამდვილად გააჩნიათ სოციალური პასუხისმგებლობა. ეს ეფუძნება რიგ განსხვავებულ, მაგრამ მონათესავე არგუმენტს, რომელთაგან მრავალი როგორც წესი ფორმულირებულია გაცნობიერებული ეგოიზმის თვალსაზრისით, ე.ი. კორპორაცია იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას. მაგალითად:

- კორპორაცია აღიქმება რა სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, ის ჯილდოდ იღებს გაცილებით

უფრო კმაყოფილ მომხმარებელს, ხოლოდ როგორც კი ის წარმოჩინდება არაპასუხისმგებლობის მქონედ, სანაცვლოდ მყის იღებს ბოიკოტებსა და სხვა არასასურველ მოქმედებებს მომხმარებელთა მხრიდან. მაგალითად, 2001 წელს Exxon Mobil-ს უარს ხელი მოეწერა კიოტოს გლობალური დათბობის პროტოკოლზე, მოჰყვა მომხმარებელთა დიდი არმიის ორგანიზებული ბოიკოტი ბევრ ევროპულ ქვეყანაში.

- აგრეთვე თანამშრომლების გაცნობიერებული ჩართულობით მსგავს პროცესებში, კორპორაცია იღებს სოციალურად პასუხისმგებლობის მქონე წევრებს.7
- ნებაყოფლობითი მონაწილეობით სოციალურ აქციებსა და პროგრამებში უზრუნველყოფს საწარმოს დიდ კორპორაციულ დამოუკიდებლობას (და საკანონმდებლო ხელშეუხებლობას) ხელისუფლების მხრიდან.
- პოზიტიური კონტრიბუციის შეტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები უფრო მეტად უსაფრთხო, განათლებული და სამართლიანი საზოგადოებისათვის, რაც შემდგომში სარგებლის მომტანი იქნება კომპანიისთვის იმგვარი გაუმჯობესებული და სტაბილური კონტექსტის შექმნით რაშიც იქმნება ბიზნესი.

ყოველივე ეს უპირველეს ყოვლისა არის კარგი ბიზნესაფუძვლები იმისათვის, თუ რატომ არის კორპორაციისათვის ხელსაყრელი იმოქმედოს სოციალურად პასუხისმგებლობის ფორმით. კპს-ის საპირისპირო მოსაზრების დასაბუთებაში, ფრიდმანი სინამდვილეში არ კამათობს ამგვარ მოქმედებათა ვალიდურობის შესახებ, არამედ ამტკიცებს, რომ როდესაც ისინი ხორციელდება ეგოიზმის (თვით-ინტერესის) მოსაზრებით, სრულებით წარმოუდგენელია მათი კპს-ის სახით აღქმა, რადგან მისი აზრით ეს სხვა არაფერია, თუ არა სოციალური პასუხისმგებლობის საფარქვეშ კორპორაციის მოგების მაქსიმიზაცია. შესაძლოა ეს ასევე იყოს სწორი და გარკვეული ხარისხით დამოკიდებული

– გადაწყვეტილების მიმღების ძირითად მოტივებზე8. ნაკლებად მნიშვნელოვანია, აღმოცენდება თუ არა სოციალურ მოქმედებათაგან შემდგომ მოგება, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, იყო თუ არა მოგება ან ალტრუიზმი მთავარი საფუძველი ამგვარ მოქმედებებისათვის. როგორც არ უნდა იყოს, რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის კორპორაციულ მოტივთა განსაზღვრა. უფრო მეტიც, მიუხედავად მრავალრიცხოვანი აკადემიური კვლევისა, სოციალურ პასუხისმგებლობასა და მოგებას შორის პირდაპირი კავშირის არსებობის შესახებ ცალსახად დამტკიცება პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ პოზიტიურ ურთიერთობათა მთელი სიცხადით წარმოდგენის შემთხვევაშიც კი რჩება კაუზალურობის საკითხი. როდესაც წარმატებული კომპანიები განიხილება მოქმედი კპს-ის პროგრამების ფარგლებში, რა თქმა უნდა გონივრული არ იქნება იმის დაშვება, რომ კსპ-ის არსებობას წვლილი არ შეაქვს კომპანიათა წარმატების საქმეში. მაშასადამე, ამ ბიზნესარგუმენტების გვერდით კპს-თან კავშირში ასევე მნიშვნელოვანია კპს-ის შემდგომი მორალური არგუმენტების მხედველობაში მიღება:

- კორპორაციები იწვევენ სოციალურ პრობლემებს და ამიტომ ვალდებულნი არიან გადაწყვიტონ ეს პრობლემები და ასევე იზრუნონ სამომავლოდ წარმოქმნილ სოციალურ პრობლემათა პრევენციისათვის;
- როგორც მძლავრი სოციალური აქტიორები მნიშვნელოვანი რესურსების დახმარებით კორპორაციები მოვალენი არიან პასუხისმგებლობით გამოიყენონ საკუთარი ძალაუფლება და რესურსი საზოგადოებაში;
- ყველა კორპორაციულ ქმედებას გააჩნია სოციალური გავლენები ამა თუ იმ სახით, იქნება ეს საქონლის თუ მომსახურების უზრუნველყოფით, მშრომელთა დასაქმებით, თუ სხვა კორპორაციული აქტივობებით.

ამგვარად, კორპორაციას არ შეუძლია თავი აარიდოს პასუხისმგებლობებს მსგავს ზემოქმედებათაგან გამოწვეულ შედეგებთან მიართებაში, როგორიც არ უნდა იყოს ისინი. იქნებიან პოზიტიური, ნეგატიური, თუ ნეიტრალური;

- კორპორაციები ეყრდნობიან კლიენტურისა თუ სხვა სტეიკჰოლდერების გაცილებით ფართო სპექტრის კონტრიბუციას საზოგადოებაში (როგორებიც არიან: მომხმარებლები, მიმწოდებლები, ლოკალური თემები), და არა მხოლოდ აქციონერებს, და სწორედ ამიტომ ვალდებულნი არიან ისინი გაითვალისწინონ როგორც აქციონერთა ისე ყველა დაინტერესებული მხარის მიზნები და ინტერესები.

რა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ბუნება?

კპს-ის ალბათ უფრო მეტად ჩამოყალიბებულ და მიღებულ მოდელს, რომელსაც ეხება ჩვენი მეორე საკითხი არის <<კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ოთხნაწილიანი მოდელი>>, რომლის თავდაპირველი წარმოდგენა9 და შემდგომ გამოცემებში მისი დაზუსტება10 განხორციელდა პროფ. კეროლის მიერ.

დასავლეთში ცნობილი და აღიარებულია ე. კეროლის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პირამიდის ფორმის მოდელი:



ფიგურა 1. კეროლის პირამიდული კ.ს.პ. მოდელი

წყარო: Carroll, A. B., 'The pyramid of corporate social responsibility: toward the moral management of organizational stakeholders' - , Business Horizons., 1991, July-Aug.: P. 39-48

კეროლი ყურადღებას ამახვილებს კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე (კსპ), როგორც მულტიფენოვან კონცეპტზე, რომელიც შეიძლება დიფერენცირდეს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტად – ეკონომიკურ, ლეგალურ, ეთიკურ და ფილანთროპიულ პასუხისმგებლობად.

ეკონომიკური პასუხისმგებლობა. კომპანიის აქციონერები კომპანიისაგან ითხოვენ შესაბამის სარგებელს მათივე ინვესტიციებიდან. კომპანიის მოსამსახურე პერსონალი დაინტერესებულია გაწეული შრომის გარანტირებული და სამართლიანი ანაზღაურებით. კომპანიის კლიენტების მოლოდინი კი დაკავშირებულია კარგი ხარისხის პროდუქციასთან სამართლიანი ფასებით და ა.შ. კომპანიის ამგვარი გააზრება იძლევა მისი, როგორც ეკონომიკური ერთეულის ფუნქციონირებისა და ბიზნესში არსებობის გამართლების შესაძლებლობას.

კსპ – ის პირველი ფენა, წარმოდგენილი მოდელის

ყველა შემდგომი პასუხისმგებლობის ფორმის საფუძველია. ეკონომიკური პასუხისმგებლობის პირობათა დაკმაყოფილება თითოეული კორპორაციისათვის თანაბრად მოთხოვნადია.

ლეგალური პასუხისმგებლობა. კორპორაციის ლეგალური პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ საწარმოები თანაბრად იცავდნენ კანონსა და თამაშის წესებს. კანონთა კრებული საზოგადოების მორალურ შეხედულებათა კოდიფიკაციაა, და მაშასადამე ამ სტანდარტების მუდმივი დაცვა არის ყოველი შემდგომი მსჯელობის აუცილებელი პრერეკვიზიტი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

ეკონომიკური პასუხისმგებლობის მსგავსად, ლეგალური პასუხისმგებლობის დაკმაყოფილება ყველა კორპორაციისათვის არის თანაბრად მოთხოვნადი და სავალდებულო.

ეთიკური პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის ეს ფორმა კორპორაციებს უბიძგებს სწორი, სამართლიანი და პატიოსანი მოქმედებების განხორციელებისაკენ მაშინაც კი,როდესაც ისინი ეთიკურად და ლეგალურად მოვალენი არ არიან ამგვარი ქმედებებისათვის. გამომდინარე აქედან,ეთიკური პასუხისმგებლობა არსებითად შედგება ეკონომიკური და ლეგალური მოთხოვნების მაღლა მყოფი საზოგადოების ზნეობრივი მოლოდინებისაგან.

ფილანთროპიული პასუხისმგებლობა. დასასრულს, პირამიდის წვერში, კსპ – ის მეოთხე დონეს წარმოადგენს კორპორაციის ფილანტროპიული პასუხისმგებლობა, რაც ბიზნესის კონტექსტში გულისხმობს კორპორაციაში დასაქმებულთა, ლოკალური თემებისა და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას კორპორაციის დისკრეციაში. კპს-ის ეს ასპექტი მიმართულია საკითხთა იმ ნაირსახეობისაკენ, რომლებიც მოიცავს მუშაკთათვის და მათი ოჯახებისათვის ქველმოქმედების სხვადასხვა ფორმებს, გართო-

ბისა და დასვენების პირობებს, ადგილობრივი საბავშო ბაღებისა და სკოლების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტისა და ხელოვნების სფეროთა სპონსორობას. კორპორაციისათვის, ფილანთროპიული პასუხისმგებლობა არის უბრალოდ სასურველი და ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დანარჩენი სამი კატეგორია.

მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-ეთიკური საკითხები ანგლო-ამერიკულ ენობრივ სივრცეში, ეკონომიკურ პრაქტიკასა და საზოგადოებაში ხშირად განიხილებოდა და განიხილება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (კსპ) ცნების ქვეშ. დისკუსია კსპ-ის ირგვლივ თარიღდება 1930-იანი წლებით, რამაც უკანასკნელ ორ ათწლეულში ჰპოვა ფართო გავრცელება. დაწყებული იქიდან ამ დრომდე საკამათო რჩება ის, თუ ზუსტად რა იგულისხმება კსპ-ში. მიუხედავად ამისა, კორპორაციულმა სოციალურმა პასუხისმგებლობამ გამოიწვია ფართო სამეცნიერო დისპუტები, ისევე როგორც – მრავალრიცხოვანი ემპირიული კვლევები. თუმცა ბოლო ხანს კსპ-ას, როგორც საწარმოო კონცეპტს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლიტიკაში11 ასე მაგალითად, კსპ-ის კონცეპტი, რომელიც საწარმოს საფუძველია, თავის სამეწარმეო საქმიანობასა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთდამოკიდებულებაში (სტეიკჰოდერებთან კორელაციაში) სოციალურ და გარემო ინტერესთა ნებაყოფლობით ბაზისზე ინტეგრირებას გულისხმობს.12 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწორედ ეს დახასიათება იქცა მის შემდგომ ცენტრალურ მსაზღვრელად. მაშასადამე, წინა პლანზე წამოიწია საწარმოთა ურთიერთობებმა თავის ლოკალურ და ნაციონალურ ჯგუფებთან თუ ერთობებთან მიმართებით.13 რაც დაეფუძნა გაგებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს <უფლებისა>> და <<მმართველობის>> სისტემის შესახებ მარტოს არ შესწევს ძალა ისე მიმართოს ეკონომიკურ აქტიორთა ქცევები,

რომ მათმა მოგებაზე ორიენტირებულმა მოქმედებათა შედეგებმა არ დააზიანოს საზოგადოებრივი კეთილ-დღეობა14.

1990-იანი წლების ბოლოდან საწარმოს პასუხისმგებლობა ეკონომიკისა და საზოგადოებაში კიდევ უფრო ინტენსიურად განიხილება, რისი უპირველესი არსებითი გამომწვევი მიზეზი ეკონომიკის მზარდი სოციალ-ეკონომიკური გლობალიზაციაა. ერთი მხრივ კლებადი სახელმწიფო მართვის უნარიანობა და მეორე მხრივ საზოგადოების კულტურულ და ფასეულობათა ბაზისის მზარდი ჰეტეროგენურობა პროფ. ჰაბერმასის მიერ აღწერილ იქნა როგორც <<პოსტნაციონალური კონსტელაცია>>15. პოსტნაციონალური კონსტელაცია ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს კსპ-ის თეორიასა და პრაქტიკას. ამ კონსტელაციაში საწარმოსა და მისი პროტაგონისტების ლეგიტიმურობა დგას გამოცდის წინაშე. საწარმოს გაძლიერებული სოციალური ჩართულობა წარმოადგენს ამ ლეგიტიმურობის ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობას.

გასულ წლებში საჯარო (სახელმწიფო) და სამოქალაქო საზოგადოების აქტიორთა (სუბიექტთა) მონაწილეობით ფორმულირებული იქნა კსპ-ის მრავალრიცხოვანი ინიციატივები კსპ-ის სტანდარტების ფორმულირებისა და იმპლემენტირებისათვის. გარდა ზემოთ ნახსენები EU-კომისიის მიმართულებისა, არსებობს გაერთიანებული ერების (UN) <<გლობალური შეთანხმება>>, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის (ILO) <<შრომის სტანდარტები>>,ისევე როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) თეზისები, რომლებიც ერთობლივად ასახავს კარგად ცნობილ ინიციატივებს. გლობალური შეთანხმების (Clobal Compact) ცენტრში დგას ადამიანის უფლებათა, სოციალური სტანდარტებისა და გარემოს დაცვის, ისევე როგორც კორპორაციის წინააღმდეგ ბრ-

ძოლის ათი პრინციპი.*

გაეროს (UN) მიზანი არის მთელ მსოფლიოში საწარმოთა მიერ ამ პრინციპების ნებაყოფლობითი აღიარება და განხორციელება არსებულ საწარმოთა გავლენის სფეროში. ამასთავანე, გლობალური შეთანხმება უნდა ფუნქციონირებდეს როგორც ინტერაქციული პლატფორმა, რომელიც აღნიშნული ათი პრინციპის განხორციელების დროს ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკურ და სხვა საზოგადოებრივ აქტიორებს შორის ურთიერთობას და საუკეთესო პრაქტიკის (Best Practices) გადაცემას.16 ასევე <<OECD-თეზისები მულტინაციონალური კორპორაციებისათვის>> ასახავს სამართლებრივად

---

* მდგრადი განვითარების მიზნების ათი პრინციპი

ადამიანის უფლებები

პრინაციპი 1: საწარმოებმა მხარი უნდა დაუჭირონ და პატივი უნდა სცენ საერთაშორისოდ გამოცხადებულ ადამიანის უფლებების დაცვას; და

პრინციპი 2.: დარწმუნდნენ,რომ ისინი არ არიან თანამონაწილენი ადამიანის უფლებების დარღვევაში.

შრომა

პრინციპი 3: საწარმოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ასოციაციათა თავისუფლებასა და უფლებათა ეფექტურ აღიარებას კოლექტიურ მოლაპარაკებებში.

პრინციპი 4: იძულებითი შრომის ყველა ფორმის ლიკვიდაცია.

პრინციპი 5: ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმება; და

პრინციპი 6: დისკრიმინაციის ლიკვიდაცია შრომისა და დასაქმების სფეროში.

გარემო

პრინციპი 7: საწარმოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ფრთხილ მიდგომას ეკოლოგიურ პრობლემებთან.

პრინციპი 8: ინიციატივათა აღება დიდი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისათვის.

პრინციპი 9: ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების განვითარებისა და გავრცელების დახმარება.

კორუპციასთან ბრძოლა

პრინციპი 10: საწარმოებმა უნდა იმუშაონ კორუპციის წინააღმდეგ მის ყველა ფორმაში,გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

წყარო: www.unglobalcompact.org

არასავალდებულო ქცევის კოდექსს, რომელიც გამოხატავს რჩევებს პასუხისმგებლობის მქონე საწარმოს მართვისათვის ადამიანის უფლებათა, ისევე როგორც ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგრადობის გათვალისწინებით17 <<ILO-ს ძირითადი ნორმები>>18 გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფით, იძულებითი და ბავშვთა შრომის გაუქმებით და დისკრიმინაციის აკრძალვით ესწრაფვის ყველა ადამიანის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ამგვარად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის გავლენა საზოგადოებაზე. იგი არის ბიზნესის ეთიკური ქცევა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან მიმართებაში. ის გულისხმობს კომერციული წარმატებების მიღწევას იმ გზებით, რომლებიც აფასებენ ეთიკურ პრინციპებს, იცავენ კანონს და პატივს სცემენ ადამიანს, საზოგადოებასა და გარემოს.

კსპ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის განვითარებული და მის მოდელში ინტეგრირებული კორპორაციული თვითრეგულირების ფორმა წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომლებიც თანაბრად ღირებულია ბიზნესისათვის, გარემოსა და საზოგადოებისათვის.

ლიტერატურა:

1..Market And Morality: Business Ethics and the Dirty and Many Hands Dilemma, Rotterdam, 1998., P. 19

2..Franch, P., ‘The corporation as a maral person’, American Philosophical Quarterly, #16, 1979., P. 207-15.

3. Business Ethics – Ammon Allred’s Online Classroom., professorallred. wikidot...

4. Moore, G., ‘Corporate moral agency: review and implications’, Journal of Business Ethics, #21, 1999, P. 329-43

5. Friedman, Milton., The Social Responsibility of Business is to Increase its Profits., New York Times Magazine (13. 9. 1970),

P. 122-126

6. Carroll, Archie B., Corporate Social Responsibility – Evolution of a Definitional Construct., Business & Society 38/3, 1999, P. 268-295

7. Greening, D. W., Turban, D. B., Corporate Social performance as a competetive advantage in attracting a quality workforce., Business & Society, 39/3, 2000, P. 254-80

8. Bowie, N. E., New directions in corporate social responsibility., Business Horizons, 34 (IulyAug.), P. 56-65

9. Carroll, A. B., A three dimensional model of corporate social performance., Academy of Managment Review, #4, 1979, P. 497-505.

10. Carroll, A. B., The pyramid of corporate social responsibility: toward the moral managment of organizational stakeholders, Business Horizons, Iuly-Aug.: 1991, P. 39-48.

Carroll, A. B., Buchholtz, A. K., Business and Society: Ethics and Stakeholder Managment, 4th edn., Cincinnati: South-Western College., 2000, P. 27-62

11. ob. ৎg. 2; Crande, Andrew /McWilliams, Abagail/Matten, Dirk/Moon, Jeremy/Siegel, Donald S. (Hg.), The Oxford Handbook of Corporate Social Responsibility, Oxford 2008.

12. Europäishe Kommission: Grünbuch. Europäische Rahmenbedingungen für die soziale Verantwortung der Unternehmen.,http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do? uri=COM:2001:0366:FIN:DE:PDF(19.3.2009).

13. ob ৎg. 2; Clark, J. Maurice., The Changing Basis of Economic Responsibility., The Journal of Political Economy 24/3, 1916, P. 209-229.; Steinmann, Horst., Löhr, Albert., Unternehmensethik-Zur Geschinchte eines ungeliebten Kinders der Betriebswirtschaftslehre., Eduard Gaugler/Richard Köhler (Hg): Entwicklungen der Betriebswirtschaftslehre. 100 Jahre Fachdisziplin-zugleich eine Verlagsgeschichte, Stuttgart, 2002, S. 510-535.

14. Stone, Christopher D., Where the Law Ends: The Social Control of Corporate Behavior., New York, 1975.

15. Habermas, Jürgen, Faktizität und Geltung. Beiträge zur

Diskurstheorie des Rechts und des demokratischen Rechtsstaats., Frankfurt a. M. 1998

16. BMZ: Der UN Global Compact., Gesellschaftlich verantwortungsvolles unternehmerisches Handeln. Factsheet des Bundesministerium Für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ). http://globalcompact.de/fileadmin/PDFs/BMZ-Factsheet_UN-Global_Compact_2009. pdf(27.3.2009); Global Compact: Deutsches Global Compact Netzwerk., http://globalcompact.de (27.3.2009)

17. www.oecd.org

18. ILO: ILO Kernarbeitsnormen., http://www.ilo.org/public/german/region/eurpro/bonn/kernarbeitsnormen/index.htm (27.3.2009).

§6.2. კორპორაციული მოქალაქეობა

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, აშშ-ში ჩნდება ახალი ცნება „კორპორაციული მოქალაქეობა" (კმ), რომელიც აღნიშნავს კორპორაციის სოციალურ როლს, მის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. კორპორაციული მოქალაქეობა არის ძალზედ ცნობილი ტერმინი ბიზნესის ეთიკის შესახებ მიმდინარე დებატებში ევროპაში, ამერიკასა თუ სხვაგან.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოჩინდეს კმ-ის არსი და მნიშვნელობა, გთავაზობთ ნახ. 1, სადაც ასახულია ცნობილი კომპანიების დამოკიდებულება „კორპორაციული მოქალაქეობის" მიმართ.

კომპანია	განცხადება	წყარო
ფორდი	✓ კორპორაციული მოქალაქეობა გახდა ყოველ მოქმედებათა ინტეგრალური ნაწილი. ჩვენ გვჯერა, რომ კორპორაციული მოქალაქეობა აჩვენებს მას თუ ვინ ვართ ჩვენ როგორც კომპანია, როგორ ვზრუნავთ ჩვენს თანამშრომლებზე და საერთოდ, როგორ ინტერაქციაში ვიმყოფებით სამყაროსთან.	www.ford.com
ნოკია	✓ ჩვენი მიზანია კარგ მოქალაქედ ყოფნა ყველგან, სადაც ჩვენ ვფუნქციონირებთ როგორც საზოგადოების პასუხისმგებელი და კონტრიბუტორი წევრი.	www.nokia.com
სიმენსი	✓ მსგავსი მასშტაბური ცვლილებების დროში საზოგადოებასა და პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციულ მოქალაქეობას შორის დიალოგი საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს აქამდე ყოფილა. ჩვენი ცოდნა და გადაწყვეტილებები გვეხმარება შევქმნათ უკეთესი სამყარო, რომელიც ჩვენს კორპორაციულ პრინციპს წარმოადგენს და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თითოეულ ორგანიზაციას – როგორც საზოგადოების ინტეგრალურ ნაწილს – გააჩნია შესაბამისი ვალდებულება წვლილი შეიტანოს საერთო სიკეთეში.	Corporate Citizenship., Report, 2001

ნახ.1. კორპორაციული მოქალაქეობის ვალდებულებები

ამჟამად დასავლეთში არსებობს კორპორაციული მოქალაქეობის სამი განსხვავებული ხედვა: შეზღუდული, ეკვივალენტური და გაშლილი.

- კმ-ის შეზღუდული ხედვა შეესაბამება კორპორაციულ ფილანთროპიას.
- კმ-ის ეკვივალენტური ხედვა შეესაბამება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.
- კმ-ის გაშლილი ხედვა ცნობს კორპორაციის ფართო პოლიტიკურ როლს საზოგადოებაში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კმ-ის შეზღუდული ხედვა. კორპორაციული მოქალაქეობის ეს ფორმა დღემდე გაიგივებულია ფირმის ფილანთროპიულ როლთან და პასუხისმგებლობასთან, ადგილობრივ საზოგადოებებში ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შეწირულობების სახით. კმ-ის შეზღუდული ხედვა თითქმის სრულად ფოკუსირდება კომპანიის უშუალო ფიზიკურ გარემოზე, ლოკალურ თემებზე, როგორც ფირმის მთავარ სტეიკჰოლდერებზე.1 მაგალითად, კეროლი2 'კარგი კორპორაციული მოქალაქის' არსებობას აიგივებს მისავე ცნობილ კსპ-ის პირამიდის მეოთხე დონესთან, კერძოდ ფილანტროპიულ პასუხისმგებლობასთან. ამიტომ იგი კმ-ს ათავსებს თავის კსპ-ის პირამიდის უმაღლეს დონეზე იმის დაშვებით, რომ ეს არის ბიზნესმოლოდინების მიღმა არსებული დისკრეციული მოქმედება.

კმ-ის ეკვივალენტური ხედვა. კორპორაციული მოქალაქეობის მეორე ფორმა ეხება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას3 და წარმოადგენს მის მოდერნიზებულ სახეს კორპორაციის ახალი როლის ან პასუხისმგებლობის დეფინიციის გარეშე. ოთხდონიანი კპს-ის განსაზღვრის მსგავსად კეროლი იძლევა კმ-ის ანალოგიურ განმარტებას სახელწოდებით „კორპორაციული მოქალაქეობის ოთხი სახე".4 იზაბელ მეგნენი5 თავის კოლეგებთან ერთად გვთავაზობს შემდეგნარი განსაზღვრებას: 'კმ არის სივრცე, სადაც ფირმის

სტეოკჰოლდერების დავალებით ბიზნესმენები ხვდებიან ეკონომიკურ, ლეგალურ, ეთიკურ და დისკრეციულ პასუხისმგებლობებს', - რაც არსებითად წარმოადგენს კიდეც კსპ-ის კეროლისეული დეფინიციის ხელახალ შეფუთვას.

კმ-ის გაშლილი ხედვა. რაც შეეხება კორპორაციული მოქალაქეობის გაშლილ ხედვას, მის ამოსავალ წერტილს „მოქალაქეობის" ცნება წარმოადგენს, რომელიც უმეტეს ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებაში დომინანტურია, და რომლის თანამედროვე გააზრებაც ეფუძნება ლიბერალურ ტრადიციებს, სადაც მოქალაქეობა განისაზღვრება როგორც ინდივიდთა უფლებების ნაკრები6 ხოლო თავად კორპორაციული მოქალაქეობა განიხილება აშკარად მისი პოლიტიკური კონოტაციების თვალსაზრისით, როგორებიცაა: მოქალაქეობის უფლებათა აღჭურვის კორპორაციული მოთხოვნები, ფირმების მონაწილეობა გლობალურ მართვაში, ან კორპორაციული ჩართულობა ინდივიდთა სოციალური, ცივილური და პოლიტიკური უფლებების ადმინისტრაციაში. ზოგიერთი სწავლული მას განიხილავს "პოლიტიკური კსპ" სახით7.

კორპორაციული მოქალაქეობის სამივე მიდგომა შესაძლებელია განხილულ იქნეს პრაქტიკაში, მაგრამ მათგან პირველი ორი ხედვა დომინირებს ბიზნესის სამყაროში, მაშინ როდესაც მესამეს, კმ-ის გაშლილ ხედვას მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

გარდა ზემოთ აღნიშნული ხედვებისა, დასავლეთში ასევე არსებობს კორპორაციული მოქალაქეობის სამი განსხვავებული სექტორალური გაგებაც, სადაც სამი სექტორის კონცეპტის ერთობა წარმოადგენს საწარმოთა პასუხისმგებლობის სისტემატიზაციის საფუძველს. მაშასადამე, კორპორაციული მოქალაქეობის განსხვავებული სფეროები შეიძლება აიხსნას წარმოდგენილი კონცეპტების ერთობით. ე.ი. საზოგადოება შედგება სახელმწიფოს, ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგა-

დოების სექტორებისაგან,სადაც ამ სამ სექტორს შორის ყოველთვის არ არის ზღვარი გავლებული. ესენია: პირველი, ვიწრო გაგებით კორპორაციული მოქალაქეობა სამოქალაქო საზოგადოების ჭრილში; მეორე, ფართო გაგებით – კორპორაციული მოქალაქეობა სახელმწიფოს ჭრილში; და მესამე, უფართოესი გაგებით – კორპორაციული მოქალაქეობა ძირითადად ბიზნესში.

1. კორპორაციული მოქალაქეობა სამოქალაქო საზოგადოების ჭრილში. ვიწრო გაგებით კორპორაციული მოქალაქეობა აღნიშნავს საწარმოთა საქმიანობებს სამოქალაქო საზოგადოებაში (იხ. ნახ. 1)



ნახ. 1. კორპორაციული მოქალაქეობა ვიწრო გაგებით

კორპორაციული მოქალაქეობის ამგვარი გააზრებით საწარმოები მოქმედებენ როგორც კარგი მოქალაქენი, იცავენ რა იმ საზოგადოების ინტერესებს რომელშიც ისინი მოღვაწეობენ. კორპორაციული მოქალაქეობის ეს ვიწრო გაგება განსაკუთრებით დომინირებს გერმანიაში.

კომპანიის სამოქალაქო (ცივილური) ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოებაში შეიძლება დაიყოს კორპორაციული ქველმოქმედებისა და კორპორაციული

მოხალისეობის ძირითად ფორმებად (იხ. მაგ, კონცეპ-ტუალური მოსაზრებები და პრაქტიკული მაგალითები ბეკჰაუზ-მაულთან და სხვ.)8. ორივე ამ სფეროში არსებობს განსხვავებული სუბფორმები (იხ. ნახ. 2)



ნახ.2. კომპანიის სამოქალაქო ჩართულობა

კორპორაციული ქველმოქმედება შეიძლება წარ-მოდგენილ იქნას სპონსორობისა თუ შემწირველო-ბის ფორმებში. სპონსორობა წარმოადგენს მარკეტ-ინგის კლასიკურ ინსტრუმენტს, რომელშიც ფულადი დახმარებები წარმოებს ხელშეკრულების თანახმად თავსებადი საკომუნიკაციო სანაცვლო მომსახურების საფუძველზე. სპონსორობა კორპორაციული მოქალაქე-ობის ფარგლებში ორიენტირებულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებზე. საზოგადოებრივი კეთილ-დღეობის ორიენტაციის საფუძვლად დევს ასევე შემ-

წირველობა, სადაც სპონსორობის საპირისპიროთ, ყოველგვარი ხელშეკრულებითი შეთანხმების გარეშე ხდება ფულადი დახმარების შეწირულობის გაღება. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას რომ შემწირველის ნებაყოფლობითი საკომუნიკაციო ღონისძიებები სპონსორობის მსგავსად, მოცემული საწარმოს იმიჯზე არ ახდენს ან არ მოახდენს პოზიტიურ გავლენას.

როგორც შეწირულობასთან, ისე სპონსორობასთან დაკავშირებული საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთჯერადად ან ხანგრძლივი დროით როგორც ფულადი, ისე მატერიალური ფორმით (მაგ., შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის გადაცემა). არსებული ფორმების გარდა კორპორაციული ქველმოქმედება მსხვილ კორპორაციათა მხრიდან ხშირად ხორციელდება სპეციალური ფონდების საშუალებით.

შეწირულობასა და სპონსორობისაგან განსხვევებით, კორპორაციული მოხალისეობა არის ინსტრუმენტი, რამაც მხოლოდ კორპორაციული მოქალაქეობის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიათა ფარგლებში მიიქცია მზარდი ყურადღება. კორპორაციული მოხალისეობისას საქმე გვაქვს კომპანიის თანამშრომელთა მხრიდან სამოქალაქო საქმიანობათა დახმარება-შეწყობის კუთხით აქტიურ ჩართულობასთან. ამგვარი საქმიანობები შესაძლებელია სრულდებოდეს ნებაყოფლობითი საქმიანობის (ანუ კორპორაციული მოხალისეობის) წახალისების მიზნით ისეთი მიმართულებით, როგორიც არის მაგ., ეკოლოგიური ორგანიზაციები, სპორტული გაერთიანებები თუ სახანძრო-სამაშველი ჯგუფები და ა.შ. კორპორაციები ახდენენ მათ სამსახურიდან დროებით გათავისუფლებას სამუშაო საათების დროს შრომითი ანაზღაურების დატოვებით. შრომითი ანაზღაურების ფარგლებში სამოქალაქო ჩართულობა ფართოდ არის გავრცელებული განსაკუთრებით აშშ-ში,9 სადაც ტარდება სპეციალური ე.წ. <<Days of Service>> და სადაც საწარმოს ერთ ჯგუფს გარკვეული წვლილი შეაქვს

სპორტული მოედნის მოწყობისა თუ საბავშო ბაღის გაახლების საქმეში. სხვა ფორმა, თუ როგორ იყენებენ თანამშრომლები საკუთარ სამუშაო დროსა და კომპეტენციებს სამოქალაქო საზოგადოებაში, არის მენტორინგი გარკვეულ პირთა ჯგუფის დახამრების საქმეში. მაგალითად, მმართველობითი ძალების მიერ გარკვეული სახის შეფობის აღება სოციალურად არასასიკეთო მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდობის ნაწილზე, მათთვის პროფესიათა ძიების ეტაპზე მხარდასაჭერად.

დასასრულს, მაშასადამე კორპორაციული მოხალისეობა არის დროის შეწირულობის (ან დროის სპონსორობის) ძირითადი ფორმა და შესაძლებელია მისი ფულად და მატერიალურ ფორმათა გვერდით განთავსება.

ამდენად, აქ აღწერილი ინსტრუმენტების სრულად გამოსაყენებლად, საწარმოებს მართებთ სამოქალაქოსაზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ინტერაქციაში ყოფნა.

2. კორპორაციული მოქალაქეობა სახელმწიფოს ჭრილში. ფართო გაგებით კორპორაციული მოქალაქეობა სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართულობის გვერდით ასევე მოიცავს წესრიგის პოლიტიკის თანაპასუხისმგებლობის აღებას სახელმწიფოს ჭრილში (იხ. ნახ. 3).



ნახ.3. კორპორაციული მოქალაქეობა ფართო გაგებით

ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს მასზე, რომ კომპანიებმა უნდა მოახერხონ არა მხოლოდ მოქმედ ჩარჩო-პირობებთან ადაპტირება, არამედ ასევე უნდა შეძლონ, აიღონ პასუხისმგებლობა მათ შემდგომ განვითარებასა და განხორციელებაზე.

წესრიგის პოლიტიკის პასუხისმგებლობა კორპორაციული მოქალაქეობის კონტექსტში მდგომარეობს მასში, რომ ის პოლიტიკური ლობირების გარეშეც სულ მცირე ასევე ცნობს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებულ მიმართულებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კოპენჰაგენის კომუნიკე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2009 წლის ბოლოს პასუხისმგებლობის მქონე წამყვანმა პოლიტიკოსებმა კოპენჰაგენის კლიმატის სამიტზე მოუწოდეს ბიზნეს-ლიდერებს დაედოთ სავალდებულო შეთანხმება კლიმატის დაცვის თაობაზე, რისი შესრულება ობლიგატორული იქნებოდა ყველასთვის.

იქ, სადაც დამაკმაყოფილებელი სავალდებულო ძალის მქონე რეგულაციები არ ხორციელდება, წესრიგის პოლიტიკის თანაპასუხისმგებლობას ასევე ძალუძს თვითრეგულირება ნებაყოფლობითი თვითდავალდებულების ფორმაში გამოსახოს, რისი თვალსაჩინო მაგალითებიც არის: ევროპის საცალო ვაჭრობის ბიზნესის სოციალური თანხმობის ინიციატივა (Business Social Compliance Initiative) სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით მიწოდება/მომარაგების ინდუსტრიაში; საერთო კოდექსის მიღება ყავის საზოგადოებისათვის ყავის წარმოების (გაშენება/დამუშავება) ხანგრძლივი ხელშეწყობის მიზნით; ან გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმება მინიმალური სტანდარტების ერთობლივ დაცვაზე როგორც ზოგადად ადამიანის უფლებების, ისე მშრომელთა უფლებების და ასევე გარემოს დაცვის სფეროში. ამასთან, წევრი კომპანიების პასუხისმგებლობა სცდება საკუთარი წარმოების ფარგლებს და მოიცავს მიღებული წესების

უზრუნველყოფასა და დაცვას მიმწოდებლებთან. მაშინაც კი, როდესაც ამგვარ ინიციატივათა მასშტაბები და ფორმა სადავოა, ის მაინც აჩვენებს, რომ გლობალიზებულ მსოფლიოში საწარმოთა ჩართულობა მოიცავს ზესაწარმოო წესთა დადგენასა და განხორციელებას, და ამით – იმ სფეროს, რომელიც ტრადიციულად სახელმწიფოს სფეროდ მოიაზრებოდა.

3. კორპორაციული მოქალაქეობა ასევე ძირითად ბიზნესში. თავის უფართოეს ინტერპრეტაციაში კორპორაციული მოქალაქეობის ცნება მოიცავს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის აღების ყველა ფორმას საწარმოთა მხრიდან. ამდენად, ძირითად ბიზნესში პასუხისმგებლობის აღებაც ეხება კორპორაციული მოქალაქეობის საგნობრივ სფეროს. (იხ. ნახ. 4).



ნახ.4. კორპორაციული მოქალაქეობა უფართოესი გაგებით

კორპორაციული მოქალაქეობის ეს უფართოესი დეფინიცია ყველაზე უფრო გავრცელებულია საერთაშორისო დონეზე.10 თუმცა ზოგიერთი სწავლული ექსპლუატაციურ დამოკიდებულებას წესრიგის პოლიტიკის თანაპასუხისმგებლობასთან უგუვებელყოფს. ძირითადი ბიზნესის ჩართვით კორპორაციული მო-

ქალაქეობა მოიცავს მდგრადობის (მდგრადი განვითარების) მენეჯმენტის ყველა ასპექტს, როგორიც არის მაგალითად, გლობალური რეპორტინგის მოხსენებით ჩამონათვალში ინიციატივა მდგრადობის (მდგრადი განვითარების) თაობაზე. მაშასადამე, საქმე ეხება ეკონომიკების სოციალურ და ეკოლოგიურ გვერდით და შემდგომ ეფექტთა მხედველობაში მიღებას ღირებულების შექმნის თანამიმდევრობათა ყველა დონეზე. ამ პერსპექტივაში, საწარმოს, როგორც კვაზი-საზოგადოებრივ ინიციატივას მართებს იმოქმედოს არა მხოლოდ ისე, რომ იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ეკონომიკურ წარმატებაზე, არამედ ასევე იმგვარად, რომ შეეძლოს ნეგატიური გარე ეფექტების თავიდან აცილება და ამავე დროს ყურადღების გამახვილება პოზიტიური გარე ეფექტების წარმოებაზე რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება სხვა ბიზნესპარტნიორებს შესაბამისი დადებითი ან უარყოფითი შედეგებით.

კორპორაციული მოქალაქეობის ექსპლუატაციური გამიჯვნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფართოდ გავრცელებულ ცნებისაგან ძალზედ იშვიათად გვხვდება ლიტერატურაში, სადაც მიუხედავად მათ შორის არსებული საგნობრივ სფეროთა მოცულობისა, ეს ცნებები როგორც სინონიმები ხშირად იმპლიციტურად გამოიყენება. მაგალითად, კეროლი თავის კარგად ცნობილ ოთხსაფეხურიანი პასუხისმგებლობის ფორმას კსპ-ის პირამიდის11 ფორმით მოიხსენიებს მას შემდეგ, რაც მან ის თავდაპირველად თითქმის ოცი წლის წინ <<The Four Faces of Corporate Citizenship>>12 სახით გამოაქვეყნა; მეიგნენი და ფერელი13 [2001, 2004] ერთსა და იმავე კონცეპტს პუბლიკაციებში მოიხსენიებენ როგორც <<Corporate Citizenship>>-ის, ისე <<Corporate Social Responsibility>>-ის სახელწოდებით; და რომ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ჰაბიში, შმიდპეტერი და ნოირაითერი14 ამ ცნებებს აკუთვნებენ ურთიერთჩამნაცვლებელ სათაურთა თვისებას.

აღნიშნულ ცნებათა გამიჯვნასთან დაკავშირებული მოვლენები კონცეპტუალური თვალსაზრისით ასახვას პოულობს ურთიერთსაპირისპირო დეფინიციებში. ასე მაგალითად, გერმანიის გარემოს სამინისტროსათვის წარმოებულ კვლევებში კორპორაციული მოქალაქეობა განისაზღვრება როგორც <<კომპანიის ფაქტიური ბიზნესსაქმიანობის მიღმა არსებული ჩართულობა კომპანიის ლოკალურ გარემოსა და სივრცეში სოციალურ პრობლემათა მოსაგვარებლად>>, რაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (კსპ) ნაწილად შეიძლება იქნეს მიჩნეული15 და მის საპირისპიროდ სამეცნიერო წრეებში ფართოდ ხმარებული შემხვედრი გაგების თანახმად კორპორაციული მოქალაქეობა არის ზოგადი ცნება, რომელიც თავის თავში მოიცავს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.16 ამ პერსპექტივით კსპ იგივდება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის აღებასთან ძირითად ბიზნესში, მაშინ როცა კმ მოიცავს ასევე ყველა სხვა საზოგადოებრივი კეთილდღეობის აქტივობებს სამოქალაქო საზოგადოებასა და წესრიგის პოლიტიკის თანაპასუხისმგებლობაში.

ლიტერატურა:

1. Altman, B.W., ‘Corporate community relations in 1990s: a study in transformation (dissertation abstract)’ Business an Society, 37/2; P. 221-7, 1998.
2. Carroll, A. B., ‘The pyramid of corporate social responsibility: toward the moral management of organizational stakeholders’. Business Horizons, July-Aug.: P. 39-48., 1991.
3. Corporate citizenship, From Wikipedia, the free encyclopedia, http: //en. wikipedia.org/wiki/Corporate_citizenship
4. Carroll, A.B., ‘The four faces of corporate citizenship. ‘ Business and Society Review, 100/1: P. 1-7, 1998.
5. Maignan, I., Ferrell, O.C. and Hult, G.T. M., ’Corporate citizenship: cultural antecendents and business benefitss’, Journal

of the Academy of Marketing Science, 27/4: P. 455-69, 1999.

6. Faulks, K., Citizenship. London: Routledge, 2000, P. 55-82.

7. Scherer, A. G. & Palazzo, G. Toward a Political Conception of Corporate Responshibility: Business and Society Seen From a Habermasian Perspective. Academy of Management Review, 32 (4), P. 1096-1120., 2007.

8. Backhaus - Maul Holger, Biedermann Christiane, Nährlich Stefan, Polterauer Judith (Hg.): Corporate Citizenship in Deutschland. Gesellschaftliches Engagement von Unternehmen. Bilanz und Perspektiven. Wiesbaden, 2010.

9. Backhaus - Maul Holger, Engagementförderung durch Unternehmen in den USA. Über die produktive Balance zwischen Erwerbsarbeit, Familienleben und Bürgerschaftlichem Engagement., Enquete – Kommission <<Zukunft des bürgerschaftlichen Engagements>> des Deutschen Bundestages (Hg.): Bürgerschaftliches Engagement Von Unternehmen., Opladen 2003, S. 85-147.

10. Logan David., Corporate Citizenship in a Global Age., RSA journal 146, 3/4 (1998), 64-71; Marsden Chris, Andriof Jorg; Towards an Understanding of Corporate Citizenship and how to Influence it., Citizenship Studies 2,2 (1998), 329-352; Maignan Isabelle, Ferrell O.C., Corporate Citizenship as a Marketing Instrument: Concepts, Evidence, and Research Directions., European Journal of Marketing 35, 4 (2001) 457-484; Maigan Isabelle, Ferrell O.C., Corporate Social Responsibility and Marketing, An Integrative Framework., Journal of the Academy of Marketing Science 32 (2004), 3-19; Wood Donna J., Logsdon Jeanne M.: Theorising Business Citizenship., Jörg Andriof/Malcolm McIntosh (Hg): Perspectives on Corporate Citizenship. Sheffield 2001, 83-103; Ulrich Peter., Republikanisher Liberalismus und Corporate Citizenship. Von der ökonomishen Gemeinwohlfiktion zur republikanisch-ethischen Selbsbindung wirtschaftlicher Akteure., Herfried Münkler, Harald Blum (Hg.): Gemeinwohl und Gemeinsinn: Zwishen Normativität und Faktizität. Berlin 2002, 273-291.

11. Carroll, A. B., The pyramid of corporate social responsi-

bility: toward the moral management of organizational stakeholders -, Business Horizons., 1991, July-Aug.: P. 39-48

12. Carroll, Archie B.: The Four Faces of Corporate Citizenship., Business and Society Review 100/101, 1998, P. 1-7.

13. ob. Maignan/Ferrell [2001, 2004]

14. Habisch André, Schmidpeter René, Neureiter Martin (Hg.): Handbuch Corporate Citizenship. Corporate Social Responsibility für Manager. Berlin u. a. 2007

15. Loew Thomas, Ankele Kathrin, Braun Sabine, Clausen Jens., Bedeutung der internationalen CSR-Diskussion für Nachhaltigkeit und die sich daraus ergebenden Anforderungen an Unternehmen mit Fokus Berichterstattung, Berlin/Münster 2004, S. 71

16. Marsden Chris, Andriof Jorg., Towards an Understanding of Corporate Citizenship and how to Influence it. Citizenship Studies 2, 2., 1998, P. 329-352

თავი 7. სტეიკჰოლდერები

§7.1. ფირმის სტეიკჰოლდერის თეორია

სტეიკჰოლდერის ანუ დაინტერესებულ მხარეთა თეორია არის ბიზნესის ეთიკის ერთ-ერთი თეორიული მიმართულება, – თეორია, რომელიც ეხება მორალისა და ფასეულობების საკითხებს ორგანიზაციის მართვაში1. ასევე, ის აყალიბებს და განმარტავს ფირმის განვითარების სტრატეგიას ე.წ. სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებით.2

თეორიის საფუძვლების ფორმირება იწყება XX საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში. აღნიშნული თეორიის თანხმად კომპანია არის არა მხოლოდ ეკონომიკური მთლიანობა და ინსტრუმენტი მოგების მისაღებად, არამედ იმ გარემოს ელემენტიც, რომელშიც ის მოქმედებს. ის წარმოადგენს სისტემას, რომელიც გავლენას ახდენს თავის გარემოზე * და ასევე, მისგან განიცდის ზემოქმედებას.

თანამედროვე სახით << სტეიკჰოლდერის თეორია >> გავრცელებას პოულობს XX საუკუნის ოთხმოციანი წლების შუაში, როდესაც დღის შუქზე ჩნდება ამერიკელი პროფესორის რობერტ ედვარდ ფრიმენის ნაშრომი <<სტრატეგიული მენეჯმენტი: დაინტერესებულ მხარეთა მიდგომა>>.3, მასში ავტორს შემოაქვს << დაინტერესებულ მხარეთა>> (stakeholder) განმარტება, იძლევა მის განსაზღვრებას და განსახილველად გვთავაზობს ფირმის ორგანულ მოდელს. ფრიმენის იდეა მდგომარეობს ფირმის შიდა და გარე გარემოდ, როგორც ფირმის საქმიანობით დაინტერესებულ მხარეთა ერთობად წარმოდგენაში, რომელთა ინტერესების და მოთხოვნების

---

* კომპანიის გარემოს მიეკუთვნება – ადგილობრივი გაერთიანებები, მომხმარებლები, მიმწოდებლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ინვესტორები და აქციონერები.

მხედველობაში მიღება და დაკმაყოფილება მართებთ მენეჯერებს.

სტეიკჰოლდერის თეორიის მიხედვით, ორგანიზაციის მიზნების მიღწევისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული ინტერესები, რომლებიც არაფორმალური კოალიციის ტიპს წარმოადგენენ. სტეიკჰოლდერბს შორისაც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული დამოკიდებულება, რაც ყოველთვის არ ხასიათდება თანამშრომლობით, ინტერესთა თანხვედრით, და პირიქით, ხშირად კონკურენტული ხასიათის მატარებალია. შესაბამისად, ყველა სტეიკჰოლდერი შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერთიანი წინააღმდეგობრივი მთლიანობა, როგორც ტოლქმედ ინტერესთა ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების ტრაექტორიას. ამგვარი მთლიანობა იწოდება ორგანიზაციის <<გავლენის კოალიციად>> ან <<ბიზნესში მონაწილეთა კოალიციად>>,4

კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომისაგან განსხავებით, რომელიც მკაცრად ფოკუსირდება კორპორაციაზე და მის პასუხისმგებლობაზე, სტეიკჰოლდერული მიდგომა აქცენტს აკეთებს იმ განსხვავებულ ჯგუფებზე, რომელთა მიმართაც კორპორაციას გააჩნია პასუხისმგებლობა. ძირითადი საწყისი წერტილი არის ის მოთხოვნა, რომ კორპორაციები არა მხოლოდ მათივე აქციონირების (shareholders) ინტერესების მიხედვით უნდა იმართებოდნენ, არამედ არსებობს მთელი რიგი წყება ჯგუფებისა, ანუ სტეიკჰოლდერებისა, რომელთაც ასევე გააჩნიათ ლეგიტიმური ინტერესი კორპორაციაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტეიკჰოლდერის ცნების მრავალრიცხოვანი ურთიერთგანსხვავებული განმარტება, ფრიმენის [იხ.წყარო3. გვ.46] ორიგინალური დეფინიცია ყველაზე უფრო ცნობილი და გავრცელებულია:

სტეიკჰოლდერი ორგანიზაციაში არის ჯგუფი ან ინდივიდი, რომელიც ზემოქმედებს ან განიცდის ზემოქმედებას ორგანიზაციის მიზნის მიღწევის პროცესში.

მაგრამ, რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში „ზემოქმედებს" ან „განიცდის ზემოქმედებას"? მის გასაგებად ევანი და ფრიმენი5 გვთავაზობენ ორი მარტივი პრინციპის გამოყენებას. პირველი, კორპორაციული უფლებების პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ კორპორაციას აქვს ვალდებულებები არ დაარღვიოს სხვათა უფლებები. მეორე, კორპორაციული ეფექტის პრინციპი, რომლის მიხედვით კომპანიები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ქმედებების შედეგებზე სხვებთან მიმართებაში. ამ ორი ძირითადი პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია სტეიკჰოლდერის ცნების მეტი სიზუსტით განმარტება:

კორპორაციის სტეიკჰოლდერი არის ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც

- კორპორაციიდან იღებს ზარალს ან სარგებელს, ან
- ვისი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ან იქნეს პატივცემული კორპორაციის მიერ.

ეს დეფინიცია ნათელყოფს იმას, რომ სტეიკჰოლდერებს შორის არსებული ზღვარი იცვლება კომპანიიდან კომპანიამდე, სწორედ მსგავს კომპანიათა სხვადასხვა სიტუაციებში, მიზნებსა თუ ამოცანებში. ამიტომ, ვსარგებლობთ რა ამ განსაზღვრებით, შეუძლებელია შესაფერისი სტეიკჰოლდერების საბოლოო ჯგუფის გაიგივება რომელიმე მოცემულ კორპორაციასთან რაიმე მოცემულ სიტუაციაში. ქვემოთ გთავაზობთ ფირმის სტეიკჰოლდერის თეორიის სქემატურ რეპრეზენტაციას 6

(ა) ტრადიციული მენეჯმენტის მოდელი



(ბ) სტეიკჰოლდერული მოდელი



(გ) ქსელური მოდელი



ნახ.1. ფირმის სტეიკჰოლდერის თეორია

ა. სამოქალაქო საზოგადოებაში იგულისხმება გავლენის ჯგუფები, ადგილობრივი თემები არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.

ნახ. 1 (ა) გვიჩვენებს მმართველობითი კაპიტალიზმის (managerial capitalism) ტრადიციულ მოდელს, სადაც კომპანია მხოლოდ ოთხ ჯგუფთან არის დაკავშირებული. მიმწოდებლები, თანამშრომლები და აქციონერები უზრუნველყოფენ ძირითად რესურსებს კორპორაციისათვის, რომელიც შემდეგ მათ იყენებს მომხმარებლის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად. აქციონერები არიან ფირმის „მფლობელები" და ამიტომ ისინი დომინანტური ჯგუფია, რომელთა ინტერესის გამტარებელია ფირმა.

ნახ. 1 (ბ) გვიჩვენებს სტეიკჰოლდერულ მოდელს, სადაც აქციონერები წარმოადგენენ ცალკე ჯგუფს რამდენიმე სხვა ჯგუფს შორის; სადაც კომპანიას გააჩნია ვალდებულებები არა მხოლოდ ერთ ჯგუფთან, არამედ ასევე ყველა დანარჩენთან, რომელებზეც მისი ქმედება ახდენს ზემოქმედებას. ამგვარად, კორპორაცია მდებარეობს ურთიერთდამოკიდებულ ორმხრივ ურთიერთობათა ცენტრში.

ნახ. 1 (გ) გვიჩვენებს ქსელურ მოდელს,სადაც სტეიკჰოლდერულ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული ვალდებულებები როგორც სტეიკჰოლდერთა საკუთარ წრეში (ჯგუფში) ისე კორპორაციის სხვა სტეიკჰოლდერებთან.

სტეიკჰოლდერის თეორიასთან მიმართებაში არსებობს მის წიაღში აღმოცენებული თეორიის სრულად განსხვავებული ფორმები. ტომას დონალდსონი და ლი პრისტონი7 გვთავაზობენ სტეიკჰოლდერის თეორიის სამ ფორმას:

- სტეიკჰოლდერის ნორმატიული თეორია – ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ის მიზეზები, თუ რატომ შეიძლება გაითვალისწინონ კორპორაციებმა სტეიკჰოლდერების ინტერესები.

- სტეიკჰოლდერის დესკრიპციული თეორია – ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს იმ კონკრეტული სტეიკჰოლდერების დადგენას, რომელთა ინტერესებიც შეიძლება იქნას კორპორაციების მიერ გათვალისწინებული მოცემულ მომენტში.
- სტეიკჰოლდერის ინსტრუმენტალური თეორია – ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს გასცეს კითხვას პასუხი, თუ რამდენად სასიკეთოა კორპორაციისათვის სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინება.

სტეიკჰოლდერის თეორიის დამატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული მართვის თეორია. სტრატეგიული მართვა, როგორც მოქმედების სფერო მიმართულია ორგანიზაციის მყარი კონკურენტული უპირატესობის ფორმირებასა და შენარჩუნებაზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მრავალრიცხოვან ჯგუფებთან და ინდივიდებთან აქტიური ურთიერთქმედებებით, რამდენადაც მათი მხარდაჭერა აუცილებელია სტრატეგიის რეალიზაციის დროს. ახორციელებს რა ამგვარ სტრატეგიას, ორგანიზაცია იღებს მყარ კონკურენტულ უპირატესობას, რაც ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობასა და მოგების მიღების საშუალოზე მაღალ დონეს8 .

ამგვარად, სტეიკჰოლდერის თეორია წარმოადგენს კორპორაციის თანამედროვე მიდგომას, რომელიც გულისხმობს სოციალურ კონტრაქტს ფირმასა და საზოგადოებას შორის. ფართო გაგებით, აღნიშნული თეორია არის ზოგადი ხედვა ბიზნესის ფუნქციონირებისა და მისი ეფექტურად მართვის შესახებ, და ეხება ჰუმანური ფასეულობების შექმნას კორპორაციულ ურთიერთობებში, რაც ერთი მხრივ, ნაციონალური ეკონომიკების დამოკიდებლობის მკვეთრი შეზღუდვისა და ფაქტობრივი დაკარგვის, და მეორე მხრივ, ტრანსკონტინენტური კორპორაციების დომინანტურ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ლიტერატურა:

1. Stakeholder theory, From wikipedia, the free encyclopedia., en. Wikipedia.org/wiki/Stakeholder __theory

2. Теория стеикхолдеров, Материал из Википедии – свободной енциклопедий, ru.wikipedia.org/wiki/ Теория_ стеикхолдеров

3 . Freeman R.Edward, Strategic Management: A Stakeholder Approach., Boston: Pitman, 1984

4. Зуб А.Т. стратегический менеджмент. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА . М.: АСПЕК ПРЕСС, 2002 ,С. 415

5. Evan, W.M., and Freeman, R. E., ,,A stakeholder theory of the modern corporation: Kantian capitalism". In W.M. Hoffman and R.E. Frederick (eds.) Business Ethics: Readings and Cases in Corporate Morality, 3rd edn., New York: McCraw-Hill., 1993, P.145-154.

6. Andrew Crane., Dirk Matten., Business Ethics: A EUROPEAN PERSPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainibility in the Age of Globalization)., Oxford, New York, 2004. P.51

7. Donaldson, T. and Preston, L.E., ,,The stakeholder theory of the corporation: concepts, evidence, and implications". Academy of Management Review, 20/1; 1995, P.65-91.

8. Солодухин К.С. Проблемы применения теории заинтересованных сторон встратегическом управлении организацией. http: www.m-ekonomy.ru/art.php 3?artid=23057., рус. // проблемы современной экономики: журнал. № 4(24).

§7.2. აქციონერები და მენეჯერები

ცნობილია, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დასაწყისი და მთლიანად მე-19 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის პერიოდი კომპანიის ფუნქციონირების ძალზედ მარტივი საერთო მოდელით ხასიათდებოდა, რაც მისი ფლობისა და მართვის ერთიანობაში გამოიხატებოდა. დებატების საკუთრებისა და კონტორლის გამიჯვნის თაობაზე სათავეს იღებს მხოლოდ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან1 თანამედროვე კორპორაციები კი, მათი წინამორბედებისაგან განსხვავებით გამოირჩევიან ფლობისა და მართვის ფუნქციათა გამიჯვნით. ფაქტობრივად, აღნიშნული სეპარაცია გვევლინება თანამედროვე კაპიტალიზმის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპექტად, რომლის საკვანძო მომენტს აქციონერებისა და მენეჯერების კორელაცია წარმოადგენს.

აქციონერები, რომლებიც კორპორაციის აქციათა ანუ ფასიანი ქაღალდების მფლობელნი არიან და მონაწილეობენ ამავე კორპორაციის კაპიტალის მართვაში იღებენ მოგების წილს, თუმცა მათი, როგორც კორპორაციის მესაკუთრეთა უმთავრეს საზრუნავს დივიდენდების მიღებასთან ერთად ასევე წარმოადგენს მათივე საკუთრების უფლების დაცვა, რომელიც გარკვეული სპეციფიკური უფლებების სახით შეიძლება დაიყოს 2

- უფლება საკუთარი აქციების გაყიდვაზე
- ხმის უფლება გაერთიანებულ კრებაზე
- უფლება კომპანიის გარკვეულ ინფორმაციაზე
- საჩივრის უფლება მენეჯერთა (დამტკიცებულ) გადაცდომებზე
- გარკვეული სხვა უფლებები კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

აქციონერები, მენეჯერთაგან განსხვავებით, რომელთა ხელშიცაა ფაქტობრივი კონტროლი კორპორაციაზე, საუკეთესო შემთხვევაში ახდენენ საკუთარი ქონების

არაპირდაპირ და უპიროვნო კონტროლს. აქციონერებისათვის, მენეჯერთაგან განსხვავებით, რომელთათვისაც უპირატესია კომპანიის სიმძლავრეების ზრდა ყველა არსებული პარამეტრით, უმთავრესია მოგების მიღება.

რაც შეეხება მენეჯერებს, ისინი არიან კორპორაციის მიერ დაქირავებული პროფესიონალი მმართველები, რომელთაც ევალებათ აქციონერთა ინტერესების გატარება კომპანიაში 3 , კერძოდ ზოგადი მოვალეობა იყოფა უფრო კონკრეტულ ვალდებულებებად 4:

კომპანიის ინტერესებით მოქმედების ვალდებულება• ეს ვალდებულება შეიძლება ახსნილი იქნას კომპანიის მოკლევადიანი ფინანსური საქმიანობისა და გრძელვადიანი გადარჩენის თვალსაზრისით. არსებითად, ეს აქციონერების გადასაწყვეტია თუ როგორ და რა სახით სურთ მათ კომპანიის ფუნქციონირება. თუმცა, მენეჯერებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი დისკრეცია ამ ვალდებულების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის.

ზრუნვის და უნარის ვალდებულება• ამ მოვალეობის არსებობა გულისხმობს, რომ მენეჯერები თავად ესწრაფვიან კომპანიათა ყველაზე უფრო პროფესიონალური და ეფექტური საშუალებებით სრულყოფილი მართვის მიღწევას.

შრომისმოყვარეობის (გულმოდგინეობის) ვალდებულება• ეს ბოლო მოვალეობა არის ყველაზე მთავარი მოვალეობა და ასახავს აქტიური ჩართულობის მოსალოდნელ დონეს კომპანიის საქმეებში. შესაბამისად, ეს არის მენეჯერებზე ზეწოლის მასშტაბური საშუალება, რათა მათ შეძლონ მთელი ძალისხმევის ინვესტირება კომპანიის მართვაში ყველაზე უფრო წარმატებული საშუალებებით.

მენეჯერების სამოქმედო სპექტრი კომპანიაში მრავალფეროვანია და მოიცავს იმდენად ბევრ ასპექტს, რომ საკმაოდ რთულდება ფუნქციურ მხარეთა კონკრეტული აქტიურობებისა და ინიციატივების კუთხით

გამიჯვნა: რაგვარი სტრატეგიები, პროდუქტები და საერთაშორისო საინვესტიციო პროდუქტები უნდა იქნას შემუშავებული და განსაზღვრული კორპორაციის მომავალი წარმატების მისაღწევად? – ეს არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ხდება უკვე შეუძლებელი ინსაიდერებისთვის, აღარაფერს ვამბობთ აქციონერებზე, რომლებმაც ცოტა რამ თუ უწყიან კორპორაციის შიდა საქმიანობისა და მისი პროდუქტების, ბაზრებისა თუ კონკურენტების შესახებ.

აქციონერებსა და კომპანიას შორის დამოკიდებულება არის რელატიურად მჭიდრო, თუმცა ნათლად განსაზღვრული აქციონერთა უფლებებითა და ბუნდოვნად განსაზღვრული მენეჯერთა ან მთლიანად ფირმის ვალდებულებებით. აქედან გამომდინარე აღნიშნული სიტუაცია ყოველთვის იყო დელიკატური, და რომ მენეჯერებსა და აქციონერებს შორის დამოკიდებულება დღემდე რჩება კორპორაციული მართვის სუსტ წერტილად. ამგვარად, მსგავსი კონფლიქტები ფოკუსირდება „კორპორაციული მართვის" საკვანძო ფრაზაში. ზემოთქმულის გათვალისწინებით ის შეიძლება დეფინირდეს შემდეგნაირად:

კორპორაციული მართვა არის კონტროლისა და ბალანსის სისტემა 5. იგი აღწერს პროცესს, რომელშიც აქციონერები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ „მათი" კორპორაცია მოქმედებდეს მათივე ზრახვების მიხედვით. კორპორაციული მართვა მოიცავს მიზნის განსაზღვრის, ზედამხედველობის, კონტროლისა და სანქციონირების პროცესებს. ვიწრო გაგებით ის მოიცავს აქციონერებსა და კორპორაციის მენეჯმენტს, როგორც მართვის პროცესის მთავარ მონაწილეთ. უფრო ფართო გაგებით კი – მართვის პროცესის ყველა მონაწილეს, რომელთაც წვლილი შეაქვთ დაინტერესებულ მხარეთა (სტეიკჰოლდერების) მიზნების მიღწევაში კორპორაციის შიგნით და გარეთ [იხ. წყარო 4, გვ. 157].

გადავავლებთ რა თვალს კორპორაციულ მართვის სფეროში არცთუ შორეულ წარსულში მომხდარ სკან-

დალებსა და პრობლემებს, შეიძლება ვიკითხოთ თუ რატომ ჩანს ასე დელიკატური ეს ურთიერთობები. აი ისინიც 6:

• 2002 წლის ნოემბერში გამჟღავნებული იქნება, რომ ჟან პიერ გარნიე, ბრიტანელი ფარმაცევტული გიგანტის GlaxoSmithKline (GSR) ფრანგი დირექტორი ცდილობდა თავისი ხელფასის მასიურ ზრდას შვიდი მილიონი ფუნტი სტერლინგით, კომპანიის დაბალი ეკონომიკური პარამეტრებისა და კერძოდ კი, აქციებზე ფასების დრამატული ვარდნის მიუხედავად.

ისმება კითხვა, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ამგვარი მოთხოვნის განხილვა აქციონერებთან?

• როდესაც ხდებოდა Mercedes-ის შერწყმა კრაისლერთან, რათა შექმნილიყო ახალი გლობალური მოთამაშე საავტომობილო ინდუსტრიაში, იურგენ შრემპმა, Daimler-Chrysler – ის დირექტორმა ამ განზრახვას უწოდა „თანასწორთა შერწყმა". ერთი წლის შემდეგ, როცა გაირკვა რომ Chrysler ღრმა ფინანსურ კრიზისში იმყოფებოდა, Financial Times – თვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მას არასოდეს განუზრახავს Chrysler-ის როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორის მიღება გრძელვადიან პერსპექტივით, არამედ სურდა ამერიკული კომპანია ეხილა გერმანული კონგლომერატის Daimler-Benz-ის ნაწილად.

რატომ მოხდა, რომ Chrysler-ის მსხვილმა აქციონერებმა მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინეს ის, რომ ისინი ნაწილობრივ იყვნენ მოტყუებულნი, რადგან გერმანული მენეჯმენტის ნამდვილი განზრახვა აბსოლუტურად სხვა იყო.

კომპანიის მართვასა და მფლობელობას შორის არსებული პრობლემური ურთიერთობები ფორმულირებულია როგორც ე.წ. სააგენტო ურთიერთობები 7. ეს ნიშნავს, რომ აქციონერი არის პრინციპალი ანუ მთავარი, ვინც დებს ხელშეკრულებას მომავალ მენეჯერთან ანუ აგენტთან კომპანიის მენეჯმენტისათვის. ნახ.

1 გვიჩვენებს ურთიერთობის ძირითად ხედვას ფირმას, მენეჯერსა და აქციონერს შორის.



ნახ. 1. სააგენტო ურთიერთობები მენეჯერსა და აქციონერს შორის

აქციონერებს,როგორც პრინციპალებს სურთ,რომ მენეჯერებმა ფირმაში მათთვის შეასრულონ გარკვეული სახის ამოცანები. მეორე მხრივ, მენეჯერებს, როგორც აგენტებს გააჩნიათ გარკვეული ინტერესები ფირმაში. სააგენტო ურთიერთობები არის განსაკუთრებული ურთიერთობები, გამორჩეული ორი თვისებით 8:

1. არსებობს ჩვეული ინტერესთა კონფლიქტი აქციონერებსა და მენეჯერებს შორის. აქციონერებს სურთ მოგების მიღება და აქციებზე ფასების ზრდა, რომელიც მენეჯერთა მხრიდან მოითხოვს საკმაო ძალისხმევას შესაძლო დაბალი სახელფასო ანაზღაურებით. მენეჯერებს სურთ ჰქონდეთ მაღალი ხელფასი და აქციონერთა მისწრაფებების საზიანოდ შეეძლოთ ძალაუფლებისა და პრესტიჟის რეალიზება.

2. პრინციპალს აქვს მხოლოდ შეზღუდული ცოდნა და წარმოდგენა აგენტის კვალიფიკაციის, მოქმედებისა და მიზნის შესახებ, რასაც დასავლეთში მეცნიერ-ეკონომისტები უწოდებენ ინფორმაციულ ასიმეტრიას.

ამ ორივე ასპექტის კომბინაცია აყალიბებს აქციონერების ურთიერთობას მენეჯერებთან და კორპორაციული მმართველობის საკითხთა მთელ წყებას. მაშასადამე, აქციონერები და მენეჯერები კორპორაციის მართვაში წარმოადგენენ ძირითად სტეიკჰოლდერებს, რომელთა

შორის მართვის პროცესში ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს და ინფორმაციულ ასიმეტრიულობას, რაც მიუთითებს კიდეც ორივე დაინტერესებული მხარის ფუნქციონალურ განსხვავებულობაზე. ეს კი, თავის მხრივ გარკვეული სახის სიძნელეებს წარმოშობს კორპორაციის ფუნქციონირებაში და შესაბამისად ართულებს დასახული მიზნის მიღწევას, რომელიც კორპორაციის ეფექტური მართვის პროცესში რეალიზდება და რასაც მხოლოდ მთავარი – მოქმედი, პრინციპალი – აგენტის ნორმალურ ურთიერთობასა და ინტერესთა პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობა უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:

1. Berle, A.A., and Means, G.C., The Modern Corporation and Private Property., New York, 1932
2. Monks, R.A.G., and Minow, N., Corporate Governance, 2nd edn. Malden, Mass: Blackwell., 2001.
3. Moore, G., Tinged Shareholder theory: or what's so special about stakeholders? , Business Ethics: A European Review, 1999, 8/2: P. 117-27.
4. Parkinson, J.E., Corporate Power and Responsibility. Oxford: Oxford University Press., 1993, P. 76-100.
5. Berk, J., DeMarzo, P., Corporate Finance, (2end edition), Harlow, Essex, 2011, P. 939
6. Crane, A. , Matten, D., Business Ethics : A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization). Oxford- New York., Oxford University Press., 2004, P.186-187
7. Jensen, M., and Meckling, W., Theory of the firm: managerial behavior, agency costs and ownership structure. Journal of Financial Economics, 1976, 3 :P. 305-60.
8. Shankmann, N.A., Reframing the debate between agency and skateholder theories of the firm? Journal of Business Ethics, 1999, 19: P. 319-34

§7.3. კომპანიის თანამშრომლები

კომპანიის თანამშრომლები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ სტეიკჰოლდერთა შორის, რამდენადაც ისინი მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი ფირმაში. აქციონერებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ფლობენ ფირმის ყველა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, პერსონალი წარმოადგენს კომპანიის ადამიანურ რესურსს და ფაქტობრივად სწორედ ის აყალიბებს კორპორაციის ფიზიკურ ბირთვს, და ამავე დროს წარმოების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

კორპორაციის თანამშრომლების, როგორც დაინტერესებული მხარის უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია მათსა და კორპორაციას შორის დამოკიდებულების ორი, სამართლებრივი (ლეგალური) და ეკონომიკური ასპექტის ნათლად წარმოჩენა:1

ლეგალურ დონეზე კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის ჩვეულებრივ არსებობს თავისებური სახის კონტრაქტი, ორივე მხარის გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით. მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მოცემული ქვეყნისა თუ საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობით არის უზრუნველყოფილი, ხელს უწყობს კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის არსებული დიდი რაოდენობის საკითხის შესახებ იურიდიულად კოდიფიცირებულ გადაწყვეტილებების მიღებას. ამგვარი ურთიერთობები განსაკუთრებით თვალსაჩინოა დასავლეთ ევროპისათვის, რადგან აქ ჯერ კიდევ ინდუსტრიული რევოლუციის გარიჟრაჟამდე დიდი ხნით ადრე აღნიშნულ სუბიექტებს შორის არსებული დამოკიდებულებანი უკვე წარმოადგენდა სამთავრობო რეგულაციების საგანს.

ლეგალური ურთიერთობები წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ფირმის დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთობების ეკონომიკური ასპექტისათვის.2

ფირმასა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობები ხასიათდება უზარმაზარი რაოდენობის გარე ფაქტორების არსებობით ორივე მხრიდან, ე.ი. საუბარია თითოეულისათვის პოტენციურად შესაძლო იმ ხარჯებზე, რომლებიც არ არის შეტანილი შრომით ხელშეკრულებაში. ეს ლატენტური ანუ ფარული ხარჯები შეიძლება ხასიათდებოდეს კომპანიის აქტივების სპეციფიკურობით,რაც ნიშნავს თანამშრომლების მხრიდან საკუთარი დროისა და ძალისხმევის ინვესტირებას კომპანიის აქტივების განვითარებაში ცალკეული დამსაქმებლის სასარგებლოდ და პირიქით. სპეციფიკური ბუნების ამგვარმა ხარჯებმა შესაძლოა წარმოშვას ის, რაც ბიზნესის ეთიკაში მორალური რისკების სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული რისკების არსებობა მოსალოდნელია ორივე მხრიდან,რაც წარმოაჩენს ეთიკურ საკითხთა ფართო სპექტრს შიდა ურთიერთობაში.

მეტი თვალსაჩინოებისათვის შევეხოთ რამოდენიმე ასპექტს:

- სამსახურში მოწყობა სამუშაოს მაძიებლის მხრიდან საჭიროებს სხვადასხვა სახის სერიოზულ გადაწყვეტილებების მიღებას, რაც უკავშირდება მის საყოფაცხოვრებო გარემოს ცვლილებებს,ასევე – მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს განათლებასა და სპეცტრეინინგების სფეროში და სხვ.
- კომპანიისათვის ხანგრძლივი დროით მუშაობა წარმოშობს მნიშვნელოვან დამოკიდებულებას ამავე კომპანიაზე ე.ი. დამსაქმებელი შეიძლება გახდეს დასაქმებულის ფინანსური ბაზისი. ანალოგიურად, თანამშრომელი ცოდნის დიდი ნაწილით შესაძლებელია დაუკავშირდეს ერთ კონკრეტულ კომპანიას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამგვარმა მეტისმეტობამ შესაძლოა კატასტროფული გავლენა იქონიოს მის შემდგომ კარიერაზე.
- სხვა ასპექტია სამსახურის ქონა, რაც დასაქმე-

ბულის შრომითი საქმიანობის უმეტეს პერიოდს მოიცავს, და სადაც მრავალთათვის იგი არ წარმოადგენს მხოლოდ ყოველდღიურ ყოფით რუტინას, არამედ მნიშვნელოვანი კარიერის გაკეთების კარგი შესაძლებლობაცაა, და რაც ერთი-ორად ზრდის დასაქმებულის დამსაქმებელზე დამოკიდებულების ხარისხს.

ყველა ეს ასპექტი ვერ თავსდება ფირმა-დასაქმებულის ურთიერთობების ხელშეკრულებით ფორმატში. აქედან გამომდინარე, არსებული მოცემულობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მორალური საფრთხის შემცველი სიტუაცია, რადგან, მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე არსებული მნიშვნელოვანი ძალისხმევისა, გაუმჯობესდეს დასაქმებულთა სამართლებრივი სტატუსი, სწორედ დამსაქმებლის სუბიექტური გადაწყვეტილებები განაპირობებს დიდწილად უმუშევრობის რელატიურად მაღალ დონეს უმეტეს ევროპულ ქვეყნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მესამე და მეოთხე სამყაროს ქვეყნებში ამ მხრივ შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე. ამგვარად, შრომითი პერსონალი იმყოფება მუდმივი რისკის ქვეშ დამსაქმებლის მხრიდან, რათა ამ უკანასკნელმა სუბიექტურად, საკუთარი სურვილისამებრ არ გამოიყენოს თანამშრომლების მასზე დამოკიდებულების მომენტი, რაც ბუნებრივია სამსახურიდან მათ დათხოვნაში გამოიხატება.

მეორე მხრივ, დამსაქმებელი საკუთარი თანამშრომლების მხრიდან ასევე აწყდება მორალური საფრთხის მსგავს ელემენტებს:3

- არცერთ დამსაქმებელს შეუძლია აკონტროლოს ან იწინასწარმეტყველოს სრულად თანამშრომლის საქმიანობა, თუმცა კომპანიამ დროის რაღაც მონაკვეთში შეიძლება აღმოაჩინოს პერსონალის ჭეშმარიტად ნაყოფიერი საქმიანობის, გუნდური მუშაობისა და საიმედოობის უტყუარი ხელწერა, რაც განსაკუთრებით საცნობია იმ კომპანიებისათვის, რომლემაც ფუნქციონირების კრიზისულ ფაზაში განიცადეს მნიშვნელოვანი

ზარალი. სწორედ ამიტომ, კომპანიას საკუთარი თანამშრომლების ქცევების მიმართ გააჩნია მკაცრი მონიტორინგისა და კონტროლის ინტერესი.

- გლობალურ ბაზრებზე კომპანიები ინდუსტრიალიზებულ დასავლეთში სულ უფრო დიდი ინტენსივობით ახდენენ დაბალკვალიფიციური შრომის უახლეს ცოდნაზე დაფუძნებული შრომით ჩანაცვლებას. აღნიშნულმა პროცესმა კომპანიები მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, როცა ღირებულების მნიშვნელოვანი ოდენობის შექმნა სრულდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომლეთა ცოდნის პრაქტიკირების კონტროლი, კომპანიას მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეუძლია, რაც კომპანიის კონკურენტუნარიანობისათვის გარკვეული საფრთხის შემცველია.
- უმეტეს ჭკვიან, გამოცდილ მენეჯერსაც კი უჭირს სრულად შეაფასოს მომავალი თანამშრომლის ნამდვილი შესაძლებლობები. ამიტომ, როდესაც კორპორაცია ქირაობს მომავალ თანამშრომელს და ვალდებულებას იღებს მოახდინოს ძვირადღირებული ინვესტიციები მისი კვალიფიკაციის ამაღლებაში, თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად პროდუქტიული იქნება მსგავსი კაპიტალდაბანდებები კომპანიისათვის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დამსაქმებელი – დასაქმებულს შორის ურთიერთობებში მორალური რისკებიდან მრავალი წარმოადგენს კანონმდებლობის ობიექტს, რამდენადაც თანამშრომლები უფრო მეტად დამოკიდებულ და სუსტ მხარედ გვევლინებიან მორალური საფრთხის ქვეშ მყოფობის თვალსაზრისით, ამ კანონმდებლობის დიდი ნაწილი ფოკუსირებულია დასაქმებულის უფლებებზე. თუმცა არსებობს სამართლებრივი ტრაექტორიის მკაფიო საზღვრები ეთიკური საკითხების გადაწყვეტაში. ამას გარდა, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე, ხშირად იქმნება არსებული კანონების აშკარა გამოყენების საჭიროება, და სამართლებრივი

გადაცდომის შემთხვევაში, ის ძალზედ ხშირად ეთიკური განსჯის საგანი ხდება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ კომპანიის თანამშრომლები წარმოადგენენ კომპანიის სახეს და საკუთარ კომპანიას სხვა უმეტეს სტეიკჰოლდერთა წინაშე და მოქმედებენ კორპორაციის სახელით მათთან მიმართებაში. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ კორპორაციის თანამშრომლები გავლენას ახდენენ საკუთარი კომპანიის წარმატებებზე, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც მათ მიერ გაღებული უმნიშვნელოვანესი კონტრიბუცია კომპანიის გრძელვადიანი სტაბილური ფუნქციონირების საქმეში, და რაც დამსაქმებლის მხრიდან მოითხოვს ჯეროვან შეფასებებსა და ანალიზს კომპანიის საკადრო პოლიტიკის გატარების პროცესში.

ლიტერატურა:

1. Carroll, A.B., “The four faces of corporate citizenship” Business and Society Review, 1998, 100/1:P.P.1-7
2. Carroll, A.B. and Buchholz, ics and Stakeholder Management, 4th edn. Cincinnati: South-Western College., 2000
3. A. Crane, D. Matten., Business Ethics, A EUROPEAN PERSPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization). , Oxford – New York, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2004, P.226

§7.4. მიმწოდებლები და კონკურენტები

ბიზნესის ეთიკის სხვა სტეიკჰოლდერებს შორის (როგორებიც არიან მომხმარებლები, ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი, კომპანიის თანამშრომლები თუ აქციონერები), მიმწოდებლებსა და კონკურენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

სტეიკჰოლდერის ცნების ნათელსაყოფად ჩვენ შეგვიძლია მოვიშველიოთ პროფ. ივენისა და ფრიმენის ცნობილი დეფინიცია: <<კორპორაციის სტეიკჰოლდერი არის ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც კორპორაციიდან იღებს ზარალს ან სარგებელს, ან რომლის უფლებები შეიძლება დარღვეულ ან პატივცემულ იქნეს კორპორაციის მხრიდან>>.1

როგორც ცნობილია, მიმწოდებლები არიან სტეიკჰოლდერები, რომლებსაც კორპორაციის წარმატების შედეგად შეუძლიათ მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება საქონელსა და მომსახურებაზე გაზრდილი შეკვეთით, ან პირიქით, მათ შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი ზარალი შეკვეთების არქონისა და დაკარგვის გამო. მაშასადამე, მიმწოდებლები ფლობენ გარკვეულ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებული და პატივცემული უნდა იქნეს კორპორაციათა მხრიდან. მიმწოდებლების უფლებებში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ უფლებებს, სადაც მხედველობაში მიიღება: კონტრაქტით გათვალისწინებული უფლების რეალიზება, პატიოსანი ვაჭრობა, პატიოსანი ქცევის წესების დაცვა და ლოიალობის გარკვეული დონის არსებობა. მართლაც, თუ კარგად დავაკვირდებით, ორგანიზაციები და მათი მიმწოდებლები საკუთარი წარმატებით ძალზედ მჭიდროდ არიან ურთიერთდამოკიდებულნი. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ამ ორ მხარეს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება სრულიადაც არ აღნიშნავს მას, რომ მათი ინტერესები ყოველთვის კონვერგენტული, ანუ ურთიერთთანხვედრია. მაგალი-

თად, კომპანიის მიერ წარმოებული შესყიდვების დროს, მიმწოდებლების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იაფი პროდუქციის მიწოდებით ხარჯების შემცირებას, რაც მათ ინტერესშია, რადგან ეს უკანასკნელნი ყოველთვის ესწრაფვიან გარიგებებს საუკეთესო პირობებით და შემოსავლების მაქსიმიზაციას.

მეორე მხრივ, კონკურენტები ძალზედ იშვიათად თუ მოიხსენიებიან სტეიკჰოლდერებად. პროფ. სპენსი და სხვა მეცნიერები2 კონკურენტებს <<ძლიერ კარგად>> მივიწყებულ სტეიკჰოლდერებსაც კი უწოდებენ. რა არის ამის მიზეზი? ეს ხდება იმიტომ, რომ კონკურენტები განიხილებიან კლიენტურისათვის, სხვადასხვა რესურსისათვის თუ ჯილდოსათვის დაუნდობელ მებრძოლ მხარეებად, სადაც ეთიკური ასპექტი ძალზედ ხშირად იგნორირებულია და ამიტომ, ის კომპანიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაცულნი არიან ეროვნული თუ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით, ვალდებულნი არიან ასევე პატივი სცენ საკუთარ და სხვათა სამართლებლივ უფლებებს, რომელთაც განეკუთვნება ბაზრებზე თავისუფლად შესვლისა და მათი დატოვების უფლება, ყოველგვარი გავლენითა და იძულების გარეშე ფასებზე თვითრეგულაციის უფლება, და საკუთარი პროდუქციის შესახებ პოტენციური კლიენტების დროული ინფორმირების უფლება. ამგვარ კანონიერ უფლებათა მიღმა კონკურენტებს გააჩნიათ მორალური პრეტენზიები ისეთი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც გადიან კანონით დადგენილი ჩარჩოებიდან, მაგ., რაც შეეხება ე.წ. <<fair play>>, <<ანუ პატიოსანი თამაშის>> უფლების ფორმას თუ სხვ. რასაკვირველია, დღეს აღარავინ კამათობს კონკურენტულ სიტუაციებში ორგანიზაციებისათვის კარტბლანშით მოქმედების, მათი მხრიდან იმგვარ მოქმედებათა, როგორიცაა კონკურენტების მიმართ მოტყუების ცილისწამების, მომხმარებლებისათვის კონკურენტების შესახებ ცრუ ინფორმაციის გადაცემის, კონკურენტ ორგანიზაციებ-

ის თანამშრომლებზე „ნადირობისა” და სხვა მსგავსი საკამათო პრაქტიკის წარმართვის დაუშვებლობაზე.3 ასევე არავინ აყენებს ეჭქვეშ მას, რომ კონკურენტებმა, როგორც სტეიკჰოლდერებმა ორგანიზაციების მხრიდან შესაძლოა მიიღონ გარკვეული სარგებელი ან განიცადონ მნიშვნელოვანი ზარალი. საბაზრო პირობების მკვეთრი ცვლილებების კვალდაკვალ (როგორიც არის მათი მიმწოდებლების გადასვლა კონკურენტების მხარეს, ამ უკანასკნელთა მხრიდან გაცილებით მაღალი ფასების შეთავაზების გამო) კომპანიებმა სავსებით შესაძლოა დაკარგონ ან შეიძინონ საკუთარი წილი ბაზარზე.

სწორედ ამგვარ მოცემულობათა გათვალისწინებით, საწარმოები განხილულნი უნდა იქნენ არა როგორც ეკონომიკური აქტიურობების იზოლირებული კუნძულები, არამედ როგორც სუბიექტები, სხვა საწარმოებთან ერთად მოქმედი ერთ საერთო ქსელში, სხვადასხვა ურთიერთინტერესთა ვალდებულებითა და ურთიერთდაკავშირებული რესურსის თუ ჯილდოს ნაკადით. გამომდინარე აქედან, ნათელი ხდება ის, რომ ფირმები ალბათ ყველაზე უკეთ გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ე.წ. <<industrial network>> ანუ <<საწარმოო ქსელის>> ნაწილი, და არა უბრალოდ, როგორც ორ მხარეს შორის მარტივი გაცვლის სუბიექტები.4 ამგვარი ქსელის მოდელი მოგვყავს ნახ. 1. სახით, სადაც ასახულია კორპორაციისა და მის მიმწოდებელებს შორის დამოკიდებულება, კონკურენტ კომპანიებს, მიმწოდებლებსა და მათ მიმწოდებლებს შორის ურთიერთობათა კონტექსტით.



ნახ. 1. მიმწოდებლების ურთიერთობა საწარმოო ქსელის ფარგლებში

საწარმოო ქსელის მოდელის თანახმად, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ როგორ ბიზნესგარიგებაში იმყოფება ესა თუ ის ფირმა ნებისმიერ ცალკეულ სხვა ფირმასთან (როგორიცაა მისი ერთ-ერთი მიმწოდებელთაგანი), შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ეფექტი ბიზნესის ქსელის სხვა მრავალრიცხოვან წევრებზე, სხვა მიმწოდებლების, პოტენციური მიმწოდებლებისა და კონკურენტების ჩათვლით. იმ დროს, როდესაც ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც გააჩნია ფირმას ქსელის სხვა წევრების მიმართ შესაძლოა რომ ვარირებდეს, ეს არ ხდის საკამათოდ იმ ფაქტს, რომ მათ ყველას უძევთ გარკვეული წილი პასუხისმგებლობისა გადაწყვეტილებათა ამა თუ იმ ფორმაში, - და შესწევთ უნარი მოვალეობათა მსგავსი გადანაწილების საფუძველზე საერთო ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედონ.

ლიტერატურა:

1. Evan, W.M. , and Freeman, R.E. 'A stakeholder theory of the modern corporation: Kantian Capitalism'. In W.M. Hoffman and R.E. Frederick (eds), Business Ethics: Reading and Cases in Corporate Morality,3rd edn. New York: McGraw-Hill: P.P.145-54,1993.

2.Spence, L.J. , Coles, A., and Harris, L 'The forgotten stakeholder? Ethics and social responsibility in relation to competitors'. Business and Society Review, #106/4, P. P. 331-52, 2001.

3.Crane, A.,Matten,D., Business Ethics, A EUROPEAN PERPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization), OXFORD UNIVERSITY PRESS P.305,2004.

4. Easton, G., Industrial networks: a review. In.B. Axelsson and G Easton (eds.), Industrial Networks: A New View of Reality. London: Routledge: P. P. 3-27

§7.5. მომხმარებლები

სტეიკჰოლდერებს შორის, მომხმარებლები აშკარად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტეიკჰოლდერებია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რამდენადაც მომხმარებელთა თავისებური სახის მხარდაჭერის გარეშე (ისეთის, როგორიცაა მოთხოვნის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ბაზარზე გასვლის შედეგად სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) საეჭვოა, რომ რომელიმე ორგანიზაციას შეძლებოდა დიდხანს არსებობა. მომხმარებლებში ჩვენ ვგულისხმობთ არა უბრალოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც საბოლოო ანგარიშით იძენენ მზა პროდუქციას მაღაზიებსა თუ სუპერმარკეტებში, არამედ ყველა ორგანიზაციას, რომელიც დებს ხელშეკრულებას სხვა ორგანიზაციებთან საქონლითა და მომსახურებით მათი უზრუნველყოფის თაობაზე (მაგ., ისეთი ინსტიტუცია, როგორიც არის უნივერსიტეტი, გარკვეული აზრით წარმოადგენს ასევე მომხმარებელს, რადგან ის ყიდულობს ინვენტარს, მათ შორის ავეჯს, საკანცელარიო საქონელს, წიგნებს, ჟურნალებს და სხვა საქონელსა თუ მომსახურებას საკუთარი ბიზნესის, ანუ სწავლებისა და კვლევისათვის).

დასავლეთის ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკად ითვლება ის, რომ საწარმოები მაქსიმალურად ცდილობენ იქონიონ საუკეთესო ურთიერთობები საკუთარ კლიენტებთან. შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა ნამდვილად წარმოადგენს ორგანიზაციების ბიზნესსტრატეგიების უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რაც განაპირობებს მათ მომავალ კომერციულ წარმატებებს, ე.ი. უახლოესი კონკურენტების ჩამოტოვებას კონკურენციულ სრბოლაში. კომპანიები, რომლებიც ბაზარზე ყვავიან, ის კომპანიებია, რომლებიც მუდმივად უთმობენ ყურადღებას საკუთარი კლიენტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ხოლო საპირისპირო

შემთხვევაში კი, კომპანიები გარდაუვალად კარგავენ საკუთარ წილს ბაზარზე, რაც საბოლოოდ ბუნებრივია უარყოფითად ზემოქმედებს მათსავე რენტაბელობაზე.

მაგრამ შეიძლება დაისვას კითხვა: მიუხედავად მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესთა ასეთი მჭიდრო თანხვედრისა ამ უკანასკნელთან მიმართებაში არცთუ იშვიათად რატომ აქვს ადგილი ეთიკურ დარღვევებს და ამის ფონზე რატომ გამოიყურება მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის რეპუტაცია ასე უბადრუკად? მაგალითად, არც თუ შორეულ წარსულში, დასავლეთში ფირმების მხრიდან ადგილი ჰქონდა საკუთარ კლიენტურაზე საეჭვო ხერხებით მოპყრობის მრავალ შემთხვევას:1

- თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები დადანაშაულებულნი იყვნენ საკუთარი მომხმარებლების მოტყუებაში, მათთვის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტის მიყიდვის გამო,რაც მდგომარეობს მწარმოებელთა მხრიდან, დაავადების გამომწვევი პროდუქციის სახიფათო თვისებების დამალვასა და უარყოფაში.
- მულტინაციონალური ფარმაცევტული კომპანიები დადანაშაულებულნი იყვნენ მესამე სამყაროს ქვეყნების ექსპლუატაციაში, რაც მდგომარეობს გადამდები ინფექციების საწინააღმდეგო მედიკამენტებით ვაჭრობის პროცესში მაღალი ფასების შენარჩუნებისა და დაბალი ფასების გამოყენების პრევენციაში.

რასაკვირველია, მსგავსი მაგალითები იძლევა შეშფოთების საფუძველს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. აქ უსათუოდ ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად თანხვედრაშია მომხმარებლების, როგორც სტეიკჰოლდერების მოთხოვნათა დაკმაყოფილება ფირმის ინტერესებთან? და თუ არის იმგვარი სიტუაციებიც, სადაც მყიდველისა და გამყიდველის ინტერესები შორდება ერთმანეთს?2 ვფიქრობთ, რომ საბაზო დონეზე მის პროვოცირებას შეიძლება ახდენდეს ალტერნატიული ვარიანტების არსებობა მხარეებს შორის. მაგრამ ეს არ

უნდა იყოს არსებითი საფუძველი ამგვარი მდგომარეობისა. ჩვენი აზრით, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ეთიკური ასპექტი. თუნდაც ცალსახად გამოკვეთილი ურთიერთინტერესის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა აყალიბებს ეთიკურ ან არაეთიკურ ქცევებს მომხმარებელთა მიმართ. როგორც წესი, დასავლეთში ქცევათა ეს ნორმატიული ბაზა ეფუძნება მომხმარებლის უფლებების იდეას, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად იქნეს წარმოდგენილი:

მომხმარებლის უფლებები გულისხმობს თითოეული მომხმარებლის ღირსების პატივისცემას, ანუ მწარმოებლები ვალდებულნი არიან მომხმარებლები განიხილონ როგორც მიზანი, და არა მხოლოდ მათი მიზნის მიღწევის საშუალება. მაშასადამე, მომხმარებლის უფლებების დაცვა წარმოადგენს ზნეობრივ იმპერატივს, რომელიც ვლინდება პატიოსანი საბაზრო ურთიერთობების პროცესში.

ყველა დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალული საქონლის შეფუთვასთან და რეკლამირებასთან მიმართებაში ინფორმაციის შეგნებული ფალსიფიკაციის დროს, მომხმარებელს სრული უფლება აქვს ამა თუ იმ პროდუქტის წარმომავლობასთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის ფლობის შესახებ. მხოლოდ ამგვარ კონტექსტში იქნებოდა შესაძლებელი დასმულიყო კითხვა მყიდველსა და გამყიდველს შორის პატიოსანი ურთიერთობების თაობაზე. მომხმარებლის უფლებების სწორედ ამგვარი რუხი სფეროების სივრცეში ჩნდება ზემოთ ნახსენები მარკეტინგისა და გაყიდვების საეჭვო პრაქტიკაც, რომლის პრევენციას მომხმარებლებისათვის არა მხოლოდ გარკვეული უფლებების მინიჭება, არამედ ასევე მათი მხრიდან ვალდებულების ნებაყოფლობითი აღება წარმოადგენს, და რაც ასახვას კორპორაციებზე ერთგვარი კონტროლის განხორციელებაში პოულობს, როგორც ლოკალურ, – ცალკეული მომხმარებლის უფლებების დაცვის, ისე

გლობალურ,– ეკოლოგიური პრობლემების თავიდან აცილების სიბრტყეზე. ამგვარ ეფექტებზე უდიდეს ზემოქმედებას სწორედ რომ ჩვენი, როგორც მომხმარებლების მიერ შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ახდენს. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ისეთი პრეცენდენტები როგორიც არის საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული სპორტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის "Reebok"-ის დამოკიდებულება მესამე სამყაროს მუშახელის მიმართ, ან ასევე ამერიკული ნავთობმომპოვებელი გიგანტის "ExxonMobil"-ის გამოხმაურება გლობალური დათბობის მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, მომხმარებლების, როგორც სტეიკჰოლდერების ადეკვატურ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების უსაფრთხო და მდგრადი განვითარების საქმეში.

ლიტერატურა:

1. Andrew Crane, Dirk Matten, Business Ethics, A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the age of globalization), Oxford University Press, Oxford , 2004. P. 267

2. N.C. Smith, Marketing strategies for the ethics era., Sloan Management Review , N 36/4, 1995, P.P. 85-97

§7.6. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

არც თუ ისე შორეულ წარსულში, კერძოდ კი ორი ათწლეულის წინ, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების საწყის ეტაპზე სოციალური და პოლიტიკური სფეროს თეორეტიკოსებს სჯეროდათ, რომ ჩვენ ვცხოვრობდით ორსექტორიან მსოფლიოში, რომელშიც იგულისხმებოდა ბაზრის, ანუ ეკონომიკური სექტორი (ბიზნესი), და სახელმწიფო სექტორი (ხელისუფლება). ისინი უშვებდნენ, რომ ისეთი აქტუალური და საჭირბოროტო საკითხები, როგორიც არის საზოგადოებრივი კეთილდღეობდა და გარემოს დაცვა, უნდა განხილულიყო თითოეულის, – ერთი მხრივ შრომითი და სასაქონლო ბაზრების, და მეორე მხრივ სახელმწიფო მომარაგება - უზრუნველყოფის ჭრილში.

გლობალური ეკონომიკური პროცესების კვალდაკვალ დასრულდა და არსებული ფორმა და დატვირთვა შეიძინა სამოქალაქო საზოგადოებრივმა სექტორმა (სსს), და ნაცვლად ორსექტორიანი პლანეტარული მოწყობისა, მივიღეთ სამსექტორიანი კონფიგურაცია (იხ. ნახ. 1),



ნახ. 1. სამოქალაქო საზოგადოება როგორც „მესამე სექტორი”.

სადაც ყურადღების ცენტრში ფოკუსირდება ორგანიზაციათა ისეთი ტიპები მათივე ფუნქციური დატვირთვით, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, პრესინგ-ჯგუფები, საქველმოქმედო საზოგადოებები, ადგილობრივ თემთა ჯგუფები, რელიგიური ორგანიზაციები და სხვ., რომლებიც როგორც პირდაპირ, ისე ირიბად ურთიერთობენ კომპანიებთან და მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ კორპორაციულ საქმიანობებზე და შეაქვთ ცვლილებები მათ მიზნებსა და სტრატეგიებში, რის თვალსაჩინო მაგალითებსაც წარმოადგენს <<McDonald>> VS <<Jose Bove farmer union>>, <<Nestlé>> VS <<Baby Milk Aktion>>, და <<Shell>> VS <<Greenpeace>> შორის წარმოებული დაუნდობელი ბრძოლები. მეტი თვალსაჩინეობისათვის ეს უკანასკნელი შემთხვევაც კმარა: საქმე ეხება 1995 წელს წარმოქმნილ პრობლემას, რომლის წინაშეც იმყოფებოდა ბრიტანული ნავთობკომპანია Shell მას შემდეგ, რაც მან გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა Brent Spar-ის ნავთობის საზღვაო პლატფორმა და ჩაეძირა ატლანტიკის ოკეანეში. ეს გახლდათ კლასიკური მაგალითი იმგვარი კრიზისული სიტუაციისა, რომელშიც კომპანია Shall აღმოჩნდა გარემოს დამცველთა მხრიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მან გამოავლინა სრული უუნარობა საზოგადოების წინააღმდეგობის ხარისიხს შეფასებაში პლატფორმის ჩაძირვის გეგმებთან დაკავშირებით. მოგვიანებით ჩატარებულმა სამეცნიერო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სწორედ ღრმად ჩაძირვა იყო ეკოლოგიურად გაცილებით უსაფრთხო ვარიანტი პლატფორმის გასანადგურებლად, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ეკოლოგიური საზოგადოების, მათ შორის უპირველესად Grenpeace-ის დარწმუნება ამგვარ მოსაზრბათა სისწორეში. <<მწვანეთა>> მიერ ინსპირირებულმა პროტესტის ფართომასშტაბიანმა კამპანიამ პლატფორმის ჩაძირვის წინააღმდეგ, კომპანია Shell აიძულა უარი ეთქვა პირველად გეგმაზე და განეხილა

ალტერნატიული და გაცილებით ძვირადღირებული შესაძლებლობები ამ მართლაცდა უშველებელი მეტალის კონსტრუქციის თავიდან მოსაშორებლად.1 სხვა სტეიკჰოლდერებისაგან განსხვავებით, როგორიც არის პერსონალი, მომხმარებელი თუ აქციონერები, რომლებიც კორპორაციასთან მიმართებაში შრომის, შემოსავლებისა და კაპიტალის ფორმით გვევლინებიან კომპანიის პირდაპირ კონტრიბუტორებად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასოდეს შეაქვთ პირდაპირი წვლილი კორპორაციათა ფუნქციონირებაში. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი შემთხვევაც სწორედ ამის მაჩვენებელია და მიუხედავად იმისა, რომ Greenpeace ნამდვილად არ წარმოადგენს კომპანიის უშუალო კონტრიბუტორს, მისი როგორც სტეიკჰოლდერის იგნორირება შეუძლებელია, რადგან მან კომპანია Shell-ის ფაქტობრივად შეუნარჩუნა ის უამრავი მომხმარებელი, რომელიც ჩართული იყო ამ საპროტესტო მოძრაობაში.

ზოგადად დასავლურ ლიტერატურაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მსგავსი ზეწოლის ჯგუფების შესახებ, თუ სახელდობრ ვის წარმოადგენენ ისინი, დომინირებს ორი ძირითადი ტიპი:2 სექციური და პრომოციური (იხ. ნახ.2).

	სექციური ჯგუფები	**პრომოციული ჯგუფები**
წევრობა	დახურული	ღია
წარმოდგენა	საზოგადოების სპეციფიკური სექცია	სადავო საკითხები
მიზნები	თვით-ინტერესი	სოციალური მიზნები
ტრადიციული სტატუსი	ინსაიდერი	აუტსაიდერი
მთავარი მიდგომა	კონსულტაცია	არგუმენტი
ზეწოლა განხორციელებული . . . მეშვეობით (-ით)	ანულირების მუქარა	მასმედიის საჯაროობა

ნახ. 2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განსხვავებული ტიპები

- სექციური ჯგუფები მოიცავს პროფესიულ კავშირებს, ასოციაციებს, სტუდენტურ ორგანიზაციებსა და სხვა იმგვარ გაერთიანებებს, რომელიც ეფუძნება საკუთარ წევრთა სურვილებსა და ინტერესებს, და რომელიც მიიჩნევა საზოგადოების განსაკუთრებულ სეგმენტად. სსო-ის სექციური ჯგუფების წევრობა ღიაა მხოლოდ მათთვის, ვინც სპეციფიკური სექციის ფარგლებში ასრულებს განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს. მაგალითად, ისინი წარმოადგენენ კონკრეტული სამუშაო ადგილის, პროფესიისა თუ გეოგრაფიული რეგიონის ნაწილს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უწინარესად მიჰყვებიან და ითვალისწინებენ ამ წევრობის თვით-ინტერესებს.
- პრომოციური ჯგუფები კი პირიქით, ფოკურისდებიან სპეციფიკური მიზეზებისა თუ პრობლემების წინ წამოწევაზე. გარემოს დაცვის ჯგუფები, ანტი-თამბაქოს მწეველთა ჯგუფები და პრო-ჯანსაღი ცხოვრების ჯგუფები წარმოადგენენ პრომოციური სსო-ის თვალსაჩინო მაგალითებს. ეს ორგანიზაციები წარმოგვიდგებიან პრობლემებისადმი საერთო იდეოლოგიისა თუ დამოკიდებულების მქონე ორგანიზაციებად. ეს ჯგუფები ნაკლებად ეხებიან საკუთარი წევრების ინტერესებს და მეტად კონცენტრირდებიან ფართო სოციალური მიზნების მიღწევის ძიებაზე.

ტრადიციულად, სექციური ჯგუფები არიან ინსაიდერის სტატუსის მატარებელი, ხოლო პრომოციური ჯგუფები კი აუტსაიდერის სტაუსის მქონე,3 რაც ნიშნავს იმას, რომ ვინაიდან სექციური ჯგუფები განიხილება როგორც სპეციფიკურ, იდენტიფიცირებად ამომრჩეველთა ლეგიტიმურ წარმომადგენლად, ვთქვათ როგორიცაა – ელექტრიკოსები, ფერმერები, მუსლიმები, ან სტუდენტები, ანუ კონკრეტული პროფესიული, რელიგიური, თუ სხვა განსაზღვრული სეგმენტი, სამართლიანად მიიჩნევა ამავე ამომრჩეველთან შემხებლობაში მყოფი რაიმე პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირე-

ბით მათი აზრის გათვალისწინება. მაგ.: სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავების დროს ხელისუფლება კონსულტაციებს გადის ფერმერულ გაერთიანებებთან.

რაც შეეხება პრომოციურ ჯგუფებს, როგორც წესი მათ უფრო ნაკლებად მარტივი წვდომა აქვთ სამთავრობო თუ კორპორაციული პოლიტიკის შემუშავების პროცესში. რამდენადაც ისინი არ წარმოადგენენ ადვილად იდენტიფიცირებად ამომრჩევლებს, შესაბამისად არ არის ნათელი მათი პოზიციაც. შედეგად, პრომოციური ჯგუფები ესწრაფვიან მასობრივი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას იქამდე, ვიდრე მათ ხმას გაიგონებდნენ, ან იქნებიან ჩართულნი ნებისმიერი სახის გადაწყვეტრილების მიღების პროცესში. ამის საფუძველზე, პრომოციურ ჯგუფებს მართებთ ძლიერ აქტიური ჩართულობა პრობლემათა გადაჭრის საქმეში. ეს ჩვეულებრივ მოიცავს ძლიერი არგუმენტების ფორმირების, დემონსტრაციების ორგანიზებისა თუ პროვოკაციული მედია-ტრიუკების მოწყობის მხარეებს, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მესიჯების დაყვანა ადრესატამდე.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ისეთმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, როგორიცაა Greenpeace, Amnesty, WWF, Friends of the Earth და სხვ., უკანასკნელ წლებში საკუთარი მოღვაწეობით შეძლეს ფართო საზოგადოების ნდობის მოპოვება და წარმოჩინდნენ სოციალური და ეკონომიკური დებატების სოლიდურ მოთამაშეთა სახით, რამაც მათ ბიზნეს ეთიკის ირგვლივ წარმოებულ დისკუსიებში შესაძლებლობა მისცა ყოფილიყვნენ იმგვარადვე აღიარებულნი, როგორც სხვა უფრო ტრადიციული „ეკონომიკური" თუ „ძირითადი" სტეიკჰოლდერები.

ლიტერატურა:

1. Нефтяная платформа BrentSpar – Кризис коммуникаций с общественностью,.
http://www.adeator.com/novyj-vzglyad-na-reklamu/neftya-naya/platforma-brent-spar-krizis/

2. Smith, N.C., <<Moraliy and the Market: Consumer Pressure for Corporate Accountability>>., London: Routldge., 1990,P. P.105-13

3. Whawell, P. P<<The ethics of pressure groups>>,. Business Ethics: A European Review, #7/3, 1998, P. 225-45

§ 7.7. ხელისუფლება

ყოველი ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნ-ქციას ბიზნესპრაქტიკის რეგულირებისათვის, საკანონ-მდებლო სფეროში მისი აქტიური ჩართულობა წარ-მოადგენს. როგორც ცნობილია და რის შესახებაც ჩვენ აგვიღნიშნავს,ბიზნესეთიკა იწყება იქ,სადაც მთავრდება კანონი,* რაშიც იგულისხმება ის, რომ ხელისუფლება თავის თავზე იღებს სულ მცირე საბაზისო მისაღები პრაქტიკის დაწესებას ბიზნესში. ის ასევე ეფექტურად უზრუნველყოფს „ფუნქციონირების ლიცენზიით" ბიზ-ნესს თავის იურისდიქციაში.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „ხელისუფლების" შესახ-ებ ამ კონტექსტში, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა აქტიორთა, ინსტიტუციათა მთელი ჯგუფები და პრო-ცესები1 უმეტესი ევროპული ქვეყნის მსგავს დემოკრა-ტიულ საზოგადოებაში ხელისუფლება მოიცავს ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოს, რომლებიც მოქმედებენ საპარლამენტო თანხმობის საფუძველზე. მაშასადამე,"ხელისუფლება" შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ხელისუფლება შედგება მრავალგვარი ინსტიტუციე-ბითა და აქტიორებისაგან სხვადასხვა დონეზე, რომ-ლებიც კანონთა გამოყენებისას ინაწილებენ საერთო უფლებამოსილებებს.

კანონთან მიმართებაში, ბიზნესის ეთიკის კონტექსტ-ში არსებითად ჩვენ დაკავშირებულნი ვართ კოდიფი-კაციის კონკრეტულად იმ საკითხთან, თუ რას მიიჩნევს საზოგადოება შესაბამის და შეუსაბამო მოქმედებად, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი სახის დეფინიცია:

სოციალური კონსენსუსის ზუსტ წესებში კანონები

---

* ვ. ხიზანიშვილი., ჟურნ. ეკონომიკა №5-6, თბ., 2013, გვ. 197

ასრულებენ კოდიფიკაციის ფუნქციას იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია საზოგადოებას სწორად და არასწორად.

სწორი და არასწორი ბიზნესპრაქტიკის კანონთა კოდიფიკაციის განხილვისას, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ კანონი წარმოადგენს ბიზნესრეგულაციის გაცილებით ფართო სფეროს ერთ-ერთ ასპექტს. სახელდობრ, რა იგულისხმება რეგულაციაში?

რეგულაცია სრულად ეხება ბიზნესქცევების მთელ მართველობით წესებს. ის მოიცავს წესებსა და ქმედებებს, ისევე როგორც კავშირშია ფორმალური თუ არაფორმალური წესების შექმნისა და ზემოქმედების სხვა ფორმებთან. რეგულაცია ასევე მოიცავს ფართო სამთავრობო პოლიტიკის მიმართულებებს, კონცეფტებს, მიზნებსა და სტრატეგიებს, ყველაფერ მას, რაც საბოლოოდ შესაძლებელს ხდის ან ზღუდავს ბიზნესაქტიორთა მოქმედებს. თუმცა ყველა რეგულაცია როდი წარიმართება კანონებით; ხანდახან ის ფუნქციონირებს კრეატიული ნორმების საფუძველზე, რაც განსაზღვრავს მისაღებ ქცევებს, მაგრამ რომელიც არსებითად ფუნქციონირებს მხოლოდ საზოგადოებრივი ზეგავლენით და წახალისებით.

ორივე ეს განმარტება – რომ რეგულაცია არის წესების განსაზღვრული ტიპების შესახებ, და რომ ის წარიმართება სამთავრობო და არასამთავრობო აქტიორებით, შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ მისი შემდეგი დეფინიცია:

რეგულაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც წესები, რომლებიც გამოიცემა სამთავრობო აქტიორთა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ ბიზნესმოქმედებების შეზღუდვის, გაფართოების, თუ წახალისებისათვის. რეგულაცია მოიცავს წესებს, კანონებს, მექანიზმებს, პროცესებს, სანქციებსა და ინიციატივებს.

ეს დეფინიცია შესაძლებლობას გვაძლევს გავერკვეთ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ბუნებაში და კერძოდ, კორპორაციაში ხელისუფლების

სპეციფიკური წილის ფლობაში.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლების,როგორც სტეიკჰოლდერის ძირითად როლზე ბიზნესში, საჭიროა გვახსოვდეს, რომ როგორც წესი, საქმინ წრეებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ხელისუფლების მიმართ. ერთი მხრივ, ბიზნესს უყვარს "ჩივილი" ჰიპერაქტიურ ხელისუფლებაზე, რომელიც ბიზნესისაგან "ზღვარგადასული" გადასახადების გადახდას მოითხოვს, ან ახდენს მისი საქმიანობის შეზღუდვას, მაგალითად, კომპანიების შერწყმათა ბლოკირებას, ან პროდუქციის უსაფრთხოების ახალი სტანდარტების წამოყენებას. მეორე მხრივ, ბიზნესი ასევე ელოდება, რომ ხელისუფლება მუდმივად მონაწილეობდეს მისი ინტერესების დაცვაში, ისეთის, როგორიც არის მაგ., ქვეყანაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ან სულაც პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, რაც მკვეთრად შეზღუდავდა უცხოური კომპანიების წილს და სამოქმედო არეალს შიდა ბაზარზე.

თუ ჩვენ შევხედავთ ამ ურთიერთობებს ხელისუფლების პერსპექტივიდან, სიტუაცია სრულიადაც არ არის მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები აქტიურად თანამშრომლობენ ბიზნესთან, არჩევნებიდან არჩევნებამდე ისინი ასევე ითვალისწინებენ საკუთარი ამომრჩევლის მიერ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რომელთა მოლოდინს ბიზნესში ხელისუფლების მხრიდან დოზირებული კონტროლი წარმოადგენს იმისათვის, რომ ბიზნესი ყოველთვის მოქმედებს საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით.

ხელისუფლების, როგორც მნიშვნელოვანი სტეიკჰოლდერის ბიზნესზე ზეგავლენისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მასზე უკუქმედების საკმაოდ რთული ურთიერთობის გასარკვევად საჭიროა, რომ ჩვენ გავმიჯნოთ ხელისუფლების ორი ძირითადი როლი, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 1 სახით.2



ნახ. 1. ხელისუფლება როგორც ბიზნესის სტეიკ-ჰოლდერი

ეს არის: პირველი, - ხელისუფლება, როგორც მოქალაქეთა ინტერესების წარმომადგენელი; და მეორე, - ხელისუფლება, როგორც აქტიორი (ან აქტიორთა ჯგუფი) თავისი საკუთარი ინტერესებით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ხელისუფლება, როგორც მოქალაქეთა ინტერესების არჩეული წარმომადგენელი. სხვა სტეიკ-ჰოლდერებისგან (მაგ., აქციონერები, თანამშრომლები, ან მიმწოდებლები) განსხვავებით, ხელისუფლება არსებითად წარმოადგენს მთელ საზოგადოებას, იმდენად, რამდენადაც ის აირჩევა გარკვეული ქალაქის, რეგიონის, ქვეყნისა თუ კონტინენტის (მაგ. ევროპის პარლამენტი) მოქალაქეთა მიერ. ამ კავშირში, ხელისუფლება თავისებრივად მსგავსია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რადგან ისინი წარმოადგენენ საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესებს და ამ როლში, როგორც მოქალაქეთა ინტერესების არჩეული წარმომადგენელი, ხელისუფლება უმთავრესად განსაზღვრავს კიდეც ბიზნესის ფუნქციონირების ლიცენზიის პირობებს.

პრაქტიკაში, ფუნქციონირების ეს დეფინიცია ჩვეულებრივ უფრო შესამჩნევი ხდება იმ სივრცეში, სადაც ხელისუფლება საკუთარ ამომრჩეველთა მანდატის შესრულებისას ცდილობს ბიზნესის შეზღუდვას. მაგ: ისინი აწესებენ გარემოს დაცვით რეგულაციებს, რაც აიძულებს კომპანიებს ფილტრების ინსტალირებას, ან ნარჩენების გადამუშავებას; ისინი უწესებენ მათ გადასახადებს კორპორაციულ მოგებებზე; და ისინი იკვლევენ, თუ რამდენად არის კომპანიების შერწყმის მოთხოვნა საზოგადოების ინტერესში.

ყოველივე ეს ღონისძიება ტარდება იმისათვის, რომ ბიზნესინტერესები მუდმივ თანხვედრაში იყოს საზოგადოებრივ მოთხოვნებთან. კერძოდ, - ყოველთვის არსებობდეს პატიოსანი და ღია კონკურენცია მომხმარებელთა სასიკეთოდ, და საფრთხე არ შეექმნას ახლანდელ და მომავალ თაობათა ჯანმრთელობას3.

პირველი ასპექტი მჭიდროდ უკავშირდება ბიზნესთან მიმართებაში ხელისუფლების დადებით როლს4. კოპანიების შერწყმის აკრძალვით ან საფონდო ბაზრებზე ტრეიდერების ქცევათა რეგულირებით, ხელისუფლება ფაქტობრივად პირველ რიგში ასრულებს საკვანძო როლს ბიზნესის წახალისების, ბიზნესსაქმიანობათა შესაძლებლობების უზრუნველყოფის საქმეში. რადგან ლოგიკურია, რომ ბაზრები შეიძლება მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებდეს, როდესაც დადგენილია ძირითადი წესები და არსებობს შესაბამისი ნორმატიული ბაზა.

ხელისუფლება როგორც აქტიორი (ან აქტიორთა ჯგუფი) თავისი საკუთარი ინტერესებით. მოტივაციები, რის საფუძველზეც ხელისუფლება აქტიურად ერევა ეკონომიკაში, დროდადრო შესაძლოა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არსებითია ის, რომ ისინი მოქმედებენ უშუალოდ მათი ელექტორატის ინტერესების გათვალისწინებით. ხელისუფლება შეიძლება ასევე იქნეს განხილული, როგორც აქტიორი (ან აქტიორთა ჯგუფი) თავისი საკუთარი ინტერესებით. ამის ერთ-ერთ

მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლებას ჩვეულებრივ გააჩნია კვლავ არჩევის სურვილი და ინტერესი. დემოკრატიის უმეტეს ქვეყნებში ხელისუფლების მიერ ელექტორატზე დაწესებული კონტროლი რამდენადმე ირიბია. თუმცა ჩვენ შეიძლება დავუშვათ, რომ ბიზნესით დაინტერესებული ხელისუფლება წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთარი ელექტორატის (ირიბ) წარმომადგენელს, არამედ ასევე, როგორც (პირდაპირ) სტეიკჰოლდერს თავისი საკუთარი უფლებებითა და ინტერესებით.

ამგვარად, ხელისუფლება წარმოადგენს პირველ და ყველაზე მეტად დაინტერესებულ მხარეს ეკონომიკური ბუმის დროს, რაც ფაქტობრივად მას ხდის ძლიერ დამოკიდებულს ბიზნესზე. ერთი მხრივ, მათი საარჩევნო წარმატებები დამოკიდებულია მაღალი დასაქმების, მზარდი შემოსავლების და ბიზნესსაქმიანობების, გაფართოების პოლიტიკის მხარდაჭერასა და გატარებაზე. მეორე მხრივ, არცერთი ამათთაგანი არ იმყოფება უშუალო გავლენის ქვეშ ხელისუფლების მხრიდან. ეს მდგომარეობა კი ხელისუფლებას ხდის საკმაოდ სუსტს და ბიზნესზე დამოკიდებულ სტეიკჰოლდერს. თუმცა ამ როლში ხელისუფლება არა მხოლოდ დამოკიდებულია ბიზნესზე, არამედ ასევე მეტოქეობს ბიზნესთან. მაგალითად, ბევრ ევროპულ ქვეყანაში სახელმწიფოსგან ფინანსირებადი სატელევიზიო კომპანიები (მათ შორის BBC დიდ ბრიტანეთში და ARD გერმანიაში) კონკურენციას უწევენ კერძო ოპერატორებს.

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს, რომ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების დელიკატური ბუნება, როდესაც ისინი თანამშრომლობენ ან მეტოქეობენ ერთსა და იმავე სფეროში, ცხადდება იმ გარემოებათა გამო, რომ ისინი ხშირად ფუნქციონირებენ განსხვებულ და არათანაბარ ძალთა პოზიციიდან. ერთი მხრივ, ხელისუფლება სარგებლობს გადაჭარბებული ძალაუფლებით ანუ ინ-

სტიტუციონალური უფლებამოსილებით, რამდენადაც მას შეუძლია განსაზღვროს ბიზნესის თამაშის წესები შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. მეორე მხრივ, კორპორაციებს, შესაბამისად ბიზნესს დროდადრო ძალუძს ისარგებლოს ეკონომიკური უპირატესობით (ანუ ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებით), ვინაიდან პოტენციურად მათ გააჩნიათ ფინანსურ წყაროთა დამატებითი რესურსი ინვესტიციებისათვის, მაშინ როდესაც ხელისუფლებას ზოგჯერ არ ძალუძს ან არ სურს დამატებითი გადასახადების გენერირებით მისი რეალიზება. ამგვარი მდგომარეობა კიდევ უფრო მგრძნობიარეს ხდის ხელისუფლებასა და ბიზნესის დამოკიდებულებას, და რომელთა შორის ნორმალური ურთიერთობებისათვის, გადამწყვეტ როლს სწორედ ხელისუფლება, როგორც ბიზნესის წარმატებით დაინტერესებული მხარე, როგორც სტეიკჰოლდერი თამაშობს.

ლიტერატურა:

1. Andrew Crane, Dirk Matten; Business Ethics, A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization); Oxford University Press, 2004, P.388

2. იხ. წყარო [1] გვ. 391

3. Thorne McAlister, D., Ferrel, O.C., Ferrel, L. Business and Society: A Strange Approach to Corporate Citizenship. Boston: Houghton Mifflin., 2003., P.P, 97,120

4. Carroll, A.B. and Buchholtz , A.k. Business and Society: Ethics and Stakeholder Management, 4th edn. Cincinnati: South-Western College., 2000., P.P 208-15

ბიბლიოთქმა

სახელმძღვანელო წიგნი „ეთიკური ეკონომიკა" წარმოადგენს სიახლეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი სახის ნაშრომი საქართველოში არ შესრულებულა და მისი ამ ფორმით წარმოჩინება დღემდე არ მომხდარა.

„ეთიკური ეკონომიკა" არის ეკონომიკისა და ეთიკის კონვერგენცია და გაიაზრება პოსტმოდერნის, ახალი მსოფლიო ეთოსის ჭრილში. ეთიკის საკითხები ასე თუ ისე ეხება ეკონომიკურ ურთიერთობათა პრაქტიკულად ყველა სფეროს. გაბატონებული ეთიკური ფასეულობების სისტემა კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში განსაზღვრავდა და მომავალშიც უცილობლად განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების არა მხოლოდ ტემპებს, არამედ მიმართულებებსაც. ესა თუ ის პოზიცია განსაზღვრულ ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების მიმართულების ვექტორსა და არჩეული მიმართულების მოძრაობის სისწრაფეზე.

უკანასკნელ ხანს ეკონომიკისა და ეთიკის კავშირურთიერთობათა საკითხები იძენს მეტ აქტუალობას. საგრძნობია რელიგიის, მორალის, კულტურის მნიშვნელოვანი გავლენა ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკურ ქცევებზე. ასევე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა საბაზრო ეკონომიკის ეკო-სოციალური ასპექტები, რომლებმაც ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინეს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკისა და საერთოდ საზოგადოების ჰუმანიზაცია წარმოადგენს მოვლენას, რაც კაცობრიობას აიძულებს არსებული ნორმებისა და ფასეულობების ახლებურად გააზრებას, და მაშასადამე – ახლებურ მიდგომას, რომელთა პოზიტიური გადაწყვეტაც პირდაპირ კავშირიშია გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

გასული საუკუნის და თანამედროვეობის ეკონომიკური კვლევების ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას პირდაპირი კავშირი გააჩნია ეთიკასთან. ეს არის ინდივიდუალურ, ზოგადეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ინტერესთა შორის თანაფარდობა. სხვადასხვა მკვლევართა (გამორჩეულად კი გერმანელი ეკონომისტის ვ. ოიკენის და ამერიკელი ნობელიანტის კ. ეროუს) შრომის შედეგებმა და ეკონომიკურმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში ინდივიდუალური ინტერესები ემთხვევა საზოგადოებრივ ინტერესებს.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ა. სმიტით დაწყებული მრავალი გამოჩენილი სწავლული ეკონომისტი ავლებდა პარალელს ქცევათა ეთიკური ნორმების დაცვასა და ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას შორის.

საზოგადოების ზნეობრივ დონესა და ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას შორის არსებულ ურთიერთკავშირზე მიუთითებდა ასევე იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგი ვ. პარეტო, რომელსაც მიაჩნდა, რომ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება შესაძლებელია იმ პირობებში, როცა საზოგადოებაში შემოსავლების განაწილება ემორჩილება ეთიკურ კრიტერიუმებს.1

ყოველი ეკონომიკური სისტემა, ისევე როგორც ყოველი საზოგადოება საჭიროებს ეთიკურ საფუძველს. თანამედროვე ეკონომიკაც ასევე საჭიროებს ზნეობრივ დასაბუთებას. ეთიკური ნორმების გარეშე საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობა, რომელშიც ყველა მონაწილე ახორციელებს გარიგებას ბაზარზე და რომლის ხარჯზეც შრომის დანაწილებიდან ისინი იღებენ სარგებელს, სწრაფად გაქრებოდა რამდენადაც ეს

1. http:/ www.mce.biophys.msu.ru.

გარიგებები დაკავშირებული იქნებოდა დიდ დანახარჯებთან.

ეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად რეალისტურია ის, რომ ეთიკური ნორმების ფორმირება ხდებოდა ადამიანური გამოცდილების ზემოქმედებით ათასწლეულების მანძილზე. ისინი აღმოცენდნენ პრაგმატულ-ევოლუციური სწავლების პროცესში. ეთიკური ნორმები თრგუნავენ უარყოფით გარე ეფექტებს და პირიქით, ხელს უწყობენ დადებითი გარე ეფექტების გამოვლენას. ეთიკური ნორმები – ეს არის შინაგანი კომპასი, რითაც შესაძლებელია საკუთარი ქცევებისათვის სწორი მიმართულების მიცემა.

ჩვენი საზოგადოება იმდენად რთულია, რომ მას არ შეუძლია მხოლოდ ამ ნორმებით ფუნქციონირება. ის აუცილებლად საჭიროებს ინსტიტუციონალური სისტემის წესების დამატებას, რომელშიც დადგინდება, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ურთიერთობები ნორმალურ მეურნეობაში. ეს წესები წარმოიქმნებიან რესურსების გაძლიერებული შეზღუდვის (მაგ., ბუნების სარგებლობის წესები) შედეგად და სამეურნეო ურთიერთობათა სირთულეების ზრდის (მაგ., სააქციო საზოგადოებებში რისკების განაწილების წესები) კვალდაკვალ.

კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესში საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების შედეგად ინდივიდების ეთიკური ნორმები იცვლებოდა ინსტიტუციონალური წესებით. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ისინი ეფუძნება ეთიკურ ნორმებს. ამიტომაა შესაძლებელი ამ წესთა, ბაზრის და საბაზრო ეკონომიკის ეთიკის ირგვლივ მსჯელობა.2

დღეს უკვე ცხადი გახდა, რომ საზოგადოებრივი კოორდინაციისათვის მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ურთიერთობანი არ არის საკმარისი და რომ ეკონო-

2. http:/ www.economicus.ru

მიკის სფეროში აუცილებელია ეთიკურ საწყისებთან დაბრუნება. ჩვენ ვიმყოფებით გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც სახეზეა ერთი ეკონომიკური ტიპის მეორეთი ჩანაცვლების პროცესი, ე.ი. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ადგილს იკავებს ახალი, ეთიკურ პრინციპებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული ჰუმანური ეკონომიკური ურთიერთობები. ეკონომიკასა და ეთიკას შორის არსებული დიალექტიკური კავშირ-ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიოში გაიაზრება პოსტმოდერნის, ახალი მსოფლიო ეთოსის ჭრილში. პოსტმოდერნის ეკონომიკის ანუ ეთიკური ეკონომიკის ახალი პარადიგმა ეფუძნება ახალ მსოფლიო ეკონომიკურ ეთოსს. დღეს უკვე შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ბაზრების ეთოსზე საუბარი, რადგან გლობალიზაციის კულმინაციურ ფაზაში მან შეიძინა გლობალური ეკონომიკური ეთოსის ფორმა.3 მსოფლიო ეკონომიკის ამ ახალი მოცემულობის წვდომა და ანალიზი არის დღეს ეთიკური ეკონომიკის ცენტრალური ამოცანა. მისი მეცნიერული მიდგომის უმთავრეს საკითხთაგანია ეკონომიკის დამოკიდებულება ეკოლოგიასთან, კულტურასთან, რელიგიასთან, ტრადიციებთან, ესთეტიკასთან და ეთიკასთან, რათა მოხერხდეს გლობალიზებული ეკონომიკის გაგება და ახსნა.4

ეთიკური ეკონომიკის ახალი პარადიგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ეთიკურ ფასეულობებზე – დაბალი უმუშევრობისა და ინფლაციის, წარმოების, ვაჭრობისა და კაპიტალის მობილურობის ამაღლების, წარმოების ზღვრული ხარჯების დაცემისა და ინფორმაციის გავრცელების ნულოვანი დანახარჯების,

---

3 .Peter Koslowski (Hg) Weltwirtschaftsethos (Globalisierung und Wirtschaftsethik), Passagen Verlag, Wien, 1997, S.69

4. იხ. წყარო 3, გვ 70.

ტრანსაქციების სისწრაფისა და ტრანსაქციული დანახარჯების შემცირების ფონზე უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ის საჭიროებს მიმდინარე გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციის პროცესების ჯეროვან გათვალისწინებას რომლებიც ერთი მხრივ იწვევენ ყოველი ნაციონალური ეკონომიკის ფუნქციონირების პირობათა ცვლილებებს, ხოლო მეორე მხრივ ახალი ნაციონალური ეკონომიკური და სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის კოორდინაციის არჩევასთან დაკავშირებით მოითხოვენ ახალ მიდგომებს.5

გლობალური კაპიტალიზმი მხოლოდ მაშინ არის წარმატებული გრძელვადიან პერსპექტივაში, როცა ის საზოგადოებრივადაა მისაღები6 და გამაგრებულია ძლიერი მორალური საფუძვლებით ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა მოქმედია და ფუნქციონირებს განსაზღვრულ მომენტამდე, მაგრამ მაშინვე განიცდის კრახს, როგორც კი მისი ეთიკური საფუძვლები იწყებენ რღვევას, ან ჩნდება ახალი საზოგადოებრივი სისტემა როგორც მისი რეალური ალტერნატივა.7 ამიტომ მიგვაჩნია, რომ გლობალური ეკონომიკის ახალი სისტემა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ეთიკური ეკონომიკის პარადიგმის სახით, უნდა იყოს დაფუძნებული კერძო და საზოგადო ინტერესთა თანხვედრაზე, რაც იქნება დარეგულირებული ისეთი ფასეულობებით, როგორიცაა: ჰუმანურობა, სიცოცხლის პატივისცემა და მოფრთხილება, არაძალადობა, სოლიდარობა, სამართლიანობა, ტოლერ-

---

5А. Б. Кузнецов, «Новая экономика» и Новая экономическая парадигма (Актуальные проблемы экономической теории), экономическая наука современной Росии, №2, 2002 г. С. 7

6 Hans Küng, An Ethical Framework the Global Market Economy; Making Globalization Good. (The Moral Challenges of Global Capitalism) Edited by Hohn H. Dunning, Oxford, 2003, P. 147

7იხ. წყარო 6; გვ 148

ანტობა, თანასწორობა, პარტნიორობა, ერთგულება.

21-ე საუკუნის დასაწყისში სახეზეა ეკონომიკისა და ეთიკის მჭიდრო დაახლოება. ქმნიან რა ორგანულ ერთობას ეკონომიკური და ეთიკური თეორიების გაერთიანებით მეცნიერების ეს ორი დარგი აყალიბებს ერთიან ინტერდისციპლინარულ ხედვას, რომელიც თავის წიაღში ასევე მოიცავს სოციოლოგიის, თეოლოგიის, პოლოტოლოგიის, ეკოლოგიის, კულტუროლოგიისა და სხვა ფუნდამენტურ მიმართულებებს.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ეთიკური ეკონომიკის ახალი პარადიგმის ცხოვრებაში დანერგვა და გატარება, საჭიროა სამეცნიერო დონეზე მოხდეს ეკონომიკისა და ფილოსოფიის (კონკრეტულად კი სოციალური ეთიკის) დაახლოება და საფუძველი ჩაეყაროს ორი მიმართულების კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

ყოველი პარადიგმა გამომდინარეობს სამყაროს წვდომის საკუთარი მოდელის ერთიანობიდან.8 მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ეთიკური ეკონომიკის, როგორც პოსტმოდერნის ახალი პარადიგმის მიმართაც.

8http://www.ushakov.org/arch/oooooocf.htm

Vasil Khizanishvili

Ethical Economics

In the work are successively discussed the essential sides of ,,Ethical Economics", as quite new interdisciplinary subject in Georgia.

The textbook is destined for the Professors and Bachelor, Master, PhD students of all corresponding specialities. It will also come to the aid of other readers which are interested in these questions.

Editor: Elguja Meqvabishvili
Doctor of Economic Sciences, Professor

Reviewers: Loid Qarchava
Doctor of Business Administracion,
Associate Professor
Giorgi Sibashvili
Doctor of Philosophical Sciences,
Associate Professor

The textbook was published by KAAD financing.

წიგნი აეწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა
„ლოი“-ს ოფისში